საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
11 - 17 ნოემბერი, 2009
№37

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
გამოდის ორშაბათობით
info@geworld.net

«Нерукопожатный»
**პრეზიდენტი ანგელა მერკელს ემუქრება** 2

# ნახე, როგორ ჰბერავს?!



This is not a montage!

6

**არნო ხიდირბეგიშვილი:**
... 2009 წლის 6 ნოემბერს პრეზიდენტმა სააკაშვილმა 2003 წლის 23 ნოემბერს დეკლარირებული „ვარდების რევოლუციის“ ეგზისტენციალური იდეალები შეცდომად მონათლა და მოუწოდა სკკპ-ის დებულების, კერძოდ — დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის შესწავლისკენ, რომელიც უმრავლესობისთვის უმცირესობის დაქვემდებარებას გულისხმობდა (ნაწილი II, თავი II, პუნქტი 13, ქვეპუნქტი „გ“)...

ექსკლუზივი //
4 **FBI-ის გამოძიება, რის გამოც ბერეზოვსკისა და ბუდავაძეს 30-წლიანი პატიმრობა ემუქრებათ...**

ადამიანის უფლებები //
ნოდარ ოდიკაძე:
**მერაბიშვილს საკუთარი თანამშრომელი რამედ თუ უღირდა, იაროვოს ლევანის მკვლელი** 5

ფსიქოპორტრეტი //
ზურაბ გაგნიძე:
**დავითაიას ფსიქიკაში ჩადებულია არამზადა თაღლითის კოდი** 7

საუბარი მოძღვართან //
18 მამა ამირანი:
**რას ავალდებულებს მეუღლეებს ქრისტიანული ქორწინება**

დაიჯესტი //
20 **გორდონ ბრაუნმა აღიარა**

**კოკოჯონდის ღიმილი, ანუ ჯონდისა და კოკოს საპარლამენტო ოდისეა** 8

ნათელა ბერიკაშვილი:
**ვერავინ და ვერაფერი შეუშლის ხელს ქართველთა და აფხაზთა კარგ დამოკიდებულებას** 9

## ჩვენ მივდივართ დასავლეთისკენ თურქეთის გავლით, თუ თურქეთი შემოდის საქართველოში? 12

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო



**ილია II**
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.
*სააგენტო „ფაქტნიუსი“*

ეკლესია არ უნდა იყოს მხოლოდ მაყურებელი. თუ საჭიროა, ის ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებში უნდა ჩაერთოს კიდეც.



**კახა ბენდუქიძე,**
ეკონომიკის ყოფილი მინისტრი.
*გაზეთი „პრაიმტაიმი“*

ორი წელი გავიდა და ვერავინ ამიხსნა, რა არის ეს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი. არადა, ყველა ქართულად მიხსნის და მელაპარაკება.



**თინა კანდელაკი,**
ტელეწამყვანი.
*ჟურნალი „რეიტინგი“*

თავიდან სანამ ემოციები სძალავდათ, ბევრი მკიცხავდა, მოღალატესაც კი მეძახდნენ... მერე კი ვნებები დაცხრა. გაირკვა... ვინ დაიწყო ომი და როგორ იქცეოდა იმ მომენტში სააკაშვილი. დღეს რიგითმა ქართველებმაც მშვენივრად იციან, რომ გვერდით რუსეთია და მხოლოდ მასთან თანამშრომლობასა და მჭიდრო პარტნიორობაშია საქართველოს მომავალი.



**სალომე ზურაბიშვილი,**
„საქართველოს გზის“ ლიდერი.
*ჟურნალი „რეიტინგი“*

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ, თუ ხელისუფლებას ქუჩაში გამოსული ხალხის კიჟინი არ ესმის, ჭკუიდან გადადის და მისი ნებაზე მიშვება არ შეიძლება... ეს მაძლევს სტიმულს, ყველგან ვიყო... ქუჩაშიც გავალ და უცხოელ დიპლომატებსაც მოვუყვები ამათ „საგმირო საქმეებზე“.



**არჩილ გეგეშიძე,**
პოლიტოლოგი.
*გაზეთი „კვირის პალიტრა“*

ალბათ, უნდა ველოდოთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ამღიარებელ ქვეყანათა რაოდენობის ზრდას, მაგრამ მათი რიცხვი დრამატულად არ გაიზრდება; შესაძლოა, მაქსიმუმ რვა-ათმა ქვეყანამ აღიაროს სეპარატისტული რეჟიმები.



**ზვიად ძიძიგური,**
კონსერვატორული პარტიის ლიდერი.
*გაზეთი „პრაიმტაიმი“*

მოუკვდა პატრონ-მყვარებელი, ვიღაცამ ვარდების რევოლუცია მოიგონა.



**ნიკო ორველაშვილი,**
ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში.
*გაზეთი „პრაიმტაიმი“*

დომინო ხომ გითამაშიათ? ჰოდა, აი, ზურაბ ნოღაიდელი არის პუსტაპუსტა.



**გუბაზ სანიკიძე,**
„ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი.
*გაზეთი „კვირის პალიტრა“*

სააკაშვილის მთავარი პრობლემა უზნეობაა და საშიში სწორედ მისნაირი ნიჭიერი და უზნეო ადამიანები არიან. არსებობენ უნიჭო, მაგრამ ჭკვიანი ადამიანები, რომლის მაგალითი ვანო მერაბიშვილია... ის გაახატებული მონასავითაა... გაახატებული მონა საშიშია, რადგან დაბალი წარმომავლობისაა, არ გააჩნია ღირსება... ასეთი ადამიანისგან კარგს არაფერს უნდა ველოდოთ.



**თეა თუთბერიძე,**
სკოლების დირექტორთა ასოციაციის ხელმძღვანელი.
*გაზეთი „ყველა სიახლე“*

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის მუშაობის ახალი მიმართულება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დევნაა.

# «Нерукопожатный» პრეზიდენტი ანგელა მერკელს ემუქრება

**ძველი საბჭოთა ანეკდოტია: რომელიღაც საერთაშორისო კონფერენციაზე საბჭოთა კავშირისა და აშშ დელეგაციები ერთმანეთს ეკამათებიან.**
**აშშ წარმომადგენელი ლაპარაკობს, ცხოვრების რა მაღალი დონეა ამერიკაში, ასახელებს ციფრებსა და ფაქტებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, რამდენჯერმე აღემატება საბჭოთა დონეს.**
**რა უნდა უპასუხოს მოპაექრემ? პოზიცია წაგებულია.**
**და პოულობს გამოსავალს:**
**— სამაგიეროდ თქვენთან ზანგებს ჩაგრავენ!**
**გაღმა შეედავა და, რაც გამოღმა შერჩებოდა, იოლი მისახვედრია.**



საიმანეგდოტოდ გაიხადა საქმე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, როცა გაავრცელა ოფიციალური პასუხი რუსული მედიის ინფორმაციასთან დაკავშირებით აშშ-ის მიერ საქართველოსთვის 100 მილიონი დოლარის ღირებულების იარაღისა და საბრძოლო მასალების მიწოდების შესახებ.

ელემენტარული ლოგიკით, ფაქტობრივი მონაცემების დამოწმებით უარყავი, თუ მართალი ხარ, ის, რასაც გაბრალებენ. თორემ, რამდენიც გინდა იძახე „ჰალვა, ჰალვა“, როგორც აღმოსავლური კულინარული სიბრძნე მეტყველებს, სიტკბოს ვერ იგრძნობ. კეხის შებრუნება — სამაგიეროდ რუსეთი არ ასრულებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიანი შეთანხმების მოთხოვნებსო — იმ ანეკდოტურ სიტუაციაში ამოგაყოფინებს თავს, რომელიც ზემოთ გავიხსენეთ და რომელშიც გრიგოლ ვაშაძე და მისი ხელქვეითები აღმოჩნდნენ „მამხილებელი“ უსტარის გამოქვეყნების შემდეგ.

ამ ფონზე რამდენიც გინდა, წერე და იმეორე, რუსეთმა **„სხვა ქვეყნების ურთიერთობების კომენტირების ნაცვლად, უპრიანი იქნებოდა, უარი თქვას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საკუთარი სამხედრო პოტენციალის უკონტროლო გაზრდაზე“** და იფიქროს **„საოკუპაციო ჯარების გაყვანაზე“,** ჩინური ფოლკლორის იმ პერსონაჟს დაემგვანები, რომელიც ყოველთვის ჩხუბში ერეოდა, ყოველთვის სცემდნენ და ნაცემი ძლივს რომ წამოდგებოდა, გავიმარჯვეო გაჰყვიროდა და ჩინურად იმუქრებოდა — დედას გიტირებთო.

ასეთი „დიპლომატიით“ რუსეთს ხელ-ფეხი ეხსნება, ჟარგონს თუ ვიხმართ, „გაუპრავდება“ განცხადებაც და შესაძლო რეაქციაც.

**ასეთი ფიასკო შეიძლება დაემართოს ისეთ სახელმწიფოს, რომლის პრეზიდენტი, ისევ ჟარგონს თუ ვიხმართ, საერთაშორისო ასპარეზზე „ნერუკოპოჟატნი“ გამხდარა. თვითონ მოუვიდა „ოგოვორკა“, ანუ თვითონ ადასტურებს, რომ მას, როგორც საერთაშორისო დამნაშავეს, რომლის გადაწყვეტილებით დაიწყო რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომი (იხ. ტალიავინის კომისიის დასკვნა), არავინ იწვევს თავის ქვეყანაში, ექცევიან როგორც „პერსონა ნონ გრატას“ და ისიც, მთლად რომ არ წახდეს, ყატარისა და ბახრეინის მონახულებით კმაყოფილდება.**

მიხეილ სააკაშვილმა შესანიშნავად იცის, რაც დაემართა და ნებისმიერ მიზეზს ეძებს, იქით რომ შეუტიოს მის უარმყოფელებს, ევროპელ კოლეგებს, ვინც მის იგნორირებას ცდილობს და ახერხებს.

9 ნოემბერს ავლაბრის რეზიდენციაში ქრისტიან-დემოკრატების ლიდერებთან შეხვედრის დროს, მან, არც მეტი არც ნაკლები, ევროკავშირს შეუტია. დაახლოებით ისე, როგორც შარშან აგვისტოში — დანარჩენ მსოფლიოს.

**„ჩვენ ვნახეთ ევროკავშირის განცხადება, — თქვა მიხეილ სააკაშვილმა, — და ეს არ არის საკმარისი“.**

აშკარად ნაწყენია; ალბათ, მეტი სურდა, მაგალითად, — ამდგარიყო ევროპა და, როგორც შორეულ შუა საუკუნეებში ქრისტეს საფლავის დასაცავად, ჯვაროსნულ ლაშქრობა დაეწყო ჩვენი ხელისუფლების გადასარჩენად, რომელიც სულს ღაფავს.

სულს ღაფავს, მაგრამ მუშტებს უღერებს, გნებავთ, მუშტებს უბრაგუნებს ევროპის უდიდესი სახელმწიფოს, გერმანიის კანცლერს ანგელა მერკელს. **„რას ნიშნავს,** — აღელვებულია მიხეილ სააკაშვილი, — **როცა რუსეთის პრეზიდენტს ილებ გერმანიაში, ხელს ართმევ და მასთან ერთად ბერლინის კედლის ნგრევას აღნიშნავ მაშინ, როცა აქ ახალი კედელი შენდება?!“**

ბრაზობს იუპიტერი — რას ნიშნავსო!

აი, რას ნიშნავს:

**პირველი**, ნიშნავს იმას, რომ იუპიტერს ხელს არ ართმევენ. არ თვლიან საჭიროდ. თავს არ იმდაბლებენ.

**მეორე,** ნიშნავს, რომ იუპიტერი „სხვა ქვეყნების ურთიერთობის“ კომენტირების უფლებას აძლევს თავის თავს, მაშინ, როცა მისი საგარეო საქმეთა სამინისტრო სწორედ ასეთი ჩარევის გამო ტუქსავს რუსეთს — **რა შენი საქმეა ჩვენი და ამერიკის ურთიერთობაო.**

**მესამე,** ნიშნავს იმას, რომ, თუ აქამდე გარკვეული გარემოების მიმართ იყო სააკაშვილი არაადეკვატური, ახლა საერთოდ ასეთი გამხდარა.

იმდენად მოუზომავი და არაადეკვატურია, რომ, მაგალითად, ფრაუ მერკელს, როგორც ადრე, ნათელაშვილსა და ხაინდრავას, რუსეთის აგენტობას აბრალებს; არა მარტო აბრალებს, არამედ **„საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ“ დანაშაულშიც ამხელს.**

სააგენტო „პირველს“ თუ ვენდობით, მიხეილ სააკაშვილს განუცხადებია: **„არ გამოვა, ხელი იმათ ჩამოართვა, რომელიც მეორე ხელით ბავშვებს იტაცებს და საპატიმროში ამწყვდევდეს იმის გამო, რომ სადღაც მდინარის პირას არასწორი ხაზი გადაკვეთეს! ეს არის დანაშაული საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ!“**

ეს კლასიკური ჩიქორთული სწორედ იმგვარად წაკითხვისა და ინტერპრეტირების უფლებას გვაძლევს, როგორითაც ნებისმიერი ობიექტური ადამიანი, ამ ციტატის დედააზრს ფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ამოიკითხავს.

**ჩვენი ქვეყნის საქმე მაშინ წახდა, როცა საქართველოს პრეზიდენტი სხვა ქვეყნის პრეზიდენტებთან საუბრის მთხოვნელთა რიგში ჩადგა, კერძოდ, საფრანგეთის პრეზიდენტს ეხვეწება, დამელაპარაკეო, თანაც პარალელურად, თავს იწონებს რეზიდენციაში დაბარებული დეპუტატების წინაშე: „მე აშშ-ის ვიცეპრეზიდენტს დაველაპარაკები“... და ნახეთ, რა დღეც დაადგებათო.**

პატარა ბიჭები ასე აშინებენ თანატოლებს.

**მიხეილ სააკაშვილს აღარ ურეკავს აშშ პრეზიდენტი, ეს ხომ ვერ ურეკავს და ვერც დაურეკავს, ამიტომ ვიცესკენ გადაინაცვლა, ჯო ბაიდენისკენ: ეგაა მისი მფარველი, რადგან თბილისში სტუმრობისას დედამისს უთხრა — მოუარეთ თქვენს შვილს, იგი ჩვენ გვჭირდებაო.**

**გჭირდებათ და — მშვიდობაში მოიხმარეთ.**

ეს ერთი.

მეორე. ჯერ დაელაპარაკე, ბატონო მიხეილ, მერე იტრაბახე და უბრაგუნე მუშტები. მაგრამ, როცა არ იცი, დაელაპარაკები თუ უარს გეტყვიან სატელეფონო კონტაქტზე, მაშინ „წინასწარი ტრაბახის“ მეტი არაფერი დაგრჩენია, თანაც ისეთი ძალადპრინციპულობითა და შეურიგებლობით, რაც მისი აზრით, კომაში თუ არ ჩააგდებს,ააკანკალებს კოლეგებს და ვიცეკოლეგებს: **„მათთან საუბარში რუსული მხარის იმ პროვოკაციების საკითხს დავაყენებ, რომელსაც თითქმის ყოველდღე აქვს ადგილი“.**

**ჯერ გადახტი, მერე შესძახე „ჰოპლა“!**

**მაგრამ გადახტომაა საქმე.**

აი, ეს კაცი, რომელიც ხან თბილისის იპოდრომზე, ხან რუსთავში და ხან კიდევ სად ბერლინის სიმბოლურ კედლებს აგებინებს ახალგაზრდებს და აგინებინებს სტალინს გერმანიის გახლეჩვის გამო, თვითონ ანაკუწებს და ხლეჩს საქართველოს ბუშისგან ნასწავლი და გადმოღებული კოვბოური მიხდომის პოლიტიკით.

სტალინი წინააღმდეგი იყო გერმანიის დანაწევრების, გერმანიის ერთიანი სახელმწიფოს შენარჩუნებას მოითხოვდა, მაგრამ იძულებული გახდა, დაეთმო მოკავშირეებისთვის და დათანხმებოდა გერმანიის საოკუპაციო სექტორებად დაყოფას.

**სააკაშვილმა იმდენი იძალა, რომ შექმნა სიტუაცია, რომლის შედეგად საქართველო, კაცმა არ იცის, რამდენი ხნით, სამად გაიხლიჩა.**

**სტალინის ძეგლს ეჯაჯგურება ხელისუფლება, სააკაშვილის დაძვრაზე ოპოზიციამ ხელი აიღო.**

**ყველა კმაყოფილია!**

**არმაზ სანებლიძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# საკაშვილის ხელისუფლებისადმი ასლან აბაშიძის პრეტენზიებით სტრასბურგის სასამართლო დაინტერესდა



ქართულ მედიაში „ღორის გრიპის“ ეპიდემიასავით გავრცელდა უკრაინელი ჟურნალისტის „სენსაციური ინტერვიუ“ ასლან აბაშიძესთან, სადაც აბაშიძე თითქოს „დეტალურად“ ყვება ზურაბ ჟვანიას მკვლელობის ჯერ კიდევ გაუხმაურებელ ფაქტებს და უკრაინელ ჟურნალისტთან თურმე არც იმას მალავს, რომ „იგი პოლიტიკიდან არ წასულა“! როგორც ხდება ხოლმე, ამჯერადაც გავრცელებულ „სენსაციაში“ ბლეფის ელემენტები უხვად „დავიჭირე“ და გადავწყვიტე, ასლან აბაშიძესთან პირადად გადამემოწმებინა — მართლა თუ შედგა ეს ინტერვიუ, მართლა ილაპარაკა ჟვანიას მკვლელობის დეტალებზე, მართლა თუ აპირებს ქართულ პოლიტიკაში დაბრუნებას და ა.შ.

**— ბატონო ასლან, საქართველოში ერთი ამბავი ატყდა, აბაშიძემ უკრაინულ გაზეთს ინტერვიუ მისცა, რომელშიც ჟვანიას სიკვდილის დეტალებზე ღიად საუბრობსო. ვიცი, ასეთი საუბარი რომ არ გჩვევიათ და მაინტერესებს, რას მივაწეროთ უკრაინელ ჟურნალისტთან ასეთი გულახდილობა?**

— არანაირი ინტერვიუ არ მიმიცია, ტყუილია ეგ! ოფიციალურ განცხადებას გავაკეთებ ამ თემაზე და აქაურ გაზეთებში დაიბეჭდება, თქვენც მოგაწვდით მიმართვის ტექსტს და დაბეჭდეთ, თუ საჭიროდ ჩათვლით.

**— აქაურ გაზეთებში გამოქვეყნდა ქართველ მილიონერთა სია, რომლებიც თითქოსდა უცხოეთიდან აფინანსებენ ოპოზიციას! ამ სიის თავში თქვენ ხართ, ამბობენ, თითქოს 6 მილიონით „შეეწიეთ ოპოებს“. ამაზე რას იტყვით?**

— ოპოზიცია შენცა ხარ და გამოგიგზავნე რამე? (*იცინის*)... მეტი საქმე არ აქვთ და წერონ, რა ვქნა?..

**— ეს ალიაქოთი თქვენი უცხოელი ადვოკატების თბილისში ჩამოსვლამ ხომ არ განაპირობა? რამდენადაც ვიცი, ბათუმშიც გეგმავენ ჩასვლას... სტრასბურგის სასამართლო სულ მალე განიხილავს თქვენს სარჩელს; ამით ხომ არ არის გამოწვეული მედიის გააქტიურება?**

— ალბათ... ყოველ შემთხვევაში, რა ინფორმაციებიც მანდ გავრცელდა, ტყუილია და არც ერთი იქ „ნათქვამი“ წინადადება მე არ მეკუთვნის! დასკვნები თავად გააკეთეთ, მეტი რა ვთქვა?

**— დიდი მადლობა, მეტი რაღა უნდა თქვათ, ისედაც დღესავით ნათელია, რომ ეს ხმაური „ვილაცას“ ძალიან აწყობდა და ყველაფერი გაკეთდა ზუსტად ისე, როგორც დამგეგმავს ჰქონდა ჩაფიქრებული!**

**ამ ინფორმაციის პირველწყაროსთან გადამოწმებას ასლან აბაშიძის ტელეფონის ნომრის აკრეფის გარდა არაფერი უნდოდა, მაგრამ**

## რის მისაჩქმალად დაიგეგმა აურზაური კონტროლირებად მედიაში?!

**კონტროლირებადმა მედიამ ისე ატრიალა ეს თემა, როგორც „დამკვეთს აწყობდა“ და პირველწყაროსთან დაკავშირება აზრადაც არავის მოსვლია... შესაძლოა, სცადეს კიდეც, მაგრამ თავად აბაშიძემ არ ისურვა რესპოდენტის ნათქვამის „გადაკეთებაში“ გაწაფულ და სააკაშვილის პოლიტბიუროსთან ფარულ გარიგებებში შემჩნეულ კალმოსნებთან საუბარი... ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ასლან აბაშიძის თემის გაცოცხლების მითითება სტრასბურგის სასამართლოს მიერ აჭარის ლომის მიმართ ადამიანის უფლებების უხეში დარღვევებით შესაძლო დაინტერესებას უკავშირდება. როგორც ჩანს, ამჯერადაც სწორედ კონტროლირებადი მედიის მეშვეობით ეცდება სააკაშვილის პიარ მანქანა „აბაშიძის გააქტიურებაზე“ ყურადღების გადატანას, რათა მიჩქმალოს ის, რომ აბაშიძის მიმართ „ხელისუფლების მიერ ჩადენილი ცოდვებით“ სტრასბურგი დაინტერესდა.**

**ირინე გოგოსაშვილი**

## ოფიციალური შეტყობინება პრესისათვის

მიმდინარე წლის 4 ნოემბერს უკრაინის ახალი ამბებისა და ანალიტიკურ ინტერნეტ საიტზე „ВЛАСТИ.НЕТ“ გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „ჟვანია სააკაშვილის თანდასწრებით აწამეს და მოკლეს...“ ეს არის ინტერვიუ, რომელიც ვითომ მე მივეცი ვინმე ორესტ პეტროვს. ამასთან დაკავშირებით ვაცხადებ, რომ:

**პირველი**. ხუთ წელზე მეტია, ინტერვიუ არავისთვის მიმიცია. გამოქვეყნებული მასალა, რომელსაც ავტორი მე მომაწერს, არის წმინდაწყლის გამონაგონი და მტკნარი სიცრუე, რასაც დაემთხვა ჩემი ადვოკატების საქართველოში ჩასვლა. ჩემთვის ცნობილია იმ ადამიანთა წრე, რომლებმაც ეს ინტერვიუ გამიზნულად შეთითხნეს.

**მეორე**. არც პოლიტიკასა და არც ცხოვრებაში საკუთარი თავისთვის არასდროს მიმიცია უფლება თუნდაც ჩემი მტრების მისამართით სალანძღავი სიტყვები გამომეყენებინა. ეს არაა ჩემი სტილი.

**მესამე**. ჩემი ინტერესების სფეროში არის გადაუჭრელი პრობლემები. და ნამდვილად არ მრჩება დრო, ამ ინტერვიუზე მიწერილი სომალელი ყაჩაღების პრობლემებით დავკავდე.

უკრაინის ინტერნეტ საიტ „ВЛАСТИ.НЕТ“-ს გულწრფელად ვუსურვებ წარმატებებს და იმედი მაქვს, მომავალში ვიდრე რაიმე მასალას გამოაქვეყნებენ, ჯერ დარწმუნდებიან მის უტყუარობაში. იმედს ვიტოვებ, რომ ინტერნეტ საიტი „ВЛАСТИ.НЕТ“-ი ნამდვილად წარმოადგენს „მიუკერძოებელ და ამასთანავე, მეგობრულ და თანამშრომლობისათვის ღია საიტს.“ ვიმედოვნებ, ამ საიტის ხელმძღვანელები გულდასმით გაერკვევიან მომხდარში და შესაბამის ზომებს მიიღებენ.

**ასლან აბაშიძე**
***საქართველოს რესპუბლიკის აჭარის ავტონომიის ყოფილი მეთაური***

## გა[illegible] ეხუდნი

**ნოდარ ნათაძე,**
**„სახალხო ფრონტის“ ლიდერი.**
***ჟურნალი „რეიტინგი“***



**ეს სინამდვილეში ფსევდოოპოზიციაა, რომელიც უბრალოდ ყაყანებს. მათ სააკაშვილისთვის ძირითადი დანაშაულები არ წაუყენებიათ ბრალად, რაც სახელმწიფოს წინაშე ჩაიდინა. ეს კაცი არის ქვეყნის მტერი და რუსეთის აგენტი. ის არადემოკრატი და კაციჭამიაა, რომელმაც საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ მომწამვლელი გაზი გამოიყენა.**

**თამაზ წივწივაძე,**
**კრიტიკოსი-პუბლიცისტი.**
***გაზეთი „ასავალ-დასავალი“***



**შეიძლება თანდაყოლილი გულის მანკიც მოიშორო კაცმა... შეიძლება გვიან შეძენილი შიდსიც მოიშორო კაცმა... თქვენ წარმოიდგინეთ, შეიძლება მშობლის ვალიც კი გადაიხადოს შვილმა... მაგრამ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტის პოსტიდან მოშორების პერსპექტივას, მომკალით და, მის ბუნებრივ აღსრულებამდე მე ვერ ვხედავ!..**

**ჭაბუა ამირეჯიბი,**
**მწერალი.**
***გაზეთი „ასავალ-დასავალი“***



**ხალხს ყველაფერი შეიძლება დაემართოს მისი ხელმძღვანელობის მიერ შექმნილი დროის პირობებში, მაგრამ ქართველი ერის იძულება, „პოლიქრონიონი“ იძახოს, შიმშილის დასათრგუნად მაინც, ამას დღევანდელი ხელისუფლება, მიუხედავად კომუნისტური ხელწერისა, ვერ შეძლებს.**

**სოსო ცინცაძე,**
**პოლიტოლოგი.**
***სააგენტო „ფაქტნიუსი“***



**ქართველი პოლიტიკოსი მუდამ უშეცდომო და ღმერთივით მართალია. ეს ფილოსოფიურ-ეთიკური პრობლემაა, ვიდრე – პოლიტიკური.**

**ლელიკო ჯაფარიძე,**
**საოპერო მომღერალი.**
***გაზეთი „ყველა სიახლე“***



**რა დროს მერობაზე ლაპარაკია, როცა ქართველი ხალხის და ქართული სახელმწიფოს მთავარი მტერი პრეზიდენტის რეზიდენციაში ზის?! დამარცხებული მთავარსარდალი თავის ბებიასთან ერთად დარბის შეიხთან, რადგან სხვა არავინ ეძახის...**

**შალვა ნათელაშვილი,**
**ლეიბორისტული პარტიის ლიდერი.**
***გაზეთი „პრაიმტაიმი“***



**რასაც მე ბადრი ბიწაძის საცოდაობას ვუყურებ, ჩემს ცოლს როგორ გავუშვებ, კაცო, პოლიტიკაში?!**

**მერაბ ელიოზიშვილი,**
***მწერალი.***
***გაზეთი „კვირის პალიტრა“***



**საზოგადოებას არ შეუძლია ცქერა სარდლისა, რომელიც გარბის და თივაში იმალება... რომელიც ღეჭავს საკუთარ ენას! ახლა მითხარით თქვენა, რომ გაიგებს ჩემს აზრს ის, ვისზედაც ვლაპარაკობ, არ დამიწყებს ჭამას?!**

## ერეკლე მეფის ხსოვნას პატივი მიაგეს

**7 ნოემბერი დიდი მეფის-ერეკლე მეორის დაბადების დღეა. ერეკლე მეორის საზოგადოების ინიციატივით, მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში დეკანოზმა მამა კონსტანტინე პაიჭაძემ დიდი მეფის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი აღავლინა. სანთლებით აციაგდა საფლავზე გამოსახული ფარი და მახვილი წარწერით: „ერეკლე მეფე — 1720-1798.“**

**თედო ხოსროშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელი:**

— დღეს თელავში დიდი დღესასწაულია, ბუმბერაზი მეფის — ერეკლე მეორის დაბადების დღე. მას 289 წელი შეუსრულდა. ჩვენმა გუბერნატორმა და თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გადაწყვიტა, პატარა დელეგაცია სვეტიცხოველში ჩამოსულიყო და ერეკლე მეორის საფლავთან პარაკლისი აღვლენილიყო.

**არჩილ ჭყოიძე, ერეკლე მეორის საზოგადოების თავმჯდომარე:**

— ერეკლე მეორის დაბადების დღე მთელმა საქართველომ უნდა აღნიშნოს, რადგან დიდი მეფის გონივრულმა პოლიტიკამ 200 წლის წინათ საქართველო გადაარჩინა.

სამ იმპერიას შორის მოქცეული ქვეყანა, რომელიც ოსმალეთსა და სპარსეთს ჰქონდა დანაწილებული, ერეკლეს სიმამაცემ იხსნა და იმ საზღვრებში დააბრუნა, რომელშიც გიორგი ბრწყინვალეს დროს იმყოფებოდა. მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ საკუთარი ისტორია — ამიტომ გვმართებს ჩვენი გმირების დაფასება და მათი ხშირი ხსენება.

მცხეთაში პირველად ერეკლე მეორის საზოგადოების ეგიდით და მცხეთის მუნიციპალიტეტის თანადგომით, ერეკლე მეორის სახელობის ტურნირი გაიმართა ფეხბურთში მოსწავლეებს შორის. ტურნირში მცხეთის, ნატახტრის, საგურამოსა და ძეგვის 4 გუნდი მონაწილეობდა. გაიმარჯვა ნატახტრის გუნდმა, რომელსაც ერეკლე მეორის საზოგადოების მიერ დაწესებული თასი გადაეცა.

— ეს ტურნირი ტრადიციად იქცევა და დიდ მასშტაბს შეიძენს. გვინდა, რომ მომავალი წლიდან ერეკლეს თასი დავაწესოთ. აღსანიშნავია, რომ ტურნირში ეროვნებით ოსი სამი ახალგორელი დევნილი მონაწილეობდა. მშვიდობა უნდა ვუსურვო ჩვენს ძმებს — ოსებს, აფხაზებსა და რუსებს. „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო“, — ამბობს ქართველი კაცი.

**ლალი შანიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# FBI-ის გამოძიება, რის გამოც რუს ოლიგარქსა და პატარკაციშვილის ქვრივს 30-წლიანი პატიმრობა ემუქრებათ...

**ცნობილი საადვოკატო კომპანია „DEBEVOISE & PLIMPTON LLP“-ი, შესაძლოა, სკანდალში გაეხვიოს. უფრო სწორად, იმ ინფორმაციის მიხედვით, რომელიც „ფაქტნიუსისთვის“ გახდა ცნობილი და რომლის შესახებაც ქართულ მედიაშიც დაიბეჭდა, ზემოხსენებული კომპანიის პარტნიორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ინგლისის ყოფილმა პროკურორმა და, ამასთან, ბრიტანეთის სინდისად აღიარებულმა ლორდმა გოლდსმიტმა აწ გარდაცვლილი ბიზნესმენის, ბადრი პატარკაციშვილის მეუღლის, ინა გუდავაძის ადვოკატობაზე უარი განაცხადა. ერთ-ერთი ქართული გაზეთისთვის მიცემულ კომენტარში ინა გუდავაძის წარმომადგენელი, ნონა ყანდიაშვილი ამ ინფორმაციას ადასტურებს. ამასთან, „რუსთავი 2“-ის სატელეფონო კომენტარში აწ გარდაცვლილი ბიზნესმენის და, ნანა პატარკაციშვილი ლორდ გოლდსმიტთან ურთიერთობის გაწყვეტის მიზეზად ფინანსურ პრობლემებს ასახელებს...**


ბადრი პატარკაციშვილი და ბორის ბერეზოვსკი


ინა გუდავაძე

მიუხედავად ამისა, საინტერესოა, რატომ მიიღო გოლდსმიტმა ზემოხსენებული გადაწყვეტილება და რა კავშირი აქვს ამ ნაბიჯთან ე.წ. ზელცერის საქმეს?

ინფორმაცია, რომელიც „ფაქტნიუსისთვის“ გახდა ცნობილი, ჯერჯერობით არაოფიციალურია და, როგორც წყარო ამბობს, ოფიციალურმა პირებმა, შესაძლოა, კარგა ხანს არც დაადასტურონ და ამაში გასაკვირი, ალბათ, არაფერი იქნება, რამეთუ საქმე, არც მეტი, არც ნაკლები, ბორის ბერეზოვსკის ახალ პოლიტიკურ თამაშს ეხება.

ყველაფერი კი, კონფიდენციალური ინფორმაციით რამდენიმე კვირის წინათ, ანუ მაშინ დაიწყო, როცა არცთუ სუფთა წარსულის ებრაული წარმოშობის რუსი ოლიგარქი თბილისში საიდუმლო ვითარებაში ჩამოვიდა. სხვათა შორის, ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ბერეზოვსკი „თბილისური ტურნეს“ ფარგლებში მხოლოდ „ნაციონალ“ ე.წ. რუხ კარდინალებს კი არა, თავად ქვეყნის პირველ პირსაც შეხვდა, თუმცა მმართველ გუნდს ამ ბრალდებაზე კომენტარი ამ დრომდე მინიშნებითაც არ გაუკეთებია.

ერთი ვერსიით, ბერეზოვსკის თბილისური ვოიაჟის მიზანი კავკასიური არხის შექმნა იყო, თუმცა კულუარული ინფორმაციით, ბერეზოვსკი საქართველოს ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს, რომ მან და აწ გარდაცვლილი ბიზნესმენის, ბადრი პატარკაციშვილის ქვრივმა, ინა გუდავაძემ საქართველოში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღონ.

სიტუაცია, ერთი შეხედვით, აბსურდულია, ანუ იბადება კითხვა: ბერეზოვსკი, რომელიც რუსეთიდან გაქცევის შემდეგ, დიდ ბრიტანეთში თავს უსაფრთხოდ გრძნობს, რატომ ითხოვს თავშესაფარს საქართველოში?

„ფაქტნიუსის“ წყაროს ინფრომაციით, ბერეზოვსკი და, შესაბამისად, პატარკაციშვილის ქვრივიც დიდ შარში არიან გახვეულნი. საქმე კი სკანდალურად ცნობილ ადვოკატს, ემანუელ ზელცერს ეხება, თუმცა მოვლენათა განვითარებას ქრონოლოგიურად მივყვეთ:

ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ, ოლიგარქის ქონებასთან დაკავშირებულ დავაში რუსეთში დაბადებული ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე, ამერიკულ-რუსული ინსტიტუტის დირექტორი, ემანუელ ზელცერი ერთვება, რომელიც ჯოზეფ ქეის ინტერესებს იცავს.

მართალია, პატარკაციშვილს ბელორუსში ქონება არ გააჩნდა და იქ ჩასვლას არც ზელცერი გეგმავდა, მაგრამ 2008 წლის 12 მარტს ადვოკატი, რომელიც ბერეზოვსკის თვითმფრინავით მგზავრობდა, ანაზდეულად ბელორუსში ხვდება და ტრაპზე ფეხის დადგმისთანავე ბელორუსის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, ანუ ადგილობრივი კა-გე-ბე აკავებს.

21 მარტს ბელორუსი ძალოვნები, ბელორუსის სისხლის სამართლის კოდექსის 318 მუხლის მეორე ნაწილით, ზელცერს ბრალს ყალბი დოკუმენტების შენახვაში სდებენ. ბრალის წაყენებიდან ერთი თვის შემდეგ კი, ანუ 12 აპრილს მას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ათავსებენ და ორი კვირის მანძილზე ადვოკატზე დაკვირვებას კომუნისტური პროგრამით „მკურნალობა“ პოლიტპატიმრებისთვის“ აწარმოებენ.

## ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ადვოკატზე დაკვირვებას ორი კვირის მანძილზე აწარმოებენ კომუნისტური პროგრამით „მკურნალობა პოლიტპატიმრებისთვის“.


ემანუელ ზელცერი

აშშ ბელორუსში დატყვევებულ თავის მოქალაქეს უყურადღებოდ არ ტოვებს — 2008 წლის 25 აპრილს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში ბელორუს დიპლომატებს იბარებენ და ზელცერის გათავისუფლებას სთხოვენ. ოთხი დღის შემდეგ, 29 აპრილს კი, თეთრი სახლი ოფიციალურ მინსკს ზელცერის გათავისუფლებას ოფიციალურად სთხოვს...

მოგვიანებით, ანუ 2008 წლის 7 მაისს, ე. წ. ზელცერის საქმეში ჰუმანიტარული ორგანიზაცია „ემნესტი ინთერნეშნელი“ ერთვება და სამართალდამცავების მიერ ზელცერის სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებით საქმეს აღძრავს. ამასთან, „ამნესტი“ თავის წევრებს სთხოვს, ბელორუს ძალოვანებზე მოახდინონ ზეწოლა, რათა ზელცერს სასიცოცხლოდ აუცილებელი წამლები გადასცენ.

2008 წლის 27 მაისს ბელორუსი სამართალდამცავები ზელცერს ბრალს უკანონო, განსაკუთრებით კი, „ფსიქოტროპული ნივთიერებების“ შემცველი წამლების ქვეყანაში შეტანაში სდებენ, თუმცა სამართალდამცავები ყურადღებას არ აქცევენ იმ გარემოებას, რომ ამ წამლებს ზელცერი 15 წლის მანძილზე კანონიერად იღებს.

ერთი სიტყვით, ბელორუსის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, იგივე კა-გე-ბე ზელცერს ბრალს ნარკოტიკული ნივთიერებების ქვეყანაში შეტანისა და ყალბი დოკუმენტების შენახვის პარალელურად, ბიზნეს-შპიონაჟშიც სდებს...

2008 წლის 6 აგვისტოს ბრიტანეთს თავშეფარებული ოლიგარქი ბორის ბერეზოვსკი სასამართლოს ჩვენებას აძლევს... ხუთი დღის შემდეგ კი, 11 აგვისტოს, სასამართლო ემანუელ ზელცერს ბელორუსში ნარკოტიკული ნივთიერების შეტანის ბრალდებას უხსნის, სამაგიეროდ, დამნაშავედ სცნობს კომერციული შპიონაჟის მცდელობასა და ყალბი დოკუმენტების განზრახ გამოყენებაში და მას 3 წლით თავისუფლების აღკვეთას უსჯის.

2008 წლის 14 ნოემბერს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერი, რობერტ ვუდი ზელცერის საქმეზე ბრიფინგს მართავს. „ბელორუსის მთავრობამ ზელცერი დააკავა და გაასამართლა საკმაოდ საეჭვო გარემოებებზე დაყრდნობით, რომელშიც რუსი ოლიგარქი, ბორის ბერეზოვსკიც ფიგურირებს. ზელცერი სასამართლო პროცესზე არ დაუშვეს. ადვოკატს გაუსაძლისი პირობების ატანა მოუხდა — არ აძლევდნენ სასიცოცხლოდ აუცილებელ წამლებს, აწამებდნენ, შემდეგ კი გადაიყვანეს მკაცრი რეჟიმის კოლონიაში, ბელორუსის ქალაქ მოგილევის მახლობლად,“ — განაცხადა ვუდმა და ასევე უპასუხა შეკითხვებს:

**— ბელორუსი ვალდებულია, გაათავისუფლონ ემანუელ ზელცერი? როგორც მისი ადვოკატისგან ვიცი, ოქტომბერში შემდგარი მოლაპარაკების შემდეგ, იგი მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გადაიყვანეს...**

— თქვენ მართალი ბრძანდებით, იგი ჯერ კიდევ დაკავებულია. ჩვენ მივმართეთ ბელორუსის მთავრობას, ჰუმანური პრინციპებიდან გამომდინარე, გაათავისუფლოს ზელცერი. როგორც მოგეხსენებათ, იგი ძალიან ავადაა და ჩვენ შეწუხებულები ვართ მისი მდგომარეობით.

**— განიხილავთ თუ არა მის გათავისუფლებას ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუმჯობესების პირობად?**

— დიახ, ეს უდაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

ზელცერის საქმე რეზონანსული რომ იქნებოდა, ეს თავიდანვე ჩანდა, თუმცა, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ამ საქმით ამერიკის ადმინისტრაცია დაინტერესდებოდა. როგორც „ფაქტნიუსს“ აცნობეს, 2009 წლის მაისში აშშ-ის იუსტიციის სამინისტრომ, სახელმწიფო დეპარტამენტისა და სენატის სპეციალური კომიტეტის მოთხოვნით, დაიწყო წინასწარი გამოძიება ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქის, ადვოკატ ემანუელ ზელცერის ბელორუსის რესპუბლიკაში უკანონო დაკავებისა და დაპატიმრების ფაქტზე. ამასთან, წყაროს თქმით, საქმეში ეჭვმიტანილების სტატუსით ბორის ბერეზოვსკი და ინა გუდავაძე ფიგურირებენ.

ერთი თვის წინათ, სექტემბერში, ზელცერმა ორგანიზებული დანაშაულის კონტროლის შესახებ კანონზე დაყრდნობით რუსი ოლიგარქის, ბერეზოვსკისა და აწ გარდაცვლილი ბიზნესმენის, ბადრი პატარკაციშვილის ქვრივის, ინა გუდავაძის წინააღმდეგ ნიუ იორკის სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

ოქტომბერშივე, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ბრიტანეთის საემიგრაციო სამსახურს ატყობინებს, რომ ფედერალური გამოძიების ბიურო ასრულებს გამოძიებას ადამიანის მოტაცებისა და გამოძალვის ფაქტზე.

თუ წყაროს დავუჯერებთ, ლორდმა გოლდსმიტმა ზემოხსენებული გადაწყვეტილება სწორედ ამ სარჩელის გამო მიიღო, ანუ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდება დადასტურდა, ზელცერის გატაცებაში ბრალი, პირდაპირ თუ ირიბად, შესაძლოა, ცნობილი საადვოკატო ფირმის წარმომადგენელსაც დაედოს, რაც მის რეპუტაციაზე არცთუ სახარბიელოდ იმოქმედებს.

სხვათა შორის, აწ გარდაცვლილი ბიზნესმენის ოჯახი ზემოხსენებულ კულუარულ ინფორმაციებს აბსურდს უწოდებს. შესაძლოა, წყაროს ვერსიები მეტ-ნაკლებად გადაჭარბებულია, მაგრამ თავისთავად საგულისხმოა, რომ ყველაფერი ბორის ბერეზოვსკის საქართველოში საიდუმლო ვიზიტს ემთხვევა, ანუ არსებობს ეჭვი, რომ სწორედ ზემოხსენებული სარჩელის გამო რუსი ოლიგარქი საქართველოს ხელისუფლებას პოლიტიკურ თავშესაფარს სთხოვს. ამასთან, არც ისაა გამორიცხული, რომ ლორდმა გოლდსმიტმა გუდავაძის ადვოკატობაზე უარი ბერეზოვსკის რეკომენდაციით თქვა, ანუ დაუდასტურებელი ინფორმაციით, საქართველოში ფარული ვიზიტით მყოფმა ბერეზოვსკიმ ქართველ მაღალჩინოსნებს თითქოს პირობა მისცა, რომ უცხოეთში პატარკაციშვილის ოჯახისგან ინიცირებული სასამართლო პროცესები შეწყდებოდა...

ერთი სიტყვით, არაოფიციალურობის მიუხედავად, ვერსიები ლოგიკურია...

**საინფორმაციო სააგენტო „ფაქტნიუსი“**
**სპეციალურად „საქართველო და მსოფლიოსთვის“**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# თუ მერაბიშვილს საკუთარი თანამშრომელი რამედ ულირდა, იპოვოს ლევანის მკვლელი

**„მოდულის“ შენობის გარე პერიმეტრის დაცვის სამმართველოს ოფიცერი ლევან ოდიკაძე 2008 წლის 11 აგვისტოს თბილისის ზღვაზე გარდაცვლილი იპოვეს. ოჯახის წევრებმა დღემდე არ იციან, რა მოხდა, რადგან მკვლელობის მუხლით აღძრული საქმე ჯერაც გაუხსნელია. გარდაცვლილის მამის — ნოდარ ოდიკაძის თქმით, გამოძიებას შეგნებულად აჭიანურებენ, სასამართლოს არაერთი ხელჩასაჭიდი ფაქტი აქვს და ობიექტურად არც ერთს არ იყენებს. უფრო მეტიც, საქმე ხელოვნურად იბლოკება, რადგან მასალების გაცნობასა და საქმის შესწავლაში ოჯახის ადვოკატსაც ხელს უშლიან. საინტერესოა, ვის რატომ აინტერესებს ოდიკაძის საქმის მიჩუმათება, რატომ არ სურს მერაბიშვილის უწყებას მოკლული თანამშრომლის — 25 წლის ახალგაზრდის საქმის გახსნა, რატომ არ აქცევენ ყურადღებას მოწმეთა ჩვენებებს? ,,საქართველო და მსოფლიო“ ლევანის მამას — ნოდარ ოდიკაძეს დაუკავშირდა.**



## ჩემი შვილის საქმეს 5 მოწმე ჰყავს და მკვლელის პოვნა რატომ გახდა ასეთი უსაშველო?!

— ლევანი 1983 წელს დაიბადა, ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა, ფეხბურთს თამაშობდა, — **ამბობს ნოდარ ოდიკაძე,** — 2004 წელს ჯარში წასვლა მოუწია. „მოდულის“ შენობაში წელიწადნახევარი მსახურობდა და შენობის გარე პერიმეტრის დაცვა ევალებოდა. როგორც ჩანს, განყოფილების გამგეს ლევანი ძალიან მოეწონა და მითხრა, თუ რამე ადგილი გამოჩნდა, აუცილებლად დავასაქმებთო. მართლაც, დამირეკეს და მითხრეს, ოფიცრის ადგილი გამოჩნდა, იქნებ თქვენი შვილი მოვიდესო. ლევანმაც განცხადება დაწერა და სამი თვის ლოდინის შემდეგ, ჩემდა საუბედუროდ, ვანო მერაბიშვილმა საბუთებს ხელი მოაწერა. მუშაობა 2008 წლის იანვარში დაიწყო, 8 აგვისტოს შემდეგ კი შვილი თვალით აღარ მინახავს.

შვიდ აგვისტოს, ომის დაწყებისას, ლევანი სამსახურში მორიგეობდა. ცხადია, ქვეყანაში შექმნილი საომარი მდგომარეობის გამო, ოჯახში შეშფოთებული ვიყავით. ამიტომაც მე და ჩემი მეუღლე შვილთან ხშირად ვრეკავდით. დილით ორივე ცალ-ცალკე ვესაუბრეთ და გვითხრა — ნუ გეშინიათ, ჩვენ გორში წასვლა არ გვეხება, უბრალოდ, ყაზარმულ რეჟიმზე გადავდივართ, მოვალ სახლში და ხვალ ისევ უნდა დავბრუნდე სამსახურშიო. ეს საუბარი შედგა 8 აგვისტოს, დილით, თორმეტის ნახევარზე. ამის მერე ჩემი შვილის ხმა არ გამიგონია. მობილური გაითიშა. დილით წამოვიდა, მაგრამ სახლამდე ვერ მოაღწია.

**— კონკრეტულად რა მოხდა, რატომ ვერ მოვიდა ლევანი სახლში?**

— რვაში, როცა ლევანი დაიკარგა, ბოლოს განხორციელებული ყველა სატელეფონო საუბარი ამობეჭდეს, მაგრამ ამ ამონაბეჭდში ჩვენი საუბარი არ ყოფილა. ვცადე, გამერკვია. წავედი „მაგთიკომის“ ოფისში და მოვუყევი, რაც მოხდა. მიპასუხეს, მსგავსი პრეცედენტი მსოფლიოში არ არსებობს, **2 საათში დაგვირეკეთ და ყველაფერს გაგირკვევთო. ორი დღის რეკვის შემდეგ ძლივს დავუკავშირდი. ალბათ, გაიგო საქმის ვითარება და საუბრის წაშლის ალბათობა უკვე დასაშვები გახადა.** მოკლედ, ჩემი მეუღლის სატელეფონო საუბრის შემდეგ დღეისათვის არც ერთი ნალაპარაკევის ჩანაწერი არ არსებობს. სინამდვილეში, მას შემდეგ იყო ჩემი და კიდევ ვიღაც პიროვნების ზარი, რომელმაც ლევანი იმ საბედისწერო დღეს გზიდან მოაბრუნა. ბოლოს ვიდეოთვალმა ჩემი შვილის მანქანა ჯავახეთის ქუჩაზე დააფიქსირა — იქ ათიოდე წამით გაჩერდა. ეტყობა, ვიღაცამ გააჩერა.

**— თქვენი აზრით, ვის შეეძლო ლევანის გზიდან მობრუნება?**

— არ ვიცი, ვინ მოაბრუნა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: სამსახურის ფორმით იყო და გასართობად არ წავიდოდა. როგორც ჩანს, ძალიან შინაურმა დაურეკა ან სამსახურიდან მისმა ზემდგომმა მოაბრუნა. ლევანი წოდებით კაპრალი იყო, ცვლის უფროსის მოადგილე გახლდათ. გზად მეგობარი მოჰყვებოდა. იგი თავის ჩვენებაში წერს, რომ ორთაჭალაში „ასტორიასთან“ ჩავიდა და ლევანმა გზა ისნისკენ გააგრძელა.

### დღეს სასამართლოს ჰყავს მოწმეები და საქმის გამოძიება რამ უნდა დააბრკოლოს? ისინი ჰყვებიან, თუ როგორ ჩაარტყეს თავში ლევანს ბლაგვი საგანი, გამოათრიეს, ჩასვეს მისსავე მანქანაში და მოკლეს.

ამბობენ, თითქოს ჩემი შვილი ვიღაცასთან ერთად თბილისის ზღვაზე საქეიფოდ წავიდა, მერე შეკამათდნენ, ნაძვნარში შეიყვანეს და უბედურებაც იქ დატრიალდა.

**— ჩაუტარდა თუ არა გარდაცვლილს ექსპერტიზა და რა მდგომარეობაში იყო თქვენი შვილის ცხედარი, როცა იპოვეს?**

— დიახ, ჩაუტარდა. ექსპერტიზის მტკიცებით, მას თავში ბლაგვი საგანი აქვს ჩარტყმული. არც სისხლი და არც სხვა რაიმე კვალი ჩანს. მის მანქანაში წინა სავარძლის ქვეშ „მაკაროვის“ სისტემის ტყვიის მასრა იპოვეს. საქმეში მალევე ჩაერთო ქალაქის სამმართველოს პოლიცია, მაგრამ — უშედეგოდ. როგორც გამომძიებლები გვეუბნებიან, ვერ იგებენ, მასრა ვის ეკუთვნის. შვილის ცხედარი არ მინახავს. იქნებ, ტყვიითაც იყო მოკლული. სამწუხაროდ, არაფერი ვიცი. უკვე ყველაფერს ეჭვის თვალით ვუყურებ. ლევანი ცინკის კუბოთი მომიყვანეს სახლში და არ გაგვიხსნია. სადაც იპოვეს, იქ არ ვყოფილვარ. მოგვიანებით დამირეკეს, მორგში მობრძანდითო. ლევანს სამი დღე ეძებდნენ. იმდენად ბურუსითაა მოცული ყველაფერი, რომ დღეს თავში ათასი ვერსია მიტრიალებს. რვაში რომ არ დაბრუნდა, ვიფიქრე, 25 წლის ბიჭია, იქნებ, სადმე დარჩა-მეთქი. ცხრაში ისევ სამსახურში უნდა ყოფილიყო, ვიცოდი, რომ ვერ გააცდენდა, მაგრამ ვეღარ ვუკავშირდებოდით.

ავფორიაქდით, საშინელ დღეში ჩავცვივდით. ეტყობა, ჩვენი მდგომარეობა გაითვალისწინეს, შეგვიბრალეს და ცხედარიც გამოაჩინეს. ლევანი ვიღაც მწყემსმა ჯილაურმა იპოვა. მან ნახა მანქანაში გარდაცვლილი ბიჭი და პატრულს შეატყობინა. მანქანა დაზიანებული არ იყო. მხოლოდ პირადობის მოწმობა და მობილური დაიკარგა. მოგვიანებით დამირეკეს და მითხრეს — ცხედარი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, იხრწნება და აუცილებლად ცინკში უნდა მოვათავსოთო. ცუდად მოვიქეცი, დაკრძალვის დღეს რომ არ ავხადე, თუმცა არც ახლაა დაგვიანებული — თუ საქმისათვის საჭირო გახდება, ექსპერტიზას მაინც გავაკეთებ.

**— ჯილაურმა სად იპოვა ლევანის ცხედარი, არიან თუ არა თვითმხილველები და რას ყვებიან ისინი?**

— თბილისის ზღვაზე იპოვეს. მოწმეები ჰყავთ, მაგრამ დანაშაულს მაინც ვერ ხსნიან. დაკითხვაზე 5 კაცი მიიყვანეს. ყველა მათგანს სათითაოდ ესაუბრნენ და გაუშვეს. ერთ-ერთ მოწმეს, მწყემსს, დანაშაულის დაფარვის ბრალდებით ორი წელი და შვიდი თვე მიუსაჯეს. შვიდი თვის შემდეგ საპროცესო გარიგებით გამოუშვეს. გამოძიებასთან თანამშრომლობა მოსთხოვეს. ფაქტობრივად, საქმე არც გამოუძიებიათ. არ ვიცი, რა უშლით ხელს. ხუთი მოწმე ჰყავთ, წელიწადი და სამი თვე გავიდა და არაფერი ისმის. სასამართლოსთვის ხშირად ერთი მოწმეც საკმარისია დანაშაულის გასახსნელად, ჩემი შვილის საქმეს 5 მოწმე ჰყავს და რატომ გახდა ასეთი უსაშველო?!

### ერთადერთი ბიჭი მყავდა და ისიც გამომაცალეს ხელიდან. საშინელი ტანჯვა და ტკივილი მომაყენეს. ეს ენით აუწერელი უბედურებაა.

ზოგჯერ მგონია, დამცინიან. ოცდარვა ოქტომბერს, ვინ იცის, უკვე მერამდენედ, ქალაქის პოლიციის სამმართველოში დამიბარეს. გავქანდი, მეგონა, რაღაც გაარკვიეს და, ჩემდა გასაოცრად, გამომძიებელი მეკითხება, რამე ახალი ვერსია ხომ არ იციო? ამაზე მეტი დაცინვა და დამცირება რა უნდა იყოს?! გამოდის, ჩემგან ელიან სიახლეს...

თვითმხილველთა თქმით, ჩემი შვილი თბილისის ზღვაზე ქეიფობდა, შემდეგ საქმის გარჩევა დაიწყეს. არადა, მას მსგავსი გარჩევები არც იზიდავდა. თუ გამოძიება უნდათ, ამდენი ხელჩასაჭიდი ფაქტის მერე რას ელოდებიან. ბევრჯერ მივმართე მერაბიშვილს, მაგრამ — უშედეგოდ. მისივე თანამშრომელი იყო, რვა თვის საქმიანობის მანძილზე მადლობაც მიიღო და არ ინტერესდებიან, ასეთ ბიჭს რა შეემთხვა. ნუთუ მათივე პრესტიჟის საქმე არაა მომხდარის გამოძიება?!

**— როგორ გგონიათ, რა მოხდა სინამდვილეში და, თქვენი აზრით, საქმის გამოძიებას რა უშლის ხელს?**

— ვერ გეტყვით. ეგ ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ, გამოძიების მტკიცებით, ლევანს მტერი არ ჰყავდა, რაც ისედაც ვიცოდი. იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ჩემი შვილია, ყველა მისი ნაცნობი დამიდასტურებს, რომ მეგობრებისთვის, ღიმილისა და სიკეთისთვის იყო დაბადებული. ასე უცებ გამიქრა შვილი. **თუ მერაბიშვილს თანამშრომელი რამედ ულირდა, იპოვოს ლევანის მკვლელი. მათ ისე მოაწყეს თავიანთი სისტემა, რომ არაფერი გამოეპარებათ და ამას ვერ არკვევენ?!**

ერთ რამეში თანდათან უფრო ვრწმუნდები: **ჩემი შვილის მკვლელობა სამსახურთან კავშირში რომ არ იყოს, მერაბიშვილი და მისი უწყება თანამშრომლის საქმეს გაუხსნელად არ დატოვებდა. არ უნდათ და არც აკეთებენ.** მკვლელმა პასუხი უნდა აგოს. თავს ზევით ძალა არ მაქვს. ვისთან მივიდე, ვის ვუჩივლო, არ ვიცი. გამოძიება დუმს. უფრო მეტიც, მე მეკითხებიან, ვერსიები ხომ არ იციო. ასე რომ იყოს, მათ შევეხვეწებოდი, გამოიძიეთმეთქი?

**— თქვენი შვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი იყო, ხომ არ ფლობდა საიდუმლო ინფორმაციებს და რას გეუბნებათ ადვოკატი?**

— ვერ გეტყვით, სამსახურიდან რა ინფორმაცია უნდა ჰქონოდა. მისი ძირითადი საქმე შენობაში პირთა შეშვება-არშეშვება იყო. ვინაიდან ეს აგვისტოს მოვლენებს დაემთხვა, შესაძლოა, შენობაში რაღაც სერიოზული ფაქტის მოწმე გახდა, რისი გამომზეურებაც ხელს არ აძლევდათ და ამიტომაც მოიცილეს. დღითი-დღე ვრწმუნდები, რომ სანამ ეს ხელისუფლება იარსებებს, ვერაფერს მივაღწევ. რა არ ვცადე, სახალხო დამცველის აპარატსაც მივმართე, თუმცა — უშედეგოდ. ლევანის ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილია. ისიც ვერაფერს გახდა. ვითარებას რომ გასცნობოდა, საბუთები დღემდე არ მიაწოდეს. ეუბნებიან, საქმე გამოძიების პროცესშია და ვერ მოგცემთო. წინა ადვოკატმაც ვერაფერი გააწყო.

**— მომხდარიდან საკმაოდ დიდი დრო გავიდა... რის იმედი გაქვთ?**

— ამ ტრაგედიამ უფრო მეტად მიმაჯაჭვა რელიგიას. უფლის იმედითღა დავდივარ. მჯერა, ყველას აუცილებლად მიეზღვება. სიკეთით სავსე ახალგაზრდა კაცს სიცოცხლე მოუსწრაფეს და არავინ არაფრად მაგდებს. განა ცოტაა ჩემსავით გამწარებული მშობელი? მე რის იმედით უნდა ვიყო, როცა სხვებმა თავიანთი შვილების მკვლელების ვინაობა იციან და მათ საქმეებზე ყურს არ იბერტყავენ. დამნაშავის დასჯას ვითხოვ, ნუთუ ეს შეუძლებელია?!

ჩემმა ცხოვრებამ აზრი დაკარგა. ახლა ერთი სურვილიღა მამოძრავებს: სანამ პირში სული მიდგას, მკვლელს აუცილებლად მივაგნებ. უნდა თქვას, რატომ მომიკლა შვილი. სხვა არაფერი მინდა. რა დააშავა ლევანმა? იქნებ, მართლაც რაღაც საიდუმლო ინფორმაციას ფლობდა... მითხრან, რა მოხდა!

ესაუბრა
**ირმა ჩიტაია**

## «შვილი ცინკის კუბოთი მომიყვანეს სახლში და არ გაგვიხსნია»

## «სანამ ეს ხელისუფლება იარსებებს, ვერაფერს მივაღწევ»

11 - 17 ნოემბერი, 2009 წელი. №37
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## არნო ხიდირბეგიშვილი:

# ნახე, როგორ უბერავს?!






გასული კვირის ორ მოვლენას — **ჩასაბერი** ინსტრუმენტების პირველ ფესტივალსა და ი. ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტების წინაშე მიხეილ სააკაშვილის გამოსვლას, ერთი შეხედვით, საერთო თითქოს არაფერი აქვს, თუმცა, ორივე შემთხვევაში, **მათი მთავარი მონაწილენი, ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც, უბერავდნენ!**

პირველი ლედის პატრონაჟით ჩატარებული ფესტივალის მონაწილეების შემთხვევაში ყველაფერი ნათელია; აი, რაც შეეხება მის მეუღლეს, ანუ საქართველოს პრეზიდენტს, გასულ კვირას იგი განათლების სისტემის რეფორმაში განცდილი მარცხისთვის **„უბერავდა“**, და არა მხოლოდ......

ეს ის იშვიათი შემთხვევათაგანია, როცა სააკაშვილის საკუთარ PR-უნარების იმედად დარჩენამ და გონიერი მრჩევლების, იმიჯმეიკერებისა და სპიჩრაიტერების არყოფნამ შესაბამისი შედეგი გამოიღო, მიუხედავად იმ **არსობრივად მართებული, თუმცა დაგვიანებული გზავნილებისა,** მისი გამოსვლა რომ შეიცავდა.

მოდი, ყველაფერს წესისა და რიგისამებრ მივყვეთ.

— უპირველეს ყოვლისა, მე არ ვურჩევდი პრეზიდენტ სააკაშვილს, თავისი არსით ასეთი პროგრამული და კონცეპტუალური სიტყვით გამოსულიყო (რომელიც არა მარტო განათლების რეფორმაში დაშვებულ შეცდომებს, არამედ, არც მეტი, არც ნაკლები, **ქართველი საზოგადოების მენტალიტეტის რეფორმირებას** ეხებოდა!) ამ საკითხებში არაკომპეტენტური ახალგაზრდა აუდიტორიის — თბილისის ერთ-ერთი უნივერსიტეტის სტუდენტების წინაშე (რომლებიც სტუდენტებად სწორედ ამ შეცდომების წყალობით იქცნენ);

— პრეზიდენტ სააკაშვილს მის ამჟამინდელ რთულ მდგომარეობაში უფრო მეტად წაადგებოდა **ღონისძიებანი, რომლებიც ხაზს გაუსვამდა მისი, როგორც საქართველოს ლეგიტიმური პრეზიდენტის, ოფიციალურ სტატუსს,** რაკი დღეს, საქართველოში და მის გარეთ, ამ სტატუსში ბევრს ეჭვი ეპარება. ასეთ ღონისძიებად შეიძლებოდა ქცეულიყო ტელემიმართვა ქართველი ხალხისადმი, საქართველოს პარლამენტში ექსტრენულ სხდომაზე გამოსვლა, რომელსაც დაესწრებოდა მთავრობა სრული შემადგენლობით; ანდა გამოსვლა მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე, როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ასევე საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერთა, უკლებლივ ყველა საპარლამენტო ფრაქციის ხელმძღვანელთა და უშიშროების საბჭოს წევრთა თანდასწრებით;

— ზემოაღნიშნული მიზეზითვე, მიმაჩნია, რომ პრეზიდენტ სააკაშვილისთვის დღეს **უკუჩვენებითია ტანსაცმლის პარტიკულარული სტილი** (საზოგადოების წინაშე ჯინსით, „როლინგით“, ტყავის ან კუბოკრული ქურთუკით წარდგომა; ისე, როგორც ეს გასულ კვირას უნივერსიტეტსა და სხვა ღონისძიებებზე იყო): პროტოკოლით გათვალისწინებული კოსტიუმ-ჰალსტუხი-თეთრი პერანგი, ისევე, როგორც მისი საყვარელი გერბიანი გადასატანი ტრიბუნა, სწორედ ის ატრიბუტებია, რომლებიც **ხაზს უსვამს მის ოფიციალურ საპრეზიდენტო სტატუსს,** რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისთვის ახლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

(რა თქმა უნდა, პრეზიდენტის სამოსის „თავისუფალი სტილი“ შემთხვევითობად არ მიმაჩნია. ეტყობა, ამით თავისი დემოკრატიულობის ხაზგასმა სურს და მესიჯებსაც გვიგზავნის: ***„ისეთივე უბრალო მოკვდავი ვარ, როგორც ყველა თქვენ!“, „საქართველო საფრთხეშია: რუსი აგრესორები, სტიქიური უბედურებანი, ლტოლვილები, უმუშევრობა და ღორის გრიპის პანდემიის ალბათობა, ამიტომ დღე და ღამ წელებზე ფეხს ვიდგამ და ახლა ჰალსტუხ-კოსტიუმისთვის არ მცხელა!“.*** თუმცა ეს PR-სვლა ახლა გაუმართლებელია და არა მხოლოდ ზემოხსენებული მიზეზებით — საქმე **ქართულ მენტალიტეტს** ეხება, რომლის კრიტიკასაც სააკაშვილმა ა.წ. 6 ნოემბერს სტუდენტებთან შეხვედრაზე დიდი დრო დაუთმო: მიხეილ ნიკოლოზის ძეს, ეტყობა, დაავიწყდა, რომ **ნებისმიერი ხალხი ყოველთვის აფასებს ბელადებს, რომლებიც მისგან განსხვავდებიან, რაღაცით გამოირჩევიან (გონებითა თუ გარეგნობით, მნიშვნელობა არ აქვს)!** ყოველდღიურობა ხალხს ისედაც მობეზრდა, ამიტომაც უყურებს მექსიკურ სერიალებს, სადაც ლამაზი ადამიანები ლამაზად იმოსებიან და ლამაზად ცხოვრობენ! ამიტომაც არ შეიძლება ხალხს წაართვა იმედი, რომ ლამაზად ჩაცმა-დახურვასა და ცხოვრებას ისიც შეძლებს, როგორც პრეზიდენტი, რომელიც მათ სახეს წარმოადგენს მსოფლიოში, რომ მათ შვილებსაც აქვთ შანსი, მომავალში პრეზიდენტები გახდნენ! ***„უბრალო ვიქნები და ხალხი ჩემკენ გამოიხედვს!“*** — მცდარად ფიქრობს პრეზიდენტი სააკაშვილი და ავიწყდება, რომ **ხალხი თავისი პრეზიდენტების, მეფეებისა და სხვა ლიდერებისაგან მხოლოდ კეთილი განზრახვებით როდი მიიევს...)**

ახლა უნივერსიტეტში პრეზიდენტის გამოსვლის მთავარი გზავნილების შესახებ:

*„მთავარი კონფლიქტი, რომელიც ბოლო 5-6 წლის განმავლობაში წარმოიშვა მთავრობისა და საზოგადოებრიობის მიერ გატარებულ რეფორმებს შორის, ესაა კონფლიქტი არა მხოლოდ ძველ, სსრკ-ის ხანის კორუმპირებულ-ნომენკლატურულ ურთიერთობებსა და იმ თანამედროვე საქართველოს შორის, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ, არამედ* ***პარტიკულარისტულ, საკუთარ თავზე მორგებულ მენტალიტეტსა და სახელმწიფო, საზოგადოებრივ ინტერესებს შორის...*** ეს პოლიტიკური და კულტურული კონფლიქტია!“ — თავიდანვე განაცხადა სააკაშვილმა. შემდეგ, **„პარტიკულარისტული“ იდეოლოგიის** ცნების განმარტებისას, ხაზი გაუსვა **ეგოისტური, პირადი ინტერესების საზოგადოებრივ ინტერესებზე პრევალირების დამღუპველობას** და საკუთარი თავი **ილია ჭავჭავაძეს** შეადარა, რომელიც მასავით ცდილობდა საზოგადოების **„პარტიკულარისტული“ მენტალიტეტისგან** გათავისუფლებას (ამიტომ თავის მეგობარ **ივანე მაჩაბელს** უარი უთხრა საბანკო სესხის გადავადებაზე!), რაც ჭავჭავაძისთვის (ზუსტად ისე, როგორც სააკაშვილისა და მისი თანამებრძოლებისთვის „ნაცმოძრაობიდან“!) გარშემომყოფთა მხრიდან გაუგებრობისა და ხშირი კონფლიქტების მიზეზად იქცა...

გთხოვთ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ: მითხარით, **განა „ვარდების რევოლუცია“ და შემდგომ „ნაცმოძრაობის“ 6-წლიანი მმართველობა არ მიმდინარეობდა კომუნისტურ იდეოლოგიასა და საბჭოურ ფსიქოლოგიასთან ბრძოლის ნიშნით, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო მასების მხრიდან ინდივიდის, პიროვნების უფლებების დათრგუნვა?! საზოგადოების თითოეული წევრის თავისუფლებისა და უფლებების, პირადი ინტერესების დაცვის, თუნდაც ისინი უმრავლესობის ინტერესებს არ დამთხვეოდა?! ნიშნავს თუ არა ეს, რომ 2009 წლის 6 ნოემბერს პრეზიდენტმა სააკაშვილმა 2003 წლის 23 ნოემბერს დეკლარირებული „ვარდების რევოლუციის“ ეგზისტენციალური იდეალები შეცდომად მონათლა და მოუწოდა სკკპ-ის დებულების, კერძოდ — დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის შესწავლისკენ, რომელიც უმრავლესობისთვის უმცირესობის დაქვემდებარებას გულისხმობდა** (ნაწილი II, თავი II, პუნქტი 13, ქვეპუნქტი „გ“)**?! აბა, სხვა რას გულისხმობდა პრეზიდენტი, როცა წარმოთქვა:** ***„დაიმახსოვრეთ, შეუქცევადი არაფერია, ყველაფერი უკან შეიძლება დაბრუნდეს“?!***

(ეგებ, სააკაშვილმა 2009 წლის 23 მარტს გამოქვეყნებული ჩემი პუბლიკაცია **„პოლიტბიუროს შვილები“** გაიხსენა, სადაც გულიანად ვთათხავ **ელიტას** — ქართულ პოლიტისტებლიშმენტს, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეებს, რომლებიც მემკვიდრეობით გადასცემდნენ თანამდებობებსა და პრივილეგიებს?! **ამაში სავსებით ვეთანხმები პრეზიდენტს** — ადამიანები თავიანთი რეალური დამსახურებების, შრომის მიხედვით და არა ბებია-ბაბუების წარმომავლობით (იგულისხმე — უწინდელი სოციალური მდგომარეობით) უნდა შეფასდნენ, ოღონდ უკვდავი ნომენკლატურის ჩემეული განსაზღვრება — **„პოლიტბიუროს შვილები“,** რომელიც სააკაშვილმა იდენტური განსაზღვრებით — **„პარტიკულარისტული მენტალიტეტი“** — შეცვალა (სწორია — **პარტიკულარული!**), არცთუ სახარბიელოა: უმართებულოა ქართული მენტალიტეტის დახასიათება არაქართული და ისიც მოძველებული ტერმინით „პარტიკულარული“...

**თუ არა დაუმსახურებლად მივიწყებულ წარსულში დაბრუნებას, აბა, რას ნიშნავდა პრეზიდენტის რეკომენდაციები —** ***მოსწავლეზე კონტროლის გამკაცრება იმიტომ, რომ უფროსკლასელები სკოლაში არ დადიან, ჟურნალების, ოლიმპიადების, გამოსაშვები გამოცდებისა და ოქრო-ვერცხლის მედლების ხელახლა შემოღება?!***

განა ეს ყველაფერი იმ ხალხმა არ გაანადგურა, რომელიც სააკაშვილმა ხელისუფლებაში მოიყვანა — განათლების მაშინდელმა მინისტრმა ლომაიამ (განათლებით სანტექნიკოსმა, რომელიც მინისტრის სავარძელში პირდაპირ სოროსის ფონდის ქართული ფილიალის თავმჯდომარის სკამიდან გადაჯდა!), რომლის განათლების „რეფორმამაც“ დაღუპა, თუნდაც ნაკლოვანი, მაგრამ წლობით აპრობირებული სისტემა?! მივმართავ საშუალო და უფროსი თაობის წარმომადგენლებს **— განა სკოლები 20, 30, 40 წლის წინათ გაცილებით მეტ ცოდნას არ იძლეოდნენ? განა სტუდენტობისას უმაღლეს სასწავლებელში სწავლისთვის წელიწადში 2500 ლარს (1500$) იხდიდით?! განა მომთხოვნელობა, აკადემიზმი და წიგნი შეიძლება შეიცვალოს ლოტოტრონებით, ტესტებითა და კომპიუტერებით?!**

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა **ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ზემნიშვნელობასაც** და ქართველი ოფიცრების სამჭედლოს — კადეტთა კორპუსის ჩამოყალიბებასაც დაჰპირდა, რადგან რეზერვისტების პრაქტიკამ არ გაამართლა: მისი აზრით, სწორედ ოფიცრების არყოფნამ მოიტანა შედეგად გასული წლის აგვისტოში ბევრი რეზერვისტის დაღუპვა. **მაშ, რატომღა მოვახდინეთ სამხედრო-პატრიოტულ აღზრდის მთელი სისტემის — სკოლებში დაწყებითი სამხედრო მომზადების, სპორტის სამხედრო-საწვრთნელ სახეობებში მოსწავლეთა და სტუდენტთა რაიონული, საქალაქო და რესპუბლიკური შეჯიბრის ლიკვიდირება, გავაუქმეთ მოქმედი და სამაგალითო კადეტთა კორპუსი** (თბილისში, ე. წ. მეტრომშენის დასახლებაში)?!

დავუბრუნდეთ ჩვენს **„პარტიკულარისტულ ფეოდალურ ეგოისტურ აზროვნებას, რომელიც უნდა განადგურდეს“,** რაკი პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში ეს არაერთხელ ახსენა.

***„განა ჩვენ, დამსახურებულად რომ ვამაყობთ ჩვენი ნაციონალური ქართული სამზარეულოთი, ამერიკული რესტორნით გაგვაკვირვებ?!“*** — ვიკითხე ა.წ. 4 ნოემბრის პუბლიკაციაში **«MADE IN GEORGIA»**, ხოლო ორი დღის შემდეგ (6 ნოემბერს) საქართველოს პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში მიპასუხა: ***„დიახ, ჩვენ დამსახურებისამებრ ვამაყობთ ჩვენი ნაციონალური ქართული სამზარეულოთი,*** მაგრამ... დღეს მსოფლიოში ბევრმა ისწავლა კერძების კარგად მომზადება და ამიტომ ახალი, თანამედროვე, ძველ ტრადიციებზე დაშენებული ქართული სამზარეულო უნდა შევქმნათ“. ვფიქრობ, ეს მორიგი შეცდომა იყო: საქმე ისაა, რომ **აქ სწორედაც რომ არაფრის შეცვლა არ გვჭირდება** — მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ კერძების მომზადების ტრადიცია ყოველი ერისთვის **(ქართველი, ინგლისელი, ფრანგი, მაგრამ არა ამერიკელი!),** უბრალოდ, თვითმყოფადი ნაციონალური კოლორიტი როდია. საუკუნეთა განმავლობაში თითოეულმა ეთნოსმა თავისთვის შეიმუშავა განსაკუთრებული მენიუ — ნაციონალური სამზარეულო, სადაც კერძები იმ მცენარეული ან ცხოველური პროდუქტებისგან მზადდება, რომლებიც ამ ეთნოსის საცხოვრებელ არეალში, იმავე კლიმატურ პირობებში იზრდება და ბინადრობს! როგორც მეცნიერები ირწმუნებიან, **მათთვის მხოლოდ ასეთი კერძია სასარგებლო,** მით უმეტეს, რომ მსოფლიოში ბევრი აღფრთოვანებია ქართულ სამზარეულოს და შეშურებია **კავკასიური დღეგრძელობის, რომლის ერთ-ერთ საიდუმლოს უნიკალური ნაციონალური (ნატურალური და ტრადიციული!) სამზარეულო წარმოადგენს;**

***„პარტიკულარისტული მენტალიტეტის განსახიერება იყო კინტო — ეგოისტი, რომელსაც საკუთარი მუცლის მეტი არაფერი აინტერესებდა — არც ის, თუ რომელ ქვეყანაში ან საზოგადოებაში ცხოვრობდა!.. ჩვენ ვერ დავუშვებთ საქართველოს თანამედროვე ცხოვრების კინტოიზაციას!“*** — ბრავო, პრეზიდენტმა ერთსა და იმავე გამოსვლაში უკვე მეორე (**„პარტიკულარისტულის“** შემდეგ) ნეოლოგიზმი **„კინტოიზაცია“** გამოიგონა! დიდხანს ვფიქრობდი – ნეტავ, რით გაანაწყენეს პრეზიდენტი დიდი ხნის წინათ წარსულს ჩაბარებულმა ზემუსიკალურმა ქუჩის მოვაჭრეებმა — ხალისიანმა ოხუნჯებმა, მომღერლებმა და მოცეკვავეებმა, ლუკმაპურს რომ საკუთარი შრომით შოულობდნენ და თანაც მთელ ქალაქს ართობდნენ?! მათი საფირმო ცეკვის — **„კინტაურის“** გარეშე დღესაც იშვიათად თუ ჩაივლის რომელიმე სახალხო დღესასწაული ანდა ქალაქის ფოლკლორის კონცერტი... მერე კი მივხვდი: **სააკაშვილმა სილა გააწნა ქალაქელებს და ქალაქს, სადაც 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები წააგო!**

და კიდევ პრეზიდენტმა ბრძანა, რომ ჩვენ, ქართველებს, **ქურდობა გენებში გვაქვს,** რადგან ჯერ კიდევ სსრკ-ის ხანიდან „თათს“ სახელმწიფო ხაზინაში ვაფათურებდით, ***„თუმცა მაშინ თავს იმით ვიმშვიდებდით, რომ მტერს*** (რუსეთს — ა.ხ.) ***ვპარავდით, ეს ჩვევად გვექცა...“***

**P.S.** კინტოსგან განსხვავებით, სტუდენტი **გუგა ჯულუხიძე**, რომელმაც პირველმა დაუსვა კითხვა პრეზიდენტ სააკაშვილს მისი მგზნებარე სიტყვის დასრულების შემდეგ, **ნამდვილად განასახიერებდა პარტიკულარულ მენტალიტეტს**, ვინაიდან მხოლოდ საკუთარი მუცელი, უკაცრავად, საკუთარი კარიერა აინტერესებდა! ის **„უბერავდა“**: ***განხორციელდება თუ არა პრეზიდენტის მიერ დაპირებული დაფინანსება საზღვარგარეთ სწავლის მოსურნე სტუდენტებისთვის და მათი გაგზავნა პრესტიჟულ უცხოურ უნივერსიტეტებში? ახდება თუ არა მისი ერთადერთი ოცნება — გახდეს ოქსფორდის, ჰარვარდის, ბოლონიის ან, კონკრეტულად, კოლუმბიის უნივერსიტეტის სტუდენტი?*** კოლუმბიის უნივერსიტეტზე აქცენტი ტყუილუბრალოდ როდი გაკეთდა — ამით დამწყები პირფერი „ორ კურდღელს გამოედევნა“: ქათინაურით შეამკო პრეზიდენტი, რომელიც ამ უნივერსიტეტის მაგისტრია, და გამოთქვა ამბიცია, მის კვალს გაჰყოლოდა, რათა მასავით პრეზიდენტი გამხდარიყო! გუგას ლოგიკა იმდენად პრიმიტიული, ხოლო პარტიკულარული ინტერესი იმდენად შეუნილბავი იყო, რომ პანეგირიკს მიჩვეულ სააკაშვილსაც კი გუნება წაუხდინა...

ზურაბ გაგნიძე:

# დავითაიას ფსიქიკაში ჩადებულია არამზადა თაღლითის კოდი

ფსიქოანალიზს ინდივიდზე მოაქვს გარკვეული ინფორმაცია, რომელიც მისი შინაგანი რაობის ამოსახსნელი კოდია, გვიჩვენებს სუბიექტის ქცევის, გატაცებებისა და ნათქვამის მოტივაციას.
ამჟამად წარმოგიდგენთ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე პაატა დავითაიას ფსიქოსტრუქტურას, რომელზეც ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი **ზურაბ გაგნიძე** გვესაუბრება.

## იგი იმდენად თვალთმაქცია, რომ ბუნებრივად გამოუვა ფაქტების დამახინჯება




**— ბატონო ზურაბ, ფსიქოლოგიურად რომელ ტიპად აღიქმება ბატონი პაატა დავითაია?**

— პაატა დავითაიას შინაგანი სამყარო „მე“-ზეა ცენტრირებული. ასეთი პიროვნების ჩართვა საქვეყნო საქმეში დიდი ზიანის მომტანია. რატომ? — ეგოცენტრიზმი პოლიტიკოსისთვის მძიმე სენია, ის ემსგავსება ავთვისებიან უჯრედს, შინაარსით ეპიდემიური ხასიათი აქვს და გადამდებია. ამ სენით დაავადებულნი გარბიან რეალობიდან, ველარ ამჩნევენ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს და მიექანებიან თვითმოტყუების მაცდურ გზაზე. ამის ნათელი მაგალითია ის პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი კრიზისი, რომელშიც ქვეყანა და ერი ვიმყოფებით.

ეგოცენტრიზმი დავითაიას ფსიქოწყობის დომინანტური შტრიხია და მრავალი გარეგნული სიმპტომით შეინიშნება. მას დარღვეული აქვს სიმყუდროვის განცდა, უმიზეზოდ შფოთავს, ხშირად ეუფლება აგრესია და გამძაფრებული თავდაცვის გრძნობა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ბატონი დავითაია — 15 სამეცნიერო ნაშრომისა და 2 მონოგრაფიის ავტორი, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის სამართლის პროფესორი, სახელმწიფო მრჩევლის უმაღლესი სპეციალური წოდების მფლობელი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე 2006 წელს ქმნის პოლიტიკურ გაერთიანებას „ჩვენ თვითონ“. უფრო სწორი იქნებოდა, ამ გაერთიანებისთვის „მე თვითონ“ დაერქმია, რადგან ყველაფერი მხოლოდ მისი წარმოჩენისთვის კეთდებოდა. რატომ წავიდა მეცნიერი კაცი პოლიტიკაში? — ეგოცენტრიზმით დაავადებული დავითაიასთვის ეს ერთადერთი გზა გახლდათ პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. ამ ნაბიჯში ჩანს მისი ფსიქოწყობის ნორმალური პროცესების რღვევა, ნიშნეულთა გამრუდება, ნებელობის შესუსტების ხარჯზე მაცდურობისადმი მიდრეკილება. მის პატივმოყვარე, ამპარტავან ბუნებას არ აკმაყოფილებს ოპოზიციურ ფლანგზე ყოფნა, არ ასვენებს წარმოჩენის ამბიციურობა და მზადაა, „განდიდებისთვის“ რისკფაქტორების წინაშე დადგეს.

2008 წლის მე-7 მოწვევის პარლამენტის წევრია ბატონი პაატა. ეს ის პარლამენტია, სადაც გამეფებულია პატივმოყვარეობა და პლუტოკრატია. დავითაია, რომლის მიზანი ყველა ვითარებაში თვითდამკვიდრება და გავლენის მიღწევაა, აქ ნოყიერ ნიადაგს პოულობს თავისი მანკიერი სურვილების დასაკმაყოფილებლად — 4 დღეში პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ხდება; ორიოდე თვეში გვარიანი ნახტომით — „რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი პარლამენტის დროებითი კომისიის“ თავმჯდომარე.

რატომ დავითაია?.. იცნობენ და იციან, რომ მისი სულიერება გაჯერებულია სიცრუით, რითაც ის შეძლებს სიყალბის აყვავებას. გარესამყაროდან მასში პასუხისმგებლობის ნამცეცც არაა დარჩენილი, ამიტომ წარბშეუხრელად გააკეთებს საზოგადოებრივი აზრის არაადეკვატურ დასკვნებს. დავითაიას ფსიქიკაში ჩადებულია არამზადა თაღლითის კოდი, ის იმდენად თვალთმაქცია, რომ ბუნებრივად გამოუვა ფაქტების დამახინჯება. მას ფსიქოწიაღში ჩადებული აქვს მაცდურის ძალა, თანდაყოლილი სწრაფვა, ილაპარაკოს სიცრუე და იმოქმედოს ვითარების შესაბამისად. ყოველივე ამ ფსიქოშტრიხთა გათვალისწინებით, მას მიანდეს, მოტყუების ოსტატობით დაეჯერებინა ყველა, რომ ამ ომში გავიმარჯვეთ და ხელისუფალთა ყოველი ნაბიჯი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას ემსახურება. თვითონ თავმომწონედ კომისიის დასკვნას ამგვარი შეფასება მისცა: „კომისიამ შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერი გააკეთა, ეს იყო წინგადადგმული ნაბიჯი ქვეყნის დემოკრატიზაციაში“... „ყველაფერი, რაც მოხდა, რუსეთის ბრალია. ამისთვის რუსეთი 90-იანი წლებიდან ემზადებოდა“. რასაც ექსპერტები უცოდინარობას, არაკომპეტენტურობასა და დანაშაულს უწოდებენ, პაატა დავითაიამ შესაშური არამზადობით ამგვარი ფორმულირება მოუძებნა — „მსუბუქი ხარვეზები“, რაც ითვალისწინებდა საკადრო ცვლილებებს. დაკითხული 22 მაღალი თანამდებობის პირიდან, გენპროკურატურას გადაეცა სამი, შედარებით დაბალი, ჩინოსანი: კიწმარიშვილი, აქიშბაია და ხეთაგური.

კიწმარიშვილის შესახებ თავს ასე იმართლებს — „არ ასახელებს იმ ლიდერ-შეფს, ვინც მიაწოდა ინფორმაცია, რომ საქართველოს ხელისუფლებას ამერიკის ადმინისტრაციიდან ჰქონდა მწვანე შუქი საბრძოლო მოქმედების დასაწყებად, ჩვენს კომპეტენციას სცილდება ლიდერ-შეფის დადგენა“. კიწმარიშვილი კი პროკურატურას იმიტომ გადაეცა, რომ ის ყელზე დამდგარი მწარე ლუკმა იყო ხელისუფლებისთვის.

აქიშბაიას რაც შეეხება, აქ უკვე დავითაიას პირადი ინტერესი იკვეთება — მას დიდხანს უნდოდა აქიშბაიას ადგილი. ეს იყო სულმოკლე შურისძიება, თორემ, ვისაც ყველაზე მეტად მოეთხოვებოდა ომის დღეებში დისციპლინა და ქვეყნის ერთგულება, ისინი დაუსჯელნი დარჩნენ.

ხეთაგურთან დამოკიდებულებაშიც დავითაიას კომენტარი თავის მართლებას ჰგავს, რაც დანაშაულის ქვეცნობიერი აღიარებაა.

დასკვნის ანალიზი კი ასეთია: ეს იყო სპეციალურად გაურკვეველი სტილით შემუშავებული, ზერელე და უპასუხისმგებლო დასკვნა შეზღუდული უნარების მქონე უტიფარი კაცისა. გაიძვერას მიერ სიმართლედ მონათლული უარგუმენტო უაზრობა — თაღლითური ფანდებითა და თვითმიზნური მიდგომებით, უადგილო, ხელოვნურად შეთითხნილი გამონაგონებით. დავითაიამ შეძლო სიღრმისეული მოვლენებისთვის გვერდის ავლა და შეეცადა, შეექმნა საზოგადოებისთვის ყალბი წარმოდგენა.

ტრიბუნაზე მდგომმა ბედის მაძიებელმა ავანტიურისტმა და კარიერისტმა დემაგოგებისა და ყალბისმქნელთა გარემოცვაში 200-გვერდიანი დასკვნა 3 საათის განმავლობაში წარბშეუხრელად ჩაიკითხა. დარბაზში კი ყველამ იცოდა, ეს ყველაფერი წინასწარ იყო დაწერილი იმისთვის, რომ ტალიავინის საერთაშორისო საგამოძიებო კომისიას ამ განწყობით დაეწყო მუშაობა. იმ დღეს გულრიფშელი ავანტიურისტი საერთაშორისო დონის აფერას „ღირსეული წევრი“ გახდა, რაც მისი ალმასვლის ტრამპლინად იქცა. 26 დეკემბერს ბატონი დავითაია პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილედ იქცა. მას ეს „დამსახურება“ არც ჟურნალისტებმა დაუვიწყეს და 2009 წლის საახალწლო ნომინაციაში მას ბატის ფრთა გადაეცა საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ავტოგრაფით.

**— გამოდის, დავითაიას გააჩნია პოლიტიკურ იერარქიაში ბარიერთა დაძლევის უნარი; მან, შესაძლოა, უფრო „მაღლა“ აიწიოს, რაკი მცირე ხანში ამგვარ სიმაღლეს მიაღწია?**

— დრომ დავითაიას სასარგებლოდ იმუშავა... მან კარგად აუღო ალღო სიტუაციას — გამარჯვების დამარცხებაში აღრევას, ზემოდან მისთვის დაწესებულ ზღვარს არ გადასცდა; შეძლო მტკივნეული საკითხები ვერშეცნობის ჭრილში წარმოედგინა. ამას კი მხოლოდ გაპარტახებული სულიერების მატარებელი თუ შეძლებდა. ფსიქოანალიზით დავითაია სალახანაა, რადგან კარიერისთვის სახალხოდ გამოფინა სულმდაბლობა, სულიერი ჭუჭყი, პლებეური გათვლით კარიერისტული ანგარება. ამგვარი სიგლახე კაცისა — პრიმიტიულად აზროვნების ნაყოფია, რასაც ხალხში ვირ-ეშმაკობას ეძახიან. ცხადია, ამგვარი კაცი ვერ იქნება ხალხის რჩეული. მან კარიერაში წინ წაიწია, მაგრამ დაკარგა ნდობა და პატივი საზოგადოებაში.

მას არ გააჩნია ცენზორად სინდისი, იგი მასში ჩაკლულია სიმრუდით, სიხარბითა და ეგოიზმით. ამიტომ ხელისუფლებიდან წამოსული სიცრუის დაცვა დავითაიას პოლიტიკური მოღვაწეობის ერთგვარ დოგმად და წესად იქცა. ის თამაშობს ხელისუფლების თამაშს, მისი რუპორია. მას კი სურს, საზოგადოებას ჰქონდეს განუწყვეტელი არასტაბილურობის განცდა და პანიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდეს, რადგან ამით გადაფაროს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, ხალხის დრტვინვა და მძლავრი პროტესტი. ამიტომ ბატონი პაატა დროდადრო ბღავის — „მგელი მოდის!..“ ამას მოწმობს ის ფაქტიც, როდესაც მემარჯვენეებმა რაჭიდან ჩამოიტანეს ამბავი, მამისონის ხიდი აფეთქებულია, მოსახლეობას კი ხიდგაღმა სახნავ-სათესი ადგილები აქვს და ცუდ დღეში არისო, ხელისუფლებამ უპასუხა — „ხიდი აფეთქებული კი არაა, დაინგრაო“, რაც რაჭველებს სასაცილოდ არ ეყოთ. ამბის გასაგებად დავითაია ჟურნალისტებთან ერთად რაჭაში გაემგზავრა. სადაც მისთვის დამახასიათებელი თვალთმაქცობით აქცენტი დამწვარ ქართულ საგუშაგოზე გადაიტანა და შეძრწუნების სცენა გაითამაშა — განგაში უნდა ავტეხოთ, რუსეთი ისევ ომს ამზადებსო, დღეს რომ სამხედრო ოპერაციები დაიწყოს, რუსეთი ძალიან ადვილად შეძლებს ამ ტერიტორიის დაპყრობასო.

ზიზღის ღირსია ხალხის მხრიდან ნდობის მანდატით აღჭურვილი პარლამენტარი, ვითომ „ოპოზიციონერი“, რომელიც არსებული მდგომარეობით ხალხში შიშსა და პანიკას თესავს, რათა მათი დადუმების ხარჯზე ხელი უკეთ მოითბოს უსაფუძვლო პრეტენზიულობით, უნიჭო მეხოტბეობით, ხელისუფალთა ფარული ზრახვების ხელშეწყობითა და მათი დანაშაულებრივი ქმედებების მიჩქმალვით. პაატა დავითაია ხელოვნური ოპოზიციაა. თუ მის ადრინდელ რადიკალურ განცხადებებსა და დღევანდელსაც გადახედავთ, ისინი კონტრასტულად განსხვავებულია.

**— ის შიგადაშიგ მაინც ცდილობს ოპოზიციური იმიჯის შენარჩუნებას წინააღმდეგობრივი პოზიციით, ამას როგორ ახსნით?**

— ამ პოზაშიც ტენდენციურობითა და მდაბალი ზრახვებითაა გაჟღენთილი. უმაღლეს ამოცანად ის მიაჩნია, რომ **თვითონ** იყოს კარგად. ალბათ, გახსოვთ, ენეგურჰესთან დაკავშირებული „ინტერ-რაოს“ 10-წლიან ერთობლივ მართვაზე დადებული ხელშეკრულება, რომელსაც დავითაიამ „საეჭვო“ უწოდა და რიხით განაცხადა — „ხელშეკრულების ჩასაშლელად ყველაფერს გააკეთებს“... საკითხავია რას გააკეთებს ანტირეალისტი, ნებით დაბრმავებული და სიხარბით თავგზაარეული კარიერისტი, რომელიც არსებული პირობების მონაა და ზემდგომთა საამებლად ფაქტებს მუდმივად ამახინჯებს. ფსიქოლოგიური გათვლით, მას აღარ გააჩნია თავისუფალი ნება, უსამართლობასა და უზნეობას დაუპირისპირდეს. ამის დასტურია, რომ დავითაია ამ ხელშეკრულების ჩაშლას წლის დასაწყისში დაჰპირდა საზოგადოებას, რომლისგან განსხვავებით, ფსიქოლოგებმა ვიცოდით, რომ ახალი ნაბიჯით ახალ როლს თამაშობდა, მაგრამ წლის ბოლომდე ამ მიმართულებით არაფერი გაუკეთებია. შეგვიძლია, მის გადამეტებულ წარმოდგენას საკუთარ შესაძლებლობებზე ხალხური სიბრძნით ვუპასუხოთ — „მთქმელო, ვერ ამსრულებელო...“

მას რომ, როგორც ყველა უსაფუძვლოდ აღზევებულს, ჰიპერწარმოდგენა შეექმნა საკუთარ თავზე, მისი ავადმყოფური ეგოცენტრიზმის ბრალია. მან პარლამენტის სხდომაზე მოითხოვა სეპარატისტი ლიდერებისთვის ბრალის წაყენება და მათზე სანქციების გაცემა. თან დაიმუქრა, წინააღმდეგ შემთხვევაში დატოვებდა საკონსტიტუციო და საარჩევო რეფორმებზე მომუშავე კომისიებსა და უშიშროების საბჭოს. ამან მიშა მაჭავარიანი გაალიზიანა, რადგან ამ მუქარით იგრძნო, რომ დავითაიამ ქვეცნობიერად ომის შესახებ დროებითი კომისიის დასკვნაში დამსახურება შეახსენა. მან არანაკლები უტიფრობით უპასუხა: — „ამ კომისიებში მონაწილეობა გინდა მიიღე და გინდა არა“, რითაც აგრძნობინა, რომ ის არაა წონადი ფიგურა და უკვე გამოყენებული, სათანადოდ დაჯილდოებული კომისიის ექსთავმჯდომარე, რომ იტყვიან, თავის „ადგილზე მოსვა“.

დავითაიამ პრეზიდენტს უცნობის „ცემის“ ფაქტზე გამოძიება და რეაგირება მოსთხოვა. ეს მისი მხრიდან პოპულისტური ნაბიჯებია და მეტი არაფერი. მის ნამოქმედარს ვერ ექნება რაიმე ღირებულება, რადგან პარლამენტარობა მისთვის თანამდებობრივი პრივილეგიაა. იგი არაა ხალხის რუპორი, ის ხელისუფლების განუყოფელი ნაწილია. დავითაია სულიერად დაქვეითებული გაიძვერაა და სულმოკლე არსება. მზადაა, ქვეყანა თავდაყირა დააყენოს, ოღონდ თვითონ მიზნისკენ მიმავალი გზა გაითავისუფლოს.

**— ამბობენ, პაატა დავითაია აკაკი ასათიანთან და კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად ბლოკის შექმნას გეგმავს...**

— პარლამენტში თუ რამე ბლოკი ან ფრაქცია შეიქმნა, აუცილებლად იქნება ალასანიას მხარდამჭერი ძალა. ამის შესახებ თავად დავითაია ჯერჯერობით არ საუბრობს. გადაწყვეტილება შეიძლება შესრულდეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ. ამას ემსახურება თვით გამსახურდიას გადაწყვეტილება საპარლამენტო მანდატის აღდგენაზე. ფსიქოლოგიურ ასპექტში ამ სამ პიროვნებას ბევრი რამ აერთიანებს, უპირველესად, საკუთარ თავში დათრგუნული იმპულსები — გახდნენ „გამორჩეულები“, აღკვეთილი გრძნობა შურისძიებისა, საკუთარ ხვედრზე ზრუნვის მოტივი, ჩანაფიქრისა და განცდების თანაზიარობა. მიუხედავად მათი ბედ-იღბლის სხვადასხვაობისა, ფიქრით, ზრახვებით; გულისთქმით სამივე ორგანულ ერთიანობას განასახიერებს. ეს მსგავსება ვლინდება ერთი შეხედვითაც. მათ არათანმიმდევრულობაში, ავადმყოფურ ნარცისიზმში, წაცდენილ ფრაზეოლოგიაში თუ წინასწარ მომზადებულ გამოსვლებში. ამგვარ ფსიქოტიპთა სიმრავლე ქვეყნის განვითარების კრიზისულ მომენტებში ხშირია და მათი მოღვაწეობა პოლიტიკაში ახანგრძლივებს ქვეყნისა და ერის სულიერ დრამას.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# კოკოჯონდის ღიმილი,

## ანუ ჯონდისა და კოკოს საპარლამენტო ოდისეა

**...გასულ კვირას (სამშაბათს, 3 ნოემბერს) პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დეპუტატების უპრეცედენტო რაოდენობა შეიკრიბა, იმდენად უპრეცედენტო, რომ პატივცემული ბაქრაძის შემობრძანებამდე თავმჯდომარის სავარძელში მოკალათებულ პალიკო კუბლაშვილს სიხარულისგან კინაღამ კრუნჩხვა დაემართა, მიშა მაჭავარიანს კი, სანამ ხათუნა გოგორიშვილმა არ უჯიკა, ისე უცნაურად გაოგნებული სახე ჰქონდა, დარწმუნებული ვარ, კონკურსი რომ ჩატარებულიყო, ნომინაციაში — წლის იდიოტური გამოხედვა — უსათუოდ პირველ ადგილს დაიკავებდა.**



ამ ყველაფერს მეც გაკვირვებული ვუყურებდი და, სიმართლე გითხრათ, არანაკლებ შთამბეჭდავი სახით, ვიდრე პატივცემული მიშა მაჭავარიანი ან თუნდაც — პალიკო, მაგრამ გადამწყვეტ მომენტამდე მაინც ვერ მივხვდი, რა იყო დეპუტატების სიმრავლის მიზეზი.

**მოგვიანებით დარბაზში დავით ბაქრაძე შემობრძანდა. კოლეგებს „სიმშვიდისკენ“ მოუწოდა და მცირეხნიანი პაუზის შემდეგ აუდიტორიას ახალბედა დეპუტატი წარუდგინა: დღეს ჩვენ შემოგვიერთდება პარტია „თავისუფლების“ ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია... იგრიალა ტაშმა და კოკომაც ამაყად გაიარა წითელ ხალიჩაზე.**

შემდეგ იყო ფორმალური პროცედურა, ანუ კითხვა: „ვინ არის წინააღმდეგი და ვინ — მომხრე, რომ კონსტანტინე გამსახურდია დეპუტატობას ეზიაროს?“ რაზეც მთელმა საპარლამენტო სპექტრმა თავის უმცირესობა-უმრავლესობიანად ერთსულოვანი თანხმობა განაცხადა.

დეპუტატები ფეხზე წამოდგნენ და ყველამ სათითაოდ წარმოთქვა მისალოცი სიტყვა. აქეს და ხოტბა შეასხეს „ყოფილი რადიკალის“ „წინდახედულ“ გადაწყვეტილებას, რაც, როგორც დავით ბაქრაძემ განაცხადა, თურმე უაღრესად ბრძნული გადაწყვეტილება ყოფილა.

**თავის მხრივ, კოკო ერთობ დაბნეული ჩანდა. მის შემხედვარეს უსათუოდ გაგახსენდებოდათ სცენა კინოფილმიდან „შერეკილები“, როცა ტრიფონია თავისი ცოლის საყვარლის დანახვაზე გაოგნებული ამბობს: „ნეტა, ვინ იყო ის შავი კაცი?!“, თუმცა კოკოს შემთხვევაში ეს რეაქცია ბუნებრივი უფრო იყო, ვიდრე — კომიკური, რადგან დასაწყისისთვის სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა „ნორჩი“ დეპუტატი. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში აღმოჩნდა: მარცხნივ გაიხედა — „ქრისტიან-დემოკრატების“, განსაკუთრებით კი მათი თავკაცის შურიანმა გამოხედვამ გული შეუღონა; მარჯვნივ გაიხედა — გია ცაგარეიშვილისა სხვა ფსევდოოპოზიციონერთა სიამტკბილობამ აღავსო შურით;** წინ გაიხედა — თვალსაწიერზე მარტო „ვარდოსნები“ ჩანდნენ და უკან მიხედვის სურვილი აღარც გასჩენია. რა ექნა მარტოხელა, აწ უკვე ყოფილ რადიკალს?! „საცა არა სჯობდა, გაცლა ამჯობინა“ — ადგა და მასთან მივიდა, ვინც შიშველი თავითა და გაშლილი ხელით მიეგება. ასეთი კი მხოლოდ ჯონდი ბაღათურია აღმოჩნდა, რომელსაც, კოკოს მსგავსად, კარგახანს თვითონაც მარტო უწევდა პარლამენტის ტალანებში ხეტიალი.

**სხვათა შორის, როცა დეპუტატები „ზეიმობდნენ“, ჯონდი დარბაზში არ გამოჩენილა. იგი მხოლოდ მას შემდეგ შეუერთდა ერთობლივ კამპანიას, როცა „თავისუფლების“ ლიდერი ოფიციალურად აკურთხეს „მანდატურად“.**

— **„ერთ ბედქვეშა ვართ, კოკოვ, მე და შენო!“** — აჯახა მეგობრული სიტყვა, მართლაც, მისნაირი ბედის ქვეშ მყოფ კოლეგას და მათი პროტექტორ-პროტეჟეობაც დაიწყო.

— **აბა, ჩემო კოკო!** — მიმართა ჯონდიმ, — **ახლა შენ იცი, რანაირი პროტეჟე გამოდგები.**

— როგორი პროტექტორიც შენ იქნები, მეც იმისთანა პროტეჟეობას გაგიწევ.

— **მაშ, ყურადღებით მისმინე. შევეცდები, აქაურ გარემოზე სრულყოფილი წარმოდგენა შეგიქმნა და მოსალოდნელი საფრთხეები აგაცილო...**

კოკო სულგანაბული უსმენს და ცდილობს მისი ყოველი სიტყვა სახარებასავით შეისმინოს.

— **შენ ძალიან კარგად იცი, რომ აქ ერთადერთი სანდო ადამიანი მე ვარ, — განაგრძო ჯონდიმ, — თუმცა ზღვარი ჩემს შესაძლებლობებსაც აქვს. ყოველთვის და ყველაფერში ვერ დაგეხმარები, ხანდახან სხვებთანაც მოგიწევს ურთიერთობა, ამიტომ უნდა იცოდე, ვინ რას წარმოადგენს და ვისთან რა ურთიერთობის დაჭერა შეიძლება. აი, შენგან ხელმარცხნივ, ჰალსტუხიანი ჭაბუკი რომ ზის, მლიქვნელი და გაიძვერაა, ორი ადამიანი ისე გაყიდა, ერთი დღემდე ვერ მიმხვდარა, რა მოუვიდა, მეორე კი გააკოტრა, მისი ქონება მერაბიშვილის საჯიჯგნი გახადა და საბოლოოდ საიქიოშიც გაისტუმრა. ეს ხომ შენც იცი?!. მაგას ახლოსაც არ გაეკარო, თორემ დეპუტატობას მწარედ დაგამახსოვრებს — შეგფუთავს და აუქციონზე გაგყიდის; ცაგარეიშვილთან შეკვრა არც იფიქრო, ხომ იცი ყოფილი „გაიშნიკია“, გაგაბრიყვებს, „პრავას“ ისე გაგიხვრეტს, აზრზეც ვერ მოხვალ და მერე ჩემი კომპოსტერიც კი ვერაფერს გიშველის; ტუალეტი თუ მოგინდება, დარბაზიდან გასვლის უფლება ფეხზე ადგომით ხათუნა გოგორიშვილს უნდა სთხოვო, იმიტომ, რომ ის ერთადერთია, რომელმაც ისიც უნდა იცოდეს, თუ რას აკეთებენ და რაზე ფიქრობენ ოპოზიციონერი დეპუტატები პარლამენტის „საჭირო ოთახში“.**

**გოკა გაბაშვილმა ან აკუნა მინაშვილმა ლუდზე თუ დაგპატიჟეს, უარს ნუ ეტყვი, გაყევი, მაგრამ, სანამ დალევდე, სცადე, ერთი-ორი ყლუპი შენი კათხიდან იმათ გასინჯო.**

— პეტრე ცისკარიშვილსა და ლადო დარჩიაშვილზე რას მეტყვი? — ეკითხება კოკო, — რომ შემოვედი, ტაშს კი მიკრავდნენ, მაგრამ მაინც რაღაც უცნაურად მიყურებდნენ.

— **ძველი წყენა ახსოვთ, მაგრამ ყურადღებას ნუ მიაქცევ, მაგათი დანიშნულება პარლამენტში ცარიელი ადგილების შევსებაა. ერთიც და მეორეც დაიკიდე, ფეხებსაც ვერ მოგჭამენ, — იყო პასუხი, — მიშა მაჭავარიანს კი ერიდე, გიგა ბოკერიას მასტერკლასი აქვს გავლილი. თავის მხრივ, ბოკერია ისეთი მურდალი ვინმეა, ხომ ხედავ, მისი თვალების ჟუჟუნმა თავი სასრიალო მოედანს დამიმსგავსა... ასევე ერიდე პალიკო კუბლაშვილს, ეგ ვანო მერაბიშვილის მარჯვენა ხელია, თანაც იმდენად ერთგული, რომ მარტო იმ საქმისთვის არ იყენებს, შენ რომ გგონია... მოკლედ, ამ დასაქცევ პარლამენტში სანდოს ვერავის ნახავ, ასე რომ, გირჩევნია, გულში ბოროტება არ გაივლო და ბოლომდე იმის ერთგული დარჩე, ვისი პროტექციითაც დეპუტატის მანდატი „აირტყი...“**

— გასაგებია. და სხდომებზე რა უნდა ვაკეთო?

— **რა უცნაური კითხვაა; რამის კეთება თუ გინდოდა, პარლამენტში რას მოდიოდი, შენ რა, არ იცი, რომ აქ ხალხი ისვენებს?!**

— როგორ, სულ არაფერს აკეთებენ?

— **არაფერს, სხედან და ერთმანეთს ეკუსკუსებიან.**

— მერე, ფულს ამაში უხდიან?

— **ნუ ხარ ასეთი მიამიტი და, საერთოდ, უაზრო კითხვებს თავი დაანებე, არ გაგიგონია: „შენ ხილი მიირთვი, მებაღეს რას კითხულობო?!“**

...მოკლედ, ჯონდისა და კოკოს პირველი გაკვეთილი ასე დასრულდა. ამის შემდეგ ჯერ ჯონდიმ დატოვა დარბაზი, მცირე ხნის მერე — კოკომაც.

იმ დროისთვის სხდომას უკვე სულ რამდენიმე დეპუტატი ესწრებოდა უმრავლესობიდან. ბაქრაძე დაღლილ-დაქანცული ინსტინქტურად კითხულობდა გაზუთხულ ტექსტებს და „ფორმალური პაუზის“ შემდეგ, ასევე, ინსტინქტურად არტყამდა ჩაქუჩს მაგიდაზე...

რამდენიმე წუთის შემდეგ დარბაზში თითქმის არავინ დარჩა, უფრო ზუსტად, როცა სხდომის დამთავრებამდე ჯერ კიდევ ერთი საათი რჩებოდა, თავის აკუნა მინაშვილ-პეტრე ცისკარიშვილიანად სულ ცხრა დეპუტატი დავითვალე. მათგან სამს — დათო დარჩიაშვილს, გოკა გაბაშვილსა და კიდევ ერთ „უმრავლესობელს“, რომლის ვინაობა მისივე „ჭე კლასის“ დეპუტატობის გამო ჩემთვის კი არა, ალბათ, თვით დავით ბაქრაძისთვისაც უცნობია, ისე ტკბილად ჩაეთვლიმათ, ხათუნა გოგორიშვილის იავნანაღა აკლდათ სავარძლიდან გადმოსავარდნად. კიდევ კარგი, იმ მომენტში ქალბატონი ხათუნა სიმღერის ხასიათზე არ იყო, თორემ სამივე დეპუტატის თავ-პირის მტვრევას მერე ნახავდით; თან ცალკე ვანო მერაბიშვილისთვისაც მოუწევდათ ახსნა-განმარტების მიცემა...

ასე თუ ისე, 3 ნოემბრის სხდომამ ფრიად შთამბეჭდავად ჩაიარა. მარტო იმის ხილვა რად ღირდა, როგორ შეკრეს ურყევი კავშირი კონსტანტინე, ანუ კოკო გამსახურდიამ და ჯონდი, იგივე ფანტომასა ბაღათურიამ. კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო განცხადება, რომელიც სხდომიდან გამოსულმა კოკომ გააკეთა: **„ჩემი პოზიცია უცვლელია, პარლამენტში შესვლა არ ნიშნავს, რომ ხელისუფლების მიმართ ლოიალური გავხდი...“**

როცა ჟურნალისტებმა ჰკითხეს, რას აპირებ, რამე ახალი ინიციატივა თუ გაქვსო, უპასუხა: **„ამ ხელისუფლების წინააღმდეგ მუხლჩაუხრელი, მშვიდობიანი ბრძოლაა საჭირო და ჩემი ერთადერთი გეგმაც სწორედ ეს არის...“**

„ნეტარ არიან მორწმუნენი“, „ოცნებას კაცი არ მოუკლავს“, რაღა მაინცდამაინც ჯონდის გაიმეტებს ან კოკოს?!

ღმერთმა დიდხანს გასიამტკბილოთ, „სიამის დეპუტატებო“, თუნდაც სულ არ ფიქრობდეთ, რომ „სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობია...

**ჯაბა ჟვანია**

# მიშას (მ)შვიდი ნოემბერი

**ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტად წოდებულ, რეალურად კი გიგი ანტიქართველაძე-თევზაძის სახელობის სახელმწიფო „სამიხუინიზაციო“ სასწავლებელში გასულ პარასკევს „ნაცმოძრაობის“ წინასაშვიდნოემბრო ყრილობა გაიმართა. მიშა ჰალსტუხჭამიაშვილ-სააკაშვილი სტუდენტებს შეხვდა და ყველა იმ საჭირბოროტო საკითხზე იმსჯელა, რომელთა გაუთვალისწინებლობამ თავის დროზე კინაღამ ჩაილურის წყლით გაჭყიპა „ვარდოსანთა ბელადი“.**

„ყრილობამ“ იმთავითვე დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც სტუდენტებში, ისე ჟურნალისტებშიც, თუმცა ჰალსტუხჭამიაშვილმა მხოლოდ დახურულ კარს მიღმა ისურვა შეხვედრის გამართვა და რას გავაწყობდით...

მარიკა ვერულაშვილის კატეგორიული მოთხოვნით, მედიის წარმომადგენლები უნივერსიტეტის კიბეზე განვლაგდით. მისივე ბრძანებით, კატეგორიულად აგვეკრძალა შესასვლელ კართან მიახლოება, გვითხრეს: პრეზიდენტი წუთი წუთზე მოვა, მანქანა რომ გაჩერდება, ელვის სისწრაფით გადმოხტება და შეიძლება რომელიმეს დაგეჯახოთო. თურმე ჩვენი კეთილისმსურველი ყოფილა ქალბატონი ვერულაშვილი — ხუთი წუთის შემდეგ უნივერსიტეტის წინ შავი „მერსედესი“ გაჩერდა; კარები მართლაც ელვისებურად გაიღო და ჩვენ თვალწინ ორმეტრიანი, თავქოჩორა, ჩასუქებული გიჟი წამოიმართა. მე პირველად მხვდა პატივი მისი ნატურაში ხილვისა და, სიმართლე გითხრათ, ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. შალვა ნათელაშვილის ნათქვამი გამახსენდა: ამერიკის ერთ-ერთ პრესტიჟულ ფსიქიატრიის კვლევით ცენტრში დაადგინეს, რომ ჩვენი პრეზიდენტი გონებრივად სრულყოფილი არ არისო... დიახ, ამაში თავადაც დარწმუნდებოდით, რომ გენახათ, როგორ ჯამბაზივით, კუნტრუშით აირბინა უნივერსიტეტის კიბე — მარჯვენა ფეხი პირველ საფეხურზე რომ დადგა, მარცხენა უკვე მეხუთეზე ჰქონდა და თვალსა და ხელს შუა გაგვიქრა ჩვენი სასახელო ჰალსტუხჭამიაშვილი. მას ფეხდაფეხ მისდევდნენ გიგი ანტიქართველაძე და მარიკა ვერულაშვილი, მაგრამ ამაოდ; მათ რომ საკონფერენციო დარბაზამდე მიაღწიეს, მიშას უკვე კარგახნის შესრულებული ჰქონდა დღის განრიგი და გეზი ავლაბრისკენ ჰქონდა აღებული.

**თუმცა ყველაფერი ამით არ დასრულებულა, შეხვედრის შემდეგ ის სტუდენტები, რომელთაც დასწრების პატივი არ ერგოთ, უკმაყოფილებას ვერ მალავდნენ და „ყრილობის“ ორგანიზატორებს მკაცრად საყვედურობდნენ. პასუხიც შესაბამისად მკაცრი მიიღეს — დასწრება თუ გინდოდათ, სიაში უნდა ჩაწერილიყავითო. მოკლედ სტუდენტებსა და „ყრილობის“ ორგანიზატორებს შორის სერიოზული კამათი ატყდა, რაც უშვერი სიტყვებითა და ერთმანეთის ლანძღვით დამთავრდა.**

მოგვიანებით, როცა „მხარეები“ დაშოშმინდნენ, რამდენიმე სტუდენტს გავესაუბრე და უკმაყოფილების მიზეზი ვკითხე.

„შეხვედრაზე არ შეგვიშვეს, სიაში არა ხართო... ვინ შეადგინა ეს სია, როდის შეადგინა და რა პრინციპით შეარჩიეს სტუდენტები, არ გვეუბნებიან. ჩვენ არ ვიცოდით, რომ დღეს შეხვედრა იმართებოდა. **ის ასორმოცდაათი სტუდენტი, დარბაზში რომ შეყარეს, ყველანი „თავისუფლების ინსტიტუტის“, „კმარასა“ და „ნაცმოძრაობის“ ახალგაზრდული ფრთის აქტივისტები არიან,“ — განაცხადა ერთ-ერთმა სტუდენტმა.**

როგორც შემდეგ გაირკვა, დარბაზში თურმე მართლა უხვად ყოფილან თუთბერიძის გულუბრყვილო მიმდევრები. მათ შორის ის სახელოვანი რაინდებიც ბრძანებულან, რომელთაც ლომის წილი მიუძღვით პატრიარქის წინააღმდეგ დაწყებულ ანტიმართლმადიდებლურ კამპანიაში.

**მოკლედ, გიგი ანტიქართველაძე-თევზაძის სახელობის „სამიხუინიზაციო“ სასწავლებელში სტუდენტები, ძირითადად, ორ კატეგორიად იყოფიან — ერთნი, რომელთაც ცნება — ტრადიციული ქართველი კომუნისტური იდეოლოგიის ჭუჭყიან გადმონაშთად მიაჩნიათ და მეორე, რომელთაც გიგილოს მიმდევრები ჩამორჩენილობასთან, უვიცობასა და განუვითარებლობასთან აიგივებენ.**

საბედნიეროდ, მათი ამოცნობა ძალიან ადვილია — გიგის სულიერ შვილებს მზე და მთვარე სასწავლებელში „თავისუფლების ინსტიტუტისა“ და „კმარას“ სახით დაბუდებულ სატანაზე ამოსდით, მათი „სარწმუნოების“ თავგადაკლული მქადაგებლები არიან და პედარასტობის ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ნათელა ბერიკაშვილი: ვერავინ და ვერაფერი შეუშლის ხელს ქართველთა და აფხაზთა კარგ დამოკიდებულებას

**აფხაზეთის რადიოს ქართული რედაქციის ხელმძღვანელის ნათელა ბერიკაშვილის აზრით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტი სახალხო დიპლომატიის წყალობით უფრო მალე მოგვარდება, ვიდრე ეს პოლიტიკოსებს წარმოუდგენიათ! ქალბატონი ნათელა განცვიფრებულია იმ პატივისცემის გამო, რაც დღევანდელმა აფხაზურმა დე ფაქტო მთავრობამ მისი მეუღლის, აწ გარდაცვლილი კომპოზიტორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სოხუმის ფილარმონიის დირექტორის მოადგილის მამია ბერიკაშვილის მიმართ გამოიჩინა და „საქართველო და მსოფლიოს“ მეშვეობით თბილისიდან მადლობას უთვლის მათ.**


ნათელა ბერიკაშვილი


რაჟდენ გუმბა, მამია ბერიკაშვილი და კონსტანტინე ჩენგელია

**— ქალბატონო ნათელა, არაერთგზის მსმენია, რომ თქვენს ოჯახს აფხაზები განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდნენ; რა იყო ამ განსაკუთრებული სიყვარულის მიზეზი?**

— უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა გადავუხადო თქვენს გაზეთს იმისთვის, რომ ამ თემით დაინტერესდით და საშუალებას მაძლევთ, მოვუთხრო მკითხველს, თუ როგორ მოვხვდით 1957 წლიდან მე და მამია აფხაზეთში!

ყველაფერი ასე დაიწყო: აფხაზეთის მაშინდელმა მთავრობამ თბილისისგან ერთი ახალგაზრდა კომპოზიტორი მოითხოვა, რომელიც ხელს შეუწყობდა კულტურის განვითარებას აფხაზეთში! მამია, ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, სოხუმში გაემგზავრა...

**— წინააღმდეგი რატომ იყავით?**

— იმიტომ, რომ იქ არავის ვიცნობდი, არ მყავდა მეგობრები, ნათესავები და ა.შ., მაგრამ, როდესაც მოგვიანებით მეც ჩავედი, მოვინუსხე იქაურობით, გავიცანი არაჩვეულებრივი ინტელიგენცია, არაჩვეულებრივი ხალხი. ვცხოვრობდით ბედნიერად! ჩემი მეუღლე ჩასვლისთანავე ფილარმონიის დირექტორის მოადგილედ დანიშნეს; წერდა სიმღერებს საესტრადო ჯგუფებისთვის, აფხაზური და ქართული თეატრისთვის და ძალიან პოპულარულიც გახლდათ. ნებისმიერი პრემიერის (როგორც აფხაზური, ისე ქართული სპექტაკლებისა) შემდეგ მთელი დასი რესტორან „რიწაში“ იკრიბებოდა, სადაც სუფრას არაჩვეულებრივი მოქართულე, დახვეწილი ინტელიგენტი ივანე თარბა თამადობდა და ირგვლივ „მრავალჟამიერი“ და „ოუ რაიდა, სი ვარაიდა“ ისმოდა!

**— თქვენი აზრით, პირველი ბზარი როდის გაჩნდა და შემდეგ რამ განაპირობა ვითარების ისეთი დაძაბვა, რომ ომი გარდაუვალი გახდა?**

— გულახდილად ვამბობ: პირველი ბზარი პირადად მაშინ შევნიშნე, როცა ქართველებს იმ თეატრიდან გასვლა მოუნდათ, სადაც აფხაზური თეატრიც მუშაობდა! მიზეზად კი იმას ასახელებდნენ, რომ ქართულ დასს უფრო მეტი სპექტაკლი ჰქონდა, მეტი ფული შეჰქონდა თეატრის ბიუჯეტში, დაფინანსება კი აფხაზი მსახიობების ოდენა ჰქონდა! მიზეზად ისიც სახელდებოდა, რომ აფხაზი რეჟისორის ჰონორარი უფრო მაღალი იყო, ვიდრე ქართველი რეჟისორისა. ეს მცირე ნიუანსები, რა თქმა უნდა, „შეგდებული“ იყო იმისთვის, რომ სიტუაცია ნელნელა დაძაბულიყო... თუმცა, უფრო ადრე, 70-იან წლებში, სოხუმის ფილარმონიაშიც განვითარდა არასასურველი პროცესი და, როდესაც მაშინდელი კულტურის მინისტრი ოთარ თაქთაქიშვილი ჩამოვიდა სიტუაციაში გასარკვევად, იქ აფხაზებმა მას და საქართველოს მთავრობას მოსთხოვეს: რადგან ავტონომიური რესპუბლიკა ვართ, უფლება გვაქვს, სიმფონიური ორკესტრი, კაპელა, ოპერა და სხვა კულტურული სტრუქტურები გვქონდეს, რადგან კონსერვატორიადამთავრებული ჩვენი კადრები დასაქმდნენო. გაგიკვირდებათ, მაგრამ თაქთაქიშვილმა მაშინ აფხაზებს სრულიად სამართლიან მოთხოვნაზე უარი განუცხადა! ვერ გადმოგცემთ, რა ამბავი ატყდა დარბაზში! თაქთაქიშვილი დარბაზიდან (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით) ძლივს გაიტანეს! სხვათა შორის, ჩემმა მეუღლემ ბატონ ოთარს ამ ფაქტისა და უარისთვის უსაყვედურა. ამის გამო თაქთაქიშვილი მამიას გადაეკიდა და, სანამ კულტურის მინისტრი იყო, გასაქანს არ აძლევდა! ჩემი მეუღლე კი იმ დროს თბილისში არ ჩამოდიოდა!..

**— აფხაზებს მოგვიანებით ხომ ჰქონდათ კაპელაც და სიმფონიური ორკესტრიც?**

— დიახ, ჰქონდათ, „ნება დართო“ საქართველოს მთავრობამ; განა არ ჯობდა, ეს ყოველგვარი დაძაბულობისა და უსიამოვნების გარეშე მომხდარიყო? თანდათან რატომ ვძაბავდით სიტუაციას? არ ვამბობ, რომ აფხაზები უცოდველები იყვნენ. რასაკვირველია, მათ შორისაც იყვნენ მოექსტრემისტო ელემენტები, მაგრამ შენ, ქართველო, როცა იცი, რომ ვიღაც ამ პროვოკაციებს ხელოვნურად გიწყობს და გახელებს, რატომ წამოეგები ხოლმე? მე სულ ვამტკიცებდი — ის, რაც ცხინვალში მოხდა (გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს), სოხუმში არასოდეს მოხდება მეთქი, მაგრამ მაინც მოახდინეს.

## «მართალია, ომი ჩვენ დავიწყეთ, მაგრამ ნურც აფხაზებს დაავიწყდებათ, რომ სოხუმის დაცემის შემდეგ ასობით უდანაშაულო ქართველი დახვრიტეს!»

**— ომი რომ დაიწყო, ბევრი ქართველივით თქვენც გაგიხარდათ?**

— მე და მამია ჩვენს ეზოში ვიდექით, სოხუმში ტანკები რომ „შემოგრიალდნენ“... „მი პოგიბლი ნატელოჩკა,“ — მითხრა მამიამ, — „ჩვენ აფხაზეთს დავკარგავთ“! სამწუხაროდ, მართალი აღმოჩნდა.

**— 1978 წლიდან დღითიდღე უფრო მძაფრდებოდა აფხაზთა მოთხოვნები. საინტერესოა, თქვენს სამსახურში, ანუ აფხაზურ რადიოში თანამშრომელთა მხრიდან თუ გრძნობდით რაიმე უკმაყოფილებას და დღეს თუ გაქვთ მათთან ურთიერთობა?**

— არავითარი დაპირისპირება არ მქონია აფხაზებთან! პირიქით, ყოველთვის თბილად და პატივისცემით მეპყრობოდნენ და დღესაც ასეა. 1978 წელს, როცა აფხაზებმა რუსეთთან შეერთება პირველად მოითხოვეს, თბილისიდან სოხუმში ჩამოვიდა ედუარდ შევარდნაძე, ხოლო მოსკოვიდან — კაპიტონოვი. მაშინ კაპიტონოვმა განაცხადა: „არავითარი შემოერთება არ მოხდება!“ ლენინის სახელობის მოედანი გაჭედილი იყო ხალხით... ამ სიტყვებზე დაინგრა იქაურობა, ისეთი ამბავი ატყდა, შევარდნაძეს მეგაფონები და მიკროფონები ჩამოუყარეს და სიტყვის თქმის საშუალება არ მისცეს... ძლივს გაიყვანეს უვნებელი იმ ტერიტორიიდან... მაგრამ ამ ისტორიაში მთავარი ის იყო, რომ არც ერთმა რედაქციამ კაპიტონოვის სიტყვები არ გადასცა მოსახლეობას. ეს ამბავი ქართული რედაქციიდან პირველმა მე წავიკითხე ეთერში! რამდენიმე წუთის შემდეგ კი ჩემი სამუშაო „კაბინა“ გარედან ჩაკეტეს და არ ვიცი, რა დამემართებოდა, რომ არა ჩვენი აფხაზი თავმჯდომარე ფარცხია, რომელმაც იმ დღეს გადამარჩინა.

**ომის დროს ჩემს აფხაზ მეზობლებსა თუ თანამშრომლებს, რომლებიც შიმშილისგან ქუჩაში ვერ გამოდიოდნენ, შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ, მე ვაწვდიდი პურსა და პროდუქტებს! რამდენიმე მათგანს სოხუმიდან გუდაუთაში უვნებლად გადასვლაშიც დავეხმარე!**

ომის განმავლობაში, მამიას შერყეული ჯანმრთელობის მიუხედავად, იქიდან წამოსვლა არც გვიფიქრია... შვილებმა — მამუკამ და ლევანმა თავიდანვე განაცხადეს, ჩვენ აფხაზებს ვერ ვესვრითო და არც უსვრიათ, თბილისში წამოვიდნენ! მარტში მამია გარდაიცვალა. საკვირველი ის იყო, რომ აფხაზურმა ტელევიზიამ, რომელიც იმხანად გუდაუთიდან მაუწყებლობდა, ჩვენი ოჯახის მწუხარებას საკმაო საეთერო დრო დაუთმო და მამიას შესახებ ძალიან თბილი სიუჟეტი გააკეთა! ახლა მე გეკითხებით: რა ესიუჟეტებოდა და რატომ გააკეთა ეს მაშინ აფხაზობამ, როცა გაგანია ომი იყო?

**მე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო აფხაზეთის ტელევიზიის დირექტორს — რუსლან ხაშიგს მამიას დაფასებისთვის; ალექსანდრე ანქვაბს კი — იმისთვის, რომ მოსკოვში გამოშვებულ აფხაზური საესტრადო მელოდიების კომპაქტ-დისკებში მან ჩემი მეუღლის ორი სიმღერაც შეიტანა!**

**— რამდენადაც ვიცი, ბატონი მამიას მიერ შექმნილი ერთ-ერთი მელოდია დღეს აფხაზეთის ჰიმნია. მართალია ეს?**

— არ მომისმენია აფხაზეთის ჰიმნი, მაგრამ ასე ამბობენ... მე ერთი რამ ვიცი, რომ აფხაზებმა გამოუშვეს ენციკლოპედია და კომპოზიტორი მამია ბერიკაშვილი, როგორც აფხაზეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწე, ამ ენციკლოპედიაში შეიყვანეს!

**— ბატონი მამია სოხუმშია დაკრძალული?**

— არა, თბილისში... როცა მისი მდგომარეობა ძალიან დამძიმდა, აქეთ წამოვიყვანეთ... გაგიკვირდებათ: როცა ცუდად იყო, მისი აფხაზი მეგობრები ინტენსიურად მოდიოდნენ ჩვენთან, ამხნევებდნენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ხშირად მატერიალურადაც გვეხმარებოდნენ; აღარაფერს ვამბობ პროდუქტებზე, უხვად რომ მოჰქონდათ! აი, ასეთი ურთიერთობა გვქონდა ჩვენ მათთან და, შესაძლოა, დღესაც (როცა ასეთი დაძაბულობაა) ამიტომ ვურთიერთობთ პატივისცემითა და სითბოთი! ჩემი მეგობრები მეუბნებიან: „ნატელოჩკა, სოხუმში უეჭველად უნდა ჩამოხვიდეო“, მაგრამ როგორ? ამაზე პასუხი არ აქვთ! რომ იცოდეთ, როგორ მინდა იქ ჩასვლა, თვალის გადავლება ჩემი სახლისთვის, მეგობრების მონახულება... ნუთუ მართლა ველარასოდეს ჩავალ სოხუმში, სადაც ზღვასაც სულ სხვა ფერი აქვს?

**სულ ცოტა ხნის წინ აქ, თბილისში, აფხაზეთის დამსახურებული მოღვაწე, მოცეკვავე გივი ჩახავა გარდაიცვალა. უნდა გენახათ, რაოდენ დიდი იყო ჭირისუფლისა და სამძიმარზე მისული საზოგადოების გაკვირვება, როცა სოხუმიდან კანდიდ თარბამ დარეკა და ოჯახს მიუსამძიმრა!**

ვერავინ და ვერაფერი შეუშლის ხელს ქართველთა და აფხაზთა კარგ დამოკიდებულებას. მიმაჩნია, რომ ასეთი ფაქტების პირობებში სახალხო დიპლომატიამ თავისი ხმამაღალი სიტყვა უნდა თქვას! იცით, როგორ მინდა ამ ურთიერთობების აღდგენაში ჩავერთო და ჩემი სიტყვა ვთქვა? მართალია, ომი ჩვენ დავიწყეთ, მაგრამ ნურც აფხაზებს დაავიწყდებათ, რომ სოხუმის დაცემის შემდეგ ასობით უდანაშაულო ქართველი დახვრიტეს!

**— როგორ ფიქრობთ, დღევანდელ ხელისუფლებას შესწევს უნარი აფხაზურ-ქართული ურთიერთობების აღდგენისა?**

— ჩემი აზრით, რისი უნარიც შესწევდათ, ის უკვე გააკეთეს!

**— ქალბატონო ნათელა, როგორ ფიქრობთ, აფხაზეთი სამუდამოდ დავკარგეთ?**

— მომკალით და მჯერა, რომ სოხუმში აუცილებლად დავბრუნდებით! ძნელად, რთულად გასავლელი გზით, მაგრამ მაინც დავბრუნდებით, რადგან ჩვენ აფხაზი ერი მტრად არ მიგვაჩნია და, საბედნიეროდ, საღად მოაზროვნე აფხაზებსაც ასე ჰგონიათ. მე თქვენ დაგიტოვებთ საოჯახო არქივიდან ამოღებულ, 70-იან წლებში გადაღებულ ერთ ფოტოს, რომელზეც ჩემი მეუღლე მამია ბერიკაშვილი, აფხაზი კომპოზიტორი კონსტანტინე ჩენგელია და კომპოზიტორი რაჟდენ გუმბა საქართველოს სადღეგრძელოს სვამენ! გამოაქვეყნეთ. დაე, ეს ფოტო საწინდარი გახდეს აფხაზთა და ქართველთა შორის ახალი სადღეგრძელოებისა და ახალი ურთიერთობებისა!

ესაუბრა
**ირინე გოგოსაშვილი**

**P.S. ამას წინათ, სოჭიდან ლესელიძის გავლით სოხუმში ჩავიდა ერთი ძალიან ცნობილი ქართველი ბიზნესმენი (ვინაობას ვერ დაგისახელებთ), რომელიც აფხაზების პრეზიდენტის სერგეი ბაღაფშის ძველი მეგობარია. რა თქმა უნდა, იგი მაშინვე დააპატიმრეს და სოხუმის მილიციაში გადმოიყვანეს. დაკავებულს უთხოვია, ბაღაფშთან დამარეკინეთო. დაარეკინეს ღამის 4 საათზე, მაგრამ ყურმილის აღებისთანავე სერგეის ყვირილი დაუწყია: რას მობრძანდებოდი აქეთ, ვინ გელოდებოდათ ქართველებსო; გაოგნებულა ის ბიზნესმენი, ნუთუ ახლო მეგობრისგან ამის ღირსი ვიყავიო?!**

**გვიან ღამით სოხუმის მილიციაში აფხაზეთის მთავრობის ოთხკაციანი ჯგუფი მისულა და ეს ადამიანი გაუთავისუფლებიათ! ამით იმის თქმა მინდა, რომ ბაღაფშიც და დანარჩენებიც წნეხის ქვეშ იმყოფებიან, მათ ტელეფონებსაც უსმენენ და სწორედ ამიტომ უპასუხა მეგობარს ასე უკმეხად, თორემ მკითხველი, ალბათ, მიხვდა, სოხუმის მილიციიდან მეგობარი ქართველის გათავისუფლების შემდეგ რაც მოხდა...**

◀ სააგიტაციო ლექციებსაც (რომელიც ამ ავადსახსენებელ სასწავლებელში არცთუ იშვიათად ტარდება) სიამოვნებით ესწრებიან. მათი ამოცნობა იმ მხრივაც ადვილია, რომ, მრწამსისა და მსოფლმხედველობის გარდა, მანერებით, მეტყველებითა და, თქვენ წარმოიდგინეთ, შესახედაობითაც ძალიან ჰგვანან თავიანთ მამობილ-დედობილებს: გოგონები — თეა თუთბერიძეს, ბიჭები კი — გიგი ანტიქართველაძე-თევზაძეს, თუმცა ზოგიერთს ერთი შეხედვით ვერც კი შეატყობ, გოგოა თუ ბიჭი.

**საბედნიეროდ, ისინი უმცირესობაში არიან და, ღმერთმა ნუ ქნას, სხვაგვარად იყოს, მაგრამ იმდენი მაინც შეუძლიათ, რომ მიშა ჰალსტუხჭამიაშვილს სავსე დარბაზი დაახვედრონ. ტაშის დაკვრაც ეხერხებათ და კამერის წინ „ნაცმოურად“ პოზირებაც; ვინაობის გამხელას კი ჯერ არ ჩქარობენ, რადგან 2013 წლამდე ჯერ კიდევ სამი წელია და ბატონ ჰალსტუხჭამიაშვილს არ ესიამოვნება „კონკურენტის“ გამოჩენა...**

**ჯაბა ჟვანია**

გსურთ, გამოხმაუროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# «დონავიზიის» შიშველი სიმართლე და გია ჭანტურიას ცხოვრების მშვენიერების დარდუბალა

**როდესაც ამ ორიოდე თვის წინათ თბილისის ქუჩებში პირველი პორნო ბილბორდები გამოჩნდა, სიმართლე გითხრათ, ეს ამბავი ვერაფრით დავაკავშირე იმავდროულად სამთავრობო კონტროლქვეშ არსებულ ტელე არხებზე დაანონსებულ ამბავთან — ახალი ტელევიზიის გახსნასთან.**
**რაც შეეხება თავად ახალ ტელევიზიას, პატარა იმედის სხივი მიჭიატებდა გონებაში.**

— ვიფიქრე, არიქა, გვეშველა, მიშას ახალმა მამობილმა, ჯო ბაიდენმა, მსოფლიო დემოკრატიის ყოფილ შუქურასა და ვარსკვლავბიჭუნას, ჩვენგან მალულად, ანუ კადრს მიღმა, იქნება, მამაშვილურად ყური აუწია და უძღები შვილი მედია სივრცის გახსნაზე დაიყოლია, რის მაუწყებელი პირველი მერცხალიც ახალი ტელევიზია იქნება-მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე, ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს — ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდაო, ისე დაგვემართა.

**პირველი რეჩხი გულმა მაშინ მიყო, როდესაც ვიღაც „ხულიგნების“ მიერ იმ ბილბორდების შავი საღებავით „წაბილწვის“ შესახებ შევიტყვე; და ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც ეს ჩემი ავი წინათგრძნობა გამართლდა — ე. წ. რეალტივის სახით შიშველი სიმართლის რა მოგახსენოთ და მორიგი შიშველი პროპაგანდისტული მანქანა კი შეგვრჩა ხელში.**

**„დონავიზიის“ ეთერში გასვლისთანავე ცხადი გახდა, რომ ახალი მაუწყებლობის მთავარი ამოცანა და მიზანი, ზოგადად, ოპოზიციური სპექტრის, რომელიც მიზეზთა გამო სახელგატეხილია, ბოლომდე ჩაწიხლვა-გასრესაა.**

**მკითხველს ვთხოვ, სწორად გამიგოს — ამას იმისთვის არ ვამბობ, რომ ოპოზიციის დაცვას ვაპირებ. ოპოზიცია,** უიშვიათესი გამონაკლისების გარდა, გასაკრიტიკებელი კი არა, მე თუ მკითხავთ, გასაროზგიც არის, მაგრამ ამ წერილის მთავარი მიზანი სხვაა და ამ მიმართებით არ შემიძლია, ერთი მაგალითი არ მოვიყვანო.

**საკმარისი იყო, რომ ლოთი ქობალია ზურაბ ნოღაიდელის გვერდით აღმოჩენილიყო, რომ მაშინვე გაახსენდა „დონავიზიას“ ლოთის მიერ დახვრეტილი დათო ბოლქვაძე. ნამდვილად არ ვარ ყოფილ პრემიერზე დიდი წარმოდგენის, მაგრამ პოლიტიკურ ალღოს რომ არ უჩივის, ეს თუნდაც ლოთი ქობალიას შემთხვევაში დასტურდება. სამეგრელო, კერძოდ ზუგდიდი, რომ მიზეზთა გამო უმნიშვნელოვანესი რეგიონია, სადაც განსაკუთრებით ძლიერი პოზიციები აქვთ ნაცებს, არა მგონია, სადაო იყოს. აგრეთვე, ისიც, რომ აქამდე ვერც ერთმა ოპოზიციურმა პარტიამ თუ ლიდერმა ვერ შესძლო იქ ხელისუფლებისთვის მეტნაკლებად ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბება და არა მხოლოდ იმიტომ, რომ სამეგრელოში განსაკუთრებით ძლიერია ნაცების დიქტატურა-ტერორი.**

არამედ იმიტომაც, რომ ათასგზის მოტყუებული და იავარქმნილი სამეგრელო, მეგრელი კაცი, ასე ადვილად აღარავის ენდობა და ლოთი ქობალიაც, რომელსაც მიუხედავად ყველაფრისა, არც თუ უმნიშვნელო გავლენა აქვს და უფრო მეტიც, იმდენი ძალაც გააჩნია, რომ ახალაიების კლანიც კი ცუდ-უბრალოდ ვერაფერს გაუბედავს, სწორედ ამისთვის სჭირდება ზურაბ ნოღაიდელს.

ჰოდა, აქამდე სად იყვნენ „დონავიზიები“? ახლა რომ ამოქექეს მრავალი წლის წინათ გარდაცვლილი დათო ბოლქვაძის თემა და წაღმა-უკუღმა ატრიალებენ „რეალტივის“ ეთერში ნოღაიდელის მოსკოვში ვიზიტის ფონზე. იმაზე რატომ არაფერს ამბობენ, რომ დათო ბოლქვაძის მკვლელი ლოთი ქობალია მიშა სააკაშვილმა გამოუშვა ციხიდან სწორედ იმ მიზნით, რომ ნაცების პოზიციების გამყარებაში დახმარებოდა, მაშინ, როდესაც ახალაიებს მხოლოდ ოცნება თუ შეეძლოთ იმაზე, რასაც დღეს მიაღწიეს სამეგრელოში და არა მხოლოდ სამეგრელოში?

დიდის მოკრძალებითა და თანაგრძნობით, მინდა, დათო ბოლქვაძის ჭირისუფლებსაც მივმართო — ნუთუ ვერ ხვდებით, რომ თქვენს მოუშუშებელ იარას თქვენივე ხელით იყენებს ხელისუფლება ბინძური პოლიტიკური მიზნებისთვის?

მიუხედავად იმისა, რომ „დონავიზიის“ მაუწყებლობა სულ ახალი დაწყებულია, მათი „შიშველი სიმართლის“ ტყუილების მაგალითების მოხმობა კიდევ ბევრის შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, ესეც საკმარისია.

დასასრულ, საზოგადოებას მხოლოდ იმას შევახსენებ, რომ „დონავიზიის“ შეფი ის გურამ დონაძეა, რომელმაც „რუსთავი 2“-ში მაშინ შეწყვიტა ქართველი დონაჰიუს კარიერაზე ოცნება, როდესაც პირდაპირ ეთერში ყურები აახიეს და რევოლუციის შემდეგ შსს პრესცენტრის „დონად“ მოგვევლინა; ეს ის „დონია“, ვისი ბრძანებითაც, დახვრეტილ ბუტა რობაქიძეს „პოსმერტნო“ ავტომატი „ჩაუდეს“; ეს ის „დონია“, ვინც სანდრო გირგვლიანის მკვლელობის შეკვეთაშია ეჭვმიტანილი და ასეთი კაცის ტელევიზიის შიშველ სიმართლეს ვინმე დაიჯერებს?..

ახლა კი, ჩემო მკითხველო, რადგანაც ყველა ალხანას თავისი ჩალხანა ჰყავს, „დონას“ ჩალხანა, გია დარდუბალოვიჩ ჭანტურიაზე გადავინაცვლოთ, ე.წ. საზოგადოებრივ არხზე, რომლის მაუწყებლობის მთავარი დევიზი კიდევ ერთი შიშველი სიმართლეა.




## ცხოვრება მშვენიერია!

**ვინ აღარ ვიხილეთ რევოლუციის შემდეგ ამ ტელევიზიის ხელმძღვანელის სავარძელში, მაგრამ, როგორც იტყვიან, არ დაადგათ საშველი. არაფერმა გაჭრა ამ ხალხზე, თვით ე. წ. სირცხვილის კორიდორებმაც კი, მაინც უსირცხვილოდ გვაყრიან თვალში ნაცარს და ყოველ დღე გვიმტკიცებენ, რომ ცხოვრება მშვენიერია. და ახლა გია ჭანტურია...**

ეს ის კაცია, რომელიც თავის დროზე „დარდუბალას“ ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი იყო, ანუ ვისაც არც თუ უმნიშვნელო წვლილი მიუძღვის ვარდების რევოლუციაში, თუმცა წვლილის მიუხედავად, წილი თავიდანვე ვერ დაიდო, წილში არ გაიყვანეს.

**კარგად მახსოვს, როცა ვარდების დემოკრატიულმა იდეალებმა ჭკნობა დაიწყო და ჯერ კიდევ ნაცების მიერ ბოლომდე არ იყო „რუსთავი 2“ პრივატიზებული, მისი ეთერის ერთ-ერთ ბოლო პლურალისტურ თოქშოუში, როგორი განცხადება გააკეთა ამ ვაჟბატონმა — რა დროს დემოკრატიაა, ჯერ ქვეყანა გვაქვს ასაშენებელიო! რაც, ერთი მხრივ, იქ დამსწრე საზოგადოებისთვის სილის გაწნას ჰგავდა, რომლის ნაწილმაც პროტესტის ნიშნად დატოვა სტუდია და, მეორე მხრივ, „დარდუბალას“ ავტორის ეს განცხადება ხელისუფლების გასაგონადაც იყო გაკეთებული — აქა ვარ, რატომ დაგავიწყდით, მე რა, მაწყენს ხიზილალიანი ბუტერბროდიო?**

აი, ასეთი კონფორმისტი მედროვე ჩაუყენეს „საზოგადოებრივ არხს“ სათავეში და ეს ვიგინდარა განკარგავს ამ ტელევიზიის 27-მილიონიან ბიუჯეტს, რომელიც ყველა ჩვენგანის ჯიბიდან ფინანსდება.

**სამწუხარო ფაქტია, რომ ე. წ. ნაციონალური არხებიდან, რომელთაც ხალხმა რუსთავი 1,2,3 და ა.შ. შეარქვა, არაობიექტურობის, ტენდენციურობის ხარისხით, პირველობას არავის უთმობს I არხი. არა და სწორედ მათ მოეთხოვებათ და ევალებათ საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა, რასაც ისინი ოდენ ცხოვრების მშვენიერების ცრუ პროპაგანდაში ხედავენ.**

მერე რა, რომ ომში დავმარცხდით, მერე რა რომ საქართველომ ტერიტორიების ლამის 1/3, დე ფაქტო — დე იურე დაკარგა, მერე რა, რომ ათიათასობით ახალი დევნილები გვყავს — გადართეთ **I არხზე** და ნახავთ, თუ როგორ უზით კალთაში „ქლაბოუში“ პედერასტების როლების ცნობილ და საეჭვო ოსტატობით შემსრულებელ ნიკა გრიგოლიასა და მიშა ანდღულაძეს ცოლები და იმაზე დაობენ, თუ ვისი ცოლია უფრო სექსუალური. ამაზე მეტი დასტური გინდათ იმისა, რომ ჩვენი ცხოვრება მშვენიერია?

**ან ე. წ. დიდი ათეული რად ღირდა, რომლის ერთ-ერთი გადაცემაც ეკლესიაზე დარტყმისთვის გამოიყენეს. გადაცემა, რომელიც, როგორც წესი, ჩანაწერის სახით გადიოდა. ის გადაცემა, რომელზეც ვსაუბრობ, „რატომღაც“ პირდაპირი ეთერით მიდიოდა, სადაც „თავისუფლების ინსტიტუტის“ ცნობილი ხლისტი დავით პაიჭაძე, პირდაპირ „აწვებოდა“ ირმა სოხაძეს — თქვი, რომ პატრიარქმა განახორციელა თქვენზე ზეწოლა, რისი გეშინია, პირდაპირ ეთერში ხართო!**

ახლაა და, თეა თუთბერიძის ცნობილი გამოხდომის შემდეგ, საპატრიარქოს თხოვნას პირდაპირი ეთერის მიცემის შესახებ, უარს ეუბნება გია ჭანტურია იმ აბსურდული მოტივით, რომ შესაბამისი ფორმატის გადაცემა არ გვაქვსო (?).

**თუმცა რაღა უნდა გაუკვირდეს საზოგადოებას „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში ჩემი კოლეგა ირმა ინაშვილის ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ. „თავისუფლების ინსტიტუტი“, რომელსაც ფაქტიურ გამგებლობაში გადასცეს „საზოგადოებრივი არხი“; ამას ელოდნენ ლევან რამიშვილის, გიგი თევზაძის, სოზარ სუბარის, ლაშა ბუღაძის, ბექა მინდიაშვილის, ნოდარ ლადარიას, ბასილ კობახიძის, მამუკა ხერხეულიძის, თამარ კინწურაშვილისგან, რომლებიც ირმა ინაშვილმა ჩამოთვალა, როგორც 2004 წლის „საგანგებო თათბირის“ მონაწილენი? ამ ხლისტებისგან ვინმე რაიმე ფარსაგს ელოდა? ან იმავეს მოელის ვინმე გია დარდუბალოვიჩისგან?**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ისტორიამ არა ერთი და ორი დიდმოწამე წმინდანი იცის, ქართველი ერი არასოდეს ყოფილა ქრისტეს ჯვრის ფანატიკურად მიმდევარი. ფანატიკურად ქართველ კაცს მხოლოდ საკუთარი სამშობლო უყვარდა. საკუთარი ეროვნული **მეს** იდენტიფიკაციას მართლმადიდებელ ქრისტიანობაში ხედავდა და ამიტომაც, როგორც დიდი ილია ამბობდა, ქრისტეს ჯვრისთვის ჯვარს ეცვა ქართველი ხალხი. იმიტომ ებრძვიან ჩვენი შინაური მტრები — სოროსის, ბჟეზინსკის ძუძუნაწოვი „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრები ასე გააფთრებით ჩვენს დედა ეკლესიას, რადგან კარგად უწყიან, იმ წმინდა სამებიდან — ენა, მამული, სარწმუნოება — რისი დაცვაც ილია მართალმა ანდერძად დაგვიტოვა, ენა, დიდი ხანია, გაბახებულია; მამული — ჩამომცრობილი და, თუ ამ ტემპით გაგრძელდა საქართველოს დაშლის პროცესი, სულ მოკლე ხანში ვინძლო პრეზიდენტის ავლაბრის სასახლის მიმდებარე ტერიტორია შეგვრჩეს მხოლოდ; მამა-პაპათა რჯულია ის, რითაც და რის გამოც ქართველს ქართველი შეიძლება ერქვას ჯერ კიდევ...

იქნებ, ვინმემ იფიქროს, რომ „კალამი გამექცა“, ანუ წერილის მთავარ თემას გადავუხვიე. არამც და არამც, რადგანაც საზოგადოებრივი არხის და, ზოგადად, ყველა ტელევიზიის მესვეურებმა, იქნებ, შეიგნონ, რომ ეკლესიასთან ფარული თუ აშკარა ბრძოლით საქართველოს საფუძველს ანგრევენ და, თუ ჩვენს ქვეყანას, ერს გადარჩენა უწერია, ქრისტეს ფეხის მკვნეტელებს სანამ ჯოჯოხეთის კუპრში მოუწევთ ბანაობა, მანამდე აქ, მიწაზეც, აგებენ პასუხს განრისხებული ქართველი ერის წინაშე!..

**დავით მხეიძე**

# «ღორის გრიპის» გავრცელება ზამთარშია მოსალოდნელი

**საქართველოში გასულ კვირას პანდემიური გრიპით — ე.წ. ღორის გრიპით დაავადების ორი შემთხვევა დაფიქსირდა. დაავადება 27 წლის ახალგაზრდა მამაკაცს აღმოაჩნდა, რომელიც შვედეთში იმყოფებოდა. მეორე ინფიცირებული კი 37 წლის ამერიკელი ქალბატონია, რომელიც რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომზე ჰოლივუდის ფილმის გადაღებისას ამ დღეებში თბილისში იმყოფებოდა. ორივეს მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მათ დაავადება მსუბუქი ფორმით აღმოაჩნდათ. საერთო ჯამში საქართველოში წელს ახალი ტიპის გრიპის ვირუსის 27 შემთხვევა გამოვლინდა.**

ჩვენი ქვეყნისგან განსხვავებით, მძიმე ვითარებაა უკრაინაში. ღორის გრიპი უკრაინაში საგანგაშო მასშტაბებს აღწევს. ეპიდემიის გავრცელების გამო უკრაინის ცხრა რეგიონში კარანტინი გამოცხადდა, ქვეყანაში აიკრძალა მასობრივი (მათ შორის, წინასაარჩევნო) ღონისძიებების ჩატარება. ტაძრების წინამძღვრებს კი სთხოვეს, საკვირაო და სადღესასწაულო ღვთისმსახურებაზე მრევლი არ შეკრიბოს.

კიევმა ახალი გრიპის გავრცელების უმაღლესი — მესამე ხარისხის საფრთხე გამოაცხადა. ამის შესახებ მთავრობის მეთაურმა, იულია ტიმოშენკომ მთავრობისა და ეპიდემიის საწინააღმდეგო სახელმწიფო კომისიის ერთობლივი სხდომის შემდეგ განაცხადა.

უკრაინაში „ღორის გრიპით“ ბოლო მონაცემებით 60-ზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა. ამჟამად 150 ათასი ადამიანი გრიპითაა ინფიცირებული.

მეზობელ რუსეთშიც „ღორის გრიპმა“ ორი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. რუსეთში ღორის გრიპის 1100 შემთხვევა დაფიქსირდა. პირველი მასშტაბური და მომაკვდინებელი გრიპის პანდემია მსოფლიოში 1918 წელს დაიწყო. ამ გრიპს მსოფლიო „ისპანკას“ სახელწოდებით იცნობს (ფიქრობდნენ, რომ ეს ვირუსი ესპანეთში „დაიბადა“). ეპიდემია 1922 წლამდე გაგრძელდა და 4 წელიწადში 20 მლნ კაცი იმსხვერპლა. მეცნიერები ფიქრობენ, რომ „ისპანკა“ სინამდვილეში ჩინური წარმოშობის გრიპია. 1957 წელს პლანეტა მორიგმა მომაკვდინებელმა „ჰონკონგის გრიპმა“ შეძრა. ის 1962 წლამდე მძვინვარებდა და ათასობით ადამიანი იმსხვერპლა.

A(H1N1) გრიპის სიმპტომები ადამიანში ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივი ადამიანის გრიპის ინფექციისა. დაავადების ნიშნებია: თავის ტკივილი, სხეულში მტვრევის შეგრძნება, კანკალი, სისველე ცხვირში, ყელის ტკივილი, ხველა, ცხელება, ორგანიზმის დასუსტება. ზოგიერთ პაციენტში ვლინდება დიარეა და ღებინება. დაავადების პროგრესირებისა და მდგომარეობის დამძიმების შემთხვევაში, ყალიბდება პნევმონია, სუნთქვის უკმარისობა და სიკვდილი. ამ საკითხთან დაკავშირებით „საქართველო და მსოფლიო“ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ეპიდზედამხედველობის სამსახურის უფროსს **ხათუნა** ▶

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სამი გირვანქა სამკუთხედი

**ყოველივე საბჭოურის გამქირდავი და უარმყოფელი სააკაშვილი საბჭოურ ტრადიციას აღადგენს: მომავალ თაობებს ეტრატს უგზავნის, ფოლადის კაფსულაში ჩადებულს და ცემენტის ხსნარით ჩაკირულს. ახალციხეში მტკვარჰესის მშენებლობის დაწყებისადმი მიძღვნილი ცერემონიის მთავარი გმირი კირითხუროს ოსტატობასაც გვიჩვენებს — ელეგანტური მოძრაობით ქაფჩით ამოიღებს ცემენტისა და ქვიშის ნაზავს და ზუსტად დაასხამს საძირკველში ჩასატანებელ, ზემოთ ნახსენებ ფოლადის კაფსულას — ხელობის უმაღლესი დონე და დახვეწილობა, როგორც ახლა ამბობენ, ამოქოლვის მიმართებაში.**



## საქართველოს სამკუთხა პერსპექტივა

ამოიქოლა გზავნილი და გაშალა ფრთები ამერიკულმა არწივმა, რომელიც აშშ გერბზე კია დახატული, მაგრამ განსაკუთრებული სილაღით დაფრინავს საქართველოს ცაში რუსული СУ-ების თანხლებით.

ამან კი გაშალა ფრთები, მაგრამ ფრთა მოეკვეცა ბარონს, პატივცემულ მიუნჰგაუზენს, პატარ-პატარა სიცრუეთა რომანტიკოს ავტორს. მასშტაბი ჩვენია, ბარონ!

გეტყვი და გაგიმეორებ, ოღონდ მაგრა დადექ, არ წაიქცე, ბარონ ჯან:

**„იმ პირობებში, იმ ფონზე, როცა მთელ რეგიონში ყველაფერი გაჩერებულია, როცა მთელ სამყაროს ეგონა, რომ ჩვენ დავმთავრდით და მზად ვართ, დავიჩოქოთ, ამ ხეობაში დიდი მშენებლობის დასაწყისია“.**

კაცო, თუ ყველაფერი გაჩერებულია, დანგრეული და გალატაკებული, რომელმა ჯიბეგამოხეულმა ჩადო ის 70 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია, თუ ვერ მოუვლია საკუთარი ქვეყნისთვის, რომელსაც ტილები ჭამს?!

ეს შესავალია.

განვაგრძოთ, რადგან მხოლოდ ასე და ამ გზით შევძლებთ მოძველებული გეოპოლიტიკური ცოდნის განახლება-გამდიდრებას, რომლის მიხედვით ჩვენი რეგიონი აქამდე სამხრეთ კავკასია იყო, ან, უკეთეს შემთხვევაში, — კავკასია, კიდევ უფრო უკეთესში — შავი ზღვის აუზის ქვეყნების სივრცე.

პარდონ და ოლოლო შენ!

ვიტყვი, გავიმეორებ და დაიხსომეთ: ის რეგიონი, რომლის ცენტრი ჩვენ ვართ, სხვა სიდიდეა, სხვა უსასრულო ფანტაზია და შინაგანი ენერგიის დაუოკებლობა:

**„ჩვენ ვართ ამ რეგიონის ცენტრი... რეგიონი არის დაწყებული ჩინეთიდან — აღმოსავლეთ ევროპის ჩათვლით და შედის ახლო აღმოსავლეთის დიდი ნაწილი“...**

ახალი გეოგრაფია, ახალი იერუსალიმი!

ევკლიდეს ახალი მათემატიკაც, ამასთან ერთად.

ათეულობით თვლა ორ ათეულზე მეტს მაინც გულისხმობს. გულისხმობდა აქამდე. მაგრამ სააკაშვილის მიხედვით, ყოველ შემთხვევაში, თექვსმეტია.

ეს განაცხადა მან ახალციხეში, როცა ჰიდროელექტროსადგურების გამოცდილ სპეციალისტებს ორიოდ სიტყვა უწყალობა:

**„ათწლეულების განმავლობაში მათ არ ჰქონდათ საქმე, ყოველ შემთხვევაში, ბოლო 16 წლის განმავლობაში“.**





### მიხეილ სააკაშვილის ორი ტრიადა:

| პირველი სამკუთხედი: | მეორე სამკუთხედი: |
|---|---|
| ისტორია,<br>ენა,<br>სამხედრო-<br>პატრიოტული აღზრდა. | კომპიუტერები,<br>უცხო ენა,<br>მათემატიკა. |

თქვენ კი — ევკლიდე და ნიუტონის ბინომიო...

ამ ფონზე ხუნდება, როგორც კოვერკოტის ძველი პალტო, ასეთი სენტენციები: **„ყველაზე დიდი მშენებლობა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში“ ან „მტკვარჰესი ქვეყანაში ყველაზე დიდი ჰიდროელექტროსადგური იქნება“...**

უსმინე ჩვენს ხელისუფალს, ბარონ მიუნჰაუზენ, ვინძლო, ჩაეწერო ახალ მასშტაბებში და გაიფართოო თვალსაწიერი.

ხომ ხარ დარწმუნებული, რომ იცი, რა არის სამკუთხედი? არ გინდა მინიშნებით სამიდან ერთის გამორჩევა. გაცვდა!

„სამკუთხედი: უმარტივესი მრავალკუთხა გეომეტრიული ფიგურა სამი გვერდითა და სამი კუთხით (მრავალკუთხედი)“.

სამკუთხედი არის: ტოლგვერდა, ტოლფერდა, სხვადასხვა გვერდა ანუ არაწესიერი, ბლაგვკუთხა, მართკუთხა, მახვილკუთხა.

სასიყვარულო სამკუთხედიც არსებობს და ბერმუდისაც.

არის თურმე პერსპექტივის სამკუთხედიც და გათლებისაც, უწინარეს ყოვლისა, რეფორმირებულ საქართველოში, რომელიც, როგორც მიხეილ სააკაშვილმა ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის საგანგებოდ შერჩეულ სტუდენტებს მსოფლიო პოლიტიკური რუკის მოშველიებით აუხსნა, კორუფციის **უდონობით** გამოირჩევა დანარჩენი სახელმწიფოებისგან.

პერსპექტიული მუშა ხომ გახსოვთ მოკლემეტრაჟიანი ფილმიდან „სერენადა“? ეტყობა იმის გასაგონად და მისთვის მისახვედრად ქადაგებდა ორატორი, თორემ სამკუთხედის, თანაც ორის, დახაზვა არ მოუწევდა შავი ფლომასტერით თეთრ დაფაზე.

**პირველი სამკუთხედი**, როგორც ბატონმა მიხეილმა აგვიხსნა პარტიკულიზმის, ვაკის და ჭრებალოს ფეოდალური სამეფოებისა, სესხის გამო ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის დაუბრებისა და „თამარ მეფის ოსური წარმოშობის“ მაგალითების მოშველიებით ყოფილა ახალი ტრიადა: ერთ მახვილ კუთხეში — **ისტორია**, მეორეში — **ენა**, მესამეში — **სამხედრო-პატრიოტული აღზრდა.**

თამარზე დაგიზუსტებთ, მეფეთ-მეფესა და წმინდანზე.

„ძალიან ბევრი შოკირებული იყო, — ბრძანა მიხეილ სააკაშვილმა, — როცა მე ვსაუბრობდი იმაზე, რომ ძალიან ბევრი ეროვნული მოღვაწე საქართველოსი, მაგალითად, თამარ მეფე, აღარ ვლაპარაკობ დავით სოსლანზე და სხვებზე, მეტწილად იყვნენ ოსები“(?!).

მეორე სამკუთხედი (იმავე თანმიმდევრობით): **კომპიუტერები, უცხო ენა, მათემატიკა** — ყველაფრის საფუძველთა საფუძველი.

წიგნი, ბატონო მიხეილ?

დაგვავიწყდა?

მსგავსი არაფერი! აი, მეოთხე კუთხეც რომ ჰქონოდა იმ სამკუთხედს, მაშინ — კიდევ ჰო! მაგრამ არ აქვს და — აღზევდა უწიგნურობა მულღაზანზარის სამეფოში.

თორემ ყატარისა და ბაჰრეინის წარჩინებული მოქალაქენი ევროპისა და აშშ-ის უნივერსიტეტებში იღებენ უმაღლეს განათლებას.

რატომ ავყატარდი?

გეტყვით: „ევროპის უკანასკნელ დიქტატორს“ ბატკო ლუკაშენკოს ევროპამ ოფიციალურად გაუხსნა აქამდე ჩარაზული კარი და არაოფიციალურად გადაუკეტა შლაგბაუმი ფერადი დემოკრატიის ცისკრის ვარსკვლავს — ვენერას, რომელსაც ქართულად ეწოდების მარეხ.

დარჩა ევროპა XXI საუკუნის სიბნელეში, რადგან ის ვარსკვლავი ბაჰრეინსა და ყატარში ამობრწყინდა სამუშაო ვიზიტებით: იხაზება ახალი სამკუთხედი, რომლის დასრულებისთვის ლოგიკურად ეგვიპტე იქნება საჭირო, რადგან სწორედ აქ, მეფეთა ველზე, მსოფლიოში ყველაზე დიდი სამკუთხედებია — ხეოფსის, ხეფრენისა და სხვათა სამუდამო განსასვენებელი თუ სასტარტო მოედანი კოსმოსისკენ, საიდანაც აღარ ბრუნდებიან.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. სამკუთხედი შეკრეს თავიანთი მოთხოვნებით ოპოზიციის ლიდერებმაც „რედისონში“ მიღებულ და აშშ-ის ადმინისტრაციისა და ჩვენი ხელისუფლებისთვის გაგზავნილ მემორანდუმში: მედიის გათავისუფლება; პოლიტპატიმართა გათავისუფლება; საარჩევნო გარემოს შეცვლა.**

პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა რა იქნა? არ ჩაეწერა სამკუთხედში, რადგან მეოთხეა.

თავისუფალ კალატოზთა კავშირის წევრთა — მასონების სიმბოლოზე გამოსახულ სამკუთხედში ჩასმული დიდი თვალი დაჟინებით გვაკვირდება.

ვისი გგონიათ?

---

◀ **ზახაშვილს** ესაუბრა. მისი თქმით: „ეს არის პანდემიური გრიპი და არასწორია, როდესაც მას ღორის გრიპის სახელით მოიხსენიებენ. დღეისთვის საქართველოში ამ დაავადების 27 შემთხვევა დაფიქსირდა, მაშინ, როდესაც აშშ-ში, მექსიკასა და სხვა ქვეყნებში ამ დაავადების ტალღამ გადაიარა. ამ გრიპისგან არც ერთი ქვეყანა არ არის დაცული, მათ შორის, — არც საქართველო. გრიპის ვირუსს საზღვრებს ვერავინ ჩაუკეტავს, მაგრამ ყველაფერი კეთდება პირველი შესაძლო შემთხვევის დროულად გამოსავლენად.

რამდენად მომზადებული ხვდება საქართველო ვირუსის შესაძლო გავრცელებას, ამის შესახებ ხათუნა ზახაშვილი ამბობს, რომ: „სხვა ქვეყნებთან შედარებით, ჩვენ ამ დაავადებას უფრო მომზადებულები ვხვდებით; ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ და როგორ ვუმკურნალოთ. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად და სწორი ტაქტიკით კეთდება. თუმცა, რაც არ უნდა ვეცადოთ და ვიმოქმედოთ, ჩვენ შეიძლება მხოლოდ ეპიდემიის მასშტაბი შევამციროთ. თუ ვირუსმა ისეთი ხასიათი შეინარჩუნა, როგორიც ახლა გააჩნია და არ დაკარგა ვირულენტობა, გადაცემის უნარი, ეპიდემია საქართველოშიც გავრცელდება. სხვა ქვეყნებს გრიპის ტალღამ ზაფხულში გადაუარა, თუმცა ჩვენი ქვეყნის კლიმატურმა პირობებმა ამ ტალღისგან გადაგვარჩინა. ჩვენთან გრიპის სეზონი უფრო ზამთარია, ამიტომ გრიპის გავრცელება ამ დროისთვისაა მოსალოდნელი. ამ გრიპს ერთადერთი „კარგი“ თვისება ის აღმოაჩნდა, რომ დიდად არ განსხვავდება სეზონური გრიპისგან. შეიძლება ითქვას, რომ უფრო მსუბუქია, ვიდრე ჩვეულებრივი გრიპი. იშვიათ შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს გართულება. რუსეთსა და უკრაინაში გრიპით გარდაცვლილებს სხვა ქრონიკული დაავადებებიც ჰქონდათ. ცნობილია, რომ ნებისმიერი გრიპი ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტში ყოველთვის მძიმედ მიდის და სარისკოა, ცუდად არ დამთავრდეს.“

ვაქცინა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ეფექტიანი საშუალებაა ადამიანის პანდემიისგან დასაცავად. პანდემიური გრიპის ვირუსის საწინააღმდეგო რამდენიმე პრეპარატი არსებობს. ესენია: „ტამიფლუ“ და „ზანამივირი“. ხათუნა ზახაშვილის ინფორმაციით, საქართველოში ორივე პრეპარატი მომარაგებულია და ამ მხრივ ქვეყანა მზადაა.

„ტამიფლუ“ დღეისათვის ყველაზე ეფექტიან პრეპარატად ითვლება ამ პანდემიური გრიპის წინააღმდეგ. არის კიდევ მეორე პრეპარატი, „ზანამივირი“, რომელიც მეორე რანგის პრეპარატია. იმ შემთხვევაში, თუ ვირუსმა „ტამიფლუს“ მიმართ რეზისტენტობა გამოიმუშავა, მკურნალობაში „ზანამივირი“ უნდა ჩაერთოს. ჩვენ ორივე პრეპარატი მომარაგებული გვაქვს და ქვეყანა, ამ მხრივ, მზადაა. იმედია, ამ პრეპარატის გამოყენება არ დაგვჭირდება და გრიპს მსუბუქად გადავიტანთ,“— განაცხადა ხათუნა ზახაშვილმა.

მედიკოსების მოსაზრებით, ვირუსი კიდევ უფრო აგრესიული გახდება, თუ ის რომელიმე ვირუსს შეერწყმება. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის განცხადებით, H1N1 ვირუსი ჯერჯერობით სტაბილურია და მისი სხვა ვირუსებთან შერევის არანაირი ნიშანი არ არსებობს.

ჯანდაცვის ზოგიერთი სპეციალისტი პრობლემურად თვლის ღორის გრიპად წოდებული H1N1 გრიპის ყველაზე მომაკვდინებელ H5N1 ფრინველის გრიპთან კომბინირების შესაძლებლობას, რაც პანდემიას ბევრად უფრო აგრესიულს გახდის.

„ვირუსი ჯერჯერობით სტაბილურია,“ — ამბობს ჯანმოს გენერალური დირექტორი, დოქტორი მარგარეტ ჩენი. მისი აზრით, გასათვალისწინებელია გრიპის ვირუსის უზარმაზარი პოტენცია მუტაციისთვის და მასთან დაკავშირებული წინასწარგანუჭვრეტელი შედეგები. ვირუსი საჭიროებს მკაცრ მონიტორინგს, რათა არ მოხდეს მუტაციის მხედველობიდან გამორჩენა.

**ალექსანდრე აკობია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ჩვენ მივდივართ დასავლეთისკენ თურქეთის გავლით, თუ თურქეთი შემოდის საქართველოში?

**აშშ-რუსეთის დაპირისპირების გამო დაბურდულ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფო ურთიერთობების აბლაბუდაში გარკვევა ჭირს. ერთი მხრივ, აქ სულ უფრო იკვეთება რუსეთის გავლენის გაძლიერება, მეორე მხრივ, თვალში საცემია თურქეთის მცდელობა, დაიმკვიდროს რეგიონის ლიდერობა ამერიკის მხარდაჭერითა და მითითებით. ვინ იტყვის უარს ლიდერობაზე? არავინ. თურქეთიც მოსინჯავს ბედს, ანუ ლიდერი — ქვეყნის პერსპექტივას, მაგრამ ამ მიზნისკენ მიმავალი გზა აშშ-ის ინტერესებით რომ არის დანაღმული, ვითომ არაფერს ნიშნავს?**



ცნობილია, რომ აშშ-ის „ორი ხელით თამაშის“ პოლიტიკა არ გამორიცხავს (ეგებ, გულისხმობს კიდეც) მოწინააღმდეგის მოშთობას მოკავშირის ყოფნა-არყოფნის ხარჯზე — გაწირავს, თუ ეს მისი მიზნის მისაღწევად გახდება აუცილებელი ან — გაუადვილებს მიღწევას.

რაზეა ლაპარაკი?

იმაზე, რომ:

**პირველი.** ერთადერთი ძალა, რომელსაც ხელეწიფება „სამხრეთის ფრონტზე“ რუსეთის გავლენას წინ აღუდგეს, არის თურქეთის რესპუბლიკა. ამას ამტკიცებენ ცნობილი ექსპერტები **ჯორჯ ფრიდმანი** და **პეტერ ზეიხანი** ერთობლივ ნაშრომში, რომელიც აშშ-ისრაელის სტრატეგიული პროგნოზირების საიტზეა გამოქვეყნებული.

ამერიკას ამიტომ სჭირდება თურქეთი. მაგრამ, თუ თურქეთი მოახერხებს ამის გაკეთებას, იგი ლიდერობასაც დაიმკვიდრებს რეგიონში, რასაც ამერიკა ვერ შეეგუება.

ეს ელემენტარულია: ერთპოლარული მსოფლიოს პრინციპი ერთიან ლიდერს გულისხმობს, და სხვას — არავის.

ამიტომ ამერიკა, ეროვნული სახელმწიფოების დაშლა-დანაწევრების მისეული პოლიტიკიდან გამომდინარე, ჩვენს მეზობელ თურქეთს საჩუქრად მიართმევს დამოუკიდებელ ქურთისტანს, რომლის სეპარატისტულ მისწრაფებებს ათათურქის ქვეყანა სამხედრო ძალით ამუხრუჭებს ჯერჯერობით; როდემდე, არავინ უწყის. ყოველ შემთხვევაში, იმავე ერაყის ფრაგმენტაციის საკმაოდ რეალური პერსპექტივიდან გამომდინარე (ერთის ნაცვლად სამი სახელმწიფო: ქურთისტანი, შიიტური ერაყი და სუნიტური ერაყი) ამის გამორიცხვა მიამიტობა იქნებოდა.

მაშასადამე, **თურქეთი, დაკისრებული მისიის შესრულების შემთხვევაშიც, განწირულია.**

ესეც მეორე ლოგიკური დასკვნა, რომელსაც რეგიონის მაგალითიც ამაგრებს, კერძოდ, საქართველოს მაგალითი. საქართველო, რომელსაც ამჟამინდელი ხელისუფლების სრული მზადყოფნის პირობებში აშშ აქტიურად იყენებდა (და იყენებს) რუსეთის წინააღმდეგ პოლემიკურ ომში (სხვა რა შეგვიძლია?!), დანაწევრების თვალსაჩინოება ოპტიმისტ ურწმუნო თომებისათვის.

ექსპერტებს თუ ვკითხავთ, მათ შორის, **იტალიელ ექსპერტებს**, ისინი გვიპასუხებენ (იხ. ჟურნალი **Limes**), რომ დანაწევრება, უწინარეს ყოვლისა, პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებს შეეხება. მათი მტკიცებით, **უკრაინა**, რომელიც ამჟამად მძიმე პოლიტიკური კრიზისის სტადიაში იმყოფება, რუსეთ-ამერიკის ინტერესების საფუძველზე **სამ სახელმწიფოდ დაიყოფა**.

**პირველი — ცენტრალური უკრაინა**, რომელიც გააერთიანებს ჩერნიგოვის, სუმის, ჟიტომირის, კიევის, პოლტავის, ვინიცის, ჩერკასკის, კიროვოგრადის, ნიკოლაევის, ოდესის, ხმელნიცკისა და ჩერნოვიცის ოლქებს. ეს ოლქები ახალ „რუსულ კავშირში“ გაერთიანდება.

**მეორე — დასავლეთი უკრაინა**: როვნოს, ლვოვის, ტერნოპოლის, ივანო-ფრანკოვსკის, იმიერკარპატეთის ოლქები, რომლებიც ნეიტრალურ სტატუსს დაიცავენ. ამასთან, ვოლინის ოლქი ბელორუსიის შემადგენლობაში გადავა.

და **მესამე — აღმოსავლეთი უკრაინა და ყირიმი:** ხარკოვის, ლუგანსკის, დონეცკის, დნეპროპეტროვსკის, ზაპოროჟიეს, ხერსონის ოლქები, რომლებიც რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში გადავა.

ჟურნალი **Limes** წერს, რომ რუსეთის გეოპოლიტიკური ამბიციები, უწინარეს ყოვლისა, აღელვებს აშშ-ს, განსაკუთრებით, — ამ ამბიციების მასშტაბურობა, რაც სცილდება ყოფილი სსრ კავშირის საზღვრებს, ეს არის ბერლინ-მოსკოვის ღერძი, „ცისფერი საწვავის“ ახალი გაერთიანება — „გაზის ოპეკი“ და სხვა საერთაშორისო გაერთიანებები, სადაც რუსეთის ლიდერობა უეჭველია.

შეცდომა იქნებოდა იმის წარმოდგენაც კი, რომ აშშ-ის გააქტიურების პირობებში რუსეთი გულხელდაკრეფილი ზის და თუნდაც რეგიონული ლიდერობის პრობლემის თავისი ვარიანტის განხორციელებაზე არ ფიქრობს.

რუსეთის მთავარ მოკავშირედ და სტრატეგიულ პარტნიორად კავკასიის რეგიონში სომხეთი მოიაზრება, რომელთანაც ურთიერთობის გაუმჯობესება რამდენიმე თვის წინათ რუსეთმა თურქეთს შესთავაზა.

შეთავაზებამ, რომელსაც რეგიონში არსებულ წინააღმდეგობათა დაძლევა უნდა მოჰყოლოდა, გაამწვავა თურქეთის ურთიერთობა თავის რეგიონულ მოკავშირესთან — აზერბაიჯანთან, რომელიც, „თავის მხრივ, სომხეთის არქიმტერია“. აამღვრია წყალი: რადგან აზერბაიჯანი, რომელიც თავისი რეგიონული სპონსორის დაკარგვის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა, რუსეთისკენ შებრუნდა, რითაც სომხეთთან კონტრბალანსის შენარჩუნებას შეეცადა.

თურქეთმა იგრძნო, რომ ძალთა ვექტორების გადაადგილებამ კავკასიაში მისი გავლენის შესუსტება გამოიწვია: აზერბაიჯანი ეცლება ხელიდან, და საქართველოსკენ დაიძრა აჭარის გავლით, რომლისკენაც გზა ყარსის ხელშეკრულებით აქვს გახსნილი.

თუ ჩვენ გარშემო მიმდინარე პროცესებმა კალაპოტი არ შეიცვალა, ვინ არის თავდები, რომ ქვეყნის ფრაგმენტაცია არ გაგრძელდება? საქართველოს პრობლემური რეგიონების საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა.

სამწუხაროდ.

ასეთ ვითარებაში ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება შეუძლებელი ხდება: **ექსპერტების მტკიცებით, საქართველოს პროდასავლურობის ვექტორი გადის თურქეთზე და არა ამერიკაზე**. თუ ეს მართალია, გამოდის, რომ ჩვენი პროდასავლურობა ქვეყნის დანაწევრების გარეშე შეუძლებელია?! აშშ თავისი მეწინავე ფორპოსტის, ნატოს წევრი ქვეყნის — თურქეთის ძალებით შემოდის საქართველოში. ეს კი, გინდა თუ არა, ნიშნავს, რომ **საქართველო „თავისუფლების სამეფოდან“ გარდუვალობის სივრცეში ინაცვლებს.** გარდუვალობა, რომელიც ყოველთვის ჩვენი ბედისწერა იყო.

ცნობილია, რომ არსებობს **გეოპოლიტიკის აბსოლუტური ჭეშმარიტების ცნება (ალექსანდრე დუგინი, „პოლიტიჩესკი ჟურნალ“ №3-4),** რომელიც გეოპოლიტიკის მთავარ კანონზეა დაფუძნებული, მისი არსი უფრო მეტაფორულია, ვიდრე ფორმულა, **გულისხმობს ზღვის ცივილიზაციასა და ცივილიზაციას ხმელეთისას,** ანუ დღევანდელი გაგებით — ამერიკასა და რუსეთს, რომელთაც მსოფლიოს ყოველ წერტილში განსხვავებული ინტერესები აქვთ. ასეთია გეოპოლიტიკის ერთგვარი დოგმა, რომელიც გეოევრაზიულობიდან მოდის და ბჟეზინსკითა და ფუკუიამათი გრძელდება. არ არსებობს სხვა გეოპოლიტიკა, რომელიც ზემოთ ციტირებულისგან განსხვავებულ დებულებას ქადაგებდეს, დაბეჯითებით ამბობენ მკვლევარები.

აქედან გამომდინარე, ყალიბდება აზრი, რომ **ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს არ შეიძლება ჰქონდეს საერთო ინტერესები, ორი ურთიერთგამომრიცხავი პოლუსი ვერ შეთავსდება**. ამერიკის ყველაზე უფრო გამოჩენილი გეოპოლიტიკოსები, მათ შორის, ბჟეზინსკი და ფუკუიამა დაუფარავად ლაპარაკობენ, რომ **აშშ და რუსეთი ანტიპოდებია**: ბალკანეთი ან ამერიკის უნდა იყოს, ან — რუსეთის; სერბეთი — ან ერთის, ან — მეორესი.

საქართველოც ამ შეუთავსებელ პოლუსებს შორისაა მოქცეული, ორი უდიდესი სახელმწიფოს ინტერესები მაინც და მაინც აქ იკვეთება: ან — ან. როგორ გაინაწილებენ ჩვენს ტერიტორიას?

თუ უკვე გაინაწილეს?

ამიტომ ხომ არ რჩება ცარიელ დაპირებად ჩვენი ხელისუფლების „ხატზე დაფიცება“, რომ 2013 წლამდე გააერთიანებს დანაწილებულ ქვეყანას? არ ვიცი...

კიდევ უფრო ბუნდოვნდება პერსპექტივა, თუ „ცივი ომის“ აპოლოგეტებს ვერწმუნებით. მათი ლოგიკა ასეთია: **„ცივი ომი“ ევროპაში მშვიდობის ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი იყო. „ცივი ომის“ ალტერნატივა მესამე მსოფლიო ომია. თუ მსოფლიო „ცივი ომის“ რეჟიმში არ შევა, თანაც დაუყოვნებლივ, მშვიდობა არც დაცული, არც შენარჩუნებული არ იქნება.**

„ქორების“ პოზიციაა ასეთი: რაც უფრო სწრაფად და საფუძვლიანად გააუარესებს რუსეთის ურთიერთობას ამერიკასთან, მით უფრო მეტი შანსი გაჩნდება მესამე მსოფლიო ომის თავიდან ასაცილებლად (?!).

მადლობა ღმერთს, რომ ასეთი მსჯელობა ჯერჯერობით კამათის სფეროს არ გასცილებია, მაგრამ ვითომ ისე შორია თეორიიდან პრაქტიკამდე, როგორც ჩვენ გვსურს?

აგვისტოს ომმა დაადასტურა, რომ ეს მანძილი უსასრულო არ არის.

ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ მოვლენები სხვაგვარად განვითარდება? იმავე აგვისტომ გვაჩვენა, რომ ასეთი გარანტიები პრაქტიკულად არ არსებობს.

**არმაზ სანებლიძე**

# მარინა ქებაძე ბინიდან ვალის გადაუხდელობის გამო გამოასახლეს

**უზნაძის ქუჩაზე მომხდარ თავდასხმასთან დაკავშირებით ახლახან „საქართველო და მსოფლიოში“ დაიბეჭდა ინტერვიუ ყაჩაღური თავდასხმის დროს დაკავებული რატი რეხვიაშვილის დედასთან. როგორც მარინა ქებაძემ გვიამბო, მისი შვილის პირველ ნასამართლობაში ბრალი ჯუმბერ შენგელიას მიუძღვის, რადგან ამ უკანასკნელმა მათთვის ბინის წართმევა მოინდომა და ამიტომ რატი შეგნებულად ჩასვა ციხეში. პუბლიკაციის შემდეგ რედაქციამ ჯუმბერ შენგელიას წერილი მიიღო. იგი უარყოფს მარინა ქებაძის ბრალდებებს და აცხადებს, რომ ქებაძის ბინა მას სასამართლომ მიაკუთვნა 5 000 აშშ დოლარის სანაცვლოდ, რომელიც ამ ოჯახს მისგან ემართა.**

## «ეს ქალი აფერისტია», — აცხადებს ჯუმბერ შენგელია

წერილში ვკითხულობთ, რომ ჯუმბერ შენგელიამ რატი რეხვიაშვილის დედას, მარინა ქებაძეს პროცენტით გარკვეული თანხა ასესხა, თუმცა ქებაძემ მისი დათქმულ დროზე დაბრუნება ვეღარ შეძლო. შენგელია მას ვალის დაბრუნებას სთხოვდა, ქებაძემ მისი გადახდა ვერ შეძლო. მსესხებელმა კი, ნასესხები ფულის სანაცვლოდ, მარინა ქებაძეს სასამართლო გზით ბინა მოუგო, რომელიც დავით აღმაშენებლის ქ. №111-ში მდებარეობს. შენგელია ქებაძეს ჟურნალისტისთვის დეზინფორმაციის მიწოდებაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ მას რატი რეხვიაშვილის დედისთვის ბინა არ წაურთმევია. შემოსული წერილიდან ირკვევა, რომ ქებაძეს სხვა პიროვნების — ელო კოტრიკაძის ვალიც ჰქონდა. მარინა ქებაძემ ვალი ვერც კოტრიკაძეს დაუბრუნა, ამიტომ მათ გადაწყვიტეს ვალის ამოსაღებად სასამართლოსთვის მიემართათ. ჯუმბერ შენგელიამ წარმოადგინა დოკუმენტები, რომ მოქალაქე მარინა ქებაძის სახელზე რიცხული იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი ბინის (მდებარე ქ. თბილისში, აღმაშენებლის გამზირი №111, კორპუსი №4-ში) მესაკუთრეები 2005 წლის 15 თებერვალს განმეორებით საჯარო აუქციონზე გახდნენ მოქალაქეები ელო კოტრიკაძე და ჯუმბერ შენგელია.

აღნიშნული განკარგულება გასცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს |თბილისის სააღსრულებო ბიურომ (საქმე №01/15-332).

საქმეში, ასევე, ნათქვამია, რომ ელო კოტრიკაძემ და ჯუმბერ შენგელიამ უძრავი ქონება 19 634,50 ლარად შეიძინეს და თანხაც სრულად გადაიხადეს. განკარგულების თანახმად, აუქციონზე გაყიდული უძრავი ქონების ახალი მესაკუთრენი იკავებენ ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდებიან საკუთრების გადასვლის მომენტში (საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ) არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე.

მარინა ქებაძეს შენგელიასა და კოტრიკაძისთვის ვალის დაბრუნების ვადა 2 თვით განესაზღვრა, მაგრამ ქებაძემ ვალის დაბრუნება დათქმულ ვადაში ვერ მოახერხა. ჩვენთან საუბარში რატი რეხვიაშვილის დედამ განმარტა, რომ ჯუმბერ შენგელიამ ისინი უკანონოდ გამოასახლა სახლიდან, ვინაიდან მათ სახლს დაშენების პერსპექტივა ჰქონდა, რაც შენგელიას ხელს აძლევდა.

მარინა ქებაძეს ჩვენთან საუბარში არ უხსენებია, რომ მას შენგელიას ვალი ჰქონდა და, რომ ეს გახდა მისი ბინიდან გამოსახლების მიზეზი.

„საქართველო და მსოფლიო“ დამატებითი განმარტებებისთვის დაზარალებულ მარინა ქებაძეს დაუკავშირდა. იგი უარყოფს შენგელიას მიმართ ფინანსური დავალიანების არსებობას და აცხადებს, რომ სასამართლომ ბინა უკანონოდ ჩამოართვა.

„მე ჯუმბერ შენგელიას არანაირი ვალი არ მქონია; რომც მქონოდა, მას უფლება ჰქონდა, ჩემთვის მხოლოდ ბინის 28 კვ.მ ფართი წაერთმია და არა —

▶

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ვის ინტერესებს უნდა შეეწირონ ქართველი ჯარისკაცები,

## ანუ ძმები ყარზაები და აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამსახური

### „ბაბეტა მიდის ომში“

ის იყო ბაბეტა, ლამაზი და ცოტა მოშტერო, როგორც კეკლუცი ახალგაზრდა ქალების უმრავლესობა, რომელიც სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა საბრძოლო ამბებში ჩათრეული (იხ. კინოკომედია „ბაბეტა მიდის ომში“), თორემ საქართველოში არავისთვის საიდუმლო არ არის, „ავღანეთის ქვაბში“ ქართველ მოხალისე მებრძოლებს საომრად რომ აგზავნიან. რეაქციაც შესაბამისია — ნეიტრალური, ისეთი, როგორიც ყოველდღიურ მოცემულობაზე აქვს ობივატელს.

ამიტომ იყო, რომ არავინ აღიქვა როგორც რამ სენსაციური „იტარტასის“ ინფორმაცია ავღანეთში ქვეითთა ასეულისა და ბატალიონის გაგზავნის თაობაზე. **„ქართველი სამხედრო მოსამსახურეების ასეული**, — იტყობინებოდა გასულ კვირას სააგენტო, — **ავღანეთში წლეულს, ნოემბერში, გაემგზავრება, ბატალიონი კი — 2010 წლის გაზაფხულზე“.**

ახლა მოხალისეების შესახებ.

სააგენტო „როსბალტის“ ცნობით, საქართველოში ამერიკის საელჩოში განუცხადებიათ: **„აშშ მადლიერია იმისთვის, რომ საქართველოს არმია ნებაყოფლობით მონაწილეობს ავღანეთის უმნიშვნელოვანეს ოპერაციაში.** (სიტყვასიტყვით: „США благодарны за то, что грузинская армия добровольно участвует в важнейшей операции в Афганистане“).

ნებაყოფლობითო.



აჰმედ ვალი ყარზაი

ამდგარა ერთ მშვენიერ დღეს ქართული არმია და საქვეყნოდ განუცხადებია — ნებაყოფლობით მინდა ავღანეთში წასვლაო (?!), მოხალისედ!

თარგმანის უზუსტობაა, განმცხადებლის დაუდევრობა, თუ მე მითქვამს და თქვენ არკვიეთო, ასეთ სიღრმეებში ვერ შევიჭრებით, რადგან სულ სხვა თემა გვაინტერესებს: კერძოდ, ვისთვის ვწირავთ ქართულ არმიას, ვის ინტერესებს ვანაცვალებთ ჩვენს ახალგაზრდა თანამემამულეებს?

„ბეტ“ ფრანგულად სულელს ნიშნავს, შტერს, და როგორც გინდა ატრიალო სუფიქს-პრეფიქსის მეშვეობით, ფუძე უცვლელი რჩება.

ხელისუფლების მოხალისური განწყობილების გამო ჩვენ ხომ ვერ დავრჩებით „ბაბეტურ“ მდგომარეობაში?





### ყარზაი ყარზაის ძმა

აჰმედ ვალი ყარზაი ავღანეთის პრეზიდენტის ჰამიდ ყარზაის ძმაა.

ორიოდ დღის წინათ საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა, რომ აშშ პრეზიდენტმა, ბარაკ ჰუსეინ ობამამ თავის ავღანელ კოლეგას, ყარზაის გაუგზავნა წერილი, რომლითაც მეგობრულად ურჩევდა, თავის მოღვაწეობაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ფართოდ გაშლისთვის.

ესე იგი, კორუფცია ვერა და ვერ აღმოუფხვრიათ „გადემოკრატებულ“ ავღანეთში და ყვავის როგორც ხაშხაში, რომლიდანაც ოპიუმს ამზადებენ.

პრეზიდენტების ნათესავების საქმიანობას ყოველთვის გამადიდებელი შუშით ადევნებენ თვალს. ამიტომაა, რომ, არცთუ იშვიათად, ბუზი სპილოდ ეჩვენებათ. მაგრამ, როცა ყარზაის ძმაზეა ლაპარაკი, ყველაფერი რეალურ დროსა და გარემოში მომხდარ ფაქტებს ეფუძნება, რომელთა ერთობლიობა ადასტურებს: **აჰმედ ვალი ყარზაი** ავღანეთის ყანდაგარის პროვინციაში, სადაც იგი ადგილობრივ საბჭოს მეთაურობს, აკონტროლებს ნარკოტიკებით ვაჭრობასაც და ყველაფერ დანარჩენსაც. ბატონ-პატრონია იქაურობის, ანუ, როგორც ამერიკული **„Foreign Policy“** უწოდებს, **„პატარა პოლიტიკანია“, რომელსაც ყველამ ხარკი უნდა უხადოს.**

და მიუხედავად გატეხილი სახელისა, ასკვნის ეს გამოცემა, პრეზიდენტის ძმა და ვაშინგტონი მოწოდებულნი არიან ურთიერთთანამშრომლობისათვის: არც ერთ მხარეს არ შეუძლია და არც სურს, რამე შეცვალოს ამ საჩოთირო რეალობის გამოსასწორებლად.

რატომ?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შეეცადნენ **დექსტრემ ფილკინსი, მარკ მაცეტი** და **ჯეიმს რეიზენი New York Times**-ის მიერ გამოქვეყნებულ რეპორტაჟში, რომელშიც პირდაპირ აღნიშნულია, რომ **ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო „უხდის ფულს ბატონ ყარზაის დახმარებისთვის, მათ შორის, ავღანეთის გასამხედროებულ დაჯგუფებაში ადგილობრივთა გადაბირების ჩათვლით, რომელიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დავალებებს ასრულებს სამხრეთის ქალაქ ყანდაგარის რაიონში, სადაც ბატონ ყარზაის სახლია“.**

აქ, უთუოდ, მცირე გადახვევაა საჭირო. თავის დროზე ამ სტრიქონების ავტორს ავღანეთის უშიშროების სამსახურის მაღალი რანგის თანამშრომლები, რომლებიც რუსულს ფლობდნენ, უყვებოდნენ, რომ მოჯაჰედების მოქრთამვა და გარკვეულ საფასურად ინფორმაციის მიღება მოწინააღმდეგის ბანაკიდან, აღიარებული მეთოდია. თანაც გამორიცხული არ არის ორმაგი აგენტობა. იცოდნენ, ვინ იყო ორმაგი მოთამაშე, მაგრამ ხელს არ ახლებდნენ, რადგან მათი გამოაშკარავება, ლიკვიდირება ინფორმაციის წყაროს დახშობას ნიშნავდა: ამბის მომტანი ამბის წამღებიც რომ არ ყოფილიყო, აგენტურულ ქსელზე ლაპარაკიც შეუძლებელი იქნებოდა.

ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, როცა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო უარს არ ამბობს, და ვერც იტყვის, ისეთ კორუმპირებულ ჩინოვნიკთან და ნარკობარონთან თანამშრომლობაზე, როგორიც ყარზაის ძმა ყარზაია.

აჰმედ ვალი ყარზაის დიდ ფულს უხდიან იმისთვისაც, რომ მან „ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსა და სპეცდანიშნულების ჯარებს უფლება მისცა, იჯარით აეღოთ დიდი, მესერით შემოღობილი ტერიტორია ქალაქგარეთ, რომელიც წინათ მუჰამედ ომარს, თალიბანის დამფუძნებელს ეკუთვნოდა. იგივე ტერიტორია ყანდაგარის დამრტყმელი ძალების ბაზაა“.

ერთმა ამერიკელმა მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკმა, რომელმაც ანონიმად დარჩენა ისურვა, განაცხადა, რომ ყარზაი „ჩვენთვის იჯარის მომცემია“.

### შუამავლობა ფული ღირს

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ძმა ყარზაი პრეზიდენტ ყარზაისა და თალიბებს შორის შუამავლის როლს თამაშობს.

**„ბატონ ყარზაის,** — წერს New York Times, — **ითმენენ იმის გამოც, რომ იგი შუამავალია ამერიკელებსა და თალიბებს შორის, ობამას ადმინისტრაცია კი ყურადღებას ამახვილებს თალიბების ლიდერების გადაბირებაზე“.**

გარიგებები უანგაროდ არ კეთდება, განსაკუთრებით, ავღანეთში.

ამერიკის კონგრესში მიაჩნიათ, რომ აჰმედ ყარზაი „თანამშრომლობს“ აშშ დაზვერვასთან, მაგრამ არ არის აგენტი, რომელიც კონტროლს ექვემდებარება. კონგრესმენ **მაიკლ როჯერსის** განმარტებით, რომელიც გამოძიების ფედერალური ბიუროს ყოფილი თანამშრომელია და ავღანეთშიც რამდენჯერმეა ნამყოფი, „აჰმედ ვალი ყარზაი, სახელმწიფო ჩინოვნიკია, რომელიც თანამშრომლობს მაშინ, როცა მას ელაპარაკებიან, ეს კი აგენტობას არ ნიშნავს“.

თანამშრომლობს თუ არა პრეზიდენტის ძმა დაზვერვის ცენტრალურ სამმართველოსთან, ასეა თუ სხვაგვარად, გადამწყვეტი არ არის. მთავარია ის, რომ

**ავღანელებს უკიდურესად აღიზიანებს ქრთამისა და გამოსასყიდის ის სისტემა, რომელიც ამ კაცმა დანერგა და რომელიც იმდენად მყარია, რომ ამერიკელი ჩინოვნიკებიც კი იძულებულნი არიან, ანგარიში გაუწიონ.**

ავღანელებს — აღიზიანებს.

ამერიკელები — იყენებენ.

ამიტომაა, რომ თალიბების რიგებს არასოდეს აკლდება შევსება.

ჩვენი ხელისუფლება კი ყარზაის რეჟიმის დასაცავად, რომელიც დემოკრატიის ყლორტებადაა მიჩნეული, აგზავნის ჯარისკაცებს.

ამერიკელები — წვრთნიან და ამზადებენ.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. გასულ შაბათს დამთავრდა ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ქართველი ჯარისკაცების წვრთნა. ამერიკელებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან მონაწილეობა მიიღონ ავღანეთის ოპერაციაში.**

---

◀150 კვ.მ, როგორც ეს მოხდა. რაც შეეხება ელო კოტრიკაძეს, იგი ცნობილი თაღლითია. მას მე ვალის ნაწილი მივეცი. იგი კი ამტკიცებდა, არაფერი მოუციაო. თუ შენგელია და კოტრიკაძე მართლები არიან, მაშინ სასამართლომ დაზარალებულად მე რატომ მცნო?“ — აცხადებს მარინა ქებაძე.

ქებაძე ამტკიცებს, რომ მან განცხადება და საჩივრის წერილი შეიტანა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, შინაგან საქმეთა სამინისტროში და თბილისის პოლიციის №5 განყოფილებაში. ქებაძის მიერ დაწერილი საჩივრის ყველა წერილი №5 განყოფილებაშია, რომლის მთავარი გამომძიებელიც გიორგი ოთიაშვილია.

დაზარალებული თვლის, რომ შანსი აქვს, დაიბრუნოს წართმეული ქონება, რადგან სანამ აღმაშენებლის ქ. №111-ში მდებარე ბინა პირვანდელ მფლობელს — მარინა ქებაძეს სასამართლოს გზით ჩამოერთმეოდა, მანამდე ჯუმბერ შენგელიასა და ელო კოტრიკაძეს გადაეცათ, თანაბარი უფლებებითა და წილით. ჯუმბერ შენგელიამ კი ელო კოტრიკაძისთვის სასამართლოს გადაწყვეტილებით მიკუთვნებული წილიც გამოისყიდა და ახლა მთელი ბინის მფლობელია.

ჩვენთან საუბარში ჯუმბერ შენგელიაც ადასტურებს, რომ თავდაპირველად აღმაშენებლის № 111-ში მდებარე ბინის მესაკუთრე მარინა ქებაძე იყო, თუმცა განსხვავებულ ისტორიას გვიყვება.

ჯუმბერ შენგელია ამბობს, რომ ქებაძეს ფული მხოლოდ იმიტომ ასესხა, რომ მან ეს ბინა იპოთეკით დატვირთა და განუცხადა, რომ ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში გარანტია ექნებოდა, გასესხებული თანხა არ დაეკარგა.

**„თავდაპირველად ბინა, მართლაც, ქებაძის საკუთრებაში იყო. არ ვიცი მათი გვარები, ვინც ქებაძეს ფულის სასესხებლად მოჰყვა. სხვათაშორის, მარინა ჩემთან პირველად თავის შვილთან ერთად მოვიდა. მაშინ რატი 16 წლის იყო. მე უარი განვუცხადე ფულის სესხებაზე; შევთავაზე, დატვირთეთ ეს სესხი იპოთეკით-მეთქი. მხოლოდ ამის შემდეგ ვასესხე 5 ათასი დოლარი ერთი თვით, მაგრამ 9 წელი გავიდა და არაფერი მოუციათ. მერე აღმოჩნდა, რომ ქებაძეს ვინმე ელო კოტრიკაძის ვალიც ჰქონია. კოტრიკაძემაც შეიტანა განცხადება სასამართლოში და მე და ელო კოტრიკაძეს ქებაძის საკუთრებაში არსებული ბინა გადმოგვცეს. მერე ამ ბინის თავისი წილი კოტრიკაძემ მე მომყიდა და გავხდი მისი მესაკუთრე,“** — აცხადებს შენგელია.

მისი თქმით, ქებაძე სასამართლოს შეცდომაში შეყვანას ცდილობდა და ამტკიცებდა, რომ ბინის ნომერი იყო არა №4, არამედ — №18. **„მაგრამ მე დავადგინე, რომ აღმაშენებლის ქ. №111-ში ბინა №4 ნამდვილად მას ეკუთვნოდა; ეს ქალი აფერისტია“.**

ქებაძე აცხადებს, რომ არ აპირებს თავისი ბინის სხვისთვის უკანონოდ დათმობას. შენგელია კი ამბობს, რომ ის აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული ბინის მესაკუთრე კანონის სრული დაცვით გახდა.

მოდავე მხარეები საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად იბრძვიან. ამიტომ, გამორიცხული არ არის, შენგელიასა და ქებაძეს შორის 2001 წელს დაწყებული დავა კიდევ დიდხანს გაგრძელდეს.

**შორენა გოგოლაძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# შპს «ბლოკ-ჯორჯიამ» №5 სამშობიაროდან მარმარილოს ფილებიც კი გაყიდა



**ჩეხურ-ქართული სამშენებლო კომპანია „ბლოკ-ჯორჯია“ უკვე სამი წელია ჯანდაცვის სფეროში მოღვაწეობს. მის ხელშია №4 კლინიკური საავადმყოფო, №5 სამშობიარო სახლი, გურამიშვილის სახელობის პედიატრიული კლინიკა და ასამდე სამედიცინო დაწესებულება მთელი საქართველოს მასშტაბით. ეკონომიკის სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ამ კომპანიას №5 სამშობიაროს ბაზაზე უკვე აშენებული უნდა ჰქონდეს 190-საწოლიანი, მრავალპროფილური და მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი და მისი შიდა მოწყობაც უნდა დაეწყო.**



ამის ნაცვლად, №5 სამშობიარო სახლის ტერიტორიაზე ორიოდე მუშა დღემდე რაღაცას ანგრევს. სანდო წყარომ „საქართველო და მსოფლიოს“ აცნობა, რომ შპს „ბლოკ-ჯორჯია“, რაკი ვერ მოახერხა ჩეხური „ინვესტბანკიდან“ 100-მილიონიანი კრედიტის მიღება და საკუთარი ფინანსებიც არ გააჩნია მშენებლობის დასაწყებად, საზოგადოებისთვის თვალის ასახვევად, რამდენიმე მუშას ამუშავებს, თითქოსდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობას პირნათლად ასრულებს. №5 სამშობიაროს ის ორი ფლიგელი, რომელსაც 2008 წლის აპრილიდან დღემდე ანგრევენ, საკუთარი გამდიდრების წყაროდ აქციეს შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ დამფუძნებლებმა მამუკა და ვახტანგ ჯანაშვილებმა და გენერალურმა მენეჯერმა — ვახტანგ ჯანაშვილის დისშვილმა გელა გოგიშვილმა. მათ ყოველდღიურად გააქვთ და ყიდიან №5 სამშობიაროს ფლიგელებიდან ლითონის ყველა მოწყობილობას: სავენტილაციო სისტემები, ცენტრალური გათბობის მილები, გოფრირებული თუნუქის მილებით კი დიღომში დაწყებული მშენებლობა შემოსაზღვრეს.

თუმცა ეს „ბლოკ-ჯორჯიას“ მიერ ჩადენილი ერთადერთი უკანონობა არ გახლავთ. აღნიშნულ საავადმყოფოებში შესვლის დღიდან მათ ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ ჰყავთ მედპერსონალი. სამსახურიდან ათავისუფლებენ ყველა იმ ექიმსა თუ ექთანს, ვინც მათ ყურმოჭრილ მონად არ იქცევა და, საკაშვილ-მერაბიშვილის მიერ სახელმწიფო სტრუქტურებში კარგად აპრობირებული მეთოდების შესაბამისად, თანამშრომლებს არ ასმენს.

წინასწარ გაუფრთხილებლად თანამდებობა დაატოვებინეს №3 ბავშვთა საავადმყოფოს დირექტორს როდამ სვინტრაძეს, №5 სამშობიარო სახლის დირექტორს ბიძინა სიხარულიძესა და №4 კლინიკური საავადმყოფოს გენერალურ დირექტორს შოთა პეტრიაშვილს, რომელიც თანამდებობიდან გათავისუფლების დროს უმძიმეს მდგომარეობაში მართვით სუნთქვაზე იმყოფებოდა. მისი კანონდარღვევით გათავისუფლება პოლიტიკური ანგარიშსწორების საფუძველზე მოხდა (შოთა პეტრიაშვილის შვილი ირაკლი ალასანიას გუნდის წევრია).

სამსახურიდან მოხსნეს №5 სამშობიარო სახლის ყველა განყოფილების გამგე, დაადვეითეს №4 კლინიკური საავადმყოფოს ნევროლოგიური განყოფილების გამგე სოფიკო ელიაშვილი და კარდიოლოგიური განყოფილების გამგე დათო კირკიტაძე. დაითხოვეს ექიმები: დათო ჯოლბორდი, გივი კურტანიძე, დათო ჟორჟოლიანი. ხოლო მდივანი დოდო გელაშვილი მხოლოდ იმ მოტივით გაათავისუფლეს, რომ იგი ყოფილ დირექტორთან, შოთა პეტრიაშვილთან იყო შეკრული და ამის გამო სასამართლოდან კურიერის მიერ მოტანილი უწყება დროულად არ გადასცა ხელმძღვანელობას.

ბოლო პერიოდში სამსახური დაატოვებინეს პროფესორ გია დათუაშვილს ერთადერთი მიზეზის გამო — მან გეგმური ოპერაცია იმ საოპერაციოში ჩაატარა, სადაც გადაუდებელი ოპერაციები კეთდებოდა. კლინიკის ხელმძღვანელობა ოპერაციის ჩატარებამდე რამდენიმე დღით ადრე იყო საქმის კურსში და მათ გია დათუაშვილისთვის უარი არ უთქვამთ. ოპერაციიდან ოთხი დღის შემდეგ კი საავადმყოფოს დირექტორმა აჩიკო ფოჩხუამ (როგორც ამბობენ, საავადმყოფოს რეალურად ლია ჯანაშვილი მართავს) საყვედური გამოუცხადა კლინიკის ერთ-ერთ საუკეთესო ქირურგს, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და თანამდებობა დაატოვებინა.

არაოფიციალური ვერსიით, მომხდარი უკავშირდება რამდენიმე ხნის წინათ ჯანაშვილების მიერ №4 კლინიკური საავადმყოფოს მიმართულების ხელმძღვანელების შეკრებას და მათთვის ხელმოწერების შეგროვების მოთხოვნას, იმის დასტურად, რომ შპს „ბლოკ-ჯორჯიამ“ საავადმყოფო უახლესი აპარატურით აღჭურვა, გაარემონტა და ექიმებს საუკეთესო სამუშაო პირობები შეუქმნა. ხელმოწერები უნდა შეეგროვებინათ პროფესორებს: თემურ აბულაძეს, ვასიკო ჩაჩიბაიას, გოგი მაღალაშვილს, საშა ოთარაშვილსა და ნოდარ ლომიძეს. ვინაიდან რამდენიმე პროფესორმა ჯანაშვილების მოთხოვნის შესრულებაზე უარი განაცხადა, მათ გია დათუაშვილი სამაგალითოდ დასაჯეს და ყველა „ბუნტოვშჩიკს“ დაანახვეს, თუ ამ წამყვან სპეციალისტს, სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორს სამსახურიდან უმიზეზოდ ვუშვებთ, თქვენ რაღას გიზამთო.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ კლინიკაში პროფკავშირების წარმომადგენელს ლალი ბერიძეს. მან კაბინეტიდან საკმაოდ უხეშად გამოგვისტუმრა:

**„ჩვენ ჟურნალისტები არ მოგვიწვევია და რატომ მობრძანდით? აქ საინტერესო არაფერი ხდება. თუ რაიმე პრობლემა შეგვექმნება, აუცილებლად დაგიკავშირდებით“.**

მედპერსონალთან გასაუბრებაც ვცადეთ, მაგრამ ამაოდ. პრობლემებზე საუბარს ყველა ერიდებოდა და ერთგვარად შეშინებული ჩანდა, ვინმემ ჟურნალისტის გვერდით არ დამინახოსო. უშედეგო გამოდგა აჩიკო ფოჩხუას კაბინეტთან ლოდინიც.

ცალკეული თანამშრომლების დევნის პარალელურად, ჯანაშვილები აწინაურებენ ისეთ კადრებს, რომლებიც თავის დროზე ფინანსურ მაქინაციებსა და თანამშრომლების დასმენაში იყვნენ შემჩნეულები. მაგალითად, №5 სამშობიაროში დირექტორად ისეთი პიროვნება დანიშნეს, რომელსაც წინა ხელმძღვანელობა ფინანსური დარღვევების გამო ხელშეკრულებას არ უფორმებდა. №4 კლინიკურ საავადმყოფოში კი კადრების განყოფილების უფროსი სვეტლანა გელაშვილი გელა გოგიშვილის რეკომენდაციით საქართველოს პრეზიდენტმა 1200 ლარითა და ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

არადა, როგორც შევიტყვეთ, იგი კლინიკის თანამშრომლებს გაყინული ხელფასების დარიგების სანაცვლოდ გარკვეულ პროცენტს სთხოვდა. „დირექტორთან მოვაგვარებ ხელფასების გაცემის საკითხს, თუკი თქვენი ხელფასების გარკვეულ ნაწილს მომცემთ“, — ეუბნებოდა იგი მედპერსონალს და ასე ხდებოდა წლების განმავლობაში. დღეს კი ქალბატონ სვეტლანას, თავის ძირითად საქმიანობასთან ერთად, საავადმყოფოში მომხდარი ახალი ამბების დირექციისთვის ყოველდღიურად შეტყობინებაც აქვს შეთავსებული.

ეს, ალბათ, არცაა გასაკვირი, რადგან „ბლოკ-ჯორჯიას“ მორჩილი და ადვილად სამართავი მედპერსონალი სჭირდება, რომელიც მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე თვალს დახუჭავს.

თუმცა ეს კიდევ ყველაფერი როდია. შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ ლაბორატორიის №4 კლინიკური საავადმყოფოდან ჰემატოლოგიის ინსტიტუტში გადატანა სურდა. ამ მიზნით ავადმყოფებისთვის აღებულ სისხლს სპეციალურად გამოყოფილ ოთახში, სადაც არც მაცივარი იდგა და არც შენახვის პირობები იყო, ზოგჯერ 24 საათის განმავლობაში ინახავდნენ. დღის 2 საათისთვის კი ჰემატოლოგიის ინსტიტუტიდან მოსულ მანქანას ატანდნენ. შენახვის წესების დარღვევის გამო ანალიზის პასუხები, ხშირ შემთხვევაში, იყო არაზუსტი და პაციენტის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნიდა. სისხლის ანალიზის პასუხები მოდიოდა დაგვიანებით, რაც, არაოფიციალური ინფორმაციით, ერთ-ერთი პაციენტის დაღუპვის მიზეზი გახდა. დღეს ამ საკითხზე საუბრის ყველას ეშინია. ამიტომ გარდაცვლილის ვერც ვინაობა დავადგინეთ და ვერც გარდაცვალების ზუსტი მიზეზები, თუმცა ის კი დაგვიდასტურეს, რომ აღნიშნული ფაქტი სიმართლეს შეესაბამება.

ყველა სიკეთესთან ერთად, „ბლოკ-ჯორჯიამ“ კატასტროფულად გააძვირა მკურნალობის ფასები. მაგ., აპენდიციტის ოპერაცია თუ ადრე ღირდა 600 ლარი, ახლა 1300 ლარი ჯდება. მშობიარობა 300-400 ლარიდან 700-1000 ლარამდე გაძვირდა. გაზრდილი ტარიფების გამო ცალკეული სადაზღვევო კომპანიები ამ საავადმყოფოებს უარს ეუბნებიან ხელშეკრულების გაფორმებაზე. იკლო პაციენტების რიცხვმა, შემცირდა შემოსავალი. დაგროვდა სახელფასო დავალიანებები. №4 კლინიკური საავადმყოფოს მედპერსონალს აგვისტოს შემდეგ კუთვნილი ხელფასი არ მიუღია.

**განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა შექმნილი №5 სამშობიაროში და მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა რომ შეექმნას, შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ მიერ ჩადენილ არაერთ კანონსაწინააღმდეგო ქმედებაზე, გთავაზობთ ინტერვიუს №5 სამშობიარო სახლის ყოფილ დირექტორთან, პროფესორ ბიძინა სიხარულიძესთან.** ▶

# არაკვალიფიციური ექიმი, რომელიც პრაქტიკაზე ნებაყოფლობით არ ამბობს უარს, სისხლის სამართლის დამნაშავეა

**კვალიფიციური და კარგი ექიმის პრობლემა ყოველთვის აქტუალური თემაა.
რამდენიმე დღის წინათ, სამედიცინო ინსტიტუტ „კავკასიის“ რექტორი, აკადემიკოსი გივი იორამაშვილი დააკავეს. ის სტუდენტებზე ყალბ დიპლომებს გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ გასცემდა. აღნიშნულ საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება და გამორიცხული არ არის, კიდევ გამოვლინდეს მსგავსი ფაქტები. როგორი ექიმი უნდა იყოს ის, ვისაც ნაყიდი დიპლომი აქვს და, საერთოდ, როგორი ექიმების ხელშია დღეს საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობა?**



დაახლოებით ორი თვის წინათ ჩემმა მეგობარმა ცხვირის ოპერაცია თბილისის ერთ-ერთ ცნობილ კლინიკაში გაიკეთა და სოლიდური თანხაც გადაიხადა. ოპერაციიდან ერთი თვის შემდეგ, მან შეატყო, რომ ისევ პრობლემები ჰქონდა და ცალი ნესტოთი სუნთქვა უჭირდა. პაციენტმა კვლავ მიმართა აღნიშნულ კლინიკას, სადაც გაირკვა, რომ ოპერაციის დროს, ცხვირში ექიმებს დოლბანდი დარჩენოდათ, რომელსაც ლპობა ჰქონდა დაწყებული. რომ არა დროული რეაგირება პაციენტის მხრიდან, ამ ამბის სავარაუდო დასასრული, სისხლის მოწამვლით გამოწვეული სიკვდილი იქნებოდა.

**სამწუხაროდ, ეს ერთადერთი შემთხვევა არ არის. ახლახან ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში გავიდა სიუჟეტი, სადაც ითქვა, რომ არაპროფესიონალიზმის გამო რამდენიმე ექიმს ლიცენზია ჩამოერთვა, ზოგის საქმე კი სასამართლოს გადაეცა.**

რამდენიმე მაგალითს მოგიყვანთ „კვალიფიციურ“ ექიმებზე:

ერთ-ერთი „მსხვერპლი“ — პაციენტი ყვება, რომ ლავიწის ძვალი მოიტეხა და საავადმყოფოში მიიყვანეს. როგორც აღმოჩნდა, არასწორად გადაუხვიეს და, ერთი კვირის შემდეგ, იძულებული გახდა, სხვაგან მისულიყო.

ამ პაციენტის ისტორია კი რამდენიმე წლის წინათ ასე განვითარდა: 5 თვის ფეხმძიმეს კობის ქუჩაზე (ახლანდელი თარხნიშვილის ქუჩა) ქალთა კონსულტაციაში მისულს უთხრეს, რომ არ იყო ორსულად.

**„ატირებული, წნევააწეული წამოვედი... ჩავედი ჩაჩავაში, ისეთ ხასიათზე ვიყავი, ცხოვრება აღარ მინდოდა, შევედი ექოსკოპიაზე, რამაც დაადასტურა ჩემი ფეხმძიმობა. მერე დავურეკე ჩემს ქმარს და იყო კობის ქუჩაზე გაწევ-გამოწევა“.** ▶

**— ბატონო ბიძინა, როდესაც შპს „ბლოკ-ჯორჯია“ გახდა №5 სამშობიაროს მესაკუთრე, თქვენ ამ პერიოდში აღნიშნულ კლინიკას ხელმძღვანელობდით. შესაბამისად, ყველაზე უკეთ მოგეხსენებათ, რა მდგომარეობაში იყო სამშობიარო მაშინ და რა მდგომარეობაა ამჟამად.**

— №5 სამშობიაროში „ბლოკ-ჯორჯია“ 2007 წლის აგვისტოში შემოვიდა იმ პირობით, რომ ააშენებდა 190-საწოლიან მრავალპროფილიან და მაღალტექნოლოგიური აპარატურით აღჭურვილ საავადმყოფოს, სადაც გამოგვიყოფდნენ 20 საწოლს; სამშობიაროში საშტატო ერთეულებს არ შეამცირებდნენ და მედპერსონალს არ გაათავისუფლებდნენ. ახალი კლინიკის აშენებამდე №5 სამშობიარო სახლი უნდა გადასულიყო №3 ბავშვთა საავადმყოფოს მესამე სართულზე, რის გამოც გვაიძულეს, ხელშეკრულება გაგვეუქმებინა სამედიცინო უნივერსიტეტთან და 4 ტექნიკუმთან, სადაც №5 სამშობიაროს არაერთი თანამშრომელი იყო დასაქმებული. 2008 წლის მარტში გამოგვიცხადეს, რომ სამშობიარო აღარ გადავიდოდა №3 ბავშვთა საავადმყოფოში. სამაგიეროდ, ყველა განყოფილება ერთ ფლიგელში განთავსდებოდა. №5 სამშობიარო სამი ფლიგელისგან შედგებოდა და ორი კორპუსი უნდა დაგვეცალა. სადაც გადაგვიყვანეს, იმ შენობის მეორე და მესამე სართულები სარემონტო იყო. სარემონტო სამუშაოების ჩატარება ჩვენივე სახსრებით დაგვავალეს.

**— რემონტისთვის საჭირო სახსრები როგორ უნდა მოგეძიებინათ?**

— საავადმყოფოს შემოსავლებიდან. ამიტომ იმ პერიოდში ხელფასები ვერ გავეცით. მეორე სართულზე ელექტროგაყვანილობა შევცვალეთ, გათბობის სისტემა დავაყენეთ, ჩამრთველები და ლინოლიუმი გამოვცვალეთ. ამასთან, ფართის უკმარისობის გამო გაუქმდა რენტგენის, ფიზიო და სტომატოლოგიური კაბინეტები, ქირურგიული განყოფილება კი საკმაოდ შემცირდა.

## „ბლოკ-ჯორჯიამ“ დარჩენილ ორ ფლიგელში ნგრევა დაიწყო. იხარჯებოდა ელექტროენერგია და წყალი. ხარჯებს კი საავადმყოფოს ანაზღაურებინებდნენ.

როდესაც გელა გოგიშვილის წარმომადგენლებს ვეუბნებოდი, რომ საავადმყოფოს ისედაც უჭირს და ნგრევაზე დახარჯულ წყლისა და ელექტროენერგიის საფასურს კლინიკას რატომ ახდევინებ-მეთქი, მპასუხობდა: „რა, შენ ხელს გიშლი მუშაობაში?!“

აღნიშნული ფლიგელების დემონტაჟის დროს გაიბიდნა საკანალიზაციო ჭები და სარდაფები წყლით გაივსო. გაჩნდა კოღო. წყლის ამოტუმბვა და საკანალიზაციო ჭების გაწმენდა სამშობიაროს 2 ათას ლარამდე დაუჯდა.

ამ დროს შპს „ბლოკ-ჯორჯიამ“ ტენდერში გაიმარჯვა და №5 სამშობიაროს ტერიტორიაზე არსებულ სადურგლო საამქროში ლტოლვილების სახლების ასაშენებლად საჭირო ხის მასალის ხერხვა დაიწყო.

**— ბატონო ბიძინა, ლტოლვილებისთვის სახლები „ბლოკ-ჯორჯიამ“ ააშენა?**

— აგვისტოს ომში დაზარალებულთა სახლების მშენებლობისას გამოყენებული ხის მასალა ამ საამქროში იხერხებოდა. დახარჯული ელექტროენერგიის საფასურს კი კვლავ საავადმყოფოს ახდევინებდნენ. თუ მანამდე დანახარჯს 800-900 ლარს ვიხდიდი, იმ პერიოდში ხარჯი 2000 ლარამდე გაიზარდა. მერე დაიწყეს №5 სამშობიაროს კუთვნილი ქონების გაყიდვა. გაასხვისეს მარმარილოს ფილები, აგური, ჯართში ჩააბარეს სავენტილაციო სისტემები, გათბობის მილები და ა.შ. ამ პრინციპით ხომ ჩვენ თავად ავაშენებდით ერთ კორპუსს. გარდა ამისა, მათ უარი განაცხადეს, გადაეხადათ საავადმყოფოს მიერ 2000 წლიდან დაგროვილი წყლის დავალიანება — 180 ათასი ლარი. დალოცვილმა, როდესაც 1000 დოლარად შეიძინა კლინიკა, ხომ იცოდა, რომ მას თავისი ვალებითურთ ყიდულობდა? მაშ, რა ინვესტორია, თუ გაყიდა სამშობიაროს მთელი ქონება, რემონტი ექიმების ხარჯზე აკეთა, ძველი დავალიანება არ გადაიხადა და დაპირებული საავადმყოფოც არ ააშენა?

სამშობიაროში შემოსვლის დღიდან „ბლოკ-ჯორჯიამ“ გაზარდა მკურნალობის ფასები. შემოჰქონდა სხვა ანალოგიურ მასალებთან შედარებით ძვირი საკერავი მასალა და იძულებით გვასაღებინებდა. ასევე იძულებით გაგვაფორმებინა ხელშეკრულება 45 ცალი გამათბობელი „კარმას“ შესაძენად. „კარმა“ ჩეხეთის ფირმაა, შემომტანია „ბლოკ-ჯორჯია“ და, წარმოიდგინეთ, საკუთარი პროდუქცია თავისივე კომპანიას 7000 ლარად მიყიდა.

**— თქვენ რატომ გაგათავისუფლეს სამსახურიდან?**

— გელა გოგიშვილმა ისე გამათავისუფლა თანამდებობიდან, რომ წინასწარ არ უცნობებია. მოგვიანებით, ვითომ პატივი დამდო და სამედიცინო მენეჯერად დამტოვა. გარკვეული დროის შემდეგ შვებულებაში გამიშვა. ერთი თვის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ მივედი სამშობიაროში. მშობიარეები მყავდა და მისასვლელად წინასწარ ავიღე ნებართვა. თუმცა ჯერ დამთანხმდნენ, მერე ჩხუბი ამიტეხეს, შვებულების პერიოდში რატომ მოხვედიო; დაცვამ არც კი შემიშვა სამშობიაროში. ერთი თვის თავზე ტელეფონით შემატყობინეს: „ჩვენ ვთვლით, რომ სამშობიაროში აღარ ხარ საჭირო“. არც მივსულვარ. დღეს კლინიკა „გინეკაში“ დირექტორის თანამდებობა მიკავია.

**— ამ ეტაპზე თუ ფლობთ ინფორმაციას, რა ხდება №5 სამშობიარო სახლში?**

— ამას წინათ თათბირზე გამოუცხადებიათ, რომ ამ სამშობიაროს ბაზაზე დედათა და ბავშვთა ცენტრი უნდა გააკეთონ, როცა სახელშეკრულებო პირობების საფუძველზე მათ მრავალპროფილიანი საავადმყოფოს აშენება ევალებათ. „ბლოკ-ჯორჯიას“ დამფუძნებლები არც მთავრობას თვლიან არაფრად და პრეზიდენტის ბრძანებასაც საკუთარი სურვილისამებრ ცვლიან. ექიმებს ტყუილებით კვებავენ და მათი შემოსავლების ხარჯზე რემონტებს აკეთებენ.

**ნათია ქადაგიშვილი**

**P.S. „ბლოკ-ჯორჯიას“ ირგვლივ ატეხილ სკანდალში ყველაზე საინტერესო ის ფაქტია, რომ არც ეკონომიკისა და არც ჯანდაცვის მინისტრები ინტერესდებიან, როგორ ასრულებს ეს კომპანია ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და, შესაბამისად, არც იმ საჯარიმო სანქციებს აკისრებენ, რომელიც საწოლების რაოდენობის მიხედვით ყოველ გადაცილებულ დღეზე უნდა გადაიხადოს „ბლოკ-ჯორჯიამ“.**

საქართველოში ექიმის პროფესია, დიდი ხანია, ერთგვარ პრესტიჟულ პროფესიად ითვლება. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს სამედიცინო ინსტიტუტში მხოლოდ გავლენიანი ხალხის შვილები ხვდებოდნენ და ასე გრძელდებოდა დიდხანს. არც მაშინ იყო უცხო პაციენტის მუცლის ღრუში დოლბანდების დატოვება და არც დღეს უკვირს ეს ვინმეს.

## არაპროფესიონალი შეიძლება იყო იურისტი, ჟურნალისტი, მასწავლებელი და თქვან შენზე, რომ არაკვალიფიციური ხარ, მაგრამ როდესაც შენ ხარ არაპროფესიონალი, არაკვალიფიციური ექიმი და სხვისი სიცოცხლე შენს ხელშია, მაშინ უკვე დამნაშავე ხდები.

## ამას შეგნებულად გააკეთებ თუ გაუთვითცნობიერებლად.

ახლა შედარებით გამარტივებულია სამედიცინო უნივერსიტეტებსა და სასწავლებლებში სტუდენტების მიღება და სიტუაციაც სწორედ აქ რთულდება. უმეტესი მათგანის განათლების დონე, იმისთვის, რომ პროფესიონალები გახდნენ, საშუალოზე დაბალია.

**სწორედ ეს უქმნის ქართულ მედიცინას დიდ პრობლემას, თუმცა ექიმების მეტისმეტად დიდი რაოდენობა და უცოდინარი სტუდენტები, მხოლოდ ნაწილია იმ პრობლემებისა, რაც საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში წლების განმავლობაში არასწორი მენეჯმენტისა და კორუფციის შედეგად წარმოიქმნა. ქვეყანა სავსეა დანგრეული, ნახევრადცარიელი საავადმყოფოებით, სადაც ექიმები მუდმივად იღებენ ქრთამს, ხშირ შემთხვევაში აქვთ უხარისხო და პრიმიტიული აპარატურა პაციენტების სამკურნალოდ.**

მიუხედავად პრეზიდენტის დაპირებისა, რომ ასი ახალი საავადმყოფო გვექნებოდა და კარგად დაფინანსებული ჯანდაცვა, ეს კვლავ აქტუალური და მოუგვარებელი პრობლემაა.

**მაგდა კლდიაშვილი**

# უცნობი პარლამენტარის ხსოვნას



კადრი ფილმიდან „მიმინო“



დავით თოდრაძე

**„საქართველოს პარლამენტი, მისი წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო, საკონტროლო, დამფუძნებელი ხასიათის გამო, მუდამ იმყოფება საზოგადოებრივი ცხოვრების ფოკუსში. არჩევითობა და ხალხის მანდატი, კანონდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება და ნაკისრი ფუნქციები აქცევს პარლამენტს დემოკრატიულ სახელმწიფოებრივ ინსტიტუტად, რომელიც ემსახურება ამომრჩევლების მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.**

პარლამენტის მიერ მის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესრულება წარმოუდგენელია საქართველოს მოსახლეობასთან მჭიდრო ურთიერთობისა და აქტიური თანამშრომლობის გარეშე“, — ესაა ამონარიდი იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ვებგვერდზე განთავსებული წერილიდან, რომელსაც ხელს ნაციონალების მთავარი იდეოლოგი და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი აწერს. ის გულდასმით განიხილავს რა პარლამენტის ძირითად ფუნქციებსა და ამოცანებს, მიიჩნევს, რომ მათი კომიტეტის საქმიანობაში პრიორიტეტულია ამომრჩევლებთან რეგულარული ურთიერთობა და საქმიანობის წარმართვა გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

ბატონ პავლეს, რომელიც მჭევრმეტყველების დიდოსტატია, რა თქმა უნდა, არ გაუჭირდებოდა, ჩამოეყალიბებინა, თუ როგორი უნდა იყოს ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობა. თუმცა ის, რაზეც ბატონი პავლე იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ვებგვერდზე საუბრობს, იმდენადაა რეალობასთან ახლოს, რამდენადაც დღევანდელ ხელისუფლებას საკუთარ მოსახლეობასთან აქვს მჭიდრო კავშირი და თითოეული გადაწყვეტილების მიღების დროს სამოქალაქო აზრის გათვალისწინებით ხელმძღვანელობს.

პავლე კუბლაშვილის სიტყვები უფრო კეთილ სურვილებად შეიძლება ჩაითვალოს, ვიდრე უმრავლესობის სამოქმედო პროგრამად, რადგან იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ცალკეულ წევრებს საზოგადოების დიდი ნაწილი საერთოდ ვერ ცნობს. მაშ, სადაა საზოგადოებასთან თანამშრომლობა, ამომრჩევლებთან მჭიდრო ურთიერთობა? სადაა მოსახლეობის აქტიური ჩაბმა კომიტეტის საქმიანობაში? სად, ბატონებო, და ვებგვერდზე, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ევროკავშირის დაფინანსებითაა შექმნილი და ევროპელებისთვის უფროა გამიზნული, ვიდრე საქართველოს მოქალაქეებისთვის. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას კი იურიდიულ საკითხთა კომიტეტის იმ წევრს წარვუდგენთ, რომელიც უკვე მეორედაა პარლამენტის წევრი, მაგრამ საზოგადოებისთვის უცნობ პიროვნებად რჩება.

მაშ ასე, თქვენ წინაშეა 1959 წელს დაბადებული **დავით მამიას ძე თოდრაძე**, თბილისელი, დაოჯახებული, ინჟინერ-მშენებელი, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრი, საკმაოდ მოკრძალებული ბიოგრაფიითა და შრომითი საქმიანობის ნუსხით.

ბატონი დავითი 1981-1983 წლებში მშენებლობის სამინისტროს №13 ტრესტის ინჟინრად მუშაობდა, 1983-1989 წლებში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე და განყოფილების გამგის მოადგილე იყო, 1990-1996 წლებში — კომერციული ფირმა „კვარის“ დირექტორი, 1996-1999 წლებში — საქართველოს პარლამენტის სპეციალისტი. შესაძლოა, სწორედ ამ წლებში გაუჩნდა მას დეპუტატობის ამბიცია, ხედავდა რა პარლამენტარების უზრუნველ და კომფორტულ ყოფას.

1999 წლიდან დავით თოდრაძე პოლიტიკურ კარიერას იკეთებს და „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ დეპარტამენტის უფროსი ხდება. როგორც არაერთი პოლიტიკოსი, რომელიც „მოქკავშირში“ დაფრთიანდა და მოგვიანებით ოპოზიციაში გადაბარგდა, ბატონმა დავითმაც 2002 წელს პოლიტიკური გაერთიანება „გაერთიანებულ დემოკრატებში“ ამოყო თავი და 2004 წელს საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრიც გახდა. ის ამჟამად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრია და მე-7 მოწვევის პარლამენტარი.

მართალია, ბატონი დავითი აქტიური პოლიტიკოსი არაა, მაგრამ, როგორც ჩანს, კარგი ინტუიცია გააჩნია — გრძნობს, როდის უნდა დატოვოს ესა თუ ის პარტია, რათა წარსულში არ დარჩეს ყველა ის კეთილდღეობა, რითაც შეიძლება სხვა პოლიტიკურ გაერთიანებაში გადაბარგებით ისარგებლოს.

ბატონი დავითი გარდა იმისა რომ უცნობი პარლამენტარია, არასაპატიო მიზეზითაც ხშირად აცდენს კომიტეტის სხდომებსა და სესიებს. მას ეს „მავნე ჩვევა“ მე-6 მოწვევის პარლამენტიდან გამოჰყვა, როცა აგრერიგად არ იყო გამკაცრებული დეპუტატების სხდომებზე დასწრება. თუმცა საკანონმდებლო ორგანოში მისი გამოუცხადებლობით არც რა აკლდება ქართულ პარლამენტარიზმს და არც ემატება. ჩვენ გულდასმით გადავათვალიერეთ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის საიტი და ვცადეთ, მოგვეძებნა ერთი კანონპროექტი მაინც, რომლის მომზადებაში დავით თოდრაძე უშუალოდ მონაწილეობდა, ან მომხსენებელი იყო, ან თანამომხსენებელი. სამწუხაროდ, ჩვენი ძიება წარუმატებლად დასრულდა.

რაკიღა პარლამენტში მისი წარმატებული კანონშემოქმედებითი საქმიანობის დამადასტურებელ ვერც ერთ ფაქტს ვერ მივაკვლიეთ, შევეცადეთ, ცნობილ პიროვნებებთან გაგვერკვია, რას წარმოადგენს დავით თოდრაძე.

**ლაშა ჩხარტიშვილი, „კონსერვატიული“ პარტიის წევრი:**

**— იცით თუ არა, ვინ არის დავით თოდრაძე?**

— რატომღაც არ მახსენდება.

**— ის საქართველოს პარლამენტის წევრია...**

— ახლა გამახსენდა მისი სახელი და გვარი; „მაესტროზე“ გასული რეკლამიდან „ესენი ვინ არიან“ აღვიდგინე.

**— ბატონო ლაშა, როგორ ფიქრობთ, საზოგადოება პარლამენტის წევრებს საპროტესტო კლიპის საშუალებით უნდა ცნობდეს?**

— ნამდვილად გამიჭირდა მისი გვარის გახსენება; სატელევიზიო კლიპის გარდა ამ ადამიანის ვინაობა სხვა მხრივ ჩემთვის ცნობილი არაა. პარლამენტში დეპუტატები რეალური სამუშაოთი უნდა იყვნენ დაკავებულები, ამა თუ იმ სფეროში ავლენდნენ საკუთარ შესაძლებლობებს, ჰქონდეთ საკანონმდებლო ინიციატივები და მათთვის საკანონმდებლო ორგანო მხოლოდ პრივილეგიების მიღების წყაროს არ წარმოადგენდეს, როგორც ეს „ნაცმოძრაობის“ აქტივისტებისთვისაა. დღევანდელი პარლამენტი რეალურად არ არსებობს, ეს არის ფიქცია, ისევე, როგორც ფიქციაა სასამართლო, მათ შორის, აღმასრულებელი ხელისუფლება. ჩვენ ვცხოვრობთ ავტორიტარული რეჟიმის ქვეყანაში; მიხეილ სააკაშვილი საკუთარი დანაშაულებრივი სურვილების ასრულების მიზნით იყენებს სახელმწიფო რესურსებს, ხელისუფლების სამივე შტოს. ის და მისი უახლოესი გარემოცვა კლანურ-დანაშაულებრივი მმართველობის პრინციპით მართავს ქვეყანას და ამიტომ ვერც პარლამენტი, ვერც სასამართლო და ვერც მინისტრთა კაბინეტი რეალურად ვერ ასრულებს თავის ფუნქციას.

**ნათია ქადაგიშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# შორენა კირვალიძე: ემიგრაციაში წასვლით სულიერად გავნადგურდი

**ტრადიციებისადმი ერთგულება, ქართულ მენტალობაში ჩანერგილი შეხედულებები, შინაგანი და შეურყვნელი სისუფთავე ქართველებს არ აძლევს უცხოელებისადმი ეპიგონური მიმბაძველობის საშუალებას. ამ რთულ, მტკივნეულ და წინააღმდეგობრივ საკითხზე გვესაუბრება ემიგრაციიდან სულ ახლახან დაბრუნებული შორენა კირვალიძე.**



**— შორენა, რამ გადაგაწყვეტინათ ემიგრაციაში წასვლა?**

— დავიბადე და გავიზარდე ერთ პატარა რაიონში. ჩემს ოჯახს მიაჩნდა, რომ აუცილებლად უნდა მიმეღო უმაღლესი განათლება. ჩვენსავე რაიონში არსებობდა თბილისის უნივერსიტეტის ფილიალი, სადაც ეკონომიკური ფაკულტეტი დავამთავრე, სამსახურის შოვნა კი ვერ შევძელი. უფროსი ძმა დაოჯახებულია და დღესაც ჩვენთან ცხოვრობს თავისი ცოლ-შვილით; უმცროსს მეზობელ უბანში ცალკე სახლს უშენებდნენ, მაგრამ უსახსრობის გამო მხოლოდ კედლების ამოყვანა მოასწრეს, დღეს ხავსმოდებული კედლები ნასახლარს ჰგავს. მე ჩემი პატარა ძმისშვილებისა და ბებიის მომვლელად ვიქეცი. ჩვენებმა ორი ძროხა შეიძინეს, საქონელი და ფრინველი გაამრავლეს და მინდვრის სამუშაოებს თავს აკლავდნენ. ყველაფერი მოჰყავდათ ხახვიდან დაწყებული, ხილით დამთავრებული. ნამატი მოსავალი ჩემს უცროსს ძმას ქალაქში მიჰქონდა და ჰყიდდა. ძალიან წვალობდნენ, მაგრამ არ გვშიოდა და სოფლის პროდუქტებით ახლობლებსაც ვუმართავდით ხელს.

ძალიან ვწვალობდით, სასმელი წყლისა და შუქის გარეშე არსებობა ძალიან ძნელი იყო. ვცხოვრობდით ულიმღამოდ, მარტო ვჭამდით, რომ სიცოცხლე გადაგვერჩინა.

გავიგე, ჩემი თანაკლასელი თეონა სამუშაოდ საზღვარგარეთ რომ წასულა. უთქვამს, იქ გავიგე, რომ ადამიანი ვარო. მაშინ არც მიფიქრია, რამდენად მართალს ამბობდა თეონა. ამის შემდეგ ვიფიქრე, რომ საზღვარგარეთ წასვლა ერთადერთი გზა იყო ამ დუხჭირი ცხოვრებიდან თავის დასაღწევად. მშობლების ნაჩუქარი ოქროს საყურეები გავყიდე და ამ ფულის წყალობით თეონასთან სატელეფონო კავშირი გავაბი; ხვეწნა-მუდარა არ დამიკლია, როგორმე დამხმარებოდა და იტალიაში წავეყვანე.

**— დავიჯერო, თაყვანისმცემლები არ გყავდათ, რომ ოჯახის შექმნაზე გეფიქრათ?**

— დღეს სოციალურად შეჭირვებული ადამიანები ფიქრობენ, ქორწინებაც მომგებიან ბიზნესად აქციონ. მე კი ერთი ჩვეულებრივი გოგო ვიყავი, არაფრით გამორჩეული, თანაც პროვინციულ ყოფაში ჩაკეტილი.

ბოლოს თეონა დავითანხმე, ჩემთვის გასამგზავრებელი ფული გამოეგზავნა. ამის გამხელამ ოჯახში დიდი უსიამოვნება შემახვედრა. მითხრეს: „ოცნებაც არ გაბედო, თავიდან ამოიგდე!“ მალე, ისეთი კაცის ცოლობა შემომთავაზეს, რომელიც გულს მირევდა.

ჩვენს რაიონში იმატა საზღვარგარეთ წამსვლელებმა. ოჯახის ქალები ტოვებდნენ სახლ-კარს, ქმარ-შვილს და ცხრა მთას იქით მიემგზავრებოდნენ. ერთხელ ერთმა ნაცნობმა მე და დედას გვითხრა, ისრაელიდან ჩემი რძლის გამოგზავნილი ფული გვინახავსო. ყოველდღე ვლაპარაკობთ ტელეფონით, ფულის გარდა ბევრ რამეს გვიგზავნისო. ეგ რომ არა, შიმშილით ამოვწყდებოდით და ვერც შვილიშვილებს ვასწავლიდითო.

ამის შემდეგ, ასე თუ ისე, ჩემი გამგზავრება გადაწყდა. გასამგზავრებლად რომ მოვემზადე, საოცარი დეპრესია დამემართა — ყველასა და ყველაფერზე მეტირებოდა, გული აღარ მიმიწევდა წასასვლელად, ჩვენი კარმიდამოს შეხედვაც კი გულს მიკლავდა.

**— როგორ მიგიღოთ იტალიამ, თეონამ დანაპირები შეგისრულათ?**

— დიახ. თეონა ჩრდილოეთ იტალიაში, რეჯო ემილიას დასახლებაში, წმიდა დომინიკოს საპატრიარქოსთან ახლოს, ერთ-ერთ შეძლებულ ოჯახში მოსამსახურედ მუშაობდა. მან ჩემზე წინასწარ იზრუნა, მოხუცი მატრონასთვის უნდა მომევლო. თეონამ მითხრა: „ჭირვეულია, მაგრამ უნდა მოითმინო, სამაგიეროდ, კარგად გადაგიხდისო“. შინაგანად შემამზადა, იოლი გზით ფულს არავინ მოგცემსო.

უპირველესად, გამაოცა კეთილმოწყობილმა მშვენიერმა კოტეჯმა. პატრონესას (ასე ვეძახით იტალიაში დამქირავებელ ქალბატონს) დილით შეეძლო ლოგინიდან წამოდგომის გარეშე დისტანციური პულტით ფანჯრის დარაბების გაღება, ტელევიზორის ჩართვა და ამინდზე ინფორმაციის მიღება, ჩემი გამოძახება სახლის რადიოხაზით და ა.შ.

ყოველდღე მზა პროდუქტები, ხელშეკრულების თანახმად, თვითონ ფირმას მოჰქონდა, მენიუს პატრონესა უკვეთავდა. სახლის დასალაგებლად კი ქალს იძახებდა. ჭირვეული მართლაც იყო, ენის უცოდინრობის გამო გაფაციცებული ვიყავი, რათა ინტუიციით მივმხვდარიყავი, რა უნდოდა, ენის შესწავლასაც ვცდილობდი. პატრონესა იმდენად მოუთმენელი და სულსწრაფი იყო, სულ ფორიაქობდა, მეც კისრისტეხით დავრბოდი მისი დავალებების შესასრულებლად. მას ჩემი „ცუციკობა“ სიამოვნებდა. ამიტომ ხშირად ცვლიდა ბრძანებებს და ჩემით ერთობოდა. ბავშვივით უნდა დამებანა, ყურები გამომეწმინდა, მისი აწეწილი თმა ფენით გამეშრო და საათობით მევარცხნა, ფეხის გულებზე კრემი შემეზილა, ტანი კი ზეთისხილის კრემით დამეზილა. სადილობისას საჭმლით მოსვრილი პირი მომეწმინდა, ბავშვივით ტუალეტამდე გავყოლოდი და მომევლო. თავდაპირველად, ამ პროცესებს ნახევრად თვალდახუჭული და ზიზღით ვაკეთებდი. პატრონესა, ზოგჯერ სეირნობდა, ამისთვის კი მანქანას ქირაობდა მძღოლით. ითხოვდა, ახალგაზრდა, ლონიერი კაცი გამოეგზავნათ. ასე გავიცანი მარიო, რომელიც ყოველთვის მუშტრის თვალით მათვალიერებდა, რასაც დედაბრის ცინიზმიც ემატებოდა. აქცენტირებული და დამახინჯებული იტალიურით უკვე ვსაუბრობდი. ერთხელ მარიომ მითხრა: „ძალიან მოსაწყენ ცხოვრებას ეწევი, წმიდა დომინიკოს მონასტერშიც არ დადიხარ, ბიჭიც არ გყავს, რაც შენს ასაკში სამარცხვინოა“.

მალე გავიგე, რომ დედას მკერდის კიბო აღმოაჩნდა. დღე და ღამე ვტიროდი. პატრონესამ თვიურ გასამრჯელოზე 200 ევრო დამიმატა, რათა დედისთვის სამკურნალოდ გამომეგზავნა. სიმართლე უნდა ითქვას, ვეცოდებოდი. ჩემმა ფულმა დედას ვერ უშველა. ის წავიდა ამ ქვეყნიდან ერთადერთი ქალიშვილისაგან დაუტირებელი. იმ დღეებში მარიო გვესტუმრა, ჩემი ამბავი გაიგო და სანუგეშებლად გულში ჩამიხუტა. არ ვიცი რატომ და მთელი არსებით ვტიროდი მის მკერდს ჩახუტებული, ისე მენატრებოდა ადამიანური თანაგრძნობა. მალე ბებიაც გარდაიცვალა.

ამ უბედურებას მალე დეპორტაციის კანონიც დაემატა. პატრონესამ მარტო ის განაცხადა, რომ მალე ახალი მომვლელი დასჭირდებოდა. მე დაბრუნება არ მინდოდა, პატარა დანაზოგი მქონდა. ყოველთვიურად ჩემს ოჯახს ფულს ვუგზავნიდი. დედისა და ბებიის მკურნალობამ, მათი დაკრძალვის ხარჯებმა ჩემს ზურგზე გადაიარა. მე კი მსურდა დაბრუნებისას პატარა ბინა მეყიდა და ერთ პროვინციულ, პატარა ქალაქში ტანსაცმლის მაღაზია გამეხსნა.

მარიოს ვთხოვე დეპორტაციის საკითხზე დამხმარებოდა. მითხრა: „ფიქტიურ ხელმოწერას გაგიკეთებ და ხელს ვერავინ გახლებს. იფიქრე, ამ პატივისცემას რით გადამიხდიო“. ამის შემდეგ ჩვენთან ვიზიტებს მოუხშირა, ჩემ მიმართ დიდ ყურადღებას იჩენდა, ჩემი გულის მოგებას ცდილობდა. გადავწყვიტე გულახდილად მეთქვა, რასაც ვფიქრობდი: „ფიქტიურ ხელმოწერაზე არ დაგთანხმდები, თუ მართლა მოგწონვარ, ხელი კანონიერად მოვაწეროთ“; ისიც ვუთხარი, რომ ქალწული ვიყავი. ახლაც მახსოვს მისი დაბნეული და გაოცებული სახე. ამ ამბის შემდეგ მარიო დაიკარგა; ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერ გავიგე. უაღრესად დამცირებულად და შეურაცხყოფილად ვგრძნობდი თავს. სასოწარკვეთილი ვფიქრობდი, როგორ შევთავაზე ცოლობა იმ კაცს, რომელსაც სურდა, ჩემი მდგომარეობით ესარგებლა. ეტყობა, საზღვარგარეთაც ისევ დაკომპლექსებულ, პროვინციელ გოგონად დავრჩი. რა ვქნა, ქორწინებისა და სიყვარულის გარეშე მამაკაცთან ურთიერთობა ვერ წარმომიდგენია. მარიოს საქციელმა და მისმა შემოთავაზებამ სულიერად გამანადგურა და გული მატკინა.

პატრონესა გუმანით რაღაცას ხვდებოდა. მანქანების გაქირავების სააგენტოში დარეკა და მარიო იკითხა. უპასუხეს, რომ მარიომ სამუშაო მიატოვა, კოორდინატები კი არ დაუტოვებიაო. თეონა ჩემი იქ ყოფნის ბოლო წელს სამხრეთ იტალიაში გადავიდა სამუშაოდ, იქ უფრო მაღალ გასამრჯელოს აძლევენ. აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. გადავწყვიტე, მცირე დანაზოგითა და პატრონესას საჩუქრებით სამშობლოში დავბრუნებულიყავი, მაგრამ ვიჩქარე.

დაბრუნებულმა, რაღაც სამ კვირაში გავიგე, რომ დარჩენილები ქართულ საკონსულოში რეგისტრაციაში გატარდნენ და ყოველთვიურად საკუთარი გასამრჯელოდან იტალიის მთავრობას 25 ევროს უხდიან. ისიც გავიგე, ზოგმა ფიქტიური ხელმოწერით თავი გადაირჩინა და იტალიის მოქალაქე გახდა, ზოგი ქართველი კი სხვა ქვეყნებში გადავიდა.

**— შორენა ოჯახი როგორ შეგხვდა, ახლა რას აპირებთ?**

— მამა დედას სიკვდილის შემდეგ გვარიანად მოტეხილიყო, ჩემი ძმისშვილები გაზრდილიყვნენ. რძალი გამომიტყდა, რომ ეგონა, საზღვარგარეთ წასული მამიდა მისი შვილების მომავალს უზრუნველყოფდა. ყველას იმედი გავუცრუე. სოფელში „გაჩერებული დრო“ დამხვდა, ხოლო ცხოვრების ჩარხი — უკან დატრიალებული, დენი კი გვაქვს, მაგრამ უწყლობით ისევ ვიტანჯებით. გაზის სახლში შეყვანაც ბევრს ვერ მოუხერხებია. იტალიურ ყოფასთან რომ ვავლებ პარალელს, გული სევდით მევსება. ისევ უმუშევრობაა. გადავწყვიტე, ჩემი მცირე დანაზოგით რაიონში მეორადი ტანსაცმლის მაღაზია გავხსნა.

# ზოოპარკის გადატანა — გიგი უგულავას წინასაარჩევნო პიარი, ცხოველებზე ზრუნვა თუ კომერციული ინტერესები?

**თბილისის მერიის გადაწყვეტილებამ, რომ ზოოპარკი სამომავლოდ ბინას თბილისის ზღვის მიდამოებში, დენდრო პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიდებს, საზოგადოება ააფორიაქა. ამ ნაბიჯს ზოგი დადებითად აფასებს, ზოგიც — უარყოფითად. დედაქალაქის მესვეურთა მიმართ საზოგადოების უნდობლობაა, რადგან კარგად იციან თანამედროვე პოლიტიკოსთა ზნე-ხასიათი — ისინი თავიანთ კომერციულ ზრახვებს ოსტატურად მალავენ და ფუთავენ, ინიღბებიან და თანაც განზრახულს თეორიულ გამართლებასაც უძებნიან. დღესაც ასეა. ზოოპარკის გადატანის მოსურნენი გაოცებით კითხულობენ: „განა ცუდია ზოოპარკის განვითარება და გაუმჯობესება?!“ ვესაუბრეთ ზოოპარკის დირექტორს, ზურაბ გურიელიძესა და ზოოპარკის ტერიტორიაზე გამართულ საპროტესტო აქციის ინიციატორს, ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიურ მდივანს, კახა ძაგანიას. ორივე მხარეს თავისი არგუმენტები აქვს.**

**— ბატონო ზურაბ, ამბობენ, თბილისის ზოოპარკი ზღვისკენ გადააქვთ. რამ განაპირობა ამჟამად ამ საკითხის დღის წესრიგში დაყენება, ხომ არ უკავშირდება მერიის ეს განზრახვა თვითმმართველობის არჩევნების მოახლოებას?**

— ამ საკითხს პოლიტიკასთან საერთოდ არა აქვს კავშირი. მნიშვნელოვანი და უპირველესი პრობლემა ტერიტორიის სიმცირეა. ახლანდელი ადგილი, თანაც ქალაქის ცენტრში, სადაც ხმაური და მჭიდრო დასახლებაა, თვითონ ცხოველებისთვის არის ცუდი. ერთადერთი სიკეთე ის არის, რომ დამთვალიერებლებისთვის ადვილად მისასვლელია. დაბინძურებული ჰაერის გამო ცხოველების სხვადასხვა დაავადება უჩნდებათ. ახლა ზოოპარკს 9,9 ჰექტარი უკავია, შესაბამისად, ვოლიერების ფართი მინიმალურად დასაშვებს უახლოვდება, რაც ცხოველებისთვის გაუსაძლის სიტუაციას ქმნის — სტერეოტიპული ქცევა უყალიბდებათ, ეს კი მათ ჯანმრთელობისთვის საზიანოა. ცხოველები მაქსიმალურად უნდა იყვნენ მიახლოებულები გარემო პირობებთან. არსებულმა ტერიტორიამ თავისი შესაძლებლობები ამოწურა.

ეგზოტიკური ცხოველების — მარტორქის, ჟირაფის, აფრიკული სპილოს, გორილას შემოყვანა გვინდა. ეს ცხოველები ზოოპარკების საერთაშორისო ასოციაციის სპეციალური მენეჯმენტის ქვეშ იმყოფებიან. ჩვენ მალე ამ ასოციაციის წევრები გავხდებით, განაცხადი შეტანილი გვაქვს. მაგრამ ამ ტერიტორიაზე აღნიშნულ ცხოველებს ფართის უკმარობის გამო ვერ შემოვიყვანთ. ასე რომ, თუ გვინდა, გვქონდეს კარგი ზოოპარკი, უნდა შევიცვალოთ ადგილმდებარეობა.

**— ბატონო ზურაბ, ზოოპარკის გადატანას ავტობანის გაყვანასაც უკავშირებენ. ლეიბორისტები კი აცხადებენ, რომ აქ მერის კომერციული ინტერესებიც ჩანს. ამ ეჭვს დაემთხვა ნოდარ დუმბაძის მთაწმინდაზე გადასვენებაც...**

— ვარაზის ხევის გასწვრივ გზის მშენებლობა კარგა ხნის დაწყებულია, მაგრამ ეს არანაირად არ ეხება ზოოპარკის ტერიტორიას. გულახდილად გეტყვით, რაც ზოოპარკის დირექტორად დავინიშნე, ვცდილობ მის გადატანა-გაფართოებას. საერთაშორისო ექსპერტების აზრით, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია ზოოპარკისთვის იდეალური ადგილია. ეს იქნება თანამედროვე ტიპის, საერთაშორისო სტანდარტების ზოოპარკი ბარიერების გარეშე. თითოეული სახეობა ერთმანეთისგან გამოყოფილი იქნება დაახლოებით 8 მეტრის სიგანის არხებით ან ელექტროღობეებით. ეს იქნება ერთ-ერთი საუკეთესო ზოოლოგიური პარკი ევროპაში. ყოველივე ამის საშუალებას გვაძლევს 200 ჰექტარი ფართობი.

**— მსოფლიოსა და ევროპის მეგაპოლისებში ზოოპარკები ტრადიციულად ცენტრშია...**

— დიახ, გერმანიაში ზოოპარკი ბერლინის ცენტრში მდებარეობს, მაგრამ პარალელურად არსებობს მეორე ზოოპარკი ბერლინის გარეუბანში, რომელიც ფართობით მრავალჯერ აღემატება ცენტრში მდებარეს. ცენტრის ზოოპარკი შენარჩუნებულია, როგორც ქალაქის ისტორიული ნაწილი, ძალიან ფეშენებელურია და საინტერესო. მაგრამ იცით, რა დაჯდა ტრადიციული ზოოპარკის კონსტრუქციები? თითოეული ვოლიერის ფასი რამდენიმე მილიონ ევროს აღემატება. ბელგია ნახევარი საქართველოს ტოლია, მაგრამ ▶

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მარწყვში გადანერგილი კამბალას ყინვაგამძლე გენის შესახებ

**ნანოტექნოლოგიები ცვლის სამყაროს ცხოვრების წესს. გენურ ინჟინერიას შეუძლია, დაარღვიოს დედამიწაზე ეკოლოგიური ბალანსი, ხოლო ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა უამრავი ბუნებრივი კატაკლიზმების გამომწვევია. ტრანსგენური ტექნოლოგია ორიენტირებულია, ბიომრავალფეროვნება დაიყვანოს მონოკულტურებზე. ეს კი მეტად საშიში ტენდენციაა.**
**უამრავი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის გარდა, მრავალი ბაქტერია და ვირუსი იქმნება სხვადასხვა მიზნით. ბაქტერიები და ვირუსები კი გაცილებით სწრაფად მრავლდებიან, ვიდრე გენმოდიფიცირებული მცენარეები და ცხოველები, რაც მეტ პრობლემას შეუქმნის კაცობრიობასაც და ჩვენს პლანეტასაც, რადგან მათში მუტაცია უფრო ხშირია. მუტაციას კი გაუთვალისწინებელი თანმდევი ეფექტები მოჰყვება. ორგანიზმებში მემკვიდრეობითი კოდის შეცვლის პრობლემებზე საუბარს ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ, ეკოლოგიური აკადემიის აკადემიკოს მზევინარ ღოღობერიძესთან ვაგრძელებთ.**



**— ქალბატონო მზევინარ, რამდენად სრულყოფილია დღეს გენური ინჟინერიის ტექნოლოგია, რატომ ეძახიან მოწინააღმდეგეები მას მუტანტების კორპორაციას?**

— გენური ინჟინერია თავისი არსით გენების კომპლექტის სხვადასხვაგვარად არევას გულისხმობს, რათა სრულიად ახალი და განსხვავებული ორგანიზმები მიიღონ, რომლებიც აქამდე ბუნებაში არ არსებობდა. ამ შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ თევზის გენისა და გემოს შემცველი, თევზის ფარფლებით დამშვენებული ხილი ან ადამიანის გენის შემცველი ღორი ან თხა.

დღეს გენების გადატანას ბაქტერიის ან ვირუსის საშუალებით ახორციელებენ, რომლებზეც მიბმულია ე. წ. გადასანერგი კომპლექტი, რომელსაც „გენების ქვემეხს" უწოდებენ. მეცნიერებმა დნმ-ის ფუნქციონირების, რომელიც ინფორმაციისა და ინსტრუქციების უზარმაზარი კომპლექსია, თანაც ყველა ორგანიზმს განსხვავებული გენეტიკური კოდი გააჩნია, მხოლოდ 3-5% თუ იციან. მათმა ნაწილმა კი ჩათვალა, რომ ეს ყველაფერი გაშიფრა და შეუძლია მანიპულაციების ჩატარება.





გენეტიკოსებმა თევზ კამბალაში იპოვეს ყინვაგამძლე გენი და ის მარწყვში გადანერგეს. ასეთი ხილი სიახლის ელფერით ბრწყინავს და შესახედავად საღია. პროდუქტი ერთდროულად მომგებიანია მწარმოებლებისთვისაც და გადამზიდავებისთვისაც. ზარალდება მხოლოდ მომხმარებელი, იგი არაა სასარგებლო.

როდესაც მეცნიერებმა ადამიანის ზრდის ჰორმონის მატარებელი გენი თაგვში გადანერგეს, მიიღეს საშინელება — უზარმაზარი თაგვი. მაშინ გადაწყვიტეს, იგივე გენი ღორში გადაენერგათ, მაგრამ, დიდი ღორის ნაცვლად, მიიღეს ავადმყოფი, ჯუჯა, ელამი, ნახევრადჯაგრიანი, სტერილური ცხოველი. ანალოგიური შემთხვევა იყო ორაგულთან დაკავშირებით. მეცნიერებმა ორაგულის დნმ-ში გადანერგეს კიტრის ზრდის გენი. მართლაც, ორაგული სწრაფად იზრდებოდა, მაგრამ მისი ხორცი გამწვანდა. ეს კი ცხადყოფს, რომ გენები მოქმედებენ ერთობლივად, იმყოფებიან ერთმანეთისა და მთელი სისტემის გავლენის ქვეშ.

ორგანიზმების დნმ-ში შეჭრა და მასში უცხო გენის ჩანერგვა წარმოშობს არეულობასა და მუტანტებს არაპროგნოზირებადი ეფექტებით, რის გამოც უწოდებენ ამ ტექნოლოგიას **მუტანტების კორპორაციას**. ხილსა და ბოსტნეულში ხდება მწერის, ცხოველის, ბაქტერიის გენების ჩანერგვა, რაც მათ ბუნებრივი ანალოგიებისაგან მკვეთრად განსხვავებულ გემოს, სურნელსა და თვისებებს ჩუქნის. მოსახლეობისგან ხშირად გამიგია, რომ იმპორტირებულ პროდუქტს გემო არ აქვს, ჩალასავით არის. ისინი შემოტანილ პროდუქტში სპეციფიკურ მახასიათებლებს ვერ პოულობენ, ხშირად აღნიშნავენ, რომ შემოტანილ, გარეგნულად მშვენიერ ხილს მეტალის გემო აქვს. ქართველმა მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რომ დღეს ჩვენთან გენმოდიფიცირებული პროდუქტები არ კონტროლდება, საფუძვლიანად არ მოწმდება უსაფრთხოებაზე და არც ნიშანდებას ექვემდებარება. ამის შედეგებს კი აუცილებლად მოვიმკით.

**— ქალბატონო მზევინარ, რა არის ბიოტექნოლოგიური კომპანიების დაპატენტების სისტემა და რა საფრთხეს უქმნის მსოფლიო ბაზარს?**

— გენური ინჟინერიის მიმდევრების მიზანია, მსოფლიოს სოფლის მეურნეობა და საკვების წარმოება რამდენიმე მულტინაციონალური კორპორაციის ხელში მოაქციონ. დღეს უკვე მათი კონტროლის ქვეშაა მსოფლიო ბაზრის ორი მესამედი, გენმოდიფიცირებული ხორბლის ბაზრის 100%, გენმოდიფიცირებული მცენარეების 98%. ამას კორპორაციები თავიანთი ქმნილებების დაპატენტებით ახერხებენ. შექმნიან რა გენმოდიფიცირებულ კულტურებს, მათზე აფორმებენ ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს ანუ აპატენტებენ. ამ გზით ისინი მოდიფიცირებული კულტურების მფლობელნი ხდებიან. ამის შემდეგ თუ ფერმერი დაპატენტებული კულტურის მოყვანას გადაწყვეტს, მან წილი უნდა უხადოს პატენტის მფლობელ კომპანიას. გენმოდიფიცირებული მცენარეების 98% კი მოჰყავთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამით ისინი ახერხებენ სხვადასხვა ქვეყნების სოფლის მეურნეობები თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციონ, თანაც საპატენტო სისტემით კორპორაციები იცავენ გენეტიკურ კვლევებში ჩადებულ ინვესტიციებს. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ გლეხს უფლება არ აქვს, შეინახოს თესლი და, თუ მაინც შეინახავს, კანონმდებლობის თანახმად, მას უჩივლებენ. ამის უამრავი მაგალითია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში.

ჩვენ განსაკუთრებული ბიომრავალფეროვნების ქვეყანაში ვართ. გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში ჩამოსულან იაპონელი მეცნიერები. ისინი დაინტერესებულები ყოფილან ველურ მცენარეთა ჯიშებითა და სამკურნალო ბალახებით. ამ პერიოდში არავითარი ზედამხედველობა არ არსებობდა, თუ რას აკეთებდა ჩამოსულ მეცნიერთა ჯგუფი. ამ პერიოდთან და ჩამოსულ იაპონელ მეცნიერებთან დაკავშირებით არსებობს არც თუ უსაფუძვლო ეჭვი, რომ მათ საქართველოდან გაიტანეს ჩვენი უნიკალური და ენდემური მცენარეების თესლები, შეისწავლეს ამ მცენარეებისა და სამკურნალო ბალახების გენეტიკა, შექმნეს მათი გენოფონდი და დააპატენტეს. ეს, იცით, რას ნიშნავს? მომავალში ჩვენი უნიკალური ფლორით რაიმე მომგებიანი წარმოება რომ დავიწყოთ, იაპონელები წამოგვიყენებენ ბრალდებას, რომ ჩვენ ვიყენებთ მათ მიერ დაპატენტებული გენების მცენარეებს.

**— რას ამბობთ, ქალბატონო მზევინარ, ტყეები რომ უცხოელებზეა გაყიდული, ცნობილია, მაგრამ უნიკალურ მცენარეთა გენებიც თუ გაიყიდა, ეს პირველად მესმის.**

— არა მგონია, ამის გაყიდვა თუ მოხდა, თუმცა მაგ ვერსიასაც ვერ გამოვრიცხავ. ანგარებით მოხდა თუ ბედოვლათობით — ეს საშინელებაა. ჩვენი მეცნიერები ცდილობენ, ქვეყნის ბიომრავალფეროვნება დავაპატენტოთ, მაგრამ დღეს საქართველოში ამგვარი საქმიანობა არ არსებობს. თუ არა და, ჩვენი ფლორა და ფაუნა ქვეყნის სამომავლო განვითარებისთვის უზარმაზარი რეზერვია, დაპატენტება კი იგივეა, ოქროს მარაგი იდოს ქვეყნის ბანკში. ამ საკითხის ირგვლივ არაერთ მოხსენებას აკეთებდა ქალბატონი ნანა ნემსაძე შეხვედრებსა და კონფერენციებზე, მაგრამ დარჩა ხმად მღაღადებლისად... ჩვენთვის უცნობია, რა გაიტანეს იაპონიასა და ამერიკაში. ასე რომ, ქართული ფლორის ენდემური ჯიშების გენები სხვადასხვა გზით ხვდება საზღვარგარეთ და უცხოელთა დაპატენტებული საკუთრება ხდება. ქვეყანაში მათი დაცვის არავითარი მექანიზმი არ არსებობს.

**— ვფიქრობ, საჭიროა, გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და ბიოუსაფრთხოების საკითხების მოგვარებაში საზოგადოების ფართო მასები ჩაებას...**

— იყო ასეთი პროექტი: ბიოუსაფრთხოების ეროვნული სისტემის განვითარება საქართველოში, რომლის მიზანი იყო, შეესწავლათ მოსახლეობის დამოკიდებულება გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და საკვები პროდუქტების მიმართ. გამოიკითხა 1005 რესპონდენტი, მათ შორის 601 სოფლიდან, ხოლო 404 — ქალაქიდან. გამოკითხვა ჩატარდა იმერეთში, გურიაში, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში. ზოგადმა სურათმა აჩვენა, რომ მოსახლეობას ეშინია გენმოდიფიცირებული პროდუქციის. რესპონდენტთა 90% ჩივის, რომ მათ არ აქვთ სრული და სანდო ინფორმაცია გენურ ინჟინერიაზე. მისასალმებელია, თქვენმა გაზეთმა ამ თემაზე პუბლიკაციების გამოქვეყნება რომ დაიწყო, გამოკითხულთა 95% მიიჩნევს, რომ შესაფუთ მასალაზე აუცილებლად უნდა იყოს მითითება პროდუქტის გენმოდიფიცირებულ ინგრედიენტებზე, აუცილებლად უნდა წარმოებდეს ბაზარზე გამოტანილი პროდუქტების ექსპერტიზა.

კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ საზოგადოება მოითხოვს, სახელმწიფომ დაარეგულიროს გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და პროდუქტების შემოტანაც და წარმოებაც. ამის ნებელობა კი ხელისუფალთა მხრიდან არ ჩანს, ერთ-ერთ სამთავრობო შეხვედრაზე სოფლის მეურნეობის მინისტრისა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილეებმა არგუმენტად დაგვისახელეს ის ფაქტი, რომ ჩვენ ტრანზიტული ქვეყანა ვართ და, თუ გენმოდიფიცირებულ პროდუქტებზე რაიმე აკრძალვას შემოიღებენ, ქვეყნის ბიუჯეტი ამით დიდძალ თანხას დაკარგავს. არ ვიცი რატომ, სად იმალება „ძაღლის თავი", მაგრამ მთავრობის რომელ წარმომადგენლებთანაც მქონია ამ საკითხზე შეხვედრა, ისინი ამ საჭირბოროტო თემას ძალიან საეჭვოდ ლობირებენ.

ჩვენ კი, ამ საქმის სპეციალისტებს, მეცნიერებს 1997 წლიდან მოყოლებული კანონი „ბიოლოგიური უსაფრთხოების შესახებ" 13 ვარიანტად გვაქვს უკვე დაწერილი... სხვა დროა, სხვა საუკუნე, დღეს უკვე ნანოტექნოლოგიების ომია და ამ საკითხის მოგვარება კი საშური და გადაუდებელი საკითხია.

◀ 20-მდე ზოოპარკი აქვთ. ანტვერპენში ზოოპარკი ქალაქის ცენტრშია, რკინიგზის სადგურის გვერდით. თანამედროვე ტექნიკის წყალობით, ზოოპარკის ტერიტორიაზე სადგურის ხმაური არ შედის. მაგრამ იქვე, ნახევარი საათის სავალზე, არის 50-60 ჰექტარზე გადაშლილი მეორე ზოოლოგიური პარკი. ჩვენ კი თბილისის ზოოპარკის გარდა, პატარა ზოოპარკი გვაქვს ბათუმში. ცენტრში მდებარე ზოოპარკებში სახეობების შერჩევა დიდი სიფრთხილით ხდება, რადგან იმ პირობებს ყველა სახეობა ვერ ეგუება. ზოოპარკი არ არის მხოლოდ გასართობი სანახაობა, იგი შემეცნებითი ხასიათისაა; მას გააჩნია, აგრეთვე, კონსერვატიული დატვირთვა — სახეობათა გამრავლებისა და გადარჩენისა.

**— ბატონო ზურაბ, ზოოპარკისთვის გამოყოფილ 200 ჰექტარზე საჭირო კონსტრუქციებს ქართველები ააშენებენ თუ, როგორც ხშირად ხდება, უცხოელები?**

— მე მირჩევნია იმათ ააშენონ, ვისაც ამის გამოცდილება აქვს და არა იმათ, ვინც გზადაგზა სწავლობს. ლომი რომ ახტება და ვოლიერს დატოვებს, მერე უკვე გვიანი იქნება...

## კახა ძაგანია: ამ პროექტიდან დიდი ფულის მოგება სურთ

**— ბატონო კახა, რატომ არ მოგწონთ ზოოპარკის გადატანის იდეა?**

— ეს არაა ზრუნვა ზოოპარკის განვითარებისთვის. საქმე ისაა, რომ უგულავა აკონტროლებს თბილისის სამშენებლო ბიზნესის 80%-ს. მთელი რიგი სამშენებლო კომპანიები აქვს დარეგისტრირებული და, თუ ვინმე რეალურად აშენებს, „წილში უზის". ახლა ვერის ხეობის მშვენიერი ადგილი მოიზომა თავისთვის, რითაც აზარალებს მოსახლეობასაც და ბავშვებსაც. თბილისის ზოოპარკი გაშენებულია შესაბამის ტერიტორიაზე. ეს პროექტი თავის დროზე სათანადოდ შეისწავლეს. ამ საკითხზე წლების მანძილზე ცნობილი მეცნიერებით დაკომპლექტებული სპეციალური კომისია მუშაობდა. ზოოპარკისთვის ყველაზე ხელსაყრელ ადგილად, ლანდშაფტისა და მიკროკლიმატის მიხედვით, ვერეს ხეობა ჩაითვალა; მისასვლელადაც იოლი იყო. ისიც გაითვალისწინეს, რომ ენდემური ჯიშის მცენარეებს და ეგზოტიკურ ცხოველებს ვერის ხეობის მიკროკლიმატი 100%-ით უქმნიდა სიცოცხლისთვის აუცილებელ პირობებს. ზოოპარკის გადატანის საკითხი თბილისის ზღვაზე ისე წამოიჭრა, რომ დღესაც არ არის ის ტერიტორია შესწავლილი. სპეციალისტების დასკვნის საფუძველზე, იქ გადატანისას, საჭიროა ზოოპარკი მთლიანად ჩასვან გრანდიოზულ კოლბაში და შექმნან ხელოვნური კლიმატი. ეს ყველაფერი კი იმისთვის კეთდება, რომ დაკმაყოფილდეს უგულავას ბიზნესინტერესები, ხოლო სნობისტური საზოგადოება — ბინებით; ასევე, სამშენებლო ბიზნესში ჩართულებმაც ხეირი ნახონ. თბილისის ზღვის მიკროკლიმატთან შეგუება გაუჭირდება როგორც ჩვენი ფლორის უნიკალურ სახეობებს, ისე ტროპიკული ზონის ფაუნის წარმომადგენლებსაც.

**— ამბობენ, რომ დღევანდელი ზოოპარკის ტერიტორია დარჩება მშვენიერ პარკად, მწვანე კუნძულად ქალაქის ცენტრში და იქ კორპუსები არ აშენდება...**

— მერწმუნეთ, მათ ამ ნაბიჯს კომერციული დატვირთვა აქვს. უგულავამ ამაზე უკვე იზრუნა. მან დედაქალაქის პარკებს მწვანე ზოლის სტატუსი უკვე მოუხსნა. ახლა ნებისმიერ მსურველს შეუძლია ნებისმიერ პარკსა და სკვერში ააშენოს შენობა. არ გახსოვთ, რა გააკეთეს იპოდრომზე? ვაკის პარკსაც აღარ აქვს სტატუსი. არადა, მილიონიან ქალაქს სჭირდება მწვანე ზოლები, ისინი ხომ ქალაქის ფილტვებია... ხელისუფლება ჩქარობს, მათ იციან, რომ უკანასკნელ წუთებს ითვლიან და სურთ, რაც შეიძლება, მეტი მოქაფონ ქვეყანასა და ხალხს; გარეგნულად კი პოზიორობენ, თითქოს ცხოველების ბედი აწუხებთ.

**— ამ პროექტის განხორციელებას წლები და საკმაოდ დიდი თანხები დასჭირდება. იქნებ, ეს გიგი უგულავას საარჩევნო პიარის ნაწილია, როგორც თავის დროზე 100 ახალი საავადმყოფო, სამუშაო ადგილების შექმნა და სხვა...**

— ამ ცვლილებას, მართლაც, მილიონები დასჭირდება. ვერეს ხეობა ბუნებრივი ლანდშაფტია, იქ კი ხელოვნურად უნდა გაშენდეს, რაც დიდ თანხებსა და უზღვავ ენერგიას მოითხოვს. ზოოპარკის გადატანა თბილისის ზღვაზე იმდენად არაპოპულარული ნაბიჯია, რომ წინასაარჩევნო პროპაგანდად ვერ გამოადგებათ. ისინი ამ ნაბიჯზე იმიტომ მიდიან, რომ ამ პროექტიდან დიდი ფულის მოგება სურთ.

გვერდები მოამზადა ლალი შაშიაშვილმა

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# რას ავალდებულებს მეუღლეებს ქრისტიანული ქორწინება

**არც ერთი ადამიანური ურთიერთობა არ არის ქორწინებაზე მნიშვნელოვანი. ცოლქმრული კავშირი უძველესია და ეფუძნება სჯულს, რომელიც ღმერთმა დაუწესა ადამიანურ ბუნებას. ქალი და კაცი მხოლოდ მაშინ იწყებენ სისხლსავსე ცხოვრებას, როცა ერთხორც და ერთსულ შეიქმნებიან. რას ავალდებულებს მეუღლეებს ქრისტიანული ქორწინება? დღეს სწორედ ამ თემაზე გვესაუბრება მამა ამირანი (ამირანაშვილი), თბილისის სიონის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის მოძღვარი.**





**— რა მნიშვნელობა ენიჭება ქორწინებას ქრისტიანული სწავლების მიხედვით?**

— ქორწინება უბრალო კავშირი არ გეგონოთ ქალსა და მამაკაცს შორის ვნებათაღელვის დასაცხრომად. იგი ორი არსების ერთ განუყოფელ არსებად გადაქცევას გულისხმობს. მეუღლეთა კავშირი ურღვევია მთელი სიცოცხლის განმავლობაში და ადამიანური ყოფის საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს.

**— რატომ არის აუცილებელი ცოლქმრული კავშირის განმტკიცება ჯვრისწერით?**

— ჯვრისწერა წმინდათაწმიდა ქმედებაა. მღვდლის მიერ ამ ქრისტიანული საიდუმლოს აღსრულების დროს სიძე-პატარძალზე სულიწმიდის მადლი გადადის, რაც ცოლქმრულ კავშირს აბრწყინებს, აძლიერებს, რათა იყვნენ ერთხორც და ერთსულ და აღასრულონ ქრისტეს მცნებანი, კანონიერად შვან და აღზარდონ შვილები.

**— რა მოვალეობები აკისრიათ ერთმანეთის მიმართ ქრისტიან მეუღლეებს?**

— წმიდა წერილში დამოწმებული ქრისტიან მეუღლეთა მოვალეობები, ყველასათვის უნდა იყოს ცნობილი. მისი ცოდნის ზედმიწევნითა და საჭიროებისამებრ გამოყენება ადამიანის კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული. ამ მხრივ, ძალზე საყურადღებოა იოანე ოქროპირის მითითებები. მიუხედავად იმისა, რომ თოთხმეტი საუკუნე გვაშორებს ამ წმინდანს, თუ თანამედროვე საზოგადოების ყოფა-ცხოვრებას თვალს გადავავლებთ, ძნელად შესამჩნევი არ იქნება, რომ ამჟამადაც ადამიანები არაწმინდა მოსაზრებებით ქორწინდებიან და, ვნებათაღელვის მარწუხებში მოქცეულნი, ბღალავენ ქორწინების სიწმინდეს ანდა არ იცავენ წესებს, რის გამოც გასაჭირში ვარდებიან.

**— რას ნიშნავს მეუღლეთა ყოფნა „ერთსულ“?**

— ცოლ-ქმრის სულთა შინაგან განმთლიანებას, ურთიერთშეწევნასა და სრულყოფილებისკენ ლტოლვას. ქორწინებით განმტკიცებული, ღვთივკურთხეული ოჯახი ჯანსაღი საზოგადოების შექმნის საწინდარია. ცოლისთვის ქმარი ყველაზე და ყველაფერზე ძვირფასი უნდა იყოს, ხოლო ქმრისთვის ცოლი — უსაყვარლესი. ცოლი მუდამ ქმრის თანამზრახველი და თანამეინახეა, ამაზე მთელი კაცობრიობის კეთილდღეობაა დამყარებული.

**— რატომ უნდა დაემორჩილოს ცოლი ქმარს?**

— როცა ცოლი ქმრის მორჩილია, შვილები სწორად იზრდებიან, ოჯახში კეთილგანწყობა სუფევს, როცა ერთმანეთს ეკამათებიან, საწინააღმდეგო აზრები აქვთ, არეულობა და ჩხუბია.

**— თანამედროვე საზოგადოებაში ქორწინების მნიშვნელობა გაუფასურებულია. რა არის ამის მიზეზი?**

— სამწუხაროდ, ადამიანებს არასწორად ესმით ქრისტიანული ქორწინების როლი და დანიშნულება, ცოლქმრული უღლის ტარების სიტკბო. წმიდა იოანე ოქროპირის დროს, ერეტიკოსები — მარკიანე და მანიქეა — ქორწინებას უარყოფდნენ, როგორც ბოროტი სულების საიდუმლოებას და მარადიულ სიქალწულეს ქადაგებდნენ.

**— ქორწინების უარყოფა ეწინააღმდეგება ქრისტიანულ სწავლებას?**

— ქორწინების აკრძალვა არაქრისტიანულია და ამაში სულიერი უმანკოების დაუძინებელი მტრის, სატანის ხელი ურევია. არ შეიძლება, სიქალწულე უმწიკვლო იყოს, როცა ქორწინება აკრძალულია. კაცისა და ქალის შეუღლება, შვილების აღზრდა და ოჯახის მოვლა-პატრონობა არც ერთ სათნოებაზე დაბლა არ უნდა დავაყენოთ. წმიდა ესაია წინასწარმეტყველს ცოლი ჰყავდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჭვრეტდა უფლის დაუსაბამო ნათელს.

**— რა ქნას ქრისტიანმა მამაკაცმა, თუ მისი ცოლი ვერაგია?**

— იოანე ოქროპირი ქმრის სისუსტეს მიაწერს იმას, რამაც შეიძლება ცოლს სივერაგისკენ უბიძგოს. „თუ შენი ცოლი კეთილია, — ამბობს იგი, — შეგეწევა, მაგრამ თუ კეთილი არ არის, ეცადე, გააკეთილშობილო!“

**— რა არის ქრისტიანული ქორწინების მიზანი?**

— წმიდა იოანე ოქროპირის აზრით, ქორწინების მიზანია ადამიანთა მოდგმის გაგრძელება და ვნებათაღელვის დაცხრომა. წმიდა პავლე მოციქული წერს: „სიძვის თავიდან ასაცილებლად ყველა კაცს თავისი ცოლი ჰყავდეს“.

**— ბევრია ჯვარდაწერილი ცოლ-ქმარი, მაგრამ მაინც უბედურები არიან. რატომ?**

— მეუღლეთა ბედნიერება მათ ხასიათზეა დამოკიდებული. სასიძოსა და საპატარძლოს არჩევანში თავიდანვეა ჩადებული ოჯახური ბედნიერებისა თუ უბედურების მარცვალი. უმთავრესი, რაც საცოლეში უნდა ეძებოს კაცმა, სულის სიკეთე და კდემამოსილებაა.

**— გარიგებით ქორწინებაზე რა აზრისაა ეკლესია?**

— წმიდა იოანე ოქროპირი თვლის, რომ ქორწინება ორი წრფელი გულის ნდობითა და ურთიერთპატივისცემით შეერთებული ადამიანთა კავშირია. ანგარებით არჩეული საცოლე კაცის ღირსებას შეურაცხყოფს. უმჯობესია, დაქორწინდეთ ღარიბ, მაგრამ ზნეკეთილ ქალზე, ვიდრე მდიდარზე.

**— სიყვარულით შეუღლებულებზე რას გვეტყვით?**

— სიყვარულით ქორწინება ვნებებზეა დამოკიდებული. დაუღვინებელ, გამოუცდელ, გულუბრყვილო ახალგაზრდებში შეუღლებას ვნებათაღელვა განსაზღვრავს, გარეგნულ სილამაზეს ემონებიან და, რა გასაკვირია, თუ მათი კავშირი ხანმოკლე აღმოჩნდება.

**— კი მაგრამ, არ უნდა გვიყვარდეს მომავალი მეუღლე?**

— მხოლოდ სიყვარულის მიხედვით არჩევანის გაკეთება სახიფათოა, რადგანაც ადამიანში ვართ შეყვარებული და შესაძლოა, აღგზნებამ მალე გაგვიაროს და გარეგნული სილამაზის ნაცვლად, ბოროტი სული შეგვრჩეს ხელთ. სხეულის სილამაზე თანდათან ჩვეულებრივი ხდება მეუღლისთვის, ხოლო სულის სილამაზეს დღითიდღე ეხდება ფარდა და სიყვარულის დიდ კოცონს ანთებს. სულიერი სილამაზე ყოველგვარ განსაცდელსა და ცვალებადობას უძლებს.

**— განა ასე იოლია ოჯახური ბედნიერების წინასწარ განჭვრეტა?**

— ადამიანური წინდახედულობით შეუძლებელია ამის განჭვრეტა, ამიტომ მეუღლის შერჩევის დროს მასში ეძებეთ სულიერი ღირსებები და, უმთავრესად, კეთილმორწმუნეობა, მოკრძალება.

**— ზოგჯერ ცოლიც ღირსეული ადამიანია და ქმარიც, მაგრამ მათ ოჯახში უბედურება სუფევს. რა არის ამის მიზეზი?**

— მხოლოდ ღირსეული მეუღლის შერჩევა არაფერს ნიშნავს ქორწინებაში. მთავარია, ცოლ-ქმარი ისე მოიქცეს, რომ მათი ქმედება ღვთისთვის სასურველი იყოს და ოჯახის უბედურების მიზეზი არ გახდეს. ქალის ან კაცის დაუფიქრებლობისა და თავქარიანობის წყალობით, შესაძლოა, ქორწინება — სიხარულის წყარო, უბედურების სათავედ იქცეს.

**— როგორი უნდა იყოს იღბლიანი ქორწინება?**

— ქორწინება იღბლიანია, თუ ურთიერთსიყვარულს, ნდობასა და პატივისცემას ეფუძნება, რასაც მეუღლეთა შეხმატკბილებული ცხოვრება მოჰყვება. როცა ცოლ-ქმარს ერთმანეთი თავდავიწყებით უყვარს, მათ უფალი ამწყალობებს. სადაც სიყვარულია, იქ სიმდიდრე, ბედნიერება და დოვლათია, სადაც სიყვარული არ არის, იქ უსიამოვნება და ქაოსია.

**— ხშირია შემთხვევები, როცა დაუშნოებულ ან დაავადებულ მეუღლეს ეყრებიან, ოჯახს ანგრევენ. რა აზრისაა ეკლესია ამაზე?**

— მეუღლეებს ერთმანეთი მუდამ და ძლიერად უნდა უყვარდეთ. მათი გრძნობა ვერ უნდა გაანელოს უბედურებამ, განსაცდელმა, სიბრაზემ. მამაკაცების გასაგონად მინდა ვთქვა: ცოლი თქვენი სხეულის აუცილებელი ნაწილია და მუდამ უნდა იზრუნოთ მასზე. ვისაც ცოლი უყვარს, მას საკუთარი თავი უყვარს.

**— რა უნდა ვქნათ, რომ ჩვენს ოჯახებში სიმყუდროვემ დაისადგუროს?**

— ცოლ-ქმარს შორის სიყვარულს აძლიერებს და ამტკიცებს ერთმანეთის აუცილებლობის შეგრძნება ორივეს მხრიდან.

**— რას გულისხმობთ?**

— თუ მეუღლეებიდან თითოეული მათგანი ცალ-ცალკე მოითხოვს სიყვარულსა და თანადგომას, ისე, რომ თავად არაფრის გაღებას ისურვებს, მათ შორის თანხმობა, ურთიერთგაგება და სიყვარული გამორიცხულია. მხოლოდ საკუთარი მოვალეობების აღსრულებას მოსდევს სიმყუდროვე და მშვიდობა ოჯახში, სიმტკიცე და ძლიერება. მეუღლეები არ უნდა უკირკიტებდნენ ერთმანეთის ნაკლოვანებებს, მოთმინებითა და დიდსულოვნებით უნდა აიტანონ წყენა, სიბრაზე.

**— რა ქნას კაცმა, თუ ანჩხლი ცოლი შეხვდა?**

— წმიდა იოანე ოქროპირის სწავლების თანახმად, ცოლის უჟმური ხასიათი ქმრისთვის ღვთით მოვლენილი სასჯელია და ქმარი ვალდებულია, უდრტვინველად აიტანოს განსაცდელი. თუ ანჩხლი ცოლი შეხვდება, მოთმინებით უნდა ატაროს უფლისგან ბოძებული ბორკილები, რაც ცოდვათა გამო დაიმსახურა. აშარი დედაკაცი ცოდვილი ქმრის ჭკუის მასწავლებელია. „ავი ცოლი ცოდვილ ქმარს ეძლევა, როგორც წამალი შესმული შხამის განსაქარვებლად“, — ვკითხულობთ წმიდა წერილში. სამწუხაროა, რომ კაცს თანამოაზრე მტრად ექცევა, მაგრამ გამოცდას უნდა გაუძლოს. ანჩხლი ცოლი, როგორც დასტაქარი, ქმარს ტვირთს უმსუბუქებს.

**— სამწუხაროდ, მამაკაცთა უმრავლესობა სხვაგვარად ფიქრობს და ცოლს სასტიკად ექცევა...**

— წმიდა იოანე ოქროპირი კატეგორიულად კრძალავს ცოლისადმი სისასტიკის გამოჩენას, როგორც უკიდურესად ბარბაროსულსა და ყოველმხრივ გაუმართლებელს.

**— მაშ, რა ქნას კაცმა ცოლის მანკიერებათა დასაძლევად?**

— ცოლის მანკიერებათა დასაძლევად წმიდა იოანე ოქროპირი გვირჩევს კეთილგონივრულ დათმენას და არა ჩხუბსა და აყალმაყალს. მეუღლის უზნეობის დასათრგუნად ყველაზე უპრიანია მოთმინება და ყურადღების გამოჩენა. შვილების დედა, ცხოვრების თანამეინახე არ უნდა გავწიროთ მრისხანებისა და ბოროტებისთვის, პირიქით, სიყვარულითა და სინაზით უნდა მოვეპყრათ.

**— ერთმანეთის გამოსწორება ქრისტიან მეუღლეთა ვალია?**

— რა თქმა უნდა!.. ერთმა მეუღლემ ზედმიწევნით უნდა იცოდეს მეორის სულიერი ფასეულობანი, რათა დღენიადაგ იზრუნოს მის სრულყოფასა და გაძლიერებაზე. ქმარი, რომელიც გულგრილი დარჩება ცოლის სისუსტეებისა და ნაკლოვანებებისადმი, მათ აღმოსაფხვრელად ზომებს არ მიიღებს, დამნაშავეა, როგორც თავისი სინდისის, ასევე ღვთაებრივი სამსჯავროს წინაშე. მეუღლის გამოსწორების საიმედო საშუალებაა გონივრული ქმედება, სიყვარული და თანადგომა, მაგრამ, თუ მცდელობის მიუხედავად, მაინც ვერ მოახერხეთ, ხელს ნუ ჰკრავთ, რადგანაც იგი თქვენი სხეულის ნაწილია.

ესაუბრა
**ნინო გოძიაშვილი**

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

# როგორ მოვაწყოთ ხატების კუთხე

**ხატების კუთხე ყველა ქრისტიანს უნდა ჰქონდეს სახლში. მის მოსაწყობად აირჩიეთ ოთახის აღმოსავლეთი მხარე, რადგან ხატები აუცილებლად აღმოსავლეთით მდებარე კედელზე უნდა ეკიდოს. რატომ? იმიტომ, რომ ლოცვის დროს პირით აღმოსავლეთისკენ უნდა ვიდგეთ.**

ხატების კუთხეში სასურველია მოათავსოთ შემდეგი ხატები: ყოვლადწმიდა სამება, იესო ქრისტე, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, ჯვარცმა ან ჯვარი, წმიდა ნინო — ქართველთა განმანათლებელი, წმიდა გიორგი — ჩვენი ერის მფარველი, წმიდა ნიკოლოზი — ქართული ეკლესიის მფარველი, ასევე ოჯახის წევრთა მფარველი წმინდანების ხატები. მათ ქვეშ შეგიძლიათ დაამაგროთ მცირე ზომის თაროები, რომლებზეც დაიდგმება კანდელი, სანთლები და სხვადასხვა სიწმიდე. ყველა ქრისტიანის ოჯახში უნდა ინახებოდეს ნაკურთხი წყალი, რომელსაც დალევთ და ოთახებში მოასხურებთ. კანდელი აანთეთ ლოცვის წინ. მის ასანთებად სანთელი იხმარეთ. ასანთით აანთეთ სანთელი და სანთლით — კანდელი. მუდამ იქონიეთ ნაკვეთი სუფრის კვერი, არტოსი — წმიდა პური, რომელიც დიდ სიწმიდეს წარმოადგენს და ცალკე უნდა შეინახოთ სათუთად. იხმარეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში — ავადმყოფობისა და სხვა განსაცდელის ჟამს.



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ამპარტავნება ქრისტეს მოციქულთათვისაც არ იყო უცხო

**ამპარტავნება ყოვლისმომცველი ვნებაა და იგი თავდაპირველად ქრისტეს მოციქულთათვისაც არ იყო უცხო. პეტრემ სხვებზე მეტად აღიმაღლა თავი და თქვა: „რაღა თუ ყოველნი დაბრკოლდებიან შენდა მიმართ, ხოლო მე არასადა დავბრკოლდე“.**

მაშინაც კი, როცა უფალმა უწინასწარმეტყველა, სამგზის უარმყოფო, მის ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია და განაცხადა: „დაღაცათუ იყოს სიკვდილი ჩემი შენ თანა, არარადა უარ-გყო შენ“. როგორც ხედავთ, სწორედ ამპარტავნებამ გახადა იგი კადნიერი და რეალური საფრთხე უგულვებელყო, როცა მღვდელმთავრის ეზოში შევიდა, სადაც უამრავი მსახური იყო და მათთან ერთად ცეცხლს მიუჯდა. პეტრე კადნიერებით ფიქრობდა, რომ ეშმაკთან ბრძოლა არ სჭირდებოდა, პირიქით, ეშმაკს მისი უნდა შეშინებოდა. ბუნებრივია, ვერ შეძლებდა სიმტკიცის შენარჩუნებას იმ წუთებში, რადგანაც ამპარტევნებით იყო სავსე. საერთოდ, დაღუპვას ყოველთვის წინ



პეტრე და პავლე

ამპარტავნება უსწრებს, ხოლო დაცემას — ქედმაღლობა.

სამწუხაროდ, მხოლოდ პეტრე მოციქული არ ყოფილა ამ ვნებით შეპყრობილი, ქრისტეს სხვა მოწაფეებმაც შესცოდეს. მათ მაცხოვრის დედამიწაზე ყოფნის უკანასკნელ დღეს, საიდუმლო სერობის წინ, დაიწყეს იმის ძიება, თუ ვინ იყო მოციქულთა შორის უპირატესი. იესომ მათ სიმდაბლის მაგალითი უჩვენა და ფეხები დაბანა, რის მერეც სამარადისო სიტყვები დაუტოვა კაცობრიობას: „თქვენ მე მიწოდებთ მოძღვარს და უფალს. სწორად ამბობთ, რადგანაც ვარ. ამიტომ, თუკი მე, მოძღვარმა და უფალმა, ფეხები დაგბანეთ, თქვენც უნდა დაბანოთ ერთმანეთს ფეხები. მაგალითი მოგეცით, რათა, როგორც მე მოგექეცით, თქვენც ისე მოიქცეთ. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მონა არ არის თავის ბატონზე დიდი და მოვლინებული არ არის მომავლინებელზე დიდი. რაკი ეს იცით, ნეტარნი ხართ, თუ აღასრულებთ“.



## სულისთვის სასარგებლო რჩევები

**● ვინც ხელისგულზე სამკურნალო ზეთს იცხებს, რათა უძლურს წაუსვას, ზეთის ნაწილი ჯერ თავად მას ხვდება. ასევეა ის ადამიანიც, ვინც ძმისთვის ლოცულობს, მოყვასის კეთილდღეობაზე ზრუნავს და სიკეთეს თესავს; ვიდრე სხვას რაიმეს არგებს, ჯერ თავად ნახულობს სარგებელს.**

**● თუ საკუთარ გულში ღრმად ჩაიხედავ, დაინახავ, რომ ყოველი ბოროტი აზრი, ბილწი სურვილი, უკეთური საქმე გარცხვენს და სულს გიშფოთებს მაშინაც კი, როცა სხვათათვის დაფარულია, მაგრამ გახსოვდეს, მოვა დრო და ყველა ყველაფერს გაიგებს.**

**● ცეცხლზე შემოდგმულ ქოთანს, რომელშიც კერძი იხარშება, ვერც ბუზი ეკარება და ვერც ქვეწარმავალი, შიგ გაგრილების მერე ძვრებიან. ასეა ადამიანებიც, სანამ სულიერ ღვაწლშია, ბოროტისთვის მიუწვდომელია.**

**● ვინც კეთილმორწმუნეთა ღვაწლს აბუჩად იგდებს, წყალწაღებულია და უდრტვინველად მიჰყვება დინებას, თანაც დასცინის მათ, ვინც თავის გადარჩენის მიზნით მდინარის ნაპირზე ხეებსა და ბალახს ებღაუჭება.**

**● შეუძლებელია, არ დაეცე, მაგრამ შესაძლებელია, დაცემული ხელახლა წამოდგე. როცა მორბენალი ფეხს რამეს წამოჰკრავს, იქცევა, თუმცაღა მაშინვე დგება და კვლავ თავისი მიზნისკენ ისწრაფვის. თქვენც მას მიჰბაძეთ.**



## რატომ არის მეწამული ფერის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მანტია?

მსოფლიოს სხვა ქრისტიანული ქვეყნების პატრიარქთაგან განსხვავებით, საქართველოს სულიერი წინამძღოლის მანტია მეწამული ფერისაა, რადგანაც იმ ქვეყნის ეკლესიის საჭეთმპყრობელია, სადაც იესოს კვართია დასვენებული და იგი მაცხოვრის კვართის მცველად გვევლინება. უფლის კვართი კი სისხლში იყო ამოვლებული. გარდა ამისა, საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრია და, რადგანაც დედა ღვთისა წითელი მანტიითაა შემოსილი, ამიტომაც აცვია ჩვენს პატრიარქს მეწამული მანტია.

# კიბოთი გარდაცვლილი ქალის მკვდრეთით აღდგინება

## ყოფილი პარტმუშაკის, კლავდია უსტიუჟანინას მონათხრობი

**(დასასრული. დასაწყისი იხილეთ N35-36)**

**(ეს მოხდა 1964 წელს ქალაქ ბარნაულში)**

მე ვკითხე უფალს: — როგორ ვილოცო, მე რომ ლოცვა არ ვიცი?

— ილოცე! — მივიღე პასუხი, — ჩემთვის ის ლოცვა როდია ძვირფასი, რომელსაც სხაპასხუპით კითხულობენ მოვალეობის მოხდისთვის, არამედ — სულის სიღრმიდან წამოსული. თქვით: უფალო, მომიტევე, უფალო, შემიწყალე და, თუ ამ დროს თქვენს თვალებზე სინანულის ცრემლსაც ვიხილავ, ის ლოცვა და ვედრება სასურველი იქნება ჩემთვის.

უცებ ისევ ჩამობნელდა და მე უწინდელ ადგილას აღმოვჩნდი. ღვთისმშობელმა კვლავ გულზე დაიკრიფა ხელები, თვალები ზეაღაპყრო და იკითხა: „როგორ მოვექცე მას, სად წავიყვანო?“ უფალმა უთხრა: „ქვეყნად დააბრუნე!..“

ერთ წამში მიწაზე აღმოვჩნდი. ვხედავ, როგორ მიქრიან მანქანები და ადამიანები სამსახურებისაკენ ეშურებიან. ვხედავ, რომ ჰაერში ვირწევი ახალი ბაზრის მოედნის სიახლოვეს, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვეხები მიწას. ნელ-ნელ ვეშვები საყინულეში, სადაც ჩემი სხეული ასვენია და მყისიერად მიწიერი ვხდები. საათი 13 საათსა და 30 წუთს უჩვენებს.

საიქიოდან დაბრუნებულს აღარ მომწონს დედამიწაზე ყოფნა. საავადმყოფოსკენ გავეშურე, მორგს მივუახლოვდი, შიგნით შევედი და რას ვხედავ: ჩემი მკვდარი სხეული დევს... როცა მასში შევედი, არ ვიცი, ეს როგორ მოხდა, მხოლოდ საშინელი სიცივე ვიგრძენი...

ამ დროს შემოიტანეს მამაკაცის გვამი, მოჭრილი ფეხებით, რომელიც მატარებლის ქვეშ ჩავარდნილიყო. მე თვალები გავახილე და ავმოძრავდი. სანიტრებმა დამინახეს, შეეშინდათ და გაიქცნენ. მერე დაბრუნდნენ და ორი ექიმი მოიყვანეს; სასწრაფოდ გადამიყვანეს საავადმყოფოში. იქ ექიმები შეიკრიბნენ და თქვეს: საჭიროა სანათურებით გავუთბოთ ტვინიო. ეს იყო 23 თებერვალს, დღის 4 საათზე. სხეულზე მქონდა 8 ნაკერი: სამი მკერდზე, დანარჩენი ხელებსა და ფეხებზე, რადგან ჩემს სხეულზე პრაქტიკას გადიოდნენ.

როცა თავი და სხეული გამითბეს, თვალები გავახილე და ორი საათის შემდეგ ავლაპარაკდი კიდეც... თავიდან ხელოვნურად მკვებავდნენ, მეორე დღეს კი საუზმე მომიტანეს — ბლინები არაჟნით და ყავა, მაგრამ უარი ვთქვი ჭამაზე.

შეშინებული მოწყალების და გაიქცა და ექიმი მოიყვანა. პალატაში მყოფი ავადმყოფები მე შემომცქეროდნენ. ექიმმა მკითხრა, რატომ არ ჭამო. მე ვუპასუხე: დღეს პარასკევია, მარხვის დღე და ვუთხარი, რომ მათ, ვინც არ მარხულობს ოთხშაბათსა და პარასკევს, იქ ათასგვარ ქვეწარმავალს სთავაზობენ. მღვდლების წინაშე მოუნანიებელი ცოდვის მქონეთ ასეთი რამ მოელით ჯოჯოხეთში, ამიტომ ამ დღეებში სახსნილო საკვების მიღებაზე უარს ვაცხადებ-მეთქი.

ჩემს მონათხრობზე ექიმი ხან წითლდებოდა, ხან ფითრდებოდა, ავადმყოფები და მოწყალების და კი ყურადღებით მისმენდნენ.

მოგვიანებით უამრავი ექიმი და სხვა ადამიანი შეიკრიბა ჩემ ირგვლივ და ყველას ვესაუბრებოდი... ბევრმა დაიწყო ჩემთან სიარული, მეც მოვუთხრობდი, რაც გადამხდა, ჭრილობებსაც ვუჩვენებდი.

ბოლოს პოლიცია აღარ უშვებდა ჩემთან ხალხს, ქალაქის მთავარ საავადმყოფოში გადამიყვანეს. ექიმებს ვთხოვდი, მალე მომიშუშეთ ჭრილობები და გამწერეთ-მეთქი. მათ, ვისაც ოპერაციის დროს ვყავდი ნანახი, აინტერესებდა, როგორ შეიძლებოდა გავცოცხლებულიყავი, როცა მთელი გულ-მუცელი, კუჭი და ნაწლავები ნახევრად გახრწნილი მქონდა ავთვისებიანი კიბოთი, მით უმეტეს, რომ ოპერაციის შემდეგ მთელი შიგნეულობა დაუდევრად იყო შეყრილი მუცლის ღრუში და ნაუცბათევად გაკერილი. მათ გადაწყვიტეს, განმეორებით გაეკეთებინათ ჩემთვის ოპერაცია.

და აი, კვლავ საოპერაციო მაგიდაზე ვწევარ. ვითხოვე ნარკოზი არ მოეცათ ჩემთვის. როცა მთავარმა ექიმმა, ვალენტინა ვასილის ასულმა ალიაბიევამ გამჭრა და ჩამხედა, თქვა: „რატომ მაჭრევინებთ ჯანსაღ ადამიანს? მას ყველაფერი ჯანმრთელი აქვს. მთელი შიგნეულობა ბავშვივით სუფთა აქვს!..“

მალე ის ექიმიც მოვიდა, ვინც პირველი ოპერაცია გამიკეთა, მასთან ერთად ბევრი სხვა ექიმიც. ყველანი გაოცებულნი ეკითხებოდნენ ერთმანეთს: „სად გაქრა მისი ავადმყოფობა?! ყველაფერი ხომ გახრწნილი ჰქონდა?!.“ ოპერაციის დროს სამჯერ შემეკითხნენ ექიმები: „კლავა, არ გტკივა? „არა, ვერ ვგრძნობ ვერაფერს“, — ვპასუხობდი მე. გაოგნებულები დადიოდნენ საოპერაციოში, თავზე ხელს ივლებდნენ, გაფითრებულები იყვნენ მიცვალებულივით.

მე მათ ვუთხარი: „უფალმა მოიღო მოწყალება, რათა მეცხოვრა და სხვებისთვის გადამეცა ჩემი სასწაულებრივი განკურნების ამბავი; გონს უნდა მოხვიდეთ და შეიგნოთ, რომ უზენაესი ღმერთის ძალა არსებობს“.

მერე პროფესორ ნეიმარკს ვკითხე, როგორ შეცდი-მეთქი. მან მიპასუხა: შეუძლებელია, რომ შევმცდარიყავი. ყველგან კიბო გქონდა. მაშინ მე ვკითხე: ახლა რაღას ფიქრობთ-მეთქი. იზრაელ ისაიას ძემ მომიგო: შენ ხელახლა გშობა უზენაესმაო.

მაშინ ვუთხარი: „თუ ამის მართლაც გჯერა, მოინათლე, ქრისტეს სარწმუნოება მიიღე და ჯვარიც დაიწერე! ვიცოდი, რომ ის ებრაელი იყო, თავისი სჯულის მიმდევარი. პროფესორი გაწითლდა და დიდ საგონებელში ჩავარდა ყოველივე მომხდარის გამო...

როცა ბოლო ნაკერი დამადეს, მთავარი ექიმი ვალენტინა ვასილიევნა საოპერაციოდან გავიდა, სკამზე მოწყვეტით დაეშვა და აქვითინდა. ყველანი მისცვივდნენ: „რაო, კლავა მოკვდა?“ მან კი მოუგო: „არა, არ მომკვდარა. ვერ ვხვდები, საიდან იღებს ძალებს: მას ხომ ერთხელაც არ დაუკვნესია უნარკოზო ოპერაციის დროს! განა ესეც სასწაული არ არის? აშკარად ღმერთი შეეწია“.

მეორე ოპერაციას უამრავი ექიმი ესწრებოდა, მათ შორის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი, რომელმაც თქვა, ეს არნახული შემთხვევაა სამედიცინო პრაქტიკაშიო.

საავადმყოფოდან რომ გამოვედი, მაშინვე მოვიწვიე ის მღვდელი, რომელსაც ვლანძღავდი და დავცინოდი, როგორც მუქთახორას, ყოველივე ვუამბე და შენდობაც ვთხოვე. მან აღსარება ჩაიბარა ჩემგან და მაზიარა ქრისტეს წმინდა საიდუმლოს. მღვდელმა პარაკლისი გადაიხადა ჩემს ბინაში და აკურთხა. აქამდე ამ სახლშიც მხოლოდ სიბილწე იყო, ლოთობა, ჩხუბი... ყველაფერს ვერ მოვყვები, რაც ჩამიდენია. მონანიების შემდგომ, მეორე დღეს რაიკომში წავედი და ჩემი პარტბილეთი ჩავაბარე, რადგან ძველი კლავდია, ღვთისმგმობი, აქტივისტი კომუნისტი უკვე აღარ არსებობდა, იგი მოკვდა შობიდან 40 წლისა! ზეციური დედოფლისა და უზენაესი ღმერთის წყალობით მე ეკლესიაში დავდივარ და ისეთ ცხოვრებას ვეწევი, ქრისტიანს რომ შეეფერება.

## კითხვა-პასუხი

**მყავს შეყვარებული. გვსურს, ჯვარი დავიწეროთ, მაგრამ ერთი რამ გვაბრკოლებს — ჩვენი ბაბუები მოგვარეები არიან, ოღონდ არა ნათესავნი, შეიძლება თუ არა, რომ შევუღლდეთ?**

— თქვენს ჯვრისწერას წინ არაფერი ეღობება, რადგანაც ერთი გვარის წარმომადგენელთა ნათესაობა მერვე თაობაზე წყდება.

**სავალდებულოა თუ არა ზიარების წინ აღსარების ჩაბარება და მოძღვრისგან შენდობის მიღება?**

— ზიარების წინ მოძღვრისგან შენდობა აუცილებელია. მართლმადიდებელი ეკლესიის წეს-ჩვეულების თანახმად, ზიარების საიდუმლოს წინ უძღვის სინანულის, ანუ აღსარების საიდუმლო.

**ხატები მოვათავსე მინისკარიან დახურულ კარადაში, რადგანაც სხვა ადგილი არ მაქვს. მეუბნებიან, არ შეიძლებაო, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე.**

— მინის კარიან დახურულ კარადაში ხატების მოთავსება შეიძლება, მთავარია, ის ადგილი არ გამოიყენოთ ყოფითი დანიშნულების ნივთების დასალაგებლად.

**როგორ მოვიქცე ტაძარში შესვლის დროს?**

— ეკლესია უფლის სახლია და მის მიმართ მოკრძალება შესვლის წინ პირჯვრის გადაწერით უნდა გამოხატოთ. გარდა ამისა, სასურველია, წარმოთქვათ ლოცვა: „შევიდე სახლსა შენსა, თაყვანი ვცე წმიდასა ტაძარსა შენსა, შიშითა შენითა, უფალო, მიეძღუ მე სიმართლითა შენითა და მტერთა ჩემთათვის, წარმართე შენ წინაშე გზაი ჩემი“. თუ ტაძრის კარს ეამბორებით, ამით კიდევ ერთხელ გამოხატავთ პატივისცემას ეკლესიის მიმართ. შიგნით შესული უნდა მიხვიდეთ ტაძრის შუაგულში, ანალოღიაზე დაბრძანებულ ხატთან, ეამბოროთ და თაყვანი სცეთ. მერე შეგიძლიათ, სანთლები დაანთოთ და ილოცოთ.

**შეიძლება, რომ ვეზიარო, თუ მომდურავი შერიგებაზე უარს მეუბნება?**

— მომდურავს გულით აპატიეთ და შეურიგდით, მაგრამ თუ არ მოგიტევებთ, ეს უკვე მისი პრობლემაა. შეგიძლიათ ეზიაროთ, თუ სხვა დამაბრკოლებელი მიზეზი არ არსებობს.

რუბრიკას უძღვება **ნინო გოძიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ვლადიმერ პუტინი: რუსეთსა და გერმანიას ერთმანეთი სჭირდებათ

**ბერლინის კედლის დანგრევის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმისთვის — „კედელი“ რუსეთის პრემიერმინისტრი ვლადიმერ პუტინი НТВ-ს კორესპონდენტს ოცი წლის წინანდელი მოვლენებისადმი საკუთარ დამოკიდებულებასა და რუსეთისა და გერმანიის ახლანდელ საერთო ინტერესებზე ესაუბრა.**



რუსეთის მთავრობის მეთაური გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბჭოთა „პერესტროიკის“ წლებში სამუშაოდ გაემგზავრა და იქ 1985-დან 1990 წლამდე იმუშავა. მისი თქმით, ბერლინის კედელი პირველი დანახვისთანავე არაბუნებრივად მოეჩვენა, ვინაიდან ის ხალხს ყოფდა და ანაწევრებდა. პუტინზე პირველი, „ძალიან ძლიერი ემოციური და არსებითი შთაბეჭდილება“ ჰელმუტ კოლთან კონტაქტმა მოახდინა. მაშინ კოლი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი გახლდათ. „მივხვდი, რომ ევროპაშიც და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშიც არიან ადამიანები, თანაც სახელმწიფო იერარქიული კიბის უმაღლეს საფეხურებზე მდგომნი, რომლებიც ღრმად და გულწრფელად არიან დარწმუნებული იმაში, რომ ევროპის მომავალი რუსეთთან კარგ ურთიერთობებსა და ამ ურთიერთობების განვითარებას უკავშირდება“, — განაცხადა პრემიერმა. მისივე თქმით, პოზიტიურად განვითარდა ურთიერთობები კოლის მომდევნო კანცლერ გერჰარდ შრედერთანაც და ახლანდელ კანცლერ ანგელა მერკელთანაც. „მე მასთანაც მშვენიერი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა, ძალიან კარგი ურთიერთობა — პირადიც და საქმიანიც. რაზე მეტყველებს ეს? იმაზე, რომ ურთიერთობების განვითარების ინტერესს ღრმა ფესვები აქვს. არსებობს გაგება, რომ ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით და ეს ყველაზე მთავარია“, — ამბობს პუტინი.

მასშტაბურ ენერგეტიკულ პროექტზე „ჩრდილო ნაკადი“ საუბრისას ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ პროექტის მოწინააღმდეგეთა პოლიტიკური ზეწოლა უაზრობაა და გაზსადენი მაინც აშენდება. ამასთანავე, პრემიერის თქმით, „ჩრდილო ნაკადი“ უზრუნველყოფს გერმანიისა და რუსეთის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას.

# ჩავესმა ვენესუელას ომისთვის მზადებისკენ მოუწოდა

**პრეზიდენტმა უგო ჩავესმა თეთრი სახლის მეთაური ბარაკ ობამა გააფრთხილა, თავი შეიკავოს ვენესუელას საწინააღმდეგო სამხედრო აგრესიისგან.**



ტელერადიოგადაცემაში მან განაცხადა: „არ შეცდეთ, ბატონო ობამა, და არც იფიქროთ კოლუმბიის გამოყენებით ვენესუელის საწინააღმდეგო პირდაპირი აგრესიისთვის ბრძანების გაცემა. არ შეცდეთ, იმიტომ, რომ ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ“.

ვენესუელის ლიდერის ესოდენ მკაცრი რეაქცია აშშ-სა და კოლუმბიას შორის 30 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებას მოჰყვა. ამ ხელშეკრულების მიხედვით, კოლუმბიის ტერიტორიაზე განლაგებული შვიდი სამხედრო ბაზა ამერიკის განკარგულებაში გადადის. უგო ჩავესი მიიჩნევს, რომ ეს დოკუმენტი ვენესუელისთვის პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს.

ჩავესი მიიჩნევს, რომ „კოლუმბიის ხელისუფლებამ და ოლიგარქებმა“ მთელი ქვეყანა აშშ-ს გადასცეს და ამერიკის შეიარაღებულ ძალებს შეუძლიათ, მეზობელი კოლუმბიის „მთელი ტერიტორია, საზღვაო და საჰაერო სივრცე“ მთლიანად გამოიყენოს და რომ ობამას ხელისუფლებაში მოსვლასთან დაკავშირებით ბევრს „ილუზიები ჰქონდა“ — იმედოვნებდა, რაღაც შეიცვლებოდა, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებულ შეფასებებში ვენესუელა ყოველთვის ფრთხილობდა.

პრეზიდენტმა სამხედროებს მოსთხოვა, „მოემზადონ ომისთვის“.

კერძოდ, ჩავესმა მილიციის ფორმირების გააქტიურებისა და „რევოლუციური სტუდენტებისთვის, მშრომელებისა და ქალებისთვის“ სამხედრო საქმის სწავლების წინადადება წამოაყენა.

# დუმამ კრედიტების ვადამდელი დაფარვის ნებართვა გასცა

**6 ნოემბერს რუსეთის სახელმწიფო დუმამ ერთი მოსმენით მიიღო კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც რუსეთის მოქალაქეებს უფლება ეძლევათ, საკრედიტო ორგანიზაციებისგან, დამატებითი ნებართვის გარეშე, ვადამდე დაფარონ პროცენტიანი სესხები.**

აქამდე პროცენტიანი კრედიტის ვადამდელი დაფარვისთვის გამსესხებელი ფინანსური ორგანიზაციის თანხმობა იყო საჭირო. ბანკების დიდ ნაწილს კრედიტის ვადამდელი დაფარვისთვის ჯარიმები ჰქონდა დაწესებული და ეს ჯარიმა ვადამდე გადახდილი თანხის საშუალოდ 2%-ს შეადგენდა. ახალი კანონპროექტის თანახმად, ცვლილებები შევა რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 810-ე მუხლის მეორე ნაწილში. ცვლილებების თანახმად, მათ ვადამდე უნდა დაფარონ კრედიტები, რომლებიც მიღებულ იქნა მსესხებელთა პირადი და საოჯახო საჭიროებისთვის. შესწორებები არ ეხება თანხებს, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობისთვის გასცა საკრედიტო ორგანიზაციებმა. რუსეთის ბანკის მონაცემებით, მიმდინარე წლის იანვრიდან ნოემბრამდე რუსული ბანკების მიერ გაცემულია 76,144 ათასი იპოთეკური კრედიტი (საერთო მოცულობა — 86 მილიარდი რუბლი); ვალუტის სახით გაიცა 1,221 ათასი იპოთეკური სესხი, რომელთა საერთო ღირებულებამ 5,6 მილიარდი რუბლი შეადგინა.

# აშშ-ში უმუშევრობამ 10 პროცენტს გადააჭარბა



**2009 წლის ოქტომბრის მონაცემების თანახმად, შტატებში უმუშევრობამ 10,2 პროცენტს მიაღწია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წინა თვის მაჩვენებელთან შედარებით 0,4%-ით მოიმატა. ამის შესახებ ამერიკის შრომის სამინისტრო იუწყება. ეს 1983 წლის შემდეგ რეკორდული და 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის დასაწყისიდან დღემდე ერთ-ერთი ყველაზე ცუდი მაჩვენებელია.**

ერთი თვის განმავლობაში ქვეყანაში სამუშაო ადგილების რაოდენობა 190 ათასით შემცირდა. საწარმოო და მომსახურების სფეროებში 61-61 ათასი ადგილი დაიკარგა, სამშენებლო სფეროში კი — 62 ათასი. თანამშრომლებს ათავისუფლებენ ფინანსურ სფეროშიც, ერთ თვეში მათი საერთო რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით 8000-ით შემცირდა.




თვის შედეგები ანალიტიკოსების მიერ ნავარაუდევზე უარესი აღმოჩნდა, ექსპერტები მხოლოდ 175 ათასი სამუშაო ადგილის დაკარგვას ელოდნენ. ფარული უმუშევრების, ანუ იმ ადამიანთა რაოდენობამ, რომლებმაც უკვე დაკარგეს სამსახურის პოვნის იმედი ან დროებით მუშაობენ, ასევე რეკორდულ ზღვარს — 17,5 პროცენტს მიაღწია. უმუშევრობა შეეხო ამერიკის აბსოლუტურად ყველა ეთნიკურ და სოციალურ ჯგუფს. თეთრკანიანთა უმუშევრობამ 0,5 პროცენტით მოიმატა და 9,5%-ს გაუტოლდა, შავკანიანთა შორის მატება 0,3%-ია, სამაგიეროდ უმუშევართა რაოდენობა 15,7%-ს შეადგენს. ლათინოამერიკელთა შორის ახლა 13,1%, ანუ 0,4 პროცენტით მეტი დაუსაქმებელი მოქალაქეა. რეცესიამ ასაკობრივ ჯგუფებში ყველაზე მეტად ახალგაზრდობა დააზარალა. 20 წლამდე ასაკის ამერიკელთა 27,6 პროცენტი დაუსაქმებელია.

# გორდონ ბრაუნმა აღიარა, რომ ავღანეთის მისია განწირულია

**ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, გორდონ ბრაუნმა ავღანეთის მოქმედ ხელისუფლებას „კორუფციის სიმბოლო“ უწოდა და აღიარა, რომ ამ ქვეყანაში ბრიტანულმა მისიამ, შესაძლოა, კრახი განიცადოს. ამის თაობაზე მან მას შემდეგ განაცხადა, რაც ავღანეთში ექვსი დღის განმავლობაში შვიდი ბრიტანელი სამხედრო მოკლეს და მათგან ხუთი ავღანელმა პოლიციელებმა საკონტროლო გამშვებ პუნქტთან ჩაცხრილეს.**



როგორც „The Daily Telegraph“ აღნიშნავს, ეს ბრიტანეთის მთავრობის მეთაურის პირველი აღიარებითი განცხადებაა ავღანეთის საერთაშორისო ანტიტერორისტული მისიის დაწყებიდან დღემდე. ბრიტანეთის სამხედრო სარდლობა შეშფოთებულია იმის გამო, რომ აღნიშნულმა მსხვერპლმა, შესაძლოა, საზოგადოებრივ აზრზე იმოქმედოს. კვლევის ავტორიტეტული სამსახურის „YouGov“-ის მონაცემების მიხედვით, ბრიტანელთა 57% დარწმუნებულია, რომ ავღანეთის მისიას წარმატებული დასასრული არ უწერია. „ისეთი შეგრძნებაა, თითქოს თავისებურ ჩიხში ვიმყოფებით“, — განაცხადა ბრიტანეთის თავდაცვის ექსმინისტრმა, დუგლას ჰენდერსონმა. მისი აზრით, ხელისუფლებამ მოსახლეობას უფრო ნათლად უნდა განუმარტოს, თუ რა სტრატეგიით აპირებს მომავალში ავღანური კამპანიის წარმართვას.

მეორე მხრივ, იგივე გორდონ ბრაუნი მყარად დგას იმ აზრზე, რომ ავღანეთში 9 ათასი ბრიტანელი სამხედრო მოსამსახურის ყოფნა კვლავაც აუცილებელია ბრიტანეთის ტერორისტებისაგან დასაცავად. მისი თქმით, საერთაშორისო კოალიციამ ერთიანობა უნდა შეინარჩუნოს და „ან ერთად გაიმარჯვოს, ან ერთად დამარცხდეს“.

გარდა ამისა, ბრაუნის თქმით, მას არ შეუძლია, ავღანელი ხალხი ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტის — ჰამიდ კარზაისა და მისი ხელისუფლების იმედად დატოვოს. „Sky News“-ის ცნობით, ბრიტანეთის მთავრობის მეთაურმა აღნიშნული მწვავე განცხადებები ავღანეთის ლიდერთან სატელეფონო საუბრის შემდეგ გააკეთა. მეორე მხრივ, გორდონ ბრაუნმა მსოფლიო ფინანსური სისტემის კარდინალური რეფორმირების ათწლიანი გეგმა წარმოადგინა და საზოგადოების წინაშე საბანკო დაწესებულებების პასუხისმგებლობის გლობალური მექანიზმის შემუშავების წინადადება წამოაყენა. გეგმის მიხედვით, ფინანსური სისტემა მთლიანად უნდა გარდაიქმნას, უნდა ამაღლდეს მისი მდგრადობა და შეიქმნას პირობები უკრიზისო ზრდა-განვითარებისთვის. ბრიტანეთის პრემიერის განცხადებით, ეს გეგმა განხილვისთვის უკვე გაიგზავნა საერთაშორისო სავალუტო ფონდში. ექსპერტების შეფასებას აპრილისთვის ელიან, ამის შემდეგ კი „ოცეული“ გეგმის განხორციელებას შეუდგება. ბრაუნის თქმით, ამ მხრივ ნებისმიერი შეთავაზება უნდა აკმაყოფილებდეს ოთხ საკვანძო პირობას: უნდა იყოს გლობალური ხასიათის, არ უნდა შეიტანოს დისბალანსი ფინანსური სისტემების მუშაობაში, უნდა სრულყოფდეს უკვე გადადგმულ ანტიკრიზისულ ნაბიჯებს, უნდა იყოს სამართლიანი და თანაზომადი.

# 1941 წლის 7 ნოემბრის აღლუმი 68 წლისაა

**მოსკოვში, წითელ მოედანზე 1941 წლის 7 ნოემბრის ისტორიული აღლუმის 68 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო მსვლელობა გაიმართა.**

მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვი ალყაშემორტყმული იყო, საბჭოთა ჯარების საბრძოლო სულისკვეთების განსამტკიცებლად 1941 წლის 7 ნოემბერს ოქტომბრის რევოლუციის 24 წლისთავის აღსანიშნავი აღლუმის ჩატარება გადაწყდა. აღლუმს მოსკოვის სამხედრო ოლქის მეთაური გენერალი არტემიევი უძღვებოდა, მარშალი ბუდიონი კი იბარებდა. ახლა, 68 წლის შემდეგ, აღლუმის მთავარ მოქმედ პირებს ახალგაზრდები წარმოადგენენ. წითელ მოედანზე საბავშვო-ახალგაზრდული საზოგადოებრივი გაერთიანებების, სამხედრო-პატრიოტული კლუბების, კადეტებისა და სამხედრო-მუსიკალური სასწავლებლის 4 ათასმა ახალგაზრდამ გაიარა.

საზეიმო მარშზე პირველად წარდგა ჯავშანტექნიკა — ორი „T-34“-ის ტიპის ტანკი. სწორედ ეს იყო საბჭოთა ჯარის მთავარი საბრძოლო მანქანა დიდი სამამულო ომის წლებში.



1941 წლის 7 ნოემბერი

# მედვედევისა და პუტინის რეიტინგი გაიზარდა



ერთი კვირის განმავლობაში რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევისა და პრემიერ ვლადიმერ პუტინის მიმართ ნდობა შესაბამისად 3 და 4%-ით გაიზარდა.

ფონდ „საზოგადოებრივი აზრის“ მიერ ჩატარებული უკანასკნელი გამოკითხვის მიხედვით, მედვედევისადმი ნდობის რეიტინგმა ერთი კვირის წინანდელი 56%-იდან 59%-მდე აიწია, პუტინისადმი კი — 66%-დან 70%-მდე.

შეგახსენებთ, რომ 24-25 ოქტომბრის გამოკითხვისას სოციოლოგებმა პრეზიდენტისა და პრემიერის რეიტინგების უმნიშვნელო კლება დააფიქსირეს. მაშინ ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ეს შემთხვევითი გადახრა იყო და უახლოეს მომავალში რეიტინგების ზრდის პროგნოზიც გააკეთეს.

რუსეთის პოლიტიკური კონიუნქტურის ცენტრის დირექტორი ალექსეი ჩესნაკოვი თვლის, რომ „პრეზიდენტისა და პრემიერის რეიტინგების ვარდნაზე ლაპარაკიც კი არ ღირს. რეიტინგი სამი პროცენტით არ ვარდება, ის იკლებს და ეს სავსებით ნორმალურია. როგორც ვხედავთ, ერთი კვირის შემდეგ ის ისევ აღდგება“.

„რეიტინგის ცვალებადობა ნორმალური მოვლენაა. — განაცხადა ეფექტიან პოლიტიკის ფონდის პრეზიდენტმა გლებ პავლოვსკიმ, — ოპოზიციონერთა ოცნება, რომ ბოლოს და ბოლოს გაქრება ეს წყეული უმრავლესობა, რომელსაც უჭირავს ეს წყეული ძალაუფლება, მხოლოდ უმცირესობის იმედია, თანაც ანტიკონსტიტუციური უმრავლესობისა. უმრავლესობა კი უკვე ერთ ადამიანს კი არა, პოლიტიკური გარდასახვების ცენტრსა და პოლიტიკურ ავანგარდს უცხადებს ნდობას“.

# კასტრო აშშ-ს კოლუმბიის ანექსიაში ადანაშაულებს

კუბის რევოლუციის ლიდერის, ფიდელ კასტროს თქმით, აშშ-სა და კოლუმბიას შორის თანამშრომლობის შეთანხმება სხვა არაფერია, თუ არა ამ ლათინოამერიკული ქვეყნის ანექსია.



გასულ კვირას გაფორმებული შეთანხმების თანახმად, შტატებს უფლება ენიჭება, მომავალი ათი წლის მანძილზე გამოიყენოს კოლუმბიის ტერიტორიაზე განთავსებული უკლებლივ ყველა სამხედრო-საჰაერო და საზღვაო ბაზა. კოლუმბიისა და ამერიკის განცხადებით, შეთანხმება ცალსახად მშვიდობიანი ხასიათისაა და მიმართულია ნარკოტრაფიკისა და ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

„ნებისმიერი ინფორმირებული ადამიანი ხვდება, რომ შეთანხმება... აშშ-ის მიერ კოლუმბიის ანექსიის ტოლფასია, — განაცხადა ფიდელ კასტრომ, — უპატიოსნობა იქნება დღეს მდგომარეობის შენარჩუნება და ხვალ სუვერენიტეტზე, დემოკრატიაზე, ადამიანის უფლებებზე, აზრის გამოხატვის თავისუფლებებზე საუბარი მაშინ, როდესაც ერთ ქვეყანას იმპერია ისე მარტივად შთანთქავს, როგორც ხვლიკი — ბუზს.“

ნარკოვაჭრობასთან ნამდვილი ბრძოლის მაგალითად კასტრომ კუბა დაასახელა. მისი თქმით, ამ ქვეყანამ დაამტკიცა, რომ შიდა წესრიგის დასამყარებლად „უცხო ქვეყნის ჯარი საჭირო არაა“.

სხვა ქვეყანაში შიდა წესრიგის დასამყარებლად იქ ამერიკული ჯარის ჩადგომას კუბის რევოლუციის ლიდერმა სახელმწიფოს შიდა საქმეებში „უსირცხვილო ჩარევა“ უწოდა. კასტრო განსაკუთრებით აღაშფოთა ხელშეკრულების იმ პუნქტმაც, რომელშიც ნათქვამია, რომ დოკუმენტში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხარეთაგან რომელიმეს მოთხოვნის საფუძველზე მხოლოდ ათ წელიწადში ერთხელ.

# 2008 წელს ყოველი მეათე ევროპელი ნარკოტიკს იყენებდა

ევროკავშირისა და ნორვეგიის მცხოვრებთაგან 32 მილიონი ადამიანი 2008 წელს ნარკოტიკებს მოიხმარდა, ეს კი ამ ქვეყნების მთელი სრულწლოვანი მოსახლეობის თითქმის ათ პროცენტს შეადგენს. ამის შესახებ ნარკოტიკებისა და ნარკოტიკული დამოკიდებულების მონიტორინგის ევროპული ცენტრი (EMCDDA) თავის ყოველწლიურ ანგარიშში იტყობინება.



ევროპელთა შორის ყველაზე მეტი მომხმარებელი — 22,5 მილიონი ადამიანი მარიხუანას ჰყავდა; 2 და 2,5 მილიონი ადამიანი შესაბამისად ამფეტამინებსა და ექსტაზებს იყენებდნენ. 4 მილიონი ადამიანი კოკაინზე დამოკიდებულებას განიცდიდა. ოპიატებს, ძირითადად, ჰეროინის სახით 1,2-დან 1,5 მილიონამდე ადამიანი მოიხმარდა. ანგარიშის შესაბამისად, ხელისუფლებების მიერ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, 2007 წელთან შედარებით ევროკავშირში ნარკომომხმარებელთა რაოდენობა არ შემცირებულა. გარდა ამისა, ცხოვრებაში მარიხუანა და ჰაშიში ერთხელ მაინც აქვს გასინჯული ევროკავშირის მოსახლეობიდან 74 მილიონ ადამიანს, ამფეტამინი — 12 მილიონს, ექსტაზი — 10 მილიონს, კოკაინი — 13 მილიონს. EMCDDA-ს ექსპერტების ინფორმაციით, 2008 წელს სინთეტიკური ნარკოტიკების 13 ახალი სახეობა გაჩნდა. გარდა ამისა, ნარკომოვაჭრეები აქტიურად ითვისებენ ინტერნეტს და აგრესიული მარკეტინგის მეთოდებს მიმართავენ. ონლაინმოვაჭრეთა 42 პროცენტი ბრიტანეთში ცხოვრობს.

# «წითელი ბებო» და ბრიტანეთის სპეცსამსახურების სხვა კოშმარები

MI-5-მა დიდი ბრიტანეთისა და რუსეთ-საბჭოთა დაზვერვის ლამის საუკუნოვანი დაპირისპირების ამსახველი 2000-მდე დოკუმენტი გამოაქვეყნა. ინგლისში MI-5-ის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ბრიტანეთის უშიშროების სამსახურის ერთადერთი ოფიციალური ისტორია, რომელიც ბრიტანეთში საბჭოთა მზვერავების აქამდე უცნობ ფოტოებთან ერთად უამრავ მასალას მოიცავს.



მელიტა ნორვუდი

კრებული, რომელსაც „სამეფოს თავდაცვა“ ჰქვია, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორმა კრისტოფერ ენდრიუმ (თანაავტორი გახმაურებული კვლევისა „სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ისტორია ლენინიდან გორბაჩოვამდე“) მოამზადა.

MI-5-ის ყოფილმა ხელმძღვანელმა სტივენ ლენდერმა ჩათვალა, რომ ხალხისთვის „მრავალი რამის ახსნაა საჭირო“ და 2002 წელს აღნიშნული წიგნის დასაწერად სანქცია გასცა, ენდრიუს კი სპეცსამსახურის არქივებთან მუშაობის ნება დართო.

MI-5 1909 წელს შეიქმნა და ორი ადამიანისაგან შედგებოდა. სამსახურის მთავარი მიზანი იყო, სამეფო ჯერ გერმანიისაგან, შემდეგ კი ბოლშევიკური რუსეთისა და ქვეყნის შიგნით მისი მოკავშირეებისაგან დაეცვა.

წიგნში უამრავი აქამდე უცნობი ამბავია აღწერილი, მათ შორის ერთ-ერთი „წითელ ბებო-შპიონზე“ — მელიტა ნორვუდზე, რომელიც 40 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირს უამრავ საიდუმლო დოკუმენტს (მათ შორის, ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებულსაც) გადასცემდა და ამას ისე ახერხებდა, რომ ინგლისის სპეცსამსახურისათვის ინკოგნიტოდ რჩებოდა. მისი ვინაობა მხოლოდ 1999 წელს გამჟღავნდა, როდესაც დასავლეთში გაქცეულმა ყოფილმა საბჭოთა ოფიცერმა-მზვერავმა მიტროხინმა რუსეთის ასობით საიდუმლო აგენტი გასცა.

ახლა უკვე ცნობილი შპიონი ბებო მელიტა 1912 წლის 25 მარტს დაიბადა და ადრევე ჩაება კომუნისტურ ახალგაზრდულ მოძრაობაში, 1937 წლიდან კი ბრიტანეთში საბჭოთა აგენტი გახდა. მომდევნო 40 წლის განმავლობაში ნორვუდი ათასი მეტსახელით მუშაობდა და მოეწყო რა საიდუმლო ბირთვულ პროგრამაში ჩართულ ბრიტანეთის ფერადი ლითონების კვლევის ასოციაციის მდივნად, თავის საბჭოთა კურატორებს საბჭოთა ბირთვული პროგრამის განვითარების ხელშემწყობ მასალებს გადასცემდა. ის საიდუმლო დოკუმენტებს პირდაპირ თავისი უფროსის სეიფიდან იღებდა, მინიატურული კამერით უღებდა სურათს და საბჭოთა მოკავშირეს გადასცემდა.

შედეგად, სტალინმა ბრიტანულ ბომბზე უფრო მეტი იცოდა, ვიდრე ინგლისის მინისტრთა უმრავლესობამ.

ნორვუდის მეორე საქმიანობა გადაბირება იყო და მის მიერ გადაბირებული ერთ-ერთი ჩინოვნიკი 14 წლის განმავლობაში ამარაგებდა მას სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა სახის ინფორმაციით ბრიტანული იარაღის გაყიდვის შესახებ.

პირველად MI-5-ს მელიტაზე ეჭვი 1945 წელს გაუჩნდა. 1965 წელს სპეცსამსახურმა დანამდვილებით იცოდა, რომ ის აგენტია, მაგრამ ამის დამადასტურებელი დოკუმენტები მანამდე ვერ მოიპოვეს, ვიდრე ბრიტანეთში ვასილ მიტროხინი არ გაიქცა. სწორედ ამავე დრომდე არავინ იცნობდა მელიტას.

მელიტა ნორვუდი საბჭოთა კავშირზე იდეური მოსაზრებების გამო მუშაობდა, მას აღნიშნულ საქმიანობაში ფული არასდროს აუღია. ის მხოლოდ წითელი დროშის ორდენისა და თვეში 20 ფუნტის ოდენობის პენსიის მიღებას დათანხმდა.

როდესაც ბრიტანეთის პარლამენტმა მელიტას დასჯა მოითხოვა, ის 87 წლის იყო და ნახევარი საუკუნის წინათ კრედიტით ნაყიდ სახლში ცხოვრობდა, ეზოში ვაშლის ხეებს უვლიდა და შემდეგ ამ ვაშლისგან ჯემს ხარშავდა. მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტრომ მისი დასჯა მიზანშეუწონლად მიიჩნია.

„იმას, რასაც ვაკეთებდი, ვაკეთებდი არა ფულისთვის, არამედ იმიტომ, რომ არ დამარცხებულიყო ახალი სისტემა, რომელსაც ძვირად დაუჯდა უბრალო ხალხის საკვები პროდუქტებით, ტრანსპორტით, განათლებითა და ჯანდაცვით უზრუნველყოფა“, — განაცხადა ინტერვიუში 87 წლის „წითელმა ბებომ“ და დასძინა, რომ ანალოგიურ პირობებში კვლავ ასე მოიქცეოდა.

1979 წელს მელიტა და მისი მეუღლე ჰილარი ტურისტებად ეწვივნენ საბჭოთა კავშირს. მაშინ აგენტი უკვე იყო წითელი დროშის საიდუმლო კავალერი და ამ ვიზიტისას მან კიდევ ერთხელ თქვა უარი გასამრჯელოს მიღებაზე. ჰილარიმ ცოლთან ოქროს ქორწილის გადახდა მოასწრო, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე დარდობდა მელიტას აგენტობას. ქალი კი ამშვიდებდა: „ზოგადად, საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ შპიონობის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ რუსეთს დახმარება სჭირდებოდა, რომ ბრიტანეთს, ამერიკასა და გერმანიას არ ჩამორჩენოდა“.

93 წლის მელიტა ნორვუდი 2005 წლის 2 ივნისს გარდაიცვალა.



წიგნის ავტორი კრისტოფერ ენდრიუ

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# «შვილი გავზარდე, საქაკაშვილს ჩავაბარე. რისთვის ვზრდიდი, რომ ვიღაცას მოეკლა? ამას არავის ვაპატიებ!»

**21 წლის სპეცრაზმელის მკვლელობისთვის სასამართლომ დამნაშავეს განაჩენი დაუსწრებლად გამოუტანა. მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობიდან 2 წელიწადზე მეტი გავიდა, სამართალდამცავებს მკვლელი ჯერაც არ დაუკავებიათ. ერთადერთი შვილის მშობლები კი სამართლის აღსრულების მოლოდინში არიან.**

მოკლული უჩა კორძახია ქალაქის მთავარი სამმართველოს სპეცდანიშნულების სამსახურში მუშაობდა. მას მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

საქმის მასალებში ვკითხულობთ, რომ მკვლელობა **2007 წლის 20 იანვარს ისანში, ყოფილი სამხედრო ნაწილის დასახლებაში მოხდა. მკვლელობაში ბრალდებულმა ლევან მაისურაძემ უჩა კორძახიას ჯერ თავში ბოთლი ჩაარტყა, შემდეგ კი გულისა და ბარძაყის არეში დანით ორი ჭრილობა მიაყენა. უჩა ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო მაისურაძე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 108-ე მუხლით განზრახ მკვლელობისთვის აღძრეს. იგი დღემდე ძებნაშია.**

**ცნობისთვის: მოკლულის ოჯახი გამოძიების მუშაობით უკმაყოფილოა, რადგან ამბობენ, რომ გამოძიება დამნაშავის შეპყრობას გულგრილად მოეკიდა, რის გამოც მაისურაძის დაკავების შანსი ხელიდან გაუშვეს.**

რაც შეეხება თავად მკვლელობას, როგორც მოკლულის მამა ჩვენთან საუბარში ამბობს, მისი შვილის მკვლელობას წინ უძღოდა სექტემბერში მომხდარი ჩხუბი. ჩხუბში უჩა კორძახიამ მაისურაძეს სცემა. როგორც მოკლულის მშობელი ამბობს, მოგვიანებით მისი შვილი სწორედ ამ ჩხუბს შეეწირა, რადგან მაისურაძემ სამაგიეროს გადახდა გადაწყვიტა.

**„19 სექტემბერს ჩემი შვილი და მისი სიმამრი ჩვენთან მოდიოდნენ (უჩას სიმამრი ტაქსაობს). ჩვენს ქუჩაზე როცა შემოსულან, მაისურაძეს ხელი აუწევია, ამას უარი უთქვამს, არ ვმუშაობო. წაკამათებულან. ჩემი შვილი მანქანიდან გადასულა, ამ უბნელი ვარ, ძმაო, ჩემი სიმამრია და დღეს არ ტაქსაობსო. — შენ ვინ ხარ, შენი დედაცო. ჩემმა შვილმა — დედის გინებას არავის ვაპატიებო — დაურტყამს. ამის შემდეგ ჩემთან მოვიდნენ, მითხრეს პატარა კამათი მოგვივიდა და წავიდეთო. ოც მეტრში ორი ახალგაზრდა ბიჭი და კაცი მანქანით შემოგვხვდნენ. ეს კაცი მაისურაძის ბიძა მალხაზ ამურველაშვილი აღმოჩნდა. ბავშვი რატომ მიცემეთო. უჩას სიმამრმა უთხრა, საცემი იყო და იმიტომო. ჩემმა შვილმა იმ ბიჭებს უთხრა, ხომ მიცნობთ, დედის გინებას არავის ვაპატიებო. მათ ხმა არ ამოუღიათ. საღამოს ჩემი შვილი ამურველაშვილებთან სახლში მივიდა და მალხაზ ამურველაშვილს უთქვამს, როცა მაისურაძე მოვა, შეგახვედრებთ და შეგარიგებთო,“** — იხსენებს მოკლულის მამა სოსო კორძახია.

მაგრამ შერიგება არ შედგა. ჩხუბიდან რამდენიმე დღის შემდეგ უჩა კორძახიას სახლში ლევან მაისურაძის ბიძაშვილი – თენგიზ ამურველაშვილი, ლევან მაისურაძე და უცნობი პიროვნება მივიდნენ, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, საქმის გასარჩევად.

**„ჩხუბიდან ოთხი დღის შემდეგ, საღამოს ჩემს შვილს სახლში მოაკითხეს. ვინ ხართ-მეთქი. უჩას ძმაკაცები ვართო. ჩემი შვილის ძმაკაცებს ვიცნობ, მაგრამ ამ ხალხთან კავშირი არ მქონია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ერთი მესერი გვყოფს (ამურველაშვილი კორძახიების მეზობელია). ჩხუბამდე ამურველაშვილი აქ არასოდეს გამოჩენილა. უჩა „ზბორებზეა“ წასულმეთქი. კარგი, მაშინ მერე ვნახავთო. ეს მერე აღარ მომეწონა. ჩხუბის თაობაზე ხომ არ ხართ მოსულები-მეთქი. ამურველაშვილმა (მაშინ მისი გვარი არც ვიცოდი, მერე გავიგე პოლიციაში) მაისურაძეს ხელი მოჰკიდა და მომიყვანა, ეს იყო, ბიძა, შენმა შვილმა რომ სცემაო. ამ ბიჭს ვკითხე, რატომ დაგარტყამეთქი. ნასვამი ვიყავი, დედა შევაგინე და ამისთვის მცემაო. ამის შემდეგ უჩას ყოველდღე კითხულობდნენ, ხომ არ ჩამოსულაო. მალხაზ ამურველაშვილი ჩემს რძალს დაემუქრა, გაგამწარებო,“** — ამბობს მოკლულის მამა.

ამის შემდეგ თითქოს ის ჩხუბი ყველას მიავიწყდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მაისურაძეს ძველი ბოღმა არ ასვენებდა. საბედისწერო საღამოს უჩა კორძახია მეგობართან, დათო ქვლივიძესთან ერთად მაღაზიაში პურის საყიდლად გავიდა. მაღაზიასთან ისინი მაისურაძეს, ამურველაშვილსა და მის მეგობარს, ირაკლი ქათამაძეს შეხვდნენ. მაისურაძეს და კორძახიას შელაპარაკება მოუხდათ, რაც ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. საბოლოოდ კი ყველაფერი ახალგაზრდას მკვლელობით დასრულდა.

**„მათ უჩას მკვლელობა განზრახული ჰქონდათ. თუ მოკვლა არ უნდოდათ, მაშინ უნდა დაეჭრათ. იცოდნენ სპეცრაზმელი იყო. სადაც ჩხუბი მოხდა, ისეთი ადგილია, რომ ხმას ვერავინ გაიგონებდა. ყველა ამტკიცებს, რომ მაისურაძეა მკვლელი, მაგრამ ამურველაშვილი მკვლელი არ არის? პირველმა მან დაარტყა დანა ბარძაყში. უჩა ძლიერი იყო, ეს იცოდნენ და დანაც ამიტომ დაარტყეს. დათო მეზობლების დასაძახებლად გაიქცა, მაგრამ არავინ გამოეხმაურა. ამით ამურველაშვილმა და ქათამაძემ დრო იხელთეს და გაიქცნენ. დათო მათ გაეკიდა. ამ დროს უჩა უკვე დაჭრილი ყოფილა. დათო ამბობს, უჩამ მომაძახა, მომკლეს და შენც არ მოგკლანო. მაისურაძე უკვე გაქცეულიყო. დათო ჩვენებაში სიმართლეს ამბობს, მაგრამ დაბნეულობაში ის მომენტი გამორჩა, როცა მეზობელთან გაიქცა და დაბრუნდა. ამის შემდეგ დათო ჩემთან მოვიდა და მითხრა, რაც მოხდა,“** — ამბობს სოსო კორძახია. მისივე თქმით, **„უჩა ერთი დანით არ არის დაჭრილი. ბარძაყში დარტყმული დანის პირი არ ედრება გულის წინა და უკანა მხარეს დანარტყამი დანის ზომას. უჩას ორი ჭრილობა გულში ჰქონდა — წინიდან და ზურგიდან. წინა მხარის ჭრილობა შემავალია და სწორად მიდის. ზურგში მიყენებული ჭრილობა კი დამრეცია.“**

მშობელი გამოძიებით უკმაყოფილოა: **„გამომძიებელს, ნუკრი გაბრიელაშვილს ვუთხარი, ჩემი შვილი თქვენი თანამშრომელი იყო, ერთ შენობაში მუშაობდით, ამ საქმეს კაცურად მიმიხედეთ-მეთქი. აცილება მომეციო. არ მოგცემ აცილებას, შენ უნდა გამოიძიო-მეთქი. ამურველაშვილი და ქათამაძე მკვლელობიდან ხუთი თვის შემდეგ დაკითხეს. გამომძიებელს ვეუბნებოდი, — ვიცი, სადაც იმალებიან, თანამშრომლები გამაყოლე და მოგიყვან-მეთქი. არაო. მეორე დღეს კი ორივე მოწმის სახით დაკითხა და სიცილ-ხარხარით გამოვიდნენ. მაისურაძის გარდა ამურველაშვილი და ქათამაძეც უნდა დაისაჯონ. შვილი გავზარდე, საქაკაშვილს ჩავაბარე. რისთვის ვზრდიდი, რომ ვიღაცას მოეკლა? არავის არ ვაპატიებ ამას!“**

უჩა კორძახიას თანამგზავრი მკვლელობის ღამეს შემდეგნაირად აღწერს: **„მაისურაძემ უჩას უთხრა სალაპარაკოდ ყოფილი სამხედრო ნაწილისკენ ჩასულიყვნენ. ყველანი ყოფილი სამხედრო ნაწილის დასახლებისკენ წამოვედით, რადგან უჩას სადღაც მიეჩქარებოდა. მოულოდნელად უჩას მაისურაძემ თავზე ბოთლი გადაამტვრია. ამის მერე ქათამაძემ და ამურველაშვილი ჩხუბი წამოიწყეს. ერთმა იარაღი დამიმიზნა, მაგრამ არ გაუსროლია. უჩა ყვიროდა, მოგკლავენო. როცა მასთან მივედი, გული წაუვიდა და ასფალტზე დავარდა,“** — ამბობს თავის ჩვენებაში დათო ქვლივიძე.

თავად დამნაშავის ბიძაშვილმა, თენგიზ ამურველაშვილმა 20 იანვრის ღამე სხვაგვარად აღწერა. იგი ამბობს, რომ იმ საღამოს ისნის მეტროსთან მეგობარს, ირაკლი ქათამაძეს შეხვდა. გზაში მას ლევან მაისურაძემ დაურეკა, ხელფასი ავიღე და ხინკალი ვჭამოთო. თურმე ამ დროს მათ მოულოდნელად შეეჩეხათ მაღაზიიდან გამოსული უჩა კორძახია.

**„ერთმანეთი მოვიკითხეთ. მოულოდნელად ლევანმა უჩას ჰკითხა, რატომ მცემეო. უჩამ უთხრა, დედის გინებას არავის ვაპატიებო. ირაკლიმ ხელკავი გაუკეთა ლევანს, რაც მოხდა, მოხდაო. ამ საუბარში ყველანი სამხედრო დასახლებისკენ წავედით. უჩა და ირაკლი წინ მიდიოდნენ. უჩას ხელში ლუდის ბოთლი ეკავა. ლევანმა ისევ ცემაზე დაუწყო ლაპარაკი უჩას. მოულოდნელად ლევანმა უჩას თავზე ბოთლი გადაამტვრია. ჩვენთან მდგომმა ქვლივიძემ მე და ირაკლის ჩხუბი დაგვიწყო. ვერ მოვერიეთ, რადგან ჩვენზე ძლიერი იყო. გავიქეცით. ამიტომ მე არ ვიცი, რა მოხდა უჩასა და ლევანს შორის,“** — ამბობს თავის ჩვენებაში ამურველაშვილი.

ამურველაშვილის ტყუილს მოკლე ფეხები მალევე გამოუჩნდა. თუმცა გამოძიებას არც ამ ფაქტზე არ გაუმახვილებია ყურადღება. საქმე იმაშია, რომ თავის ჩვენებაში იგი ამბობს, ლევანმა ხელფასი აიღო და ხინკალზე დაგვპატიჟაო. არადა, მის ნათქვამს მაისურაძის მამის ჩვენება აბათილებს, სადაც იგი ამბობს, რომ ლევან მაისურაძე უმუშევარი იყო.

**„ადრე ლევანი ჩემთან, მშენებლობაზე, მუშაობდა. ამჟამად იგი არსად მუშაობს. აგვისტოსა თუ სექტემბერში, ზუსტად თვე არ მახსოვს, ლევანი ისეთი ნაცემი იყო, რომ თითქმის ერთი კვირა იწვა. ვინ და რატომ სცემა, ჩემთვის არ უთქვამს. 20 იანვარს, როცა სახლში მივედი, ლევანი არ დამხვდა. დედისთვის დაუბარებია, რომ მალე მოვიდოდა, მაგრამ დღემდე არ გამოჩენილა,“** — ვკითხულობთ მაისურაძის მამის, ემზარ მაისურაძის ჩვენებაში.

ერთი სიტყვით, ვინც საქმის მასალებს კარგად გაეცნობა, მიხვდება, რომ გამოძიებას ცოტათი მაინც რომ მოენდომებინა, 21 წლის ბიჭის მკვლელს აქამდე დააკავებდნენ.

**სასამართლომ უჩა კორძახიას მკვლელობისთვის 20 წლის ლევან მაისურაძეს 13 წელი მიუსაჯა. მოქმედი კანონმდებლობით მაისურაძეს დაკავებისთანავე ციხეში უკრავენ თავს.**



## 21 წლის სპეცრაზმელის მკვლელი აქამდე არ დაუკავებიათ

# პოლიციაში მუშაობის 25 წლის სტაჟის მქონე თენგიზ კალანდია აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიასთან მეგობრობისთვის დასაჯეს

**ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შეძენა-შენახვის ბრალდებით, 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა თენგიზ კალანდიას.**

**განსასჯელმა თ. კალანდიამ სასამართლო გამოძიების დროს განაცხადა, რომ მეგობრის ავტომანქანით მიდიოდა მეგობრის — ვლადიმერ ვახანიას დის სანახავად, როცა კოსტავას ქუჩაზე პოლიციელებმა გზა რამდენიმე ავტომანქანით ჩაუკეტეს. იგი ძალით გადმოიყვანეს ავტომანქანიდან, ასფალტზე დააგდეს და ცემა დაუწყეს. პოლიციელები ცდილობდნენ, ბოტასებში ჩაეტენათ რაღაც შეკვრა. იგი მიხვდა, რომ ნარკოტიკები იყო და ბოტასები გაიძრო, ამის შემდეგ პოლიციელებმა ნარკოტიკი მას შარვლის უკანა ჯიბეში ჩაუტენეს.**

იქ შეგროვილმა მოქალაქეებმა დაინახეს, რომ რამდენიმე ახალგაზრდამ მომხდარი მობილური ტელეფონით გადაიღო, მაგრამ პოლიციელებმა მათ წაართვეს მობილურები და კადრები წაუშალეს. თენგიზ კალანდია ყვიროდა, იარაღი მაინც ჩამიდეთ, პოლიციაში 25 წელი ვიმუშავე და ჩემთვის იარაღის პოვნა უფრო დამაჯერებელი იქნებაო.

**პოლიციელებმა ოქმები შეადგინეს, მაგრამ თენგიზ კალანდიამ ხელი არ მოაწერა, ვინაიდან მისგან ამოღებული ფხვნილი მას არ ეკუთვნოდა. შემდეგ იგი ნარკოლოგიურ განყოფილებაში წაიყვანეს და შეამოწმეს, მაგრამ ნარკოტიკების მიღება არ დაუდასტურდა.**

**მსჯავრდებულის განმარტებით, ეს პროვოკაცია მის მიმართ იმიტომ განახორციელეს, რომ ამჟამად დაპატიმრებულ აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიასთან მეგობრობს.**

**იგი მეგობარს ციხეში ამანათებს უგზავნიდა, მის ადვოკატებსაც ხვდებოდა და ამბობდა, რომ ვლადიმერ ვახანია უდანაშაულო იყო.**

თენგიზ კალანდიას ადვოკატის — გურამ ყუფუნიას განმარტებით, კალანდიასთვის გამოტანილი განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია. „სასამართლო გამოძიების დროს პოლიციის ხუთი თანამშრომელი დაკითხეს.

ყველა მათგანის ჩვენება ურთიერთსაწინააღმდეგოა და თენგიზ კალანდიას დაკავებისა და ჩხრეკის ფაქტს სხვადასხვაგვარად გადმოსცემს, რაც აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ კალანდიას დაკავება და მისთვის ნარკოტიკების აღმოჩენა წინასწარ იყო დაგეგმილი, რაც მიზნად ისახავს კალანდიას, როგორც უდანაშაულოს, მაგრამ მათთვის არასასურველი პირის დაპატიმრებას და საზოგადოებისგან იზოლირებას“, — აღნიშნა გურამ ყუფუნიამ.

მან სარჩელი შეიტანა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში თენგიზ კალანდიასთვის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმების მოთხოვნით.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

# რომან გვენცაძემ 2 წლის წინათ ჩადენილი მკვლელობა აღიარა

**საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრ რომან გვენცაძის შვილიშვილის — რომან გვენცაძის საქმე კვლავ სასამართლოშია. მკვლელობის ბრალდებით გასამართლებულ უმცროს გვენცაძეს სასამართლომ 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მას შემდეგ, რაც მეორე ინსტანციამ განაჩენი ძალაში დატოვა, საქმე უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს. პროცესზე გვენცაძემ დანაშაული აღიარა და სასჯელის შემსუბუქება ითხოვა, თუმცა უზენაესმა გადაწყვეტილების გამოტანაზე უარი განაცხადა და საქმე ხელახალი განხილვისთვის სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნა.**



ყოფილი შს მინისტრის შვილიშვილი და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდ-ის) მაღალჩინოსნის შვილი 2 წლის წინათ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. მაშინ 19 წლის რომან გვენცაძე ისე გაასამართლეს, რომ წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ უცვნია.

საქმის მასალების მიხედვით, **მკვლელობა 2007 წლის 8 თებერვალს, ღამით, რიყეზე მდებარე რესტორან „ნატვრის ხეში“ მოხდა. იმ დღეს რომან გვენცაძის ნათესავის ჯვრისწერა იყო, საღამოს კი ახალგაზრდები რესტორანში შეიკრიბნენ. სუფრას რომან გვენცაძე თამადობდა. იმავდროულად იმავე რესტორანში ლევან კახიანი საკუთარ დაბადების დღეს აღნიშნავდა. ზუსტად ვერავინ იხსენებს, თუ რის გამო შეკამათდნენ გვენცაძე და კახიანი, რადგან, როგორც თანამეინახეები ამბობენ, იმ დროს ორივე საკმაოდ შეზახორშებული იყო. ეს ინციდენტი მკვლელობით დამთავრდა — ბასრი იარაღით ყელგამოჭრილი კახიანი გარდაიცვალა. გვენცაძე კი იმავე საღამოს მამამისმა, ლევან გვენცაძემ სამართალდამცავებს ჩააბარა. არადა, გვენცაძის ადვოკატი ირწმუნება, რომ მისი კლიენტი სპორტსმენია და ალკოჰოლურ სასმელებს არ ეკარება. ამის თაობაზე პროცესზე თავად განსასჯელმაც აღნიშნა.**

სუფრასთან მსხდომი ახალგაზრდები ერთობოდნენ, როცა მოულოდნელად ჩხუბის და განწირული ყვირილის ხმა შემოესმათ. ხმა რესტორნის პირველი სართულიდან მოდიოდა. ქვემოთ ჩასულებს საზარელი სურათი დახვდათ: ძირს ყელგამოჭრილი ახალგაზრდა ბიჭი ეგდო, რომელიც ჯერ კიდევ ხროტინებდა.

დაკითხვისას აღმოჩნდა, რომ თანამეინახეებიდან მკვლელობის შემსწრე არც ერთი არ ყოფილა. საქმეში არსებობს მთავარი მოწმე (რომლის ჩვენებასაც გამოძიება დაეყრდნო), რომელმაც მკვლელობის ჩამდენად სწორედ გვენცაძე დაასახელა.

როგორც მოგვიანებით გამოძიებას რესტორნის დაცვის ერთ-ერთმა თანამშრომელმა განუცხადა, იმ საღამოს რესტორანში დაახლოებით 180 ადამიანი იმყოფებოდა. ჩხუბის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე იგი მეწყვილემ შეცვალა და თვითონ შენობის მეორე სართულზე ავიდა. როდესაც მეწყვილემ დახმარებისთვის მოუხმო, უკვე გვიან იყო – ერთ-ერთი სტუმარი დაჭრილი იატაკზე ეგდო. გამოძიებიდან ირკვევა, რომ მკვლელობამდე ლევან კახიანს შელაპარაკება სხვა სუფრის წევრებთან მოუვიდა. ერთ-ერთი თანამეინახე ამბობს, რომ კამათი მალევე კეთილად დასრულდა და იუბილარი დალოცეს კიდეც.

**„შეკამათების მიზეზი არ ვიცი. ალეკო და ჩვენი სუფრის კიდევ ერთი წევრი, ირაკლი აივანზე გავიდნენ. რამდენიმე ხანში კახიანის ხელში გაშლილი დანა დავინახე. გავედი. კახიანიც მთვრალი იყო. არაკორექტული გამოთქმებიც ისმოდა. მე მას ალეკოს ნაცვლად ბოდიში მოვუხადე. კახიანმა თქვა, დღეს დაბადების დღე მაქვსო, ჩვენც მის მაგიდასთან მივედით და დავლოცეთ“,** — ამბობს მოწმე ირაკლი კოპაძე და დასძენს, რომ დაძაბული სიტუაციის გამო მათ მალევე გადაწყვიტეს წასვლა.

**„ალეკო კიბეზე დაეშვა. ამ დროს ჩვენი სუფრის წევრმა ერთმა ქალბატონმა მთხოვა, რომ გავყოლოდი, რათა ის საუბარი არ გაგრძელებულიყო. ფოიეში რომ ჩავედი, ლევანის (კახიანის) ხელში გაშლილი დანა დავინახე. მას დაცვის თანამშრომელი აკავებდა, ცდილობდა, ვიღაცისკენ არ გაეშვა. ამ დროს შემოსასვლელში შავებში ჩაცმული, მაღალი, თხელი, მოკლედ თმაშეკრეჭილი ბიჭი გამოჩნდა, დავინახე, ამ ბიჭმა ლევანისკენ ხელი როგორ გაიქნია. მე საპირფარეშოში შევედი და რამდენიმე წუთში საშინელი კივილის ხმა შემომესმა. გარეთ რომ გამოვედი, კახიანს ხელი ყელზე ჰქონდა მიჭერილი და სისხლი სდიოდა. ვყვიროდი, ჩქარა ექიმი-მეთქი. მერე, როდესაც კარში გავდიოდი, ვიღაცამ კეფაში რაღაც საგანი ჩამარტყა და გონი დავკარგე“,** — იხსენებს კოპაძე.

შემთხვევის ადგილზე რესტორნის დაცვის თანამშრომელიც გამოჩნდა, მაგრამ უკვე გვიან იყო. **„გარდაცვლილს ყელზე ხელი ჰქონდა მიჭერილი და ხალიჩაზე ეგდო. სისხლის გუბე იდგა. სამი უცნობი მეგარდეროზე ქალსა და დაცვის თანამშრომელს სცემდა“,** — იხსენებს დაცვის თანამშრომელი დავით მიქაძე.

სამაგიეროდ, დაცვის მეორე თანამშრომელი შეესწრო ამ მკვლელობას. მურად მირზანაშვილი ერთადერთი პიროვნებაა, რომელმაც გვენცაძეს ხელი დაადო და თქვა, რომ მან მოკლა კახიანი.

**„8 თებერვალს, 6 საათზე, გამოვცხადდი სამსახურში. თავიდანვე მეორე სართულზე ვიყავი. დაახლოებით 7-ის 15 წუთზე რესტორანში განსასჯელი შემოვიდა, შვიდის ნახევარზე კი — დაზარალებული. საეჭვო არაფერი შემინიშნავს. ცეკვავდნენ, მხიარულობდნენ. თორმეტის ხუთ წუთზე ქვემოთ ჩავედი, მეორე დაცვა ზემოთ ავიდა. ფოიეს კართან, გასასვლელში სიგარეტს ვეწეოდი. განსასჯელი ორ ძმაკაცთან ერთად ტუალეტის მახლობლად საუბრობდა. გარდაცვლილი საპირფარეშოდან გამოვიდა და განსასჯელს მიმართა: „რა პრეტენზია გაქვს, ბიჭო!“. დავინახე, დაკეცილი ყავისფერტარიანი დანა ეკავა. ხელი ამოვუტრიალე, დანის გამოყენების საშუალება არ მივეცი. ამ დროს განსასჯელი მიეპარა და მას კისერში დანა ჩაარტყა. დაღუპულის მხარემ კი ცემა დამიწყო“,** — იხსენებს მირაზანაშვილი, რომლის თქმით, მომხდარის შემდეგ გვენცაძე ხიდისკენ გაიქცა, თვითონ კი, დახმარების სათხოვნელად, რესტორნის მეორე სართულზე ავიდა. სასამართლო სხდომაზე რომან გვენცაძემ არ გამორიცხა, რომ კახიანი მისი მოკლული იყოს, რადგან ჩხუბის დროს დანას უმისამართოდ იქნევდა.

**„იმ დღეს ჩემი ბიძაშვილის — ზურა ლალიაშვილის ჯვრისწერა იყო. მთხოვა, თამადა იყავიო. არ ვსვამ-მეთქი (ვარჯიშის დროს არ ვსვამ). შენ სადღეგრძელოები თქვიო. მოგვიანებით, საპირფარეშოში ჩავედი. კიბეზე მარცხენა მხრიდან ჩავედი. ხალხი კი იყო, მაგრამ არავის დავკვირვებივარ. საპირფარეშოსთან არ მისული უცხო ბიჭმა მომატრიალა და მითხრა, ბიჭო, რა თქვიო. რაღაც გეშლება-მეთქი. დაძაბული მელაპარაკებოდა, მე არაფერი არ მეშლება და „შე ჩემა“ ვინ არისო. დანა გამოაჩინა, იცი, რა მაგრად იჭრევინებაო? საპირფარეშოს კარებთან ზურგით ვიდექი. ამ დროს ზურგში წიხლი მომხვდა. მოვიხარე და ხელები კისერზე ავიფარე. დამიწყეს ჩხუბი, დანის შემეშინდა, თორემ ხუთ კაცს მეც მოვერეოდი, რადგან ვვარჯიშობდი. უმისამართოდ დავიწყე ხელების ქნევა; ვიღაცას დანა წავართვი და უმისამართოდ მოვიქნიე. ამ დროს თავი დამანებეს, აღარ მცემდნენ და მეც გამოვიქეცი. ვნანობ, რომ დროს დაიღუპა ის ბიჭი. საერთოდ არ ვთვლი თავს დამნაშავედ“,** — განაცხადა სასამართლოს პროცესზე რომან გვენცაძემ.

სასამართლომ გვენცაძეს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. იგი 2007 წლის 26 ოქტომბერს გაასამართლეს. მოგვიანებით გვენცაძის დამცველებმა განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს. ადვოკატები გვენცაძის მიმართ საქმის შეწყვეტასა და გვენცაძის გამართლებას ითხოვდნენ. თუმცა მეორე ინსტანციამ განაჩენი ძალაში დატოვა. ამის შემდეგ ადვოკატებმა საქმე უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს. მოთხოვნა– გვენცაძის გამართლება — უცვლელი დარჩა.

თუმცა პროცესზე მოულოდნელად გვენცაძემ დანაშაული აღიარა და სასჯელის შემსუბუქება ითხოვა. ამასთან, მოკლულის დეიდამ, მანანა თუხარელმა განაცხადა, რომ მსჯავრდებულს შეურიგდნენ და ჩადენილი დანაშაული აპატიეს. ამის მერე გვენცაძის ადვოკატებს ისღა დარჩენოდათ, რომ მოთხოვნა შეეცვალათ და სასამართლოს გვენცაძისთვის სასჯელის შემსუბუქება სთხოვეს, მაგრამ უზენაესმა სასამართლომ საქმის განხილვაზე უარი თქვა.

**„საკასაციო პალატა თვლის, რომ ვინაიდან საკასაციო ინსტანციის სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას საქმეში არსებული, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოში მხარის მიერ წარმოდგენილი ხსენებული დოკუმენტები გამოიკვლიოს საკასაციო ინსტანციის საქმის განხილვისას, ამიტომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას გაეგზავნოს,“** — ვკითხულობთ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

თუ როგორ განვითარდება მოვლენები, ამის თაობაზე ჩვენს მკითხველს მოგვიანებით შევატყობინებთ.

# 52 წლის საფაროვმა 26 წლის შვილი მოკლა

## ბრალდებული აცხადებს, რომ მას შვილი უმოწყალოდ სცემდა

**18 ივლისს, ღამის საათებში, მარნეულის რაიონში შემზარავი მკვლელობა მოხდა. 52 წლის ორუჯ საფაროვმა 26 წლის შვილი დანის რამდენიმე დარტყმით მოკლა. როგორც პოლიცია აცხადებს, მკვლელობა ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე მოხდა. თავად ბრალდებული ამბობს, რომ მას შვილი უმოწყალოდ სცემდა და მკვლელობა სწორედ ამის გამო ჩაიდინა.**

აღძრულია სს საქმე 108-ე მუხლით განზრახ მკვლელობისთვის, რაც 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. როგორც შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი განყოფილების უფროსი შოთა ხიზანიშვილი აცხადებს, აღნიშნულ მკვლელობას ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველო იძიებს.

**„ამავე სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს შვილის მკვლელი საფაროვი, რომელმაც დაკავებისთანავე აღიარა ჩადენილი დანაშაული,“** — ამბობს ხიზანიშვილი.

იმ ფაქტს, რომ საფაროვს საკუთარი შვილი ხშირად სცემდა, მეზობლებიც და ახლობლებიც ადასტურებენ. მათი თქმით, ალანდარ საფაროვი სიმთვრალეში მამის მიმართ აგრესიული იყო.

**„ორუჯი ძალიან კარგი კაცია, მთელი ცხოვრება შრომაში აქვს გატარებული. მარნეულში შვილთან ერთად ცხოვრობდა. ხშირად ვიყავით მათი ჩხუბის შემსწრე. ეს საცოდავი ბიჭი ბევრს სვამდა, მამას არაფერში ეხმარებოდა. მამამისი ხშირად წუხდა ჩვენთან, რომ ალადარი სმას იყო გადაყოლილი. ამბობდა, — საქმეში მოხმარებას არ ვჩივი, თვითონ იღუპავს თავსო. ამის გამო შენიშვნას რომ მისცემდა, ალადარი ბრაზდებოდა და მამას სცემდა. მეზობლები ხმაურზე გამოვდიოდით და ვაშველებდით,“** — აცხადებს დორა სახაროვი. მკვლელობის დღეს, როგორც ერთ-ერთი მეზობელი იხსენებს, ალადარ საფაროვს არ დაულევია.

**„დილით რომ ვნახეთ, ნასვამი არ იყო, გაგვიხარდა და გავეხუმრეთ — რა კარგი ბიჭი ყოფილხარ ფხიზელიო. როგორც ჩანს, საღამოს დალია. ალბათ, მამამისი ისევ გაუბრაზდა და ამან, როგორც ყოველთვის, ცემა დაუწყო. იმ ღამით მეზობლები ხმაურმა გამოგვაღვიძა, გარეთ რომ გამოვედით და საფაროვების სახლში შევედით, ბიჭი უკვე მკვდარი ეგდო, მამა კი იქ არ ჩანდა. უცებ ვერც ვიფიქრეთ, რომ მკვლელი შეიძლებოდა მამა ყოფილიყო,“** — აცხადებს ერთ-ერთი მეზობელი. როგორც თავად ბრალდებული იხსენებს, ის სახლში მშვიდად იჯდა და შვილმა მოულოდნელად ჩაარტყა თავში.

**„უცებ ვიღაცამ ჩამარტყა თავში, ამწია და მიწაზე დამაგდო. თავი ავწიე და დავინახე, რომ ჩემი შვილი იყო. ცემა დამიწყო, ხელებსაც და ფეხებსაც მირტყამდა. მუხლებზე დავეცი, ვეხვეწებოდი, არ დაერტყა, მაგრამ მაინც არ ჩერდებოდა. ჯიბეში პატარა დანა მედო, ამოვიღე და მერე გონება დავკარგე... აღარ მახსოვს, რა მოხდა,“** — აცხადებს ორუჯ საფაროვი. საფაროვს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა უკვე შეუფარდეს. იგი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს; მიუხედავად ამისა, სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის შემდეგ მას 15 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

**„მუხლებზე დავეცი, ვეხვეწებოდი, არ დაერტყა, მაგრამ მაინც არ ჩერდებოდა. ჯიბეში პატარა დანა მედო, ამოვიღე და მერე გონება დავკარგე... არ მახსოვს, რა მოხდა.“**

გვერდები მოამზადეს
სალომე გოგოხიამ და მაკა ქობალიამ

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# შემორჩენილი და დაკარგული ტაშირი

## დებედის ხეობა

**ალგეთის ხეობიდან ქციის (იგივე ხრამის) ხეობაში გადავდივართ. ქცია ქვემო ქართლის დედამდინარეა, რომელიც ბაკურიანიდან სამხრეთით, თრიალეთის ქედის დასავლეთ მონაკვეთიდან იღებს სათავეს. დასაწყისში იგი ცხრა წყაროთი იკვებება, მერე ნარიანს გამოივლის და მთელ ქვემო ქართლს მოსდევს. მისი ბოლო და ყველაზე დიდი შენაკადი მდინარე დებედაა (იგივე ბერდუჯი), რომელიც დღეს სომხეთში ჩარჩენილ ჩვენს ისტორიულ პროვინციას — ლორე-ტაშირსაც გამოივლის.**



გაგის ციხე

ქციისა და დებედის შესართავამდე, დებედის მარჯვენა სანაპიროზე, არის თარაქამებით დასახლებული სოფელი კაჩაგანა, რომელიც ქართული „ყაჩაღანიდან“ უნდა იყოს გადაკეთებული. აღსანიშნავია, რომ ეს „ყაჩაღ-ანა“ საკმაო თანხვედრაშია შინაარსით ქვედა დინებაში დებედის კიდევ ერთ სახელწოდებასთან, ქურდვაჭრის ხევთან. სწორედ აქ არის აღმართული ის ციხე, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი თათრული სახელით „აღჯაყალა“-თი (თეთრი ციხე) მოიხსენიებს. მისი ძველი სახელია „გაგი“, რომელიც, სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობით, თითქოს, ანისის მეფეს გაგიკ I-ს (990-1020 წწ.) აუგია და ეს სახელწოდებაც მის გამო დარქმევია.

...გაგის ციხესთან მოულოდნელად გაგვითოვდა, მაგრამ მის დათვალიერებაში ხელი მაინც არ შეგვშლია. XI საუკუნის სამშენებლო ფენასთან ერთად, ქვათა წყობის ქვედა რეგისტრებში, უფრო ადრინდელი ხელწერა იგრძნობა. როგორც ჩანს, ანისის მეფემ ძველი ციხესიმაგრე განაახლა და გააფართოვა. ამის თვალშისაცემი კვალიც რომ არ შეინიშნებოდეს, ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეიძლებოდა, ერთ-ერთი ქართველი ეთნარქის გაჩიოს შთამომავლებს ორი მოზრდილი მდინარის ხერთვისთან სტრატეგიული ფორპოსტი არ ჰქონოდათ. აკად. ნიკო ბერძენიშვილი სულაც იმას ამბობდა, რომ უძველესი ცურტავი სწორედ გაგია და არა ქოლაგირნახიდური, რომელსაც ეს სახელი დაანათლეს რამდენიმე წლის წინათ.

დებედის ხეობა და ზოგადად ქვემო ქართლის ნაწილი, რომელიც სომეხი ისტორიკოსებისთვისაც კი „ქართველთა ველს“ („ვრაც დაშტ“) წარმოადგენს, სწორედ სამხრეთის მეზობლის ექსპანსიის საგანი იყო ხშირად, ვიდრე ამას დავით აღმაშენებელმა არ დაუსვა წერტილი.

მიუხედავად ამისა XX საუკუნის დასაწყისში მისი საკმაო ნაწილი — ლორე-ტაშირი მაინც დავკარგეთ იქ არსებულ ცნობილ ეკლესია-მონასტრებთან ერთად. ისინი სწორედ დებედის შუა და ზემო დინების სანახებშია (ახტალა, ახპატი, სანაინი და სხვ.) მოქცეული. ჩვენს საზღვრებში მხოლოდ წოფის, ხოჟორნისა და ბურდაძორის ძეგლებია, ჰუჯაბის მშვენიერი ტაძარი კი, ჩვენი მორიგი დაუდევრობის გამო, სადავო ტერიტორიაზეა. ბურდაძორში ეკლესიის ნაშთები მინიმუმამდეა დაყვანილი, მაგრამ გადარეჩენილია V-VI საუკუნეების უნიკალური, ვეება სტელა, რომელიც საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია შენახული. სტელაზე ე.წ. ბოლნური ჯვრების, ჩუქურთმების და წმინდანების რელიეფებია ამოკვეთილი.

სოფელ წოფში, რომელიც სადახლოდან ოფრეთისაკენ მიმავალი გზის ხელმარჯვნივ მდებარეობს, ვახუშტი ბატონიშვილი მხოლოდ ციხესიმაგრეს ასახელებს, მაგრამ სოფლის ზედა უბანში კარგა მოზრდილი, უძველესი, ეკლესიის ნანგრევებია. აკად. გიორგი ჩუბინაშვილი მას V-VI საუკუნეებით ათარიღებს. წარსულის გუშაგისათვის ეს ძეგლი თვალის ჩინივითაა. ქვათა წყობა ე.წ. უჯარმულია, საშუალო ზომის წახნაგებმომრგვალებული კვადრები დიდი სიზუსტითაა ერთმანეთზე მორგებული. მთავარი დარბაზის აღმოსავლეთი მხარე შვერილ-წახნაგოვანი აფსიდით სრულდება. ოდნავ მოგვიანებით ძირითადი დარბაზისათვის ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, ტერასების შესაბამის სიმაღლეზე, ორი ნავი მიუშენებიათ და სამეკლესიანი საყდარი მიუღიათ. როგორც ცენტრალური, ისე გვერდითი ნავების აფსიდების მოხაზულობა შიგნიდან ნალისებრია, კარის გადახურვა — არქიტრავული. ტაძრის გადახურვის თაღ-კამერები ერთიანადაა ჩამოქცეული. ჩნდება ეჭვი: ვინ იცის, იქნებ, ეს იყოს ცურტავი?





ბურდაძორის სტელა

...ისევ გათოვდა, მაგრამ ამინდის ჭირვეულობას არად დაგიდევთ და ჩრდილოეთით მივიწევთ, დაახლოებით 5-6 კილომეტრს გავდივართ და მარმარილოს კარიერის შემდეგ, ტყიან აღმართს მივუყვებით. აქაც ერთი უსაბურავოდ დარჩენილი, დაუმუშავებელი მარმარილოს კვადრებით ნაგები ეკლესიაა. სამხრეთის მინაშენი მორღვეული აქვს, ჩრდილოეთისა — გადახურული და შენარჩუნებული. ტაძარი VI-VII საუკუნეებისა უნდა იყოს.

სოფელში ვბრუნდებით და გზას ვაგრძელებთ დასავლეთით. ხელმარცხნივ სოფელი ხოჟორნია. აქაც სომხები ცხოვრობენ. ეს გასომხებული მხარგრძელების ბუდეა. ხოჟორნის გუმბათიანი საყდარი X-XI საუკუნეების მიჯნას განეკუთვნება, მაგრამ ორჯერაა შეკეთებული. აღმოსავლეთ სარკმლის თავზე სომხური წარწერა და ტაშირ-ძორაგერტის პირველი მეფის გურგენის (იგივე კვირიკე I) რამდენადმე პრიმიტული გამოსახულებაა. სამხრეთის კარის არქიტრავზე არსებულ წარწერაში XIII საუკუნის საქართველოს მხედართმთავრის, ზაქარია მხარგრძელის ძე შანშეა ნახსენები.

ინტერიერის გულდასმით დათვალიერების შედეგად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ აქ X საუკუნემდე ქართული ეკლესია იდგა, რადგან ერთ-ერთ კედელში განივად არის ჩაშენებული ბოლნური ჯვრებით ამოკვეთილი სტელის ფრაგმენტი. მასზე ქართული ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი ბჟუტავს. გუმბათიანი ტაძრის მოშორებით მარმარილოს კვადრებით ნაშენი მცირე დარბაზული საყდარიც დგას.

ხოჟორნიდან წამოსულები ძალიან მალე შულავრის ხეობის სათავეებში გადავდივართ, სადაც ოფრეთისა და გორულის ციხეთა ნაშთებია. X საუკუნის სომეხი ისტორიკოსის უხტანესის მტკიცებით, შუშანიკი სწორედ ოფრეთის ციხეში გამოამწყვდია ვარსქენ პიტიახშმა. ოფრეთის ციხე ძალიან არის დანგრეული, გორულის გვიანი შუასაუკუნეების კოშკს კი ცალი კედელი აქვს მორღვეული. აქვე ორი ეკლესიაა: ქვედა და ზედა. ზედა ეკლესია წმიდა ნიკოლოზის სახელობისაა და, როგორც მისი ასომთავრული ქართული წარწერიდან ვიგებთ, როსტომის და გიორგი XI-ის მეფობის ჟამს უშენებია ქსნის ერისთავის ასულ დარეჯანს.

სანამ გორულიდან სოფელ სიონში მოვხვდებოდეთ, ერთ მცირე გზაშესაყართან უსახურავოდ დარჩენილი საკმაოდ ძველი ნაეკლესიარი შეგვხვდება. ამ ადგილს წალკოტი ჰქვია. საყდარი საგანგებოდ შერჩეული რიყის ქვებითაა ნაგები და წყობის ჰორიზონტალური პარალელები არსად არ არის დარღვეული. აფსიდში მინიატურული სამკვეთლო და სადიაკვნოა შეჭრილი. აქედან სოფელ სიონამდე მცირე ხნის სავალია.



სოფელ სიონის ეკლესია

ვახუშტი ბატონიშვილის რუკას თუ დავხედავთ, სოფელ სიონს ვერსად აღმოვაჩენთ. ამ ტერიტორიის სიახლოვეს, ხევგალმა ჯანხოში და ხუცის სოფელია მონიშნული.

სიონში უმეტესად ქართველობა, მათ შორის არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, სვანეთიდან გადმოსული რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს. ეტყობა, ხუცის სოფელს სიონი იმიტომ დაერქვა, რომ იგი ჯერ ბოლნისის, შემდეგ კი თბილისის სიონის მონასტრებს ემორჩილებოდა, მათთვის ცვილსა და სანთელს ამზადებდა. რაც შეეხება სიონის სხვა მცხოვრებთ, ისინი XIX საუკუნის 70-იან წლებში მოშორებით მდებარე სოფელ წერაქვის ნამრავლ ქართული ოჯახების შთამომავლები არიან. წერაქვიდან სიონში ჩამოსახლების მოთავე ყოფილა დიდი ქართველი მწერლის, მიხეილ ჯავახიშვილის მამა საბა ადამაშვილი. სწორედ მას აუშენებია სიონში პატარა დარბაზული ეკლესია. როგორც ამბობენ, მიხეილ ჯავახიშვილი წერაქვში კი არა, სიონში დაბადებულა. აღსანიშნავია ისიც, რომ მწერლის მშობლები და მისი უდროოდ გარდაცვლილი 15 წლის დაც სწორედ სიონის ეკლესიის ეზოში არიან დაკრძალულნი.

...ზამთრის მოკლე დღე თვალსა და ხელს შუა გვადნება და დარჩენილი 1 საათი მაქსიმალურად რომ გამოვიყენოთ, წერაქვამდე გზაზე ჯაყჯაყს სიონის სამხრეთით მდებარე ნასოფლარ ზარგარის დათვალიერებას ვამჯობინებთ. იგი აქედან 2-3 კილომეტრში, შულავრის წყლის ერთ-ერთი სათავის ნაპირზეა. ან ნასოფლარის ძველი ქართული სახელწოდება ველეთი ან ბესთის სოფელია. ნასახლარებზე და სასაფლაოს ქვებზე ტყეს გადაუვლია, მცირე ხევის ნაპირზე კი უვნებლად დგას გვიან შუასაუკუნეებში რიყის ქვით ნაგები მომცრო დარბაზული საყდარი. მის აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლის თავზე განედლებული ჯვარია გამოკვეთილი. ცუღლუტობის კვალია დასავლეთ ფასადზე, სადაც, კარის ზევით ამოვარდნილი თუ ამოგდებული დიდი ფილის ნაცვლად, გაცილებით მცირე სომხურწარწერიანი ფილა ჩაუსვამთ მოგვიანებით. ამ „გადაკეთების“ კვალს ბავშვიც კი იოლად შეამჩნევს. ძველ ქვაზე ან ქართული წარწერა იქნებოდა ან რაიმე ჩვენებური სამკაული...

მოდექ და ამტკიცე ახლა ეს...

**გელა ქოქიაშვილი**
**ავტორის ფოტოები**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომი და საქართველო



**XIX საუკუნის 70-იან წლებში აღმოსავლეთის საკითხი კვლავ მოექცა საერთაშორისო ურთიერთობის ცენტრში. გაძლიერდა ევროპის დიდ სახელმწიფოთა ბრძოლა თურქეთის მემკვიდრეობის გაყოფისათვის. ავსტრია-უნგრეთს, რომელსაც სურდა ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ხელში ჩაგდება, აშინებდა რუსეთის გავლენის ზრდა ბალკანეთზე. ინგლისი გაბატონებული იყო თურქეთის ბაზარზე და მთელი ძალით ეწინააღმდეგებოდა რუსეთის მიერ ბოსფორ-დარდანელის სრუტეების ხელში ჩაგდების ცდებს. გერმანია ხელს უწყობდა აღმოსავლეთის საკითხის გამწვავებას, რადგან ეს აძლევდა მას მოქმედების თავისუფლებას ცენტრალურ ევროპაში. 1875 წელს ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში იფეთქა ანტითურქულმა აჯანყებამ. მალე აჯანყებას შეუერთდნენ ბულგარეთი, სერბია და ჩერნოგორია, რის შემდეგ მან მიიღო სლავი ხალხების ეროვნულ-გამათავისუფლებელი ომის ხასიათი.**

ბალკანეთის სლავების ეროვნულ-გამათავისუფლებელ ომს მტრულად შეხვდნენ ინგლისი და ავსტრია-უნგრეთი. მათ არ უნდოდათ ბალკანეთში დამოუკიდებელი სლავური სახელმწიფოების ჩამოყალიბება, რადგან სლავებს რუსული ორიენტაცია ჰქონდათ. ინგლისი და ავსტრია-უნგრეთი ეხმარებოდნენ თურქეთს სლავთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დათრგუნვის საქმეში.

სლავთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ სრულიად განსხვავებული პოზიცია დაიკავა რუსეთმა. სლავებისათვის დახმარების იდეამ მოიცვა რუსეთის საზოგადოების ფართო წრეები. მოსკოვში დაარსებული სლავური კომიტეტის მეშვეობით ბალკანეთში იგზავნებოდა კერძო შეწირულობანი და მოხალისეთა რაზმები. მეფის მთავრობას აშინებდა სლავებისათვის დახმარების ხალხის ფართო მასებიდან მომდინარე ინიციატივა, მაგრამ მას არ შეეძლო, გარკვეული ანგარიში არ გაეწია საზოგადოებრივი აზრისათვის. მით უმეტეს, რომ თურქეთის განდევნა ბალკანეთიდან და შავი ზღვის სრუტეების ხელში ჩაგდება ცარიზმის საოცნებო საგანს შეადგენდა. რუსეთის მთავრობამ თავის ხელში აიღო ინიციატივა და მას შემდეგ, რაც ევროპის დიდი სახელმწიფოების მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა, 1877 წ. 24 აპრილს ომი გამოუცხადა თურქეთს. რუსეთის ჯარებმა გადალახეს თურქეთის საზღვრები როგორც ბალკანეთში, ისე კავკასია-მცირეაზიაში.

ქართველი ხალხი თანაგრძნობით შეხვდა თურქეთის წინააღმდეგ ომის დაწყებას, რადგან იმედოვნებდა, რომ მას შედეგად მოჰყვებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისაგან გათავისუფლება. საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენის იდეა, რაც რუსეთის გამათავისუფლებელ (ობიექტურად) როლს ჯერ კიდევ ერეკლე მეორემ დაუკავშირა, XIX ს-ის 60 –70-იან წლებში ფართოდ გავრცელდა ქართველ საზოგადოებრიობაში.

ქართველი პატრიოტები ცდილობდნენ, კვლავ აღედგინათ ოსმალეთის საქართველოსთან კავშირი. ომის წინ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იმოგზაურეს დ. ბაქრაძემ, გ. ყაზბეგმა, მ. გურიელმა, ა. მეფისაშვილმა, ივ. კერესელიძემ, გ. წერეთელმა და სხვ.. ივ. კერესელიძე შეხვდა აჭარელთა ყველაზე თვალსაჩინო თავკაცს — შერიფ ბეგ ხიმშიაშვილს, რომელიც, თურმე, ოცნებობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოსთან შეერთებაზე და ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდა, რომ მთელი ხალხი აემხედრებინა თურქეთის წინააღმდეგ.

1875 წ. თურქეთის მთავრობამ აჭარლებს ჯარში წასვლა და აჯანყებულ ჰერცოგოვინელთა წინააღმდეგ გალაშქრება მოსთხოვა. მძიმე გადასახადებით უკმაყოფილო აჭარლებმა არ შეასრულეს სულთანის ბრძანება და აჯანყდნენ. „დროების“ კორესპონდენტი წერდა, რომ აჭარელთა აჯანყების მიზეზის გამოსარკვევად ოსმალეთის უმაღლესმა მთავრობამ მოსამართლე იბრეიმ აღა გამოგზავნა, მაგრამ ხალხმა უარი თქვა მასთან გამოცხადებაზე და შეუთვალა – „ჩვენ მაგისთანა სასამართლოში, სადაც უსამართლობისა და ქრთამის მეტი არა სწარმოებს რა, არ გეახლებითო, საიდანაც მობრძანებულხართ იქვე წაბრძანდითო“. ცნობას აჭარელთა ანტითურქული აჯანყების შესახებ ქართველი საზოგადოებრიობა დიდი თანაგრძნობით შეხვდა. ს. მესხი ე. მელიქიშვილს სწერდა: „ქობულეთში ოსმალოს ქართველების აჯანყება როგორ მოგწონს?... იქნებ რამე გამოვიდეს. ძალიან სანატრელია, რომ ოსმალო დააწიოკონ, იქნებ ეს ჩვენი ქართველები, რომელნიც იქ იმდენია, რამდენიც რუსეთის საქართველოში (ერთ მილიონზე მეტი), ჩვენ შემოგვიერთონ“.

ილია ჭავჭავაძე, რომელიც დაძაბული ადევნებდა თვალს მოვლენათა განვითარებას, კარგად ითვალისწინებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოსთან შემოერთების შესაძლებლობას და წერდა: „არ გვაშინებს... ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთ დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ. ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ და ქართველი... დიდის ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს... და თუ საჭიროა, რომ სიყვარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუდრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა“.

საქართველოს ისტორიული საზღვრების აღსადგენად, მართლაც, საჭირო გახდა ქართველთა სისხლის დაღვრა. თურქეთის წინააღმდეგ ომისათვის ემზადებოდნენ არა მარტო რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილები, არამედ ქართველი მოლაშქრეებიც.

რუსეთის მთავრობა დიდ იმედს ამყარებდა ადგილობრივ მოსახლეობაზე. როცა სარდლობა შეუდგა ქართული ლაშქრის (მილიციის) ნაწილების შედგენას, გლეხობის საგრძნობი ნაწილი თავის სურვილით ეწერებოდა მოხალისეთა რაზმებში. გაზეთი „დროება“ იტყობინებოდა, რომ შორაპნის მაზრაში მთავრობის მოთხოვნილებით ყოველ ას გლეხზე ორი გლეხი უნდა წასულიყო ლაშქარში, მსურველი კი ათჯერ მეტი აღმოჩნდაო. განსაკუთრებული ხალისით მიდიოდნენ ლაშქარში გურულები. ომის მონაწილე ი. მაყაშვილი, რომელმაც სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა გურიის ლაშქრის საბრძოლო დამსახურებას, გადმოგვცემს, რომ ახალგაზრდები ცრემლმორეული ითხოვდნენ, რომ დაუყოვნებლივ ჩაერიცხათ ისინი ჯარში და გაეგზავნათ ბრძოლის ველზე.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**




გამოვიდა ჟურნალ
«ისტორიული მემკვიდრეობის»
პირველი ნომერი

ჟურნალის სახელწოდება უკვე ნათელყოფს მის პროფილს.

პირველივე ნომრიდან ჩანს, რომ ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს. ჟურნალის მთავარი რედაქტორია თემურ ქორიძე.

უნივერსალური წყალი „ისიდა“

მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა



სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს და შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს დღიური ნორმის ოდენობით:

**იოდი** — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

**ფტორი** — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

**მანგანუმი** — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

**კალციუმი** — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

**კალიუმი** — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

**მაგნიუმი** — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

**ნატრიუმი** — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

**თუთია** — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება 20-ლიტრიან ბალონებში.

მსურველებმა დარეკონ თბილისში: 899-16-30-219 890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# საკვებში ძმრის დამატება ხელს უწყობს გახდომას

**იაპონიის ცენტრალური სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა ჩაატარეს ცდები ლაბორატორიის ვირთხებზე, რომელთაც საკვებში უმატებდნენ ძმარს, რომლის რაოდენობა შეადგენდა დღიურ რაციონში 0,5-1,5 პროცენტს.**



მიუხედავად იმისა, რომ მათ აძლევდნენ მეტად ცხიმიან საკვებს, ის ვირთხები, რომლებიც ძმარს იღებდნენ, 6 კვირის შემდეგ 10 პროცენტით ნაკლებს იწონიდნენ იმათთან შედარებით, რომლებიც ძმრის გარეშე იკვებებოდნენ. მეცნიერთა აზრით, ამ კვლევის შემდეგ შესაძლებელი გახდება ისეთი გასახდომი პრეპარატის შექმნა, რომლის შემადგენლობაშიც ძმარმჟავა იქნება.



# რატომ ვისმენთ მარჯვენა ყურით?

**ადამიანები ხშირად მოსაუბრეს უსმენენ მარჯვენა ყურით, — ამტკიცებენ გაბრიელ დე ანუნციო კეტის (იტალია) უნივერსიტეტის მეცნიერები.**

მკვლევარები თვლიან, რომ ეს ყოველივე გამოწვეულია ტვინის ფუნქციის ასიმეტრიულობით, რადგანაც მისი მარცხენა ნახევარსფერო პასუხისმგებელია ბგერების გახმოვანებაზე, რომლის სიგნალსაც ის მარჯვენა ყურიდან ღებულობს.

# საუკეთესო ინტერვალი შვილის გაჩენისათვის

**კოლუმბიელმა მეცნიერებმა დაადგინეს საუკეთესო ინტერვალი შვილის გაჩენისათვის.**

კვლევების ხელმძღვანელის — გუსტინა კონდე აგუდელის აზრით, საუკეთესოდ ითვლება 18-დან 59 თვემდე ინტერვალი, რათა მომდევნო ბავშვი ჯანმრთელი იყოს. მეცნიერთა აზრით, სხვა შემთხვევაში ჩვილი შეიძლება დაიბადოს მცირეწონიანი ან ჰქონდეს სხვა სახის გართულებები.

# სოკო შიიტაკა კიბოს განკურნავს?

**ბოლო ხანს მსოფლიოში გავრცელდა აზრი იმის შესახებ, რომ იაპონური სოკო შიიტაკა ყველა დაავადებას, მათ შორის კიბოსაც, კურნავს! ამის თაობაზე მეცნიერთა აზრი ასეთია: „იაპონური სოკო შიიტაკა ცნობილია ხალხურ მედიცინაში.**



პირველი ცდები მისი სამკურნალო ეფექტის გამოსავლენად ტოკიოს **ჰურდრუეს უნივერსიტეტში** (ეს გახლავთ ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი იაპონიაში) 1969 წელს ჩატარდა. 2007 წლის შემდეგ დაადგინეს, რომ ამ სოკოს მართლაც ახასიათებს სიმსივნის ზრდის შეჩერების თვისება, თუმცა ბოლო წლებში მეცნიერთა აზრი ორად გაიყო. ოფიციალური მედიცინის წარმომადგენელთა ერთი ნაწილი ამტკიცებდა, რომ შიიტაკა არ არის კიბოს საწინააღმდეგო წამალი, მიუხედავად იმისა, რომ მასზე დამზადდა იმუნოსტიმულატორი, რომელიც ონკოლოგიაში გამოიყენებოდა. მაშინ ითვლებოდა, რომ იმუნიტეტის სტიმულაცია ხელს უწყობდა ავთვისებიანი სიმსივნის ზრდის დათრგუნვასა და გაქრობას.

სამწუხაროდ, კვლევებით ეს მოსაზრება არ დადასტურდა. თუმცა აღინიშნა, რომ სოკო **შიიტაკაში** არის სიმსივნის საწინააღმდეგო სასარგებლო ნივთიერებები, რომლებიც კვლევებს საჭიროებს.

ამასვე ამტკიცებენ **ფუნგოთერაპევტებიც;** მათი აზრით, ამ სოკოს გამოკვლევა ნამდვილად ღირს, არა მარტო ონკოდაავადებების, არამედ გაფანტული სკლეროზის, ჰიპერტონიული დაავადებების, პოსტინფარქტისა და პოსტინსულტის, შაქრიანი დიაბეტისა თუ ვირუსული ინფექციების სამკურნალოდ.

ფუნგოთერაპევტი ი. ფილიპოვა აღნიშნავს, რომ **შიიტაკათი** მკურნალობა შეიძლება ქიმიოთერაპიის ან რეაბილიტაციის დროსაც, მაგრამ არა მხოლოდ ამ სოკოთი, ვინაიდან მას აქვს გარკვეული უკუჩვენებაც; კერძოდ: იწვევს ალერგიას, დაბლა სწევს წნევას, იწვევს ცვლილებებს სისხლში.

მეცნიერები, ასევე, აფრთხილებენ მოსახლეობას, რომ სამკურნალო მიზნით სოკოს ამ სახეობის ყიდვა სუპერმარკეტებსა და მაღაზიებში დაუშვებელია, ვინაიდან ფარმაკოლოგიაში მას მხოლოდ სპეციალური თერმული დამუშავების შემდეგ იყენებენ, ცოცხლად კი მას სამკურნალო თვისებები არ გააჩნია.

# ჩვილისთვის ძუძუს წოვება პირველი ნაბიჯია მისი გონებრივი განვითარებისაკენ

**კოლორადოსა და ვაშინგტონის უნივერსიტეტის მეცნიერებმა 18 წლის განმავლობაში 96 ოჯახში ჩაატარეს ცდები. ისინი მთელი ამ ხნის განმავლობაში აკვირდებოდნენ ტყუპებს. ამ დროს ერთს კვებავდნენ ძუძუთი, ხოლო მეორეს — ხელოვნურად.**



18 წლის მერე დადგინდა, რომ იმ ტყუპისცალს, რომელსაც ძუძუთი ზრდიდნენ, უფრო დიდი მისწრაფება ჰქონდა უმაღლესი განათლების მიღებისა და მეცნიერების შესწავლისკენ, ვიდრე იმას, ვინც ხელოვნურად იზრდებოდა. მეცნიერთა დასკვნით, ჩვილისთვის ძუძუს წოვება აუცილებელი პირობაა მის ინტელექტუალურ პიროვნებად ჩამოსაყალიბებლად.



# კენკროვანი მცენარეები კიბოს წინააღმდეგ

**ნორვეგიელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ავთვისებიანი სიმსივნეების წარმოქმნას ყველაზე მეტად ხელს უშლის კენკროვანი მცენარეები და ანტიოქსიდანტების შემცველი გარკვეული მცენარეები, რომლებიც ებრძვის კიბოს უჯრედებს.**

ასევე დადგინდა, რომ კენკროვანები 100-ჯერ მეტი რაოდენობით შეიცავს A, C და E ვიტამინებს, ვიდრე სხვა მცენარეები. უკანასკნელი კვლევებით, ანტიოქსიდანტების მაქსიმალური შემცველობა არის: დარიჩინის მარცვალში — 69,56 პროცენტი, მიხაკში — 66,03 პროცენტი; შავ მოცხარში — 48,48 პროცენტი; მაყვალში — 47,92 პროცენტი; მარწყვში — 29,69 პროცენტი; ჟოლოში — 30,02 პროცენტი; ბროწეულის წვენში — 25,80 პროცენტი. ამდენად, ამ პროდუქტების მიღება სეზონურად აუცილებელია.




# მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და გამოჯანმრთელებულები ბრუნდებიან

**გაგნიძის პრეპარატი არჩენს**

**ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, პარკინსონს, ასთმას, ჩიყვს, გულისა და თირკმელების დაავადებებს; სპობს აზოტს თირკმელში, კურნავს გაფანტულ სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ოსტეოქონდროზს, ჰაიმორიტს, ლეიკოზს, სეფსისს, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ბოტკინს, ელენთის, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, ქლამიდიას, კლიმაქსს, წყლულს, ფსორიაზს, სახსრების დაავადებებს, ეპილეფსიას; ამყარებს იმუნიტეტს, ახდენს თავის ტვინის უჯრედების აღდგენა-შენარჩუნებას, დადებითად მოქმედებს სექსუალურ დარღვევებზე და ნარკოტიკებთან დამოკიდებულებებზე.**

**კოორდინატებია:**
**თელავი,**
**კავკასიონის ქუჩა №61-ბ,**
**გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი).**
**ტელ.: 893-22-66-51 8(250) 7-61-24**

**თბილისი,**
**აწყურის 31ა.**

**ბათუმი, ასათიანის 11,**
**(ორშაბათს, ოთხშაბათს**
**და პარასკევს,**
**10-დან 14 საათამდე).**




# წერილები ბიჭიკო გაგნიძეს

# გმადლობთ, ბატონო ბიჭიკო

**ნაილი სულაკაური:** — 2005 წელს დამემართა ინსულტი, რომელმაც ჩემს ჯანმრთელობას მძიმე კვალი დააჩნია. კერძოდ, ვერ ვამოძრავებდი მარჯვენა ხელსა და ფეხს. მაქვს შაქარი, რომელიც არ მაძლევდა იმის საშუალებას, რომ ყველანაირი წამალი მიმეღო. მანამდე მქონდა ოსტეოქონდროზი, რაც მკურნალობას ართულებდა. მირჩიეს მიმეღო ბიჭიკო გაგნიძის წამალი. მართლაც, ორი კვირის მკურნალობის შემდეგ თავი უკეთესად ვიგრძენი, წნევა დამირეგულირდა და სტაბილური გახდა, წელის არეში ტკივილები მომეხსნა და ექიმს საშუალება მიეცა, რომ ჩემთვის ხელზე და ფეხზე მასაჟი გაეკეთებინა. ზუსტად სამი თვის მკურნალობის შემდეგ შევძელი სიარული.



თითქმის ორი წელია, ეს წამალი აღარ დამჭირვებია. მჯერა, რომ ის ჩემთვის სიცოცხლის ელექსირი გამოდგა და გადამარჩინა. ჩემთვის ის შეუცვლელი პრეპარატია.

**არჩილ მენთეშაშვილი:** — წარსულში ალკოჰოლური სასმელების გადამეტებული მიღების გამო ღვიძლი დამიზიანდა. მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო. კვლევებით ღვიძლის ციროზის დიაგნოზი დამიდგინდა. ვინაიდან დაავადება I სტადიაში იყო, ექიმმა მირჩია, რომ ყველა საშუალება და წამალი მომესინჯა, რათა დაავადება II სტადიაში არ გადასულიყო.

ნახევარი წლის მკურნალობის შემდეგ ანალიზებით გავარკვიე, რომ არც ერთი წამალი არ მშველოდა. თითქმის იმედგადაწურული ვიყავი. სწორედ ამ დროს გავიგე ბიჭიკო გაგნიძის წამლის შესახებ. ვიფიქრე, ვცდი-მეთქი. წამალი მივიღე თვენახევრის განმავლობაში, შემდეგ კვლავ გავიკეთე ანალიზები. შედეგი გასაოცარი იყო.

დღეს უკვე ბიჭიკო გაგნიძის წამალს ვღებულობ მხოლოდ გაზაფხულსა და შემოდგომაზე, პროფილაქტიკის მიზნით და სრულიად ჯანმრთელად ვგრძნობ თავს, მადლობა მას ასეთი პრეპარატის შექმნისათვის.

**დოდო აზმაიფარაშვილი:** — ბიჭიკო გაგნიძის წამლის შესახებ შევიტყვე ორი წლის წინათ, და მე, როგორც ექიმმა, ის ჩემს პაციენტს სხვა წამლებთან ერთად კომპლექსური მკურნალობის ჩასატარებლად დავუნიშნე კლიმაქსური ფონის მოსახსენებლად. შედეგი იმდენად კარგი იყო, რომ ვიფიქრე, შეიძლება სხვა წამლებმა იმოქმედა-მეთქი და ცალკე გამოვიყენე ის საკუთარ თავზე, იმავე დიაგნოზის ანუ კლიმაქსური ალების, გულის აჩქარების, წნევის აწევის დროს.

მე როგორც ექიმი გაოცებული დავრჩი, რადგანაც შედეგმა ძალიან გამაოცა. კლიმაქსური სინდრომი მომეხსნა ისე, რომ საერთოდ დამავიწყდა, რომ მაწუხებდა.

გაგნიძის წამალი საკუთარ თავზე გამოვიყენე, აგრეთვე, კუჭ-ნაწლავის გაუვალობისა და ანთების დროს. ზუსტად ორ კვირაში ეს პრობლემებიც მომეხსნა.

ვფიქრობ, რომ საქმე გვაქვს იშვიათ შემთხვევასთან და ამ პრეპარატის შესწავლას, მისი შესაძლებლობების სრულ გამოვლინებას მეცნიერებმაც უნდა შეუწყონ ხელი.

# სანდო ბანკი

**ბანკის განვითარება წარმოუდგენელია სტაბილური კლიენტურის გარეშე. სტაბილური კი ის კლიენტურაა, რომელმაც მიიღო ამა თუ იმ ბანკთან თანამშრომლობის გარკვეული გამოცდილება და კვლავ მის მომსახურებას ამჯობინებს.**
**ეს ნებისმიერი ბანკისათვის საუკეთესო დახასიათებაა, რადგანაც მიანიშნებს, რომ მან მოიპოვა ყველაზე მთავარი — კლიენტების ნდობა!**
**ჩვენი გადაწყვეტილების ჭეშმარიტების სწორად შეფასებისთვის აუცილებელია, ვიცოდეთ ამა თუ იმ ბანკის მომსახურების შესახებ,**
**რაც მას სხვებისაგან გამოარჩევს.**
**ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული — თიბისი ბანკის სერვისების სრულ ნუსხას,**
**რათა მკითხველმა თავად შეარჩიოს მისთვის საინტერესო.**

## დაგროვების ახალი ფორმულა — 12=13 ბონუს ანაბარი




გსურთ, დააგროვოთ თანხა თქვენთვის სასურველი მიზნისთვის? ბონუს ანაბარი მარტივად დაგროვების საუკეთესო ფორმულაა. აგროვებთ 12-ს და იღებთ 13-ს! როგორ? ფორმულა ძალიან მარტივია: მაგალითად, 12 თვე შეგაქვთ 100 ლარი ბონუს ანაბარზე, ბანკი 100 ლარს გჩუქნით ბონუსის სახით, ანუ სულ მიიღებთ 1300 ლარს.

შეგიძლიათ, აირჩიოთ 4 სხვადასხვა ნომინალის ბონუს კუპონი — 20, 30, 50, 100; იმის მიხედვით, თუ მინიმუმ რამდენის დაგროვებას გეგმავთ ყოველთვიურად.

ბონუს ანაბრის მთავარი უპირატესობაა: ბონუს თანხის მიღება შეგიძლიათ ნებისმიერ დროს; თანხის დამატება ანაბარზე შესაძლებელია **თიბისი** ბანკის ფილიალებში: დისტანციური სერვისების გამოყენებით — ინტერნეტბანკით, მობილბანკით, ავტომატური გადარიცხვების სერვისით, ტელეფონბანკით; **თიბისი** ფეის სწრაფი გადახდის ტერმინალებით თანხის შეტანით.

ბონუს ანაბრის პირობებია: ანაბრის ვადა 12 თვე ავტომატური გაგრძელების შესაძლებლობებით.

ანაბრის ვალუტა: ლარი, დოლარი, ევრო;

ბონუს ანაბრის გასახსნელად საკმარისია, ბანკში მიიტანოთ ბონუს კუპონი პირადობის მოწმობასთან ერთად.

## 55 დღე 0%-იანი კრედიტი — TBC Card-ით მეტი თავისუფლება

**TBC Card საკრედიტო ბარათია ყველაზე ხანგრძლივი საშეღავათო პერიოდით, რითაც ადვილად მოიძიებთ საჭირო თანხას და 55-დღიანი საშეღავათო პერიოდი საშუალებას მოგცემთ, აუჩქარებლად დაფაროთ გამოყენებული თანხა.**




**TBC CARD-ის მიღება მარტივია, თუ:**

ხართ არანაკლებ 20 წლისა;

გაქვთ 6 თვის სამუშაო გამოცდილება;

თქვენი ყოველთვიური შემოსავალი შეადგენს მინიმუმ 300 ლარს.

დავალიანების დაფარვა შეგიძლიათ: ტელეფონბანკით; ინტერნეტბანკით, სწრაფი გადახდის ტერმინალით.

შეგიძლიათ, ათვისებული თანხა დაფაროთ ყოველთვიური მინიმალური შენატანით.



**TBC CARD-ის უპირატესობებია:**
**უპროცენტო კრედიტი ხანგრძლივი საშეღავათო პერიოდით;**
**უვადო საკრედიტო ლიმიტი;**
**მისაღებად საჭიროა მხოლოდ პირადობის მოწმობა;**
**კრედიტი უზრუნველყოფისა და თავდებობის გარეშე.**

## რა არის ენერგოკრედიტი?

შეგიძლიათ, მიიღოთ ბანკისგან სესხი თქვენს სახლში კომფორტის გასაუმჯობესებლად;

ინდივიდუალური პირობებისთვის ხელმისაწვდომია საკრედიტო ხაზი შემდეგი სახის პროდუქტებზე:

— ენერგოეფექტური ფანჯრები ორმაგი შემინვით;

— შენობების გაუმჯობესებული თბოიზოლაცია;

— ბოილერები და კონდენსატორული ბოილერები;

— განახლებადი ენერგო მოწყობილობები (მზის თერმული სისტემები).

თუ შეიძენთ თბოიზოლაციის მასალებს, შეამცირებთ ხარჯებს და უკან დაიბრუნებთ მასალის ღირებულების 15 პროცენტს.

**სესხის პირობები:**

**— აირჩიეთ სასურველი თბოიზოლაციის მასალა (ვებგვერდზე მოცემული მომწოდებლისაგან);**

**— მიიღეთ პროფორმა ინვოისი მომწოდებლისგან შესაბამის მასალაზე და მიიტანეთ ბანკში;**

**— ბანკში შეავსეთ სასესხო განაცხადი და სუბსიდირების მოთხოვნის ფორმები;**

**— თუ ბანკი დაადასტურებს თქვენს განაცხადს, თანხა გადაერიცხება პირდაპირ თქვენ მიერ შერჩეულ მომწოდებელს.**

## რა არის დისტანციური მომსახურება?

**დროა, დაისვენოთ, თიბისი ბანკი გთავაზობთ ორი ტიპის გადარიცხვას:**

**— კომუნალური გადარიცხვები;**

**— გადარიცხვები ნებისმიერი მიმართულებით;**



**კომუნალური გადარიცხვების მომსახურებაზე რეგისტრაციისთანავე თქვენი დავალებით ბანკი ავტომატურად გადარიცხავს კომუნალურ გადასახადებს. ბანკი თავად დაადგენს დავალიანების რაოდენობას და გადარიცხავს საჭირო თანხას შესაბამის კომპანიაში. გადარიცხვები ბანკის მიერ ყოველთვის დროულად სრულდება, მთავარია უზრუნველყოთ თქვენს საბანკო ანგარიშზე საკმარისი თანხის არსებობა.**

## ოქროს ანაბარი

### გაამაგრე დანაზოგი ოქროთი



**ოქროს ანაბრის უპირატესობებია:**

**— ოქროთი გამყარებული ანაბარი;**

**— გარანტირებული საპროცენტო სარგებელი;**

**— სტანდარტულ საპროცენტო განაკვეთზე მეტი სარგებლის მიღების შესაძლებლობა.**

როგორც სტაბილურ სიტუაციაში, ასევე კრიზისების დროს ოქროს ფასი იზრდება წლიდან წლამდე ნებისმიერი მყარი ვალუტისგან განსხვავებით.

ამას ადასტურებს მისი გაორმაგებული ღირებულება.

ოქროს ანაბარი — ეს არის შესაძლებლობა, მიიღოთ 16 პროცენტამდე საპროცენტო შემოსავალი ოქროს ფასის ზრდის შემთხვევაში, ხოლო კლების შემთხვევაში თქვენი დანაზოგი საიმედოდ ინახება და გერიცხებათ გარანტირებული წლიური 9 პროცენტი;

ოქროს ანაბარზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია ოქროს ფასის ცვლილებაზე;

— თუ ოქროს ფასი შემცირდა ან გაიზარდა 0%-იდან 9%-მდე, ანაბარს დაერიცხება გარანტირებული 9 პროცენტი;

— თუ ოქროს ფასი გაიზარდა 9%-იდან 16%-მდე, ანაბარს დაერიცხება ოქროს ფასის წლიური 15 პროცენტი;

— თუ გაიზარდა 16 პროცენტზე მეტით, ანაბარს დაერიცხება მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი — წლიური 16 პროცენტი.

## პლასტიკური ბარათების მართვა მობილური ტელეფონით

**თიბისი ბანკის პლასტიკური ბარათის შეძენისას თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი ავტომატურად რეგისტრირდება თიბისი ბანკის SMS სერვისზე, რითაც თქვენ შეგიძლიათ:**



— შეავსოთ მობილური ტელეფონის ბალანსი;

— შეამოწმოთ ბარათზე არსებული ნაშთი;

— დაკარგვის შემთხვევაში, დაბლოკოთ თქვენი პლასტიკური ბარათი.

ტელეფონბანკის მომსახურება დაგეხმარებათ, დაზოგოთ დრო, მუდმივად აკონტროლოთ თქვენი საბანკო ანგარიშები;

— შეძლებთ, განახორციელოთ საკუთარ ანგარიშებს შორის ულიმიტო გადარიცხვები;

— ბანკის შიგნით სხვა პირის ანგარიშზე 1000 ლარამდე (500 დოლარამდე) გადარიცხვები;

— კომუნალური გადასახადების გადახდა;

— ანაბრების გახსნა;

— სესხის დაფარვა;

— პლასტიკური ბარათის განახლება;

— დისტანციურ მომსახურებაზე დარეგისტრირება;

## პერსონალური საბანკო მომსახურება

**პერსონალური საბანკო მომსახურება გულისხმობს:**
**— ინდივიდუალურ მიდგომას;**
**— კონფიდენციალურობას;**
**— მომსახურების სწრაფ და კომფორტულ პროცესს;**
**— ბონუსებსა და სპეციალურ შემოთავაზებებს;**

პერსონალური მომსახურება არ შემოიფარგლება მხოლოდ ფინანსური პროდუქტების ვრცელი მენიუთი. იგი მოიცავს თითოეულ კლიენტთან გამორჩეული, გრძელვადიანი საქმიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებას და ზუსტად არის მორგებული კლიენტის მოთხოვნებსა და ცხოვრების სტილზე. პერსონალური ბანკირი დაიცავს თქვენს ფინანსურ ინტერესებს, ინდივიდუალურად შეისწავლის კონკრეტულ საკითხებს და გაგიწევთ განსაკუთრებულ კომფორტულ საბანკო მომსახურებას, რაც შემდგომში დაგეხმარებათ, განსაზღვროთ თქვენი კონკრეტული ფინანსური მიზნები და მათი მიღწევის საუკეთესო გზები.

**Status Card** არის ბარათი, რომელიც სპეციალურად პერსონალური საბანკო მომსახურების კლიენტებისთვის შეიქმნა, რომელიც თავის თავში აერთიანებს მოქნილობას, სარგებელსა და კომფორტს;

**Status Card** არ არის მხოლოდ პლასტიკური ბარათი. მასში გაერთიანებულია 3 საბანკო პროდუქტი: ანაბარი, მიმდინარე ანგარიშები, პლასტიკური ბარათი. მისი საშუალებით თანხის შეტანა, გატანა და გადარიცხვების განხორციელება ნებისმიერ დროს შეგიძლიათ;

**Status Card** არის მულტისავალუტო ბარათი. მის ყველა ანგარიშს ერიცხება მაღალი საპროცენტო სარგებელი:

**ლარი — 7%,**
**დოლარი — 6%,**
**ევრო — 5%;**

პროცენტი ერიცხება თითოეულ ანგარიშზე არსებულ ნებისმიერ დადებით ნაშთს.

**Status Card**-ით მიიღებთ ფასდაკლებებს მრავალ სავაჭრო თუ მომსახურების ობიექტში;

ნებისმიერი ნივთის შეძენისას — 5-დან 10 პროცენტამდე ფასდაკლებას.




გვერდები მოამზადა **ეთერ კასრელიშვილმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## ქრონოგრაფი

# რა მოხდა მსოფლიოში სხვადასხვა წელს 11-დან 18 ნოემბრამდე?

### 11 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**ვინც იმით იწყებს, რომ ყველასი სჯერა, ამთავრებს იმით, რომ ყველას ცრუპენტელად მიიჩნევს.**
**კრისტიან ფრიდრიხ ჰებელი**

**ჩვ. წ. აღ.-მდე 43 წელს** შეიქმნა იულიუს კეისრის მკვლელთა წინააღმდეგ მებრძოლი რომის მეორე ტრიუმვირატი.
**1630 წელს** კარდინალ რიშელიეს წინააღმდეგ შეთქმულებასთან დაკავშირებით საფრანგეთიდან გააძევეს დედა-დედოფალი მარია მედიჩი და ორლეანის ჰერცოგი.
**1790 წელს** ინგლისში ჩინეთიდან პირველად შემოიტანეს ქრიზანთემები.
**1821 წელს** დაიბადა დიდი რუსი მწერალი თეოდორ დოსტოევსკი.
**1880 წელს** ჩამოახრჩეს ლეგენდარული ავსტრალიელი ყაჩაღი ნედ კელი.
**1889 წელს** ვაშინგტონი აშშ-ის 42-ე შტატი გახდა.
**1920 წელს** ვრანგელმა ყირიმის ევაკუაციის ბრძანება გასცა.
**1952 წელს** კალიფორნიაში პირველი ვიდეომაგნიტოფონის მოქმედების დემონსტრირება მოახდინეს.
**1994 წელს** ამერიკელმა მილიარდერმა, ბილ გეიტსმა ნიუ იორკის აუქციონზე ლეონარდო და ვინჩის ხელნაწერში 30,8 მლნ დოლარი გადაიხადა.

### 12 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**სიტყვის მიცემამდე კარგად დაფიქრდი, რადგან დაპირება მოვალეობაა.**
**კონფუცი**

**1840 წელს** დაიბადა ფრანგი მოქანდაკე, იმპრესიონიზმის მამამთავარი ოგიუსტ როდენი.
**1842 წელს** დაიბადა ინგლისელი ფიზიკოსი, არგონის აღმომჩენი, ნობელის პრემიის ლაურეატი ჯონ რელეი.
**1847 წელს** ედინბურგში პირველად მოახდინეს ქლოროფორმის, როგორც მანესთეზირებელი საშუალების დემონსტრირება.
**1866 წელს** დაიბადა ჩინეთის პირველი პრეზიდენტი სუნ იატსენი.
**1923 წელს** გერმანიის ხელისუფლებამ დააპატიმრა ადოლფ ჰიტლერი პუტჩის ორგანიზებისთვის.
**1929 წელს** დაიბადა ამერიკელი კინომსახიობი, მონაკოს პრინცესა გრეის კელი.
**1938 წელს** გერმანიაში გამოიცა კანონი თითოეული ებრაელის ქონების 20 პროცენტის კონფისკაციის შესახებ.
**1970 წელს** ინდოეთსა და პაკისტანში XX საუკუნის ყველაზე ძლიერი ქარიშხლის შედეგად დაიღუპა 500 000 კაცი.

### 13 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**მოწევა საშუალებას გაძლევს, დაიჯერო, რომ რაღაცას აკეთებ მაშინ, როცა უსაქმურობ.**
**რალფ უოლდო ემერსონი**

**354 წელს** დაიბადა ნეტარი ავგუსტინი, ქრისტიანი თეოლოგი, წმინდანი.
**1312 წელს** დაიბადა ინგლისის მეფე, ასწლიანი ომის ინიციატორი ედუარდ მესამე.
**1316 წელს** საფრანგეთში ჟან I გახდა მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე მცირეწლოვანი მეფე, რადგან დაბადებიდან მონარქად გამოაცხადეს (6 დღის შემდეგ კი ის აღესრულა).
**1805 წელს** ვენელმა ბაყალმა იოჰან ლანერმა გამოიგონა სოსისი, რომელსაც „ფრანკფურტერი" უწოდა.
**1831 წელს** დაიბადა ინგლისელი ფიზიკოსი, ელექტროდინამიკის შემქმნელი ჯეიმს მაქსველი.
**1914 წელს** აშშ-ში დააპატენტეს ქალის აზღუდები.
**1921 წელს** დაარსდა ვახტანგოვის სახელობის აკადემიური თეატრი.
**1933 წელს** ამერიკელმა მფრინავმა ჯ. ეინჯელმა მსოფლიოში ყველაზე მაღალი ჩანჩქერი — სალტო-ანხელი (ვენესუელა) აღმოაჩინა.

### 14 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**ადამიანი სუსტია — მუშტების ქნევისას მასში რაღაც იზრდება და ფართოვდება, ცივი მდუმარებისას კი — იკუმშება.**
**თომას მანი**

**1719 წელს** დაიბადა ავსტრიელი მევიოლინე, კომპოზიტორი, ვ. ა. მოცარტის მამა ლეოპოლდ მოცარტი.
**1765 წელს** დაიბადა ამერიკელი ინჟინერი, გემის გამომგონებელი რობერტ ფულტონი.
**1770 წელს** ინგლისელმა მოგზაურმა ჯ. ბრიუსმა ნილოსის შესართავი აღმოაჩინა.
**1840 წელს** დაიბადა ფრანგი მხატვარი-იმპრესიონისტი კლოდ მონე.
**1889 წელს** დაიბადა ინდოეთის პირველი პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლარ ნერუ.
**1907 წელს** დაიბადა მსოფლიოში ყველაზე პოპულარული საბავშვო მწერალი ასტრიდ ლინდგრენი.



# პირველი მოაზროვნე ადამიანი ჩინელი იყო?

**ჩინეთის პალეონტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერებმა, პროფესორ ჩანჩჟუ ძინის ხელმძღვანელობით, დაასკვნეს, რომ მოაზროვნე ადამიანი არა აფრიკაში, არამედ ჩინეთში წარმოიშვა. ამის დამადასტურებელ საბუთად მათ სამხრეთ ჩინეთში, გუანსის პროვინციაში აღმოჩენილი ადამიანის ნეშტის გამოკვლევები მოიყვანეს.**

მეცნიერებმა ეჭვი შეიტანეს არა მარტო ჰომო საპიენსის წარმოშობის ადგილში, არამედ ასაკშიც (აქამდე მიჩნეული 100 000 წლის ნაცვლად, ვარაუდობენ 110 000 წელს). თუ ჩინელ მეცნიერთა თეორია დასაბუთდება, ეს „მრავალრეგიონული ჰიპოთეზის" განვითარებაში ახალ წვლილს შეიტანს. ამ თეორიის თანახმად, თანამედროვე ადამიანები წარმოიშვნენ არა მხოლოდ აფრიკის მკვიდრთაგან, რომლებიც სხვა რეგიონების მოსახლე ხალხთან ამყარებდნენ კონტაქტს. ლონდონის ბუნებისმეტყველების ისტორიის მუზეუმის თანამშრომლის, პალეონტოლოგ კრის სტრინგერის აზრით, ჩინელმა მეცნიერებმა ნეანდერტალელის ნეშტი აღმოაჩინეს. სავარაუდოდ, ნეანდერტალელები თანამედროვე ჩინეთის ტერიტორიაზე სახლობდნენ.

# მზის სისტემის კიდეზე



**ნასასა და ევროპის კოსმოსური სააგენტოს ასტრონომებმა მზის სიტემის კიდეზე მძლავრი ენერგეტიკული გამოსხივება შენიშნეს, რომლის წარმოშობასაც ჯერჯერობით ვერ ხსნიან. აღმოჩენა ერთი წლის წინ ორბიტაზე გაყვანილი კოსმოსური აპარატის მეშვეობით გაკეთდა.**

„პოსტზე" მყოფი თანამგზავრი თვალყურს ადევნებს მზის სისტემიდან მილიარდობით კილომეტრით დაშორებულ ნეიტრალურ ატომებს და იკვლევს მზის ქარისა და ვარსკვლავთშორისი გარემოს ურთიერთზემოქმედებას. პროექტის მეცნიერ-მუშაკის სტივენ ფლიუზერის თქმით, თანამგზავრიდან მიღებული მონაცემები არ ესატყვისება მზის სიტემის არსებულ ფიზიკურ მოდელებს. ამასთან, თანამგზავრი უჩვენებს გამოსხივების ვიწრო დიაპაზონებს, რომლებიც სამჯერ უფრო მძლავრია, ვიდრე მეცნიერები ვარაუდობდნენ.

# ოპერაცია ჰიპნოზით?

**ქირურგიული ჩარევისას ნარკოზის გამოყენებას ბევრი გვერდითი მოვლენა ახლავს; ხოლო, თუ ოპერაცია საერთო ნარკოზის ქვეშ კეთდება, ორგანიზმს შემდგომ ხანგრძლივი აღდგენითი პერიოდი სჭირდება. ახლახან მედიცინის პროფესორმა დევიდ შპიგელმა სტენფორდის უნივერსიტეტიდან თავის კოლეგებს ქირურგიული ანესთეზიის ჰიპნოზით ჩანაცვლება შესთავაზა.**



„დროა ჰიპნოზი ბრიტანული მედიცინის პრაქტიკაში დავნერგოთ და პაციენტებზე ჰიპნოზური ზემოქმედება „შარლატანობად" აღარ მოვნათლოთ, — განაცხადა პროფესორმა ლონდონში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე, — ჰიპნოზს გვერდითი მოვლენები არ აქვს, მისი დახმარებით ოპერაცია უფრო სწრაფად კეთდება და პაციენტსაც შეუძლია უწყვეტი კავშირი იქონიოს ქირურგთან. ამასთან, ჰიპნოქირურგია გაცილებით იაფია ანესთეზიაზე."

კონფერენციის მონაწილეთა შორის „ჰიპნოზური" მეთოდიკის მომხრენიც და მოწინააღმდეგენიც აღმოჩნდნენ, თუმცა მათი რიცხვი, ვინც „ნოვატორობას" უარყოფითად მოეკიდა, უფრო დიდია, მიუხედავად იმისა, რომ მედიცინაში „ჰიპნოზური" გაუტკივარების დიდი გამოცდილება არსებობს. ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, როცა ქიმიური ანესთეზიის საშუალებები პრაქტიკულად არ არსებობდა, მკერდის სიმსივნის ამოკვეთისას ჰიპნოზს იყენებდნენ. ინგლისელი ექიმი უარდი კი მას ამპუტაციისას მიმართავდა. მისმა კოლეგამ და თანამემამულემ, ქირურგმა ელიოტმა ჰიპნოზის გამოყენებით 300-მდე, ხოლო ინდოელმა ექიმმა ესდეილმა 600 ოპერაცია გააკეთეს.

ალბათ, ბევრს ახსოვს, რომ 80-იანი წლების ბოლოს ტელევიზიით გადმოცემდნენ ცნობილი ფსიქოთერაპევტის ანატოლი კაშპიროვსკის სეანსებს, რომელმაც ერთხელ პაციენტ ქალს „ჰიპნოზური გაუტკივარება" ჩაუტარა ოპერაციისას. თანაც ამ დროს ჰიპნოზიორი — მოსკოვში, პაციენტი კი კიევში იმყოფებოდა. რამდენიმე წლის შემდეგ თეირანში, პაიამბარანის კლინიკაში ჰიპნოზის დახმარებით ორი საკეისრო ოპერაცია გაკეთდა. ორივე წარმატებით დასრულდა და ბავშვებიც გაჩნდნენ.

და მაინც, არის თუ არა ჰიპნოზი პანაცეა? საქმე ისაა, რომ ადამიანებს შთაგონების სხვადასხვაგვარი აღქმა აქვთ. ერთნი მას — იოლად, სხვანი კი გაჭირვებით ექვემდებარებიან. ამიტომ, თუ ჰიპნოზს კიდევაც გამოიყენებენ ოპერაციებისას, იქვე მუდამ იქნება ანესთეზიოლოგიც. თუმცა, შესაძლოა, მიმართონ ე. წ. „ჰიპნონარკოზსაც," როცა ავადმყოფი ნარკოზის მცირე დოზას მიიღებს და შემდეგ მას ჰიპნოზურ ტრანსში შეიყვანენ.

# 14 მლნ წლის წინ გაყინული ქვეყანა

**ანტარქტიდაში აღმოაჩინეს დაკარგული ქვეყანა, რომელიც იმავე სახითაა შემორჩენილი, როგორიც გამყინვარებამდე, 14 მლნ წლის წინათ იყო.**



სპეციალისტთა ჯგუფმა, რომელიც ყინულისგან თავისუფალ რეგიონში კვლევებს აწარმოებდა, პლანეტის ყველაზე სამხრეთით მდებარე კონტინენტის ტერიტორიაზე, სადაც გლობალურ გამყინვარებამდე, ალბათ, ტუნდრა იყო, უძველესი სიცოცხლის ნაშთები აღმოაჩინა. 200 000 წლის განმავლობაში ტემპერატურის კლებამ შედეგად ფლორისა და ფაუნის განადგურება გამოიწვია.

ჯგუფის ხელმძღვანელი, პროფესორი ეშვორთი გაოცა აღმოჩენილი ნიმუშების მსგავსებამ მათ თანამედროვე წარმომადგენლებთან, რომლებიც თითქმის მთელ მსოფლიოშია გავრცელებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ცოცხალ არსებათა ეს სახეობები იმდენად კარგად ეგუებიან ბინადრობის სამყაროს, რომ, კლიმატის მრავალგზის ცვლილების მიუხედავად, არ გადაშენებულან.

გამყინვარების მიზეზები დღემდე უცნობია, თუმცა, მეცნიერთა ვარაუდით, მათი კვლევების შედეგების გამოყენება კაცობრიობას საშუალებას მისცემს, კლიმატური ზღურბლი უკუმიმართულებით — გლობალური გამყინვარებიდან გლობალურ დათბობამდე — გადალახოს.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# დიდი სფინქსის საიდუმლო



**იდუმალი მხეცის გიგანტური სტატუა უკვდავების ელექსირს დარაჯობს. შუა საუკუნეების ალქიმიკოსები ჰერმეს ტრისმეგისტზე ლოცულობდნენ, რადგან, ლეგენდების თანახმად, ის ეზოთერული ცოდნის საფუძველჩამყრელი იყო და „ფილოსოფიური ქვის“ წარმოების საიდუმლოს ფლობდა, რომლის მეშვეობითაც, ნებისმიერი ლითონის ოქროდ გადაქცევა შეეძლო. „ფილოსოფიური ქვა“ კი უკვდავების ელექსირის შექმნის საფუძველიც გახლდათ.**

თავად ტრისმეგისტზე ძალიან ცოტაა ცნობილი. გადმოცემით, ის ეგვიპტური ღმერთის — ტოტის ვაჟი იყო და ნილოსის ნაპირზე პირველი პირამიდაც მან ააგო, რაც იმედს გვისახავს, რომ უკვდავების ელექსირის რეცეპტი დღემდე იქვე — გიზაში, პირამიდების კომპლექსთან, უფრო კონკრეტულად კი დიდი სფინქსის სტატუის წიაღში ინახება. პირამიდების ძირას გარინდული იდუმალი სფინქსი ყველა დროისა და ხალხების ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული სკულპტურაა (სიმაღლე 20 მ, სიგრძე — 57 მ). შესაძლოა, ამიტომაც მკვლევარები მას მუდამ უძველესი სამარხების თანმხლებ მეორეხარისხოვან ფიგურად აღიქვამდნენ. არადა, გვაქვს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ სფინქსი თავის წიაღში უდიდეს საუნჯეს ინახავს.

ხალხმა და დრომ სფინქსი არ დაინდეს. ეგვიპტის ერთ-ერთმა მმართველმა განკარგულება გასცა, ქვის ქანდაკებისთვის ცხვირი მოემტვრიათ. მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში რომელიღაც ბრიყვმა მას ჭურვები დაუშინა, ნაპოლეონის ჯარისკაცებმა კი სახეში — თოფები. 1988 წელს სფინქსის კისრიდან უშველებელი ლოდი მოწყდა და გრუხუნით ძირს დაეშვა. ლოდი აწონეს და თავზარი დაეცათ — ის 350 კგ-ს იწონიდა. ამის შემდეგ განგაში ატეხეს ეგვიპტელმა მეცნიერებმა და ხელისუფლებამ, შეშფოთდნენ იუნესკოს ექსპერტებიც. დადგინდა, რომ სკულპტურის გადასარჩენად ასობით მილიონი დოლარი იყო საჭირო. თანხების მოძიება ვერ მოხერხდა და ეგვიპტელები სკულპტურის რესტავრირებას საკუთარი ძალებით შეუდგნენ. ამ ფაქტმა მეცნიერთა ინტერესი სფინქსისადმი კიდევ უფრო გააღრმავა.

საინტერესო კვლევა ჩაატარეს იაპონელმა არქეოლოგებმა პროფესორ ს. იოშიმურას ხელმძღვანელობით, და დაასკვნეს, რომ სკულპტურის ქვები პირამიდების ბლოკებზე ძველი იყო, რის შემდეგაც მეორე სენსაცია მოხდა: ელექტრო აპარატმა უჩვენა, რომ ქვის ქანდაკების მარცხენა თათის ქვეშ ვიწრო გვირაბი გადიოდა.

მოკლე ხანში ქვის ლომის კვარცხლბეკთან ჰიდროლოგთა ჯგუფი დაბანაკდა. ამჯერად სკულპტურის ძირში უხვი წყლისგან დარჩენილი ეროზიის კვალი აღმოაჩინეს. ჰიდროლოგების აზრით: „ეს ნილოსის კვალი კი არაა, რადგან წყლის მძლავრი ნაკადი ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მოედინებოდა, არამედ ბიბლიური წარღვნის!“ ანალიზებისა და გეოფიზიკოსებთან კონსულტაციების შემდეგ დასახელდა ამ მოვლენის სავარაუდო თარიღიც — 8000 წელი ჩვ. წ. აღ.-მდე.

ინგლისელებმა ეს ანალიზები გაიმეორეს და თარიღი უკან — 12000 წლამდე, საუკუნეების სიღრმეში გადაწიეს. თანაც აღნიშნეს, რომ წყლის ეროზიის ნიშნები კლდის იმ დამუშავებულ ნაწილზეც აღინიშნება, სადაც სფინქსი გარინდულა. გამოდის, რომ იდუმალი მხეცი იქ წარღვნამდეც იდგა! მით უფრო, რომ ფრანგმა არქეოლოგებმა აღნიშნეს: ეგვიპტური წარღვნის თარიღი, პლატონის მიხედვით, ლეგენდარული ატლანტიდის დაღუპვას უკავშირდება...

მაშ, ასე, სფინქსის წარმოშობის საიდუმლო წარღვნამდელ ისტორიას უკავშირდება. რა ვიცით იმ ხანის შესახებ? პრაქტიკულად არაფერი, თუმცა არსებობს საფუძველი ვარაუდისთვის, რომ საუკუნეთა წიაღში ჩვენს პლანეტაზე მაღალგანვითარებული ცივილიზაცია არსებობდა, რომელმაც განჭვრიტა მოსალოდნელი კატასტროფა და შეეცადა, თავისი ცოდნა შთამომავლობისთვის შემოენახა.

ამ თვალსაზრისით ერთობ საინტერესოა ძველი ეგვიპტის სახელმწიფოს წარმოშობის „კოსმოსური“ ლეგენდები, რომელთა თანახმადაც, ნილოსის დაბლობზე ცეცხლოვანი ბურთით ღმერთები დაეშვნენ. მათი მეფე ტოტი „მზის ხომალდის ხელმძღვანელი“ იყო. ამ ღმერთებმა — ისინი კი ცხრანი იყვნენ — აბორიგენებს მედიცინის, მათემატიკის, ასტრონომიის, მიწათმოქმედების საფუძვლები შეასწავლეს. გადმოცემით, მათ დიდი ქალაქი ააშენეს, რომლის ცენტრშიც შუქურა აღმართეს, ტაძრის კედლებზე კი ახალი კალენდარი დახატეს... ეს ყველაფერი ღმერთების მოქმედებას ნაკლებად ჰგავს. ასე მისიონერები უფრო იქცევიან. ამიტომაც იშვა უამრავი ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ეგვიპტის პანთეონის ღმერთები ან კოსმოსიდან ჩამოსული სტუმრები, ანდა წარღვნას გადარჩენილი ატლანტიდელები იყვნენ. ისინი საოცარ ცოდნას ფლობდნენ და ეგვიპტელმა ქურუმებმაც ჩინებულად ისწავლეს ასტრონომია. განვითარების მაღალ დონეს მიაღწია მედიცინამაც — არსებობს მემფისის ქურუმთან საუბრის ჩანაწერები, რომელიც ირწმუნებოდა, რომ ტოტის ზეობის ხანაში (ტოტს დღეგრძელობისა და სიცოცხლის მბრძანებელსაც უწოდებდნენ) ადამიანებმა არ იცოდნენ, რა იყო ავადმყოფობა და სიბერე.

განვლო საუკუნეებმა, ღმერთების მოტანილი ცოდნა დავიწყებას მიეცა. თუ ძველმა ეგვიპტელებმა იცოდნენ, რომ დედამიწა მრგვალი იყო და მზის გარშემო ბრუნავდა, მათი შთამომავლები უკვე მიიჩნევდნენ, რომ ის ბრტყელია, ხოლო მზე ბროლის ცაზე მიმაგრებული ოქროს დისკია... დავიწყებას მიეცა „უკვდავების ელექსირიც,“ რომლის საიდუმლოს ფლობდნენ ტოტი და მისი ვაჟი ჰერმეს ტრისმეგისტი.

ეგებ მისიონერმა-ღმერთებმა განჭვრიტეს, რომ ადამიანები ნაბოძებ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს დაივიწყებდნენ და იზრუნეს იმაზე, რომ რაღაც მაინც შემონახულიყო? ამისათვის კი „საიდუმლო საცავი“ გამოძებნეს, სადაც „საცნობარო ლიტერატურა“ და სახელმძღვანელოები შეინახეს. და თუ სფინქსის ფიგურა მართლაც წარღვნამდელი ხანიდან შემორჩა, უკეთეს საიდუმლო საცავს ვერც ინატრებდნენ.

ძველისძველი ანდაზა ამბობს: „როცა სფინქსი ალაპარაკდება, ცხოვრება დედამიწაზე ჩვეული კალაპოტიდან ამოვარდება.“ იქნებ, ეს მინიშნებაა ცოდნის იმ საგანძურზე, რომელსაც, მართლაც, შეუძლია კაცობრიობის ცხოვრება მკვეთრად შეცვალოს?..

# ბუდას 14 შეგონება

**ადამიანის ყველაზე დიდი მტერი საკუთარი თავია.**
**ადამიანის ყველაზე დიდი სისულელე სიცრუეა.**
**ადამიანის ყველაზე დიდი მარცხი ამპარტავნებაა.**
**ადამიანის ყველაზე დიდი მწუხარება შურია.**
**ადამიანის ყველაზე დიდი შეცდომა საკუთარი თავის დაკარგვაა.**
**ადამიანის ყველაზე დიდი დანაშაული უმადურებაა.**
**ადამიანის ყველაზე ღირსეული წუხილი საკუთარი ღირსების დამდაბლებაა.**
**ადამიანის ყველაზე ღირსეული აღტაცება დაცემის შემდეგ ადგომაა.**
**ადამიანის ყველაზე დიდი დანაკარგი სასოწარკვეთაა.**
**ადამიანის ყველზე დიდი ქონება ჯანმრთელობა და გონებაა.**
**ადამიანის ყველაზე დიდი მოვალეობა გულწრფელი გრძნობებია.**
**ადამიანის ყველაზე დიდი ნიჭი დიდსულოვნებაა.**
**ადამიანის ყველაზე დიდი ნაკლი შეუგნებლობაა.**
**ადამიანის ყველაზე დიდი ნუგეში კეთილი საქმეებია.**



## ქრონოგრაფი

# რა მოხდა მსოფლიოში სხვადასხვა წელს 11-დან 18 ნოემბრამდე?

### 14 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**შური სხვა არაფერია, თუ არა სიძულვილი, რადგან სხვისი უბედურება — სიამოვნებას, ხოლო ბედნიერება უკმაყოფილებას იწვევს.**
**ბენედიქტ სპინოზა**

**1492 წელს** ქრისტეფორე კოლუმბმა თავის დღიურში პირველად აღწერა თამბაქო.
**1783 წელს** დაიბადა ინგლისელი ასტრონომი, ურანის აღმომჩენი უილიამ ჰერშელი.
**1837 წელს** კვებეკში გამოსცეს სტენოგრაფიის პირველი სახელმძღვანელო.
**1899 წელს** უინსტონ ჩერჩილი სამხრეთ აფრიკაში ბურებმა დაატყვევეს.
**1901 წელს** კინგ კემპ ჟილეტმა გამოიგონა სამართებელი, რომელსაც გალესვა არ სჭირდება. ასე იშვა „ჯილეტი.“
**1920 წელს** ჟენევაში ერთა ლიგის ასამბლეის პირველი სხდომა გაიმართა.
**1925 წელს** დაიბადა რუსი მწერალი და მთარგმნელი, დისიდენტი იული დანიელი.
**1926 წელს** ნიუ იორკში ტრანსლაცია დაიწყო კომპანია ენბი-სიმ.
**1938 წელს** ებრაელ ბავშვებს გერმანიის სკოლებში სწავლა აეკრძალათ.
**1949 წელს** ჩამოახრჩეს მაჰათმა განდის მკვლელები.
**1988 წელს** ალჟირში გამოცხადდა პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა ისრაელის ტერიტორიაზე.
**1994 წელს** ჩოგბურთელმა მარტინა ნავრატილოვამ თავისი ბოლო მატჩი ითამაშა.

### 16 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**წარმატების მისაღწევად მხოლოდ სიბრიყვე არ კმარა, მას კარგი მანერებიც უნდა დაერთოს.**
**ვოლტერი**

**ჩვ. წ. აღ.-მდე 42 წელს** დაიბადა რომის მეორე იმპერატორი ტიბერიუსი.
**1582 წელს** ივანე მრისხანემ თავისი ვაჟი მოკლა.
**1700 წელს** პრუსია სამეფოდ გამოცხადდა.
**1717 წელს** დაიბადა ფრანგი ფილოსოფოს-ენციკლოპედისტი, მათემატიკოსი, მწერალი, „ენციკლოპედიის“ რედაქტორი ჟან დ'ალამბერი.
**1824 წელს** აღმოაჩინეს ავსტრალიის ყველაზე გრძელი მდინარე მურეი.
**1841 წელს** ნიუ იორკში ნ. ჰარენმა დააპატენტა კორპის სამაშველო რგოლი.
**1848 წელს** ლონდონში თავისი ბოლო კონცერტი გამართა ფრედერიკ შოპენმა.
**1907 წელს** ოკლაჰომა აშშ-ის 46-ე შტატად გამოცხადდა.
**1913 წელს** პარიზში გამოიცა მარსელ პრუსტის ეპოპეის — „დაკარგული დროის ძიებაში“ — I ტომი.
**1924 წელს** დაიბადა სუპერჯაშუში, აგენტი 007 — ჯეიმს ბონდი.
**1933 წელს** სსრკ-სა და აშშ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა.
**1966 წელს** წყნარი ოკეანის რაიონში მსოფლიოში ყველაზე დიდი მეტეორიტული წვიმა დაფიქსირდა (2300 მეტეორიტი წუთში).

### 17 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**სამწუხაროდ, გაურკვეველი ასაკის ქალი მხოლოდ გარკვეულ ასაკამდე შეიძლება იყო.**
**სემიონ ალტოვი**

**375 წელს** ბარბაროსებთან ბრძოლაში დაიღუპა რომის იმპერატორი ვალენტინიან I.
**1755 წელს** დაიბადა საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XVIII.
**1790 წელს** დაიბადა გერმანელი მათემატიკოსი, ერთმხრივი ზედაპირების არსებობის აღმომჩენი ავგუსტ მებიუსი.
**1796 წელს** გარდაიცვალა რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II.
**1855 წელს** ინგლისელმა მოგზაურმა დ.ლივინგსტონმა ვიქტორიას ჩანჩქერი აღმოაჩინა.
**1869 წელს** საფრანგეთის იმპერატრიცა ევგენიამ საზეიმოდ გახსნა სუეცის არხი გემების მიმოსვლისთვის.
**1875 წელს** ელენა ბლავატსკაიამ და ჰენრი ოლკოტმა ნიუ იორკში თეოსოფიური საზოგადოება დააარსეს.
**1887 წელს** დაიბადა ინგლისელი ფელდმარშალი, გენშტაბის უფროსი, ნატოს სარდლის პირველი მოადგილე ბერნარდ მონტგომერი.
**1922 წელს** ციმბირი ოფიციალურად შეუერთდა რუსეთს.
**1935 წელს** სტახანოველთა კრებაზე სტალინმა განაცხადა: „ცხოვრება უფრო გაუმჯობესდა და გახალისდა!“
**1938 წელს** იტალიაში ანტიებრაული კანონები მიიღეს.
**1942 წელს** ჩან კაიშის მეუღლემ აშშ-ის პრეზიდენტს — ფ.რუზველტს ბირმაში შეჭრა გადააფიქრებინა.

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რა ღირს გატეხილი კალამი?

**პოლონეთის პრეზიდენტმა, ლეხ კაჩინსკიმ აუქციონის წესით გაყიდა კალამი, რომელიც ლისაბონის ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში გატყდა. კალმის მფლობელი პრეზიდენტის ერთ-ერთი მთავარი კრიტიკოსი, სეიმის დეპუტატი იანუშ პალიკოტი გახდა. მან ლოტი 18 100 ზლოტად (დაახლოებით 6300 დოლარი) იყიდა. კაჩინსკი ამ თანხით ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვებს დაეხმარება.**




კაჩინსკის 2008 წლის აპრილიდან უჩიჩინებენ, ხელი მოაწეროს შეთანხმებას, რომელმაც პოლონეთის სეიმსა და სენატში კარგა ხნის წინათ გაიარა რატიფიკაცია. პრეზიდენტმა 18 თვის განმავლობაში იფიქრა და 2009 წლის 10 ოქტომბერს, როდესაც ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა, ლისაბონის ხელშეკრულება საკუთარი ხელმოწერით დაემშვენებინა, გადამწყვეტ მომენტში პრესტიჟული ფირმა „Stipula"-ის კალამი ხელში ჩაატყდა. კიდევ კარგი, იქვე მყოფ მის თანაშემწეს უბრალო, ბურთულიანი კალამი აღმოაჩნდა და კაჩინსკიმ, როგორც იქნა, ხელი მოაწერა დოკუმენტს.

# რატომ გააგდეს გუნდიდან მეკარე?



**პოლონელი მეკარე არკადიუშ ონიშკო დანიური საფეხბურთო კლუბ „მიდტიულანდიდან" ჰომოფობიური გამონათქვამების გამო გააძევეს. თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „Fucking Polak", სპორტსმენმა განაცხადა, რომ გეებს ვერ იტანს და შეეწირა კიდევაც მისი კონტრაქტი ამ განცხადებას.**

ავტობიოგრაფიაში ონიშკო წერს, რომ გული ერევა, როდესაც გეების საუბარს ისმენს.

ინტერვიუში მეკარემ განაცხადა, რომ როგორც ჭეშმარიტი კათოლიკე, ჰომოსექსუალიზმს მიუღებლად მიიჩნევს. ონიშკომ „მიდტიულანდთან" კონტრაქტი 2009-2010 წლის სეზონის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე გააფორმა, მანამდე კი დანიის სხვა კლუბების წევრი იყო.

# ვინ დაიჭერს ლუქსემბურგელ პანტერას?

**მალმედელმა ცოლ-ქმარმა ბელგიის სამხრეთ-აღმოსავლეთით ვიდეოზე შავი პანტერა დააფიქსირა. თავიდან ტყეში სოკოს საკრეფად წასულ წყვილს დიდი შავი ცხოველი, რომელიც მათი მიმართულებით მოძრაობდა, ძაღლი ეგონა და მისი ვიდეოკამერით გადაღება დაიწყო.**



კადრის რვაჯერ გადიდების შემდეგ ჟან-კლოდ გაბრიელმა შენიშნა, რომ ცხოველი ძაღლი კი არა, პანტერა იყო. ადამიანების მიახლოებისას ცხოველმა ტყეს შეაფარა თავი. ახლა აღნიშნულ ტყეს მეტყევეებისა და პოლიციის ერთობლივი პატრული აკონტროლებს. ხალხს სიფრთხილისაკენ მოუწოდებენ. ამ ვიდეომდე ადგილობრივი მცხოვრებნი არაერთხელ იუწყებოდნენ, რომ არდენის მთებში უცნაური ცხოველი დასეირნობდა. ლუქსემბურგისა და საფრანგეთის მიმდებარე რაიონებისათვის პანტერა ძალზე უჩვეულო მოვლენაა და ახლაც არავინ იცის, როგორ მოხვდა ის ბენილუქსის ტყეებში.

# ვინ მიდის საკუთარ დაკრძალვაზე?

**ბრაზილიელი ადემირ ჟორჟი გონსალივესი საკუთარ დაკრძალვაზე გამოცხადდა.**



საქმე ისაა, რომ 1 ნოემბერს ბრაზილიაში მომხდარ ავტოავარიაში დაღუპული მამაკაცის აბსოლუტურად დამახინჯებულ გვამში ნათესავებმა 59 წლის გონსალივესი ტანსაცმლით ამოიცნეს. ავარიის საღამოსა და მთელი ღამის განმავლობაში თავად ადემირი ადგილობრივ ბარში სვამდა და აზრადაც არ მოსვლია, რომ ნათესავებმა უკვე დანიშნეს მისი დაკრძალვის დრო.

შეიტყო რა საკუთარი „გარდაცვალების" შესახებ, გონსალესი დაუყოვნებლივ გამოცხადდა საკუთარ დაკრძალვაზე და ცერემონიის დასრულებისთანავე მეგობრებთან ერთად გაემართა „მკვდრეთით აღდგომის" აღსანიშნავად.

# რატომ უნდა ვჭამოთ ძაღლები?

**ბრიტანელი მეცნიერები გვირჩევენ, ძაღლებსა და კატებს თავი დავანებოთ და, თუ მაინცდამაინც გვინდა, სახლში ფაუნის წარმომადგენელი ვიყოლიოთ — კურდღლებსა და წიწილებს დავჯერდეთ.**

ბრენდა და რობერტ ვეილების წიგნს შოკის მომგვრელი სახელწოდება აქვს: „ძაღლების ჭამის დრო". მეცნიერებს ეს ფრაზა იმ დროიდან ახსოვთ, როდესაც ადამიანები ანტარქტიდას ითვისებდნენ. მას შემდეგ, რაც საგზალი უთავდებოდათ, მოგზაურებს თავიანთი „სამგზავრო" ძაღლებით კვება უწევდათ. წიგნის ავტორებს სურთ, მკითხველს უთხრან, რომ ახლა, როდესაც ბუნებრივი რესურსები ილევა, შინაური ცხოველების ყოლა გადამეტებული ფუფუნებაა, რომლის უფლებასაც პლანეტის გადასარჩენად საკუთარ თავს არ უნდა ვაძლევდეთ. ვეილების გათვლით, ერთ ძაღლს წელიწადში საშუალოდ 164 კილოგრამი ხორცი და 95 კილოგრამი მარცვლეული სჭირდება. მარტივად რომ ვთქვათ, ერთი ავტომანქანა გარემოს ორჯერ უფრო ნაკლებად აბინძურებს, ვიდრე ერთი ძაღლი.



მსგავსი მეთოდითაა დათვლილი სხვა შინაური ცხოველების მიერ მოტანილი ზიანიც. მაგალითად, კატა ერთი დიდი ფურგონის ტოლფასად აბინძურებს გარემოს, წითელი თევზი — ორი ცალი მობილური ტელეფონის ტოლფასად, ორი ზაზუნა — ერთი პლაზმური ტელევიზორის ტოლფასად და ასე შემდეგ.

ხომ წარმოგიდგენიათ, რა აჟიოტაჟს გამოიწვევდა წიგნი იმ ქვეყნებში, სადაც ძაღლებისა და კატებისთვის სასტუმროები და კაფეებიც კი აქვთ გახსნილი.

ავტორებს რა აღარ დააბრალეს, მათ შორის ისიც, მათემატიკური შეცდომებითაა მათი ნაშრომი სავსეო, მაგრამ სხვადასხვა უნივერსიტეტის მეცნიერებმა „გადაამოწმეს" და განაცხადეს, სხვა გზა არ არის, უნდა დავეთანხმოთო.



ვეილები თვლიან, რომ ვინაიდან ძაღლების ჭამა არ გვინდა, სახლში ისეთი ცხოველები უნდა ვიყოლიოთ, რომლებიც თავად წარმოადგენენ ადამიანისათვის საკვებს და ამ მხრივ აბრუნებენ მოხმარებულ ენერგიას.

# რას ამბობს პირველი არაბი რობოტი?

**არაბეთის გაერთიანებული ემირატების ალ-აინეს უნივერსიტეტის თანამშრომლებმა შექმნეს პირველი რობოტი, რომელსაც არაბულ ენაზე „ლაპარაკი" შეუძლია. ჰუმანოიდს ევროპაში ავიცენას სახელით ცნობილი XI საუკუნის მეცნიერისა და ფილოსოფოსის საპატივცემულოდ იბნ სინა დაარქვეს.**



შემქმნელებმა რობოტი ოქროსფერ-თეთრი ტანსაცმლით შემოსეს და გრძელი თეთრი წვერიც მიაბეს, რათა, რაც შეიძლება, მეტად დამსგავსებოდა თავის პროტოტიპს.

გეგმების მიხედვით, მალე ასეთი რობოტების სერიული წარმოება დაიწყება. ისინი სავაჭრო ცენტრებში „იმუშავებენ" დამხმარეებად, გამყიდველებად და საინფორმაციო პერსონალად. იბნ სინამ პირველი სამუშაო დღე უკვე წარმატებით დაასრულა.

რობოტი ზუსტ პასუხს იძლევა შეკითხვებზე, რადგან შეუძლია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს ინტერნეტს, იქ კლიენტისათვის საჭირო პასუხები მოძებნოს და ეკრანზე გამოიტანოს. იბნ სინა კლასიკურ არაბულ ენაზე ლაპარაკობს, შეუძლია ამოიცნოს მოლაპარაკის სახის გამომეტყველება და საკუთარი სახის შესაბამისი, ადამიანისთვის დამახასიათებელი გამომეტყველებით უპასუხოს.

# სად ხატავენ ბრინჯით?

**პატარა ქალაქ ინაკადატეში, რომელიც ტოკიოდან დაახლოებით 600 კილომეტრითაა ჩრდილოეთისკენ დაშორებული, იაპონელმა ფერმერებმა ხელოვნების ახალი სახეობა გამოიგონეს. ისინი ბრინჯის მინდვრებზე ხატავენ. საღებავად სხვადასხვა ჯიშის ბრინჯი გამოიყენება. ჩვეულებრივი ყვითელი ბრინჯის ნათესები შორიდან ღია მწვანედ ჩანს, მუქი ბრინჯი კი — თითქმის შავად. ნიჭიერი იაპონელების შემოქმედება მხოლოდ სახეობათა უბრალო სელექციაა. მთავარია, იცოდე, როდის რომელი ბრინჯი დათესო.**



ამ ხალხმა ბრინჯით მხატვრობა ჯერ კიდევ 1993 წელს დაიწყო შრომისმოყვარეობისა და ენთუზიაზმის ხარჯზე. იდეებისთვის კრედიტებს რომ არ გასცემდნენ, ამის შესახებ მშვენივრად იცოდნენ და არც ელოდნენ რაიმე მხარდაჭერას. ჯერ მარტივ ნახატებს სჯერდებოდნენ, მაგალითად: მთებს ან წარწერებს, შემდეგ კი მონა-ლიზას გამოსახულებაზე მოინდომეს ექსპერიმენტის ჩატარება.

თავიდან მინდორი არცთუ ისე დიდი იყო, დაახლოებით 2500 კვადრატული მეტრი. გამოიცადა ბრინჯის არაერთი სახეობა, რათა ფერთა პალიტრა შემდგარიყო. შემდეგ კი უზარმაზარი ნახატებისთვის 15 000 კვადრატული მეტრი ფართობი გამოიყო.

სულ ახლახან ბრინჯის მხატვრობის ფუძემდებლებმა კომპიუტერის გამოყენება დაიწყეს ფერების ზუსტად შეხამებისა და შერჩევისათვის. ამან კი მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ფერმერთა მდგომარეობა და მრავალფერი, სერიოზული ნახატების მაქსიმალური სიზუსტით შესრულება გახდა შესაძლებელი. შედეგად ახლა ინაკადატეს მინდვრებს ედოს პერიოდის ნახატების მთელი კრებული ამშვენებს.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რისთვის გადიან გამოცდაზე 950-ჯერ?

**950-ე ცდის შედეგად 68 წლის სამხრეთ კორეელმა ჩხე სა სუნმა, როგორც იქნა, ჩააბარა წერითი გამოცდა ავტომანქანის მართვის მოწმობის მისაღებად.**



2005 წლის აპრილიდან ჩხე სა სუნი პრაქტიკულად ყოველდღე მიდიოდა გამოცდაზე თეორიის ჩასაბარებლად და 950-ჯერ გასვლის უფლების მისაღებად; საერთო ჯამში დაახლოებით ხუთი მილიონი ვონი (4200 ამერიკული დოლარი) გადაიხადა. ქალის შეუპოვრობით ჯერ ადგილობრივი მასმედია დაინტერესდა, შემდეგ კი ეს ამბავი მთელ მსოფლიოს მოედო.

5 ნოემბერს ჩხე სა სუნმა დამაკმაყოფილებელი ქულა მიიღო — 100-დან 60 კითხვას სწორად უპასუხა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაა საბოლოო გამარჯვება, ახლა ქალბატონს „პრაქტიკის“ ჩაბარება მოუწევს მართვის მოწმობის მისაღებად. ჩხე სა სუნს ბოსტნეული მოჰყავს და წვრილმანებით ვაჭრობს. ახლა თავის საქონელს ურიკით დაატარებს, მართვის მოწმობა კი იმისთვის უნდა, რომ მომხმარებელთან პროდუქტი მანქანით მიიტანოს.

# სად გაქრა ბავშვი?

**ფლორიდის ხელისუფლებამ ხუთი დღის დაკარგული ბავშვი ძიძის საწოლის ქვეშ იპოვა. გატაცებაში თანამონაწილეებად გოგონას დედა, ძიძა და მისი ქმარი ითვლებიან.**






7 თვის შენონ დედრიკის დაკარგვის თაობაზე მშობლებმა 31 ოქტომბერს განაცხადეს. ბავშვის ცოცხლად პოვნის იმედი აღარავის ჰქონდა. პოლიციელებმა კარგად იცოდნენ, რომ დრო მათ წინააღმდეგ მუშაობდა და ამბის მოსალოდნელ საშინელ დასასრულს ეგუებოდნენ.

აბსოლუტურად ჯანმრთელი შენონის საწოლის ქვეშ პოვნის შემდეგ, ეს, ვითომდა ათას ჭირს შეგუებული, კაცები სიხარულის ცრემლებს ვერ იკავებდნენ, ცოლებს და ახლობლებს ურეკავდნენ, რომ სიხარული გაეზიარებინათ.

ახლა მთავარი ამოცანა გოგონას იდუმალი გაუჩინარების მიზეზების დადგენაა. პოლიციისთვის მთავარი ეჭვმიტანილი შენონის ძიძა, სიუზენ ბეიკერია, რომელიც 22 წლის წინათ ერთხელ უკვე იყო ეჭვმიტანილი პატარა ბიჭის გაყიდვის საქმეში.

მაშინ ბავშვის ძებნა აბსოლუტურად უშედეგოდ დასრულდა. შვილისადმი სასტიკი მოპყრობის გამო, შესაძლოა, ბრალდებული აღმოჩნდეს შენონის დედა, კრისტინ ლინ მერცერიც.

# რა უნდათ პითონებს წყალსადენში?

**ამერიკის შტატ ფლორიდას ქალაქ ბრედენტონში ცხოველების მიმართ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისადმი საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად მოქალაქემ 4-მეტრიანი პითონი წყალსადენის მილში გაუშვა.**

47 წლის ჯასტინ მეთიუზმა სამაშველო სამსახურში დარეკა და განაცხადა, რომ სკოლის მახლობლად მდებარე წყლის მილში გველია. ველური ცხოველების დაჭერაში დახელოვნებულმა მეთიუზმა ადგილზე მისულ მაშველებს აჩვენა, როგორ ამოყავდა მილიდან ოთხმეტრიანი პითონი. ამასთანავე, მან მოითხოვა, რომ პროცესი თავიდან ბოლომდე გადაეღოთ ვიდეოკამერით და შემდეგ ეს ჩანაწერი ადგილობრივი ტელეარხით გადაეცათ. მოგვიანებით მეთიუზმა აღიარა, რომ გველი მისი საკუთრება იყო. მან ის ივლისში იყიდა და სპეციალურად გაუშვა წყალსადენის მილში. ამერიკელი ირწმუნება, რომ სურდა, საზოგადოებისთვის დაენახვებინა, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ეგზოტიკური ცხოველების მეპატრონეთა დაუდევრობას. რამდენად კარგად გამოუვიდა ჩანაფიქრის განხორციელება, ამის შესაფასებლად მეთიუზს საკმაო დრო ექნება. მას სამაშველო სამსახურში უმიზეზო ზარებისა და პოტენციურად საშიში სიტუაციის შექმნის ბრალდებები წაუყენეს და დააპატიმრეს. თავად ინციდენტის გმირი ამ ბრალდებებს, ცხადია, არ ეთანხმება და გასაჩივრებას აპირებს. მანამდე კი პატიმრობიდან თავის დასახსნელად 5750-დოლარიანი ჯარიმა გადაიხადა. შეგახსენებთ, რომ ამერიკას გველების თემაზე უკვე აღარ ეცინება, ფლორიდის შტატის ხელისუფლება გამწარებული ებრძვის მეპატრონეთა დაუდევარი მოპყრობის წყალობით უსაშველოდ გამრავლებულ პითონებს.



# სიკვდილი თუ დამცირება?

**51 წლის გერმანელი, რომელიც 230 კილოგრამს იწონიდა, საკუთარ ახირებულობას ემსხვერპლა.**



ტომას ლესმანი ჰამბურგის საავადმყოფოში დაღლილობისა და თავბრუს ხვევის ჩივილებით მიიყვანეს. ექიმებმა განაცხადეს, რომ პაციენტს აუცილებლად ესაჭიროებოდა რენტგენული გამოკვლევა, მაგრამ მისი უზარმაზარი წონის გამო, ჩვეულებრივ, 200 კილოგრამამდე წონის ადამიანებისთვის განკუთვნილ აპარატზე გამოკვლევა ვერ ჩაუტარდებოდა. ექიმებმა გამოსავალიც მოძებნეს და პაციენტი ჰამბურგის ზოოპარკში გაამწესეს, სპილოების, მარტორქებისა და ჰიპოპოტამებისთვის განკუთვნილ სპეციალურ რენტგენის აპარატზე გამოსაკვლევად. მაგრამ ლესმანმა დაასკვნა, რომ ამგვარი გამოკვლევა მისთვის დამამცირებელი იქნებოდა და 13 დღის შემდეგ დიაგნოზის გარეშე გარდაიცვალა.

# რა საჭიროა კოცნა?

**ამ არაჩვეულებრივი რიტუალის გაჩენის ნამდვილი მიზეზი მიღებულზე უამრავჯერ ნაკლებპოეტურია. ყოველ შემთხვევაში, ბრიტანელმა მეცნიერებმა მას აბსოლუტურად პრაგმატული ახსნა მოუძებნეს.**



ადამიანის იმუნური სისტემა, უკვე დიდი ხანია, უპრობლემოდ უმკლავდება ციტომეგალოვირუსს, რომელიც ნერწყვში ჩნდება და როგორც წესი, არანაირ პრობლემას არ წარმოშობს. მაგრამ ეს უვნებელი ვირუსი, შესაძლოა, უსასტიკეს დაავადებად იქცეს ორსული ქალის შემთხვევაში და ბავშვისთვის არა მხოლოდ უამრავი თანდაყოლილი დეფექტის (სიყრუიდან ცერებრალურ დამბლამდე), არამედ მისი სიკვდილის მიზეზიც გახდეს.

მეცნიერთა აზრით, ციტომეგალოვირუსის ყველაზე ეფექტური წამალი ქალისთვის მამაკაცის კოცნაა. საუბარია ვირუსის სპეციფიურ, „მამაკაცურ“ ვარიანტზე, რომელთან შეგუებისთვისაც იმუნურ სისტემას საკმაო დრო აქვს. აქამდე მეცნიერები თვლიდნენ, რომ კოცნა ევოლუციური გადმონაშთია, რომელიც ადამიანებს „ხარისხის შემოწმების“ საშუალებასთან ერთად მემკვიდრეობის, ჯანმრთელობისა და გენების თაობაზე აწვდიდა ინფორმაციას.

# რა ხდება ოკეანის ფსკერზე?

**მსოფლიო ოკეანის ფსკერზე მნიშვნელოვანი ცვლილებები დაიწყო და ეს ყველაფერი ისევ და ისევ კლიმატის ცვლილებას უკავშირდება. მეცნიერებმა ამის დამადასტურებელი უამრავი ფაქტი აღმოაჩინეს.**



კალიფორნიაში, მონტერეის ყურის წყალქვეშა კვლევების ინსტიტუტის მეცნიერებმა გადაწყვიტეს, გაერკვიათ, თუ როგორ მოქმედებს ოკეანის ზედა ფენებში მიმდინარე კლიმატური ცვლილებები სიღრმისეულ ეკოსისტემებზე. მეცნიერებმა ატლანტიკისა და წყნარი ოკეანეების ჩრდილო ნაწილი 4 კილომეტრზე მეტ სიღრმეზე გამოიკვლიეს. იქ სინათლის სხივი არასდროს ხვდება. იქაური ეკოსისტემები ერთმანეთის ხარჯზე ან შედარებით ზედა ფენებიდან ჩაღწეული მტაცებლებით, ფიტოპლანქტონითა და ზოოპლანქტონით იკვებებიან. მეცნიერთა თქმით, სიღრმეში ამა თუ იმ სახით ფიტოპლანქტონის მიერ წარმოებული პირველადი პროდუქტის მხოლოდ 5% ხვდება, ამიტომ იქაურობის მკვიდრნი მის მთლიანად და უპრეტენზიოდ გადასამუშავებლად არიან მომართულნი. ნებისმიერი დისბალანსი, რომელიც ორგანიკის მიწოდებას უკავშირდება, სერიოზულად ცვლის სიღრმისეულ ეკოსისტემებს. უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში მსოფლიო ოკეანის ზედა ფენებში ტემპერატურის მატება ქმნის წყლის ფენებს, რომლებიც ცუდად გადაადგილდებიან. საკვები ნივთიერებებით მდიდარი ზედა ფენები სიღრმეში, უბრალოდ, აღარ ჩადის. ფენების იზოლირებამ წყლის უამრავი ბინადარი შეიწირა, სამაგიეროდ მომრავლდნენ სახეობები, რომლებიც მკვდარი ორგანიზმებით იკვებებიან. მეცნიერებს ჯერ არ აქვთ პასუხი კითხვაზე, რა მოხდება შემდეგ, ანუ რა ცვლილებებს გამოიწვევს ზედაპირზე, თავის მხრივ, ზედაპირული ცვლილებებით გამოწვეული ოკეანის ფსკერის გადასხვაფერება, მაგრამ ეს გადასხვაფერება რომ უკვე არნახულ მასშტაბებს იძენს, ამაზე აღარავინ დაობს.



# რატომ გამელოტდნენ დათვები?

**გერმანიის ქალაქ ლაიფციგის ზოოპარკში მოულოდნელად სათვალიანი დათვები გამელოტდნენ. 15 წლის დოლორესი და 11 წლის ლოლიტა იდუმალი სენით არიან დაავადებულნი — ხშირი გრუზა ბეწვისგან მხოლოდ აქა-იქ ამოშვერილი ღინღლიღა დარჩათ. დროდადრო ცხოველებს კანზე გამონაყარი და გაღიზიანება აღენიშნებათ.**

ზოოპარკის თანამშრომლები საგონებელში არიან და ვერ გაუგიათ, რამ გამოიწვია დათვების ამგვარი მდგომარეობა, მაგრამ ირწმუნებიან, რომ ცხოველების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

უბეწვო დათვები ზამთარში რომ არ გაიყინონ, მათ დახურულ ვოლიერებში გადაიყვანენ. მიუხედავად იმისა, რომ გამელოტებამდე დოლორესი და ლოლიტა ბევრად უფრო მომხიბვლელები იყვნენ, მათი ნახვის მსურველთა რაოდენობამ საგრძნობლად სწორედ ახლა იმატა. ზოოპარკში შიშველი დათვებისთვის სურათის გადაღების მსურველთა უზარმაზარი რიგი მუდმივად დგას. სათვალიანი დათვები ლაიფციგის ზოოპარკში სამხრეთ ამერიკიდან შეიყვანეს. როგორც წესი, ამ ჯიშის წარმომადგენლებს მუქი შავი სქელი ბეწვი აქვთ. თვალების ირგვლივ გაყოლებული ჩალისფერი ზოლი კი სათვალის იმიტაციას ქმნის.

# «გამამაბუასილებული» ბენდუქიძის უკან მოურჩენელი პრობლემები




— მიხო, გაიგე, რა უთქვამთ, თურმე დედამიწა ბრუნავსო...
— მაიცა, დედაკაცო, რა გაყვირებს?! ბენდუქიძემ არ გაიგოს, თორემ „კატაოზის“ ფულსაც გადაგვახდევინებს!

**თავიდანვე ყველასთვის ცხადი იყო, რომ პატრიარქის წინააღმდეგ წამოწყებული ანტიმართლმადიდებლური და, ვთქვათ პირდაპირ, არაადამიანური კამპანიის უკან ხელისუფლების ურწმუნო ნაწილი იდგა. სიტყვა „ნაწილი“ შემთხვევით არ მიხსენებია. ეჭვი არ მეპარება, რომ სახელისუფლო ვერტიკალშიც არიან ადამიანები, რომლებიც ჩემზე არანაკლებ შეძრა ინტერნეტით გავრცელებულმა კლიპებმა და „თავისუფლების ინსტიტუტისა“ თუ მათი დამცველების კომენტარებმა, საზოგადოების ჯერ გაოგნებას და შემდეგ აღშფოთებას რომ მოჰყვა.**

ბუდარიხა თუთბერიძის წიწინის შემდეგ თუ რამე გამაკვირვებდა, არ მეგონა, მაგრამ, თურმე ჯერ სადა ვართ — გაოცება წინ გველოდა!

„მე ვარ მამა ბუასილი“ — ასე გამოეხმაურა ხალხის აღშფოთებას კახა ბენდუქიძე.

**მართალი გითხრათ, თავის დროზე ვერ მივხვდი, რატომ მოექცნენ ე. წ. ზვიადისტები ასე დაუნდობლად და რატომ შეაფურთხეს სახეში. ახლა კი, ანუ მას შემდეგ, რაც ბენდუქიძემ „მამაბუასილობა“ აღიარა, მაოცებს ამ ხალხის მიხვედრილობა: „ბენდუქიძე იუდა“ — ასეთი შეძახილები კარგა ხანს ისმოდა ეკონომიკის სამინისტროს შენობასთან. ჯერ კიდევ როდის მიხვდნენ, რომ ეს მოუქნელი კაცი (პირობითად!) არცთუ ისე შორეულ მომავალში „მამაბუასილად“ ჩამოიქნებოდა.**

იუპიტერისა და ხარის შესახებ გამოთქმას თუ გავიხსენებთ და ბენდუქიძე-თუთბერიძეს შევადარებთ, უდაოა, იუპიტერის როლი კახას უფრო შეეფერება, ხოლო ხარისა — თეას **(ვაი, როგორც ლუარსაბი იტყოდა, შენი სულისა, — ეს უშობელი ხარობას „გაქაჩავს“?).** აქაც პირობითად, თორემ ბენდუქიძე იუპიტერს კი არა, იმ ბეჰემოტს უფრო ჰგავს, რომელსაც უკან მოურჩენელი პრობლემები აწუხებს და ბუნებრივი მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობით დატანჯულს ხასიათში გადაუვიდა. სხვაგვარად როგორ უნდა აიხსნას ამხელა (ფორმითა და შინაარსით) კაცის (რა ვქნა, უნდა გავიმეორო — პირობითად!) „გამამაბუასილება“?

მოუსმინეთ, ეს საქართველოს ეკონომიკის „ბუასილი თუ ათაშანგი“ როგორ მკრეხელობს: **„სიტყვის თავისუფლება პატრიარქზე მაღლა დგას. თავისუფლებას ზოგადად ჩარჩოები აქვს, მაგრამ პატრიარქის გინება შეიძლება... დიახ, საქართველოს პატრიარქის გინებაზე ვსაუბრობ. ეს არ შეიძლება იყოს დასჯადი“.** მისთვის **უწმინდესი და უნეტარესი** (ეს წოდება მთელ საქრისტიანო სამყაროში მხოლოდ საქართველოს პატრიარქს აქვს) „უბრალო ადამიანია“. სწორედ ასე თქვა და ისიც მოაყოლა, რომ „პატრიარქობა მისი თანამდებობაა“.

რა უნდა გაგიკვირდეს ადამიანისგან (რა ვქნა, კიდევ უნდა გავიმეორო — პირობითად!), რომელიც ამბობს, რომ **„გინების უფლება ცივილიზაციაა“**?! საკუთარი სტომაქის იქით ვერაფერს ხედავს და, მეტი რაღა დარჩა, ამ მხრივ მაინც გამოჩნდეს „ცივილიზებულად“.

**მას შემდეგ, რაც ქართული ეკონომიკა „გაასუხარა“, ნელ-ნელა სახელისუფლო ვერტიკალიდან დაცურებულმა ბენდუქიძემ თავისუფალი დროც გამონახა და თავის ბლოგზე (zarbazani.blogspot.com) ე. წ. ინტერაქტიული სოციოლოგიური გამოკითხვაც განათავსა. ბენდუქიძეს აინტერესებს, „როგორი პრეზიდენტი მოსულა“, „როგორი პრეზიდენტი მოსულა — ფიზიკური თვისებები“ და „როგორი პრეზიდენტია მიუღებელი საქართველოში“. იქვე უთითებს სავარაუდო პასუხებსაც, რომელთა გაცნობა დაგარწმუნებთ, რომ იგი აგდებულად ეკიდება არა მარტო პრეზიდენტ სააკაშვილს, არამედ, საერთოდ, საზოგადოებას.**

მაგალითად, ბენდუქიძისთვის „მოსულა“, რომ პრეზიდენტი „დადიოდეს ეკლესიაში“ (საფლავზე დაფიცება შეგვახსენა), „არ შეეძლოს ჩაცუცქულს საქმის გარჩევა“ (უკომენტაროდ!), „გული აერიოს“ (ნამდვილად სადღაც უნახავს), „იტიროს“ (ეს ყველამ ვნახეთ ტელეეთერით), „დედამ ასწავლოს აზერბაიჯანული“ (კომენტარისგან თავს შევიკავებ!), „ქოშინებდეს“ (აქ დაკონკრეტებული არ არის, გაქცეულ-გაგორებული უნდა ქოშინებდეს თუ...), „გააკუოს“ (ვაი!), „გააცუოს“ (ვუი!), „შეიყოს ცხვირში თითი“ (რაზე მიანიშნებს, როგორ ფიქრობთ?) და ასე შემდეგ და ამგვარ ტონალობაში. მეორე გამოკითხვაში კი „ფიზიკური თვისებებიდან“ **ბენდუქიძისთვის კვლავაც აქტუალურია მტირალა, ქოშინა, კუანა, ცუანა, ელამი პრეზიდენტი, რომელიც ცხვირში თითს იყოფს!**

ახლა კი ვნახოთ, ბენდუქიძის აზრით, როგორი პრეზიდენტია მისაღები საქართველოში. თურმე მისაღებია პრეზიდენტი, რომელიც სულ იცინის (ვაი!), არ იფსამს (ნეტა ეს სადღა ნახა?), ყოველდღე ბანაობს (ხედავ, შენ!), მოკლე კაბას ატარებს (ესღა გვაკლდა — ვაი, ვაი და კიდევ ვაი!), შავკანიანია (პირდაპირ 51-ე შტატი რომ გავხდეთ, გვეყოლება კიდეც!), სვამს, კაფკა წაუკითხავს (საქართველოს ისტორია რა მოსატანია!), უყვარს კახური ღვინო, არ აბოყინებს (ეს ნანახი ექნება უეჭველად!), იეზიდი ცოლი ჰყავს (ნეტა რაზე მიგვანიშნებს?), არ ასლოკინებს, არ აქვს სურდო (რადგან მიჩვევა იცის და მაშინაც კი, როცა მორჩება, ცხვირზე ხელის გასმას ვერ მოიშლის) და რაც, როგორ ჩანს, ბენდუქიძისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, პრეზიდენტს კუჭი არ უნდა აეშალოს!

ამ გამოკითხვის გაცნობის შემდეგ რომელ ჭკუათმყოფელს გაუკვირდება ბენდუქიძის „მამაბუასილობა“?

**არც მე მიკვირს. არც ის არის გასაოცარი, რომ ასეთი ადამიანი (ვახ, რამდენჯერ ვთქვა, პირობითად-მეთქი!) სააკაშვილის მთავრობაში მორთხმით იჯდა და ერთხელ მაშინდელ ენერგეტიკის მინისტრსა და ახლანდელ პრემიერ-მინისტრს — ნიკა გილაურს, ყველას დასანახავად, ისედაც მოლივლივე და რადიოზე დაყენებული თმები სულ მთლად შეაყალყინა — პრეზიდენტის თანდასწრებით პირდაპირ მთავრობის სხდომაზე უწოდა... დებილი!**

გილაური გადაირია, თუმცა ბენდუქიძისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო და იქით გაიკვირვა, რამ გადარია ეს ბიჭი, ნუთუ არ იცის, რომ გინების უფლება ცივილიზაციააო?! მაგრამ დაიდგა გილაურმა პრემიერის ჯილა და ბენდუქიძესაც კანცელარიიდან „დაახვევინა“. მანამდე კი ბენდუქიძემ, რა თქმა უნდა, სააკაშვილის უშუალო მითითებითა და დასტურით, ყველაფერი გაყიდა... ისე, არც მოვუტყუებივართ — პირდაპირ გვითხრა, სინდისის გარდა ყველაფრის გაყიდვა შეიძლებაო და აგვისრულა კიდეც... ერთი ეგ არის, ის აღარ დაუკონკრეტებია, რომ მისთვის სინდისი, როგორც კატეგორია არ არსებობდა... ხალხში ანეგდოტებიც გაჩნდა მის პერსონასთან დაკავშირებით, თუმცა ამ „გაბუასილებულს“ ეს ამბავი მხოლოდ ახალისებს...

**დადის ახლა და, აქეთ პატრიარქს აგინებს, იქით პრეზიდენტს აშაყირებს! თან ურცხვად ამბობს, ეს არისო სიტყვის თავისუფლება. რაკი ასეა, მეც ვსარგებლობ ნაციონალების ბოძებული თავისუფლებით და გიძღვნით ამ რეპლიკას, რომლის თითოეული სიტყვაც სწორედ თავისუფლებით ნიშანდებულია და ალალი იყოს „მამა ბუასილებზეც“ და „დედა ბუდარიხებზეც“.**

**„დანიაში ფაშისტებმა ებრაელები აიძულეს, ყვითელი ვარსკვლავი ეტარებინათ. დანიის მეფემ და დედოფალმა თავიანთ სამოსზეც დაიკერეს ყვითელი ვარსკვლავები. ჩვენც „მამა ბუასილები“ უნდა გავხდეთ“,** — წერს თავის საიტზე კახა ბენდუქიძე. იგი ამ დემაგოგიით ცდილობს პატრიარქმოძულეთა დაცვას. თუმცა ძნელი წარმოსადგენია, უწიგნურ ბუდარიხა თუთბერიძისგან განსხვავებით, არ ესმოდეს: **როცა ასეთი მაგალითი მოგყავს, შენი ხელშეწყობით გამათხოვრებული ქვეყნის პრეზიდენტს მილიარდიანი სასახლის აშენებას არ უნდა უწონებდე!**

თუმცა რომელ ქვეყანაზე ვლაპარაკობ? აბა, გაბედოს ვინმემ საბერძნეთის პატრიარქის გინება! აბა, გაბედოს ვინმემ სომხეთის პატრიარქის ლანძღვა!

**გაბედავს? ვერ გაბედავს, რადგან ამ ქვეყნების ხელისუფლებს კარგად ესმით, რომ ხალხის რწმენაში განმტკიცება სახელმწიფოს ძლიერებას განაპირობებს! ჩვენთან კი არ ესმით, ანდა... ვაი, რომ ძალიან კარგადაც ესმით და სწორედ ამიტომაც ებრძვიან ასე თავდაუზოგავად ქართულ ეკლესიასა და მის საჭეთმპყრობელს!**

**ამ ბრძოლაში საქართველო გაიმარჯვებს, რადგან ჩვენ სხვა გზა, გარდა გამარჯვებისა, არ გვაქვს! ახლა საქართველოა გადასარჩენი — რაც დაგვრჩა, ის საქართველო მაინც შევინარჩუნოთ რწმენით, იმედითა და სასოებით!**

**ბონდო მძინარაშვილი**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი ეთერ კასრელიშვილი (899 110 200)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net

## თუ თავზე გიჟი დაისვი, ჭკვიანი როგორ იქნები

„ერთხელ სჯობია სიკვდილი,
ნიადაგ შეღონებასა“,
მეგონა, შვიდში ვნახავდი
საქმით ამ შეგონებასა.

ეს კია, ხალხის სიმშვიდით
იქით დამშვიდდნენ ნაცები,
ახალციხიდან დაგვყვირა
მიშამ თავისი ჰანგები:

— ვიწყებო აღმშენებლობას,
გვაქვსო ეს სულისკვეთება...
ისე თქვა, თითქოს მანამდე
უშლიდა ვინმე კეთებას.

წმიდა ილიას ნათქვამი:
„რა გითხრათ, რით გაგახაროთ“
ნაცებმა ასე გაშიფრეს:
რა გიმტროთ, რით გაგამწაროთ.

ახლა წვრილ-წვრილად
ჩამოვფქვავ
ზოგ ამბავს გასულ კვირისას,
რომ ამ შაირებს ჩაეწნას
ინფორმაცია გვირისტად:

მადრიდში ასამართლებენ
თბილისელ შაქრო კალაშოვს,
დიდი მაყუთის საშოვნად
გზების გაყვანას რაღა სჯობს;

ბერეზოვსკი არ გვეშვება,
ველარ გაიგებ, რა უნდა,
თბილისში ერთობ გახშირდა
გაზით მოწამვლა-გაგუდვა.

სამხატვრო გალერეის წინ
მახინჯი ქანდაკება დგას,
ახლა შევხედე და მივხვდი,
თ. თუთბერიძის ქალსა ჰგავს.

„თავისუფლების ინსტიტუტს“,
ანუ ეშმაკთა სამრეკლოს
სახელად უფრო შეფერის
„ტარტაროზების სამჭედლო“.

მოეშვით ხვევნას და კოცნას,
ღორის გრიპს მოსწონს
კონტაქტი,
სიფრთხილეს თავი არ სტკივა,
ხალხს ასწავლიდა სოკრატი.

თუ წვიმა მოდის ბორჯომში,
ონკანში წყალი წყდებაო,
უფრთხილდებიან ძვირფას ხალხს —
მღვრიე წყლით ამოწყდებაო.

აშშ-ს სამხედროებმა
იჩხუბეს ნატოს სტანდარტით,
წავლენ და იტრაბახებენ,
ქართველებს ბოთლი ჩავარტყით.

ჰოლივუდელი გარსია,
ფილმში მიშას როლს თამაშობს,
თუმცა ფულს ბლომად უხდიან,
მიშას ხარჯვაში ვერა სჯობს.

ბევრ რამეს ვხვდებით დაფარულს,
მიტომაც გვტანჯავს ფიქრები,
თუ თავზე გიჟი დაისვი,
ჭკვიანი როგორ იქნები?!

ამბები ასე მოგართვით,
დამთავრდა ჩვენი არია,
ღმერთი საკადრისს მიუზღავს,
ვინც ეს ქვეყანა არია.

**ოთარ თორელი**